...რთველო ბეჭედია ... და თბილისი – ...ული ბადახში ®

ყოველკვი... * №33(659) * 12–18 აგვისტო ფასი 1,50 ლარი

www.tbiliselebi.ge



ვისგან ელოდება ნინო არაბაშვილი მესამე შვილს და როგორ ჩაიარა მისმა ჯვრისწერამ

გვ. 75

გვ. 10

როგორ მოხვდა ტურიზმის ადმინისტრაციის ახალი შეფი აფრიკაში ალმასების მოსაპოვებლად და რა ხრიკი ასწავლა მას პოლონეთის ექსპრეზიდენტმა

გვ. 79

როგორ გახდა ჟაბა ქარსელაძე ცხრანლიანი ბრძოლის შემდეგ ათლეტური აღნაგობის და რის შედეგად მიაღწია მან ამ ყველაფერს ექვს თვეში

ISSN 1987-569X



გვ. 18

რაში დასჭირდა ნინო ბურჯანაძეს ღამის 3 საათზე ქმრის დახმარება და სად ეძინა მას ჩაცმულ-დახურულს



გვ. 70

გიორგი თევზაძის სახელობის საქველმოქმედო ფონდი გაჭირვებულებისა და უსახლკაროების დასახმარებლად მუშაობას განაგრძობს



როგორ ავარჯიშებს ნათია რთველიაშვილი „ვიქტორიას სეკრეტის“ მოდელებს სხეულის კარგი ფორმის შენარჩუნებასა და მოდელის ვიზუალის შექმნაში

გვ. 22



გვ. 19

რატომ თქვა უარი ნიკა ნიკვაშვილმა გერლენთან თანამშრომლობაზე

# მარხვის მადლმა გაგაძლიეროთ!

**მიუხედავად იმისა, რომ სალომე ჭაჭუა მთელი წლის განმავლობაში ძალიან ბევრს მუშაობს, ჯერჯერობით, არც შვებულება აუღია და შესაბამისად, არც არსად წასულა დასასვენებლად. როგორც თავად ამბობს: მის კარიერაში მნიშვნელოვანი სიახლეა, რომელზე საუბარსაც ცოტა მოგვიანებით აპირებს.**

# ვისზე გაათხოვეს სალომე ჭაჭუა და სად დადიოდა ის „ჩორნი ხოდებით“

**სალომე ჭაჭუა**: წელს საერთოდ არ დამისვენია, სულ ვვარჯიშობ. 10 დღით ვიყავით გონიოში, „თელადან“ ბავშვები შეკრებაზე გვყავდა წაყვანილი და, შესაბამისად, არც დამისვენია – გადაქანცული ჩამოვედი. იქ იყო ოთოც, ჯულიანაც და გიგიც, ამიტომ ძალიან არ გამჭირვებია, მაგრამ პასუხისმგებლობა დიდია. თუმცა, ბავშვები ძალიან მიყვარს, მათთან უფრო კარგად ვერთობი, ვიდრე დიდებთან. მოკლედ, კმაყოფილი ვარ: კარგად გაერთნენ და ბევრიც ვივარჯიშეთ. სულ სამი დღე მქონდა დასვენება, ოღონდ სახლში, არსად წასვლა არ მინდოდა – ვიჯექი სახლში და ვისვენებდი. მიყვარს სახლში მარტო ყოფნა. ისე ვარ ვარჯიშს მიჩვეული, ველარ ვხვდები: როდის ვარ დაღლილი და როდის – არა.

**– როდის დაკარგე ეს შეგრძნება?**

– დიდი ხანია, უბრალოდ, მეორე წელია, საერთოდ არ დამისვენია. ვფიქრობ: აგვისტოს ბოლოს 5 დღე წავიდე ზღვაზე ან ჩემთან, აგარაკზე, ჰაერს გამოვიცვლი და მერე ისევ გავაგრძელებ ვარჯიშს. თან, სექტემბრიდან იწყება გაკვეთილები, „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მესამე სეზონი. გადავწყვიტე, ისევ მივიღო მონაწილეობა.



**არაფრის არ მეშინოდა, მაგრამ მამაჩემის სიკვდილის შემდეგ, ძალიან მეშინია სიმაღლის, აფეთქების ხმის, კიდევ ქუხილის, შეიძლება, საწოლის ქვეშ შევძვრე**

**– ისევ მეწყვილეს გარეშე ხარ?**

– მარტში რეზოსთან *(რობაქიძე – ავტორი)* ერთად ბოლო ტურნირი მქონდა, მერე რაღაცეები მოხდა და დავრჩი მარტო. ახლაც ასე ვარ, უბრალოდ, მე და რეზო ვმუშაობთ, რომ ფორმა არ დავკარგო. ერთთან უნდა მოვსინჯო, როგორ შევეწყობი. თუ ვერ შევეწყობით, ისევ რეზოსთან ერთად გავაგრძელებ ვარჯიშს. სპორტულ ცხოვრებაში, ტურნირებს ვგულისხმობ, რაღაცას რომ მივაღწიო, ამისთვის დაახლოებით 5 წელი დამრჩა. ამ პერიოდში უნდა გავაკეთო რამე, მაგალითად, მსოფლიოზე ნახევარფინალში ვიცეკვო და ასე შემდეგ. მე მაინც რქებით ვაწვები ყველაფერს, თუმცა, საქართველოდან ამ ყველაფრის მიღწევა ცოტა რთულია. ვისაც ჩვენთან კარგი შედეგი ჰქონდა, ისინი უცხოეთში მიდიან, ვარჯიშობენ და მერე საქართველოს სახელით გამოდიან. მე მინდა, საქართველოდან მივაღწიო ამ ყველაფერს.

**– შენ და გიგი ამერიკაში აპირებდით წასვლას, თუმცა, ვიზა არ მოგცეს.**

– ამერიკაში სხვა რამისთვის მივდიოდი, ცეკვის კურსები უნდა გამევლო და კვალიფიკაცია ამემაღლებინა. რა დავუშავე ამ საელჩოს? – არ მირტყამენ ვიზას. მეორედაც გავედი ივლისში. გოჩამ დამირეკა, ზუსტად 2 თვით ვაპირებდი ჩასვლას – სხვა ცეკვების სწავლაც მინდოდა, საბუთები წესრიგში მქონდა, მაგრამ კიდევ უარი მითხრეს. მე და რეზო თუ გავაგრძელებთ წყვილში ცეკვას, გვინდა სხვადასხვა ტრენერთან მოვემზადოთ უცხოეთში. ამას გარდა, კიდევ მსაჯებისგან უნდა აიღო გაკვეთილები, რომ გაგიცნონ – ამას დიდ ყურადღებას აქცევენ. სერიოზულად ვფიქრობ ამაზე, ფინანსური მხარეც შემიწყობს ასე თუ ისე ხელს, რადგან სხვაგანაც დავიწყე მუშაობა.

**– სად დაიწყე?**

– ეს ჯერ სიურპრიზია და მოგვიანებით ვიტყვი. ცხოვრებაში ტუზი დამეცა, შანსი მომეცა, გამიმართლა და თუ, ღმერთის წყალობით, ყველაფერი კარგად წავა, რაზეც მთელი ცხოვრება ვოცნებობდი, ანუ ტურნირებში წარმატების მიღწევაზე, მგონი გამომივა. წინასწარ არ მინდა ვთქვა, თუმცა, ჩემს საქმესთან კავშირშია. წინასწარ რომ რამეს ვამბობ, მერე არ გამოდის ხოლმე და ტყუილი ლაპარაკი რომ არ გამოვიდეს, მირჩევნია, არ ვთქვა.

**– ამან შეიძლება, შენი ცხოვრება რადიკალურად შეცვალოს?**

– კარიერის მხრივ, შეიძლება, დიდი შანსია, რომ შეიცვალოს და ძალიან მიხარია. ჯერ კიდევ შოკში ვართ მეც და ჩემი ოჯახიც.

**– რას დაარქმევდი შენი ცხოვრების ახლანდელ ეტაპს?**

– ახლა მაქვს ის ეტაპი, როდესაც ყველაფერი უნდა გავაკეთო იმისთვის, რომ კარიერაში ბევრი წინსვლა მქონდეს. თან, ამის შანსიც მომეცა. მინდა, სპორტში მივაღწიო წარმატებას, რაზეც მთელი ცხოვრება ვოცნებობდი. ბოლო შანსი ახლა მაქვს.

**– წარმატებებს გისურვებ!**

– მადლობა. ყველაფერი მაინც, უხეშად რომ ვთქვათ, ფინანსებზეა დამოკიდებული. თორემ, მე დღე და ღამე ვვარჯიშობ და მიხარია, რომ ზარმაცი არ ვარ. ახლა დღეში სამჯერ ვვარჯიშობ: ცეკვაში, იოგაში და ტანვარჯიშში. ყველაფერზე ცეკვის გამო დავდივარ. იოგა ცენტრის დაჭერაში ძალიან მეხმარება – გავიწელე კიდეც. თან, მამშვიდებს, ყველაფერს მშვიდად ვუყურებ. ტანვარჯიშში ძალიან მომწონს არაბული სალტო და ვცდილობ, გავაკეთო.

**– ცხოვრების ეტაპებზე ვსაუბრობდით. პირველი ეტაპი ბავშვობაა, გარემოსთან პირველი კონტაქტები, რაღაცეების აღქმა, გაცნობიერება. რა გახსოვს ამ ეტაპიდან?**

– ერთი წლის ვიყავი, როცა ხელი დავიწვი. ისეთი საშინელი ტკივილი მქონდა, დღემდე მახსოვს.

**– როგორ დაიწვი?**

– ჩემმა დამ ჩაიდანი დადო ძირს, სალომემ არ გადაისხასო. მერე გადაიფიქრა, ასწია და

**კარიერაში, დიდი შანსია, რაღაც შეიცვალოს და ძალიან მიხარია. ჯერ კიდევ შოკში ვართ მეც და ჩემი ოჯახიც**

საბოლოო ჯამში, მე გადამესხა. თან, ზამთარი იყო, ბევრი მეცვა და სანამ გამხადეს, საშინელი სიმწარე გადავიტანე. 3 თვე არ მიხორცდებოდა. იმ ასაკში არაფერი გამახსოვრდება, მაგრამ ისე გავმწარდი, დღემდე მახსოვს, ოღონდ ბუნდოვნად – თეთრი კარი, მამაჩემს, რომ შევყავდი ექიმთან და მე ვყვიროდი: არ შემიყვანოთ-მეთქი, რადგან იქ მტკენდნენ. ეს არ ამოდის გონებიდან, ის შეგრძნებაც კი მახსოვს.

**– ექიმების შიშიც ხომ არ დაგჩემდა?**

– არა, არაფრის არ მეშინოდა. მაგრამ, მამაჩემის სიკვდილის შემდეგ, ძალიან მეშინია სიმაღლის, აფეთქების ხმის, კიდევ ქუხილის, შეიძლება, საწოლის ქვეშ შევძვრე. დიდ ატრაქციონებზე, მაგალითად, „ამერიკულ მთებზე“ ადრე რომ ვჯდებოდი, ახლა მეშინია, ვერ დავჯდები. კიდევ კლაუსტროფობია მაქვს, დახურული სივრცის მეშინია. თურმე, რამდენი რამის შიში მქონია. სამაგიეროდ, ვგიჟდები ცხოველებზე და არ მეშინია არანაირი მწერის.

**– რა გახსოვს კიდევ შენი ბავშვობიდან?**

– ის, რომ ვიყავი ქაჯი და სულ ეზოში ჩავდიოდი. ხიდან ხეზე გადავდიოდი და ყველგან ჩემი წივილი ისმოდა. წრეში ბურთი მიყვარდა ძალიან, დღემდე ვთამაშობ ჩემს ბავშვებთან ერთად. სულ ვწიოდი, რადგან არჩევანი მე უნდა ვყოფილიყავი. ეზოდან ვერავის ამოვყავდი, ბოლოს წიწკნა-წიწკნით ამომიყვანდნენ ხოლმე. მთელი დოლიძე ფეხით მაქვს შემოვლილი, „ჩორნი ხოდები“ ვიცოდით და დავდიოდით ფეხით. ძალიან კარგი ბავშვობა მქონდა, ისეთი არა, როგორც დღეს აქვთ. „როლიკებით“ მიყვარდა კატაობა. ერთხელ ფეხი დამიდეს და დავილეწე, მუხლზე ძვალი მთლიანად მიჩანდა. თან, დაქოქილი მანქანის ქვეშ შევცურდი, ვყვიროდი: არ წახვიდეთ, არ წახვიდეთ-მეთქი. დიდი „ჯიპი“ იყო. გადავრჩი, სამაგიეროდ, იარა მაქვს ბევრი.

**– რომელი იყო შენს ცხოვრებაში ყველაზე რთული ეტაპი?**

– მამაჩემის გარდაცვალება, სხვა რამ არ მახსოვს. ძალიან განვიცადე და დღემდე ასე ვარ. დღე არ გავა, რომ არ გამახსენდეს. ის მომენტიც მქონდა, როცა ჩემთვის დავჯექი, ჩავიკეტე, მაგრამ მერე გადავლახე. თან, ისეთი ვარ, ვცდილობ, ადამიანს არ ვაგრძნობინო ჩემი ცუდად ყოფნა. მგონია, ამით მას ვაწუხებ. დედა, ჩემი და, ჩემი ძმა, ყველანი ერთად ვცდილობთ, კარგად ვიყოთ. მამაჩემი საუკეთესო მამა იყო, ერთმანეთთან ძალიან ახლო ურთიერთობა გვქონდა. შვილებს ხომ არ განასხვავებენ, მაგრამ მამა ამბობდა: სალომესნარი არც ერთი არ მყავსო და ამაზე ბრაზდებოდნენ. თან, ქცევით, მანერებით დედამისს მამსგავსებდა, დედაზე კი ჭკუა ეკეტებოდა. ალბათ, ამიტომაც ჰქონდა ასეთი დამოკიდებულება ჩემდამი.

**– ეტაპი, რომელმაც შენს ცხოვრებაში – როგორც პირადში, ასევე კარიერაში – გარდატეხა მოახდინა?**

– „ცეკვავენ ვარსკვლავებმა“ აბსოლუტურად შეცვალა ჩემი ცხოვრება. მაგრამ, არა იმ კუთხით, რომ მე შევიცვალე. მე ისევ ისეთი ვარ, როგორიც მანამდე ვიყავი. უბრალოდ, ვიყავი ჩემთვის, ახლა ყველამ გამიცნო. იციან რას ვაკეთებ, რა ხდება ჩემს ცხოვრებაში და ეს ცოტა არასასიამოვნოა. ჭორები განსაკუთრებულად გამაღიზიანებელია. ვცდილობ, არ მივაქციო ყურადღება, მაგრამ ზოგჯერ ისეთ რაღაცეებს წერენ, გინდა არ გინდა, მაინც მოქმედებს. ბოლოს „იმედის“ ჟურნალისტზე გამათხოვეს.

**– ახლა არაფერი ხდება პირად ცხოვრებაში, არავინ გყავს?**

– ჩემი და გიგის დაშორება ხან ვის დაუკავშირეს, ხან – ვის. ძირითადი თემა მაინც გიორგი ვარდოსანიძე იყო. პირად ცხოვრებაში არაფერი ხდება და არც ვფიქრობ ამაზე. მთლიანად ცეკვაზე ვარ გადართული, კონცენტრირებული ამაზე ვარ. ეს ძალიან კარგია, რადგან არავინ მიშლის ხელს. თუმცა, არც გიორგი მიშლიდა ამ მხრივ ხელს, მაგრამ ახლა ასე ჯობია. დიდი ხანი არც ვაპირებ პირად ცხოვრებაზე ვიფიქრო. ამ ყველაფრის გადატანა, რა თქმა უნდა, ძალიან რთული იყო, მაგრამ დრო რომ გადის, ალბათ, სირთულეებიც ნელდება. ვნახოთ, რა იქნება.

**ნათია უტიაშვილი**

# SAMSUNG-ის პრეზიდენტმა საქართველოში კომპანიის პირველი მაღაზია და სმარტ სკოლა გახსნა

9 აგვისტოს საქართველოს საგანგებო ვიზიტით კომპანია SAMSUNG-ის პრეზიდენტი ბი ქეი იუნი ესტუმრა. მსოფლიოში ტექნიკის ბაზარზე ლიდერი კომპანიის პრეზიდენტმა ერთდღიანი ვიზიტის დროს საქართველოში SAMSUNG-ის პირველი ოფიციალური მაღაზია და კომპანიის ინვესტიციით შექმნილი სმარტ სკოლა გახსნა.

ვიზიტის ფარგლებში ბი ქეი იუნმა საზეიმო ვითარებაში, სრულიად ახალი კონცეფციის მქონე პრემიუმ-კლასის მაღაზია ჭავჭავაძის გამზირის N48-ში გახსნა. ახალ მაღაზიაში წარმოდგენილი ტელევიზორების, მობილურების, ფოტოაპარატებისა და ტექნიკის სხვა ასორტიმენტი წარმოადგენს მოწინავე ტექნოლოგიებსა და პრემიუმ-კლასის მოდელებს. „ამ მაღაზიაში აქცენტი გაკეთდება არა რაოდენობაზე, არამედ, ხარისხზე. მომხმარებლებს მოემსახურებიან SAMSUNG-ის კონსულტანტები ეგრეთ წოდებული „ელჩები“, რომლებიც დაწვრილებით გააცნობენ და აუხსნიან პროდუქციის უპირატესობებსა და ფუნქციებს. ამ მაღაზიით ჩვენ წარმოვადგენთ ახალ ხედვას, თუ როგორი უნდა იყოს პრემიუმ-კლასის მაღაზია და მომსახურება,“ – აცხადებს SAMSUNG-ის პრეზიდენტი ბი ქეი იუნი.



მაღაზიის გახსნის ცერემონიის შემდეგ, SAMSUNG-ის პრეზიდენტმა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადაინაცვლა, სადაც საქართველოს ვიცე-პრემიერსა და ეკონომიკის მინისტრთან, განათლების მინისტრთან და რექტორის მოვალეობის შემსრულებელთან ერთად, სმარტ სკოლის კლასი გახსნა.

კომპანიის მენეჯმენტში აცხადებენ, რომ სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, ეს არის პირველი პროექტი, რომელიც SAMSUNG-მა საქართველოში განახორციელა. სმარტ სკოლა წარმოადგენს სასწავლო აუდიტორიას, რომელიც აღჭურვილია SAMSUNG-ის მაღალი ტექნოლოგიის „თაჩ სქრინითა“ და ქსელურად მასზე მიბმული პლანშეტებით. სექტემბრისთვის ანალოგიური კლასი SAMSUNG GIPA-შიც გაიხსნება. მსგავსი კლასების მოწყობა პირველ საჯარო სკოლასა და პროფესიულ სასწავლებლებშიც იგეგმება.

„მოხარული ვართ ბატონი ბი ქეი იუნის საქართველოში სტუმრობით. მივესალმებით კომპანია SAMSUNG-ის მიერ განხორციელებულ პროექტსა და სამომავლო გეგმებს. განათლების სფეროში კერძო სექტორის ჩართულობა განათლების სამინისტროს სტრატეგიულ ნაწილს წარმოადგენს. ვფიქრობ, ახალგაზრდების სწავლის დონის ამაღლებაში კომპანია დიდ წვლილს შეიტანს,“ – განაცხადა განათლების მინისტრმა თამარ სანიკიძემ.

„მოხარული ვართ, რომ სმარტ სკოლის პირველი კლასი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კომპანია SAMSUNG-ის მხარდაჭერით გაიხსნა. ეს არის კერძო კომპანიისა და უნივერსიტეტის თანამშრომლობის საუკეთესო მაგალითი და, იმედი გვაქვს, სმარტ სკოლის გახსნა უნივერსიტეტში ჩვენი გრძელვადიანი თანამშრომლობის დასაწყისი იქნება. ეს სიახლე მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს უნივერსიტეტის განვითარებაში“, თქვა რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ალექსანდრე კვიტაშვილმა.

„მოხარული ვარ საქართველოში სტუმრობით. სოციალური პასუხიმგებლობის პლატფორმის ფარგლებში სმარტ სკოლა არის ჩვენი პირველი პროექტი, რომელსაც ძალზე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ და უფრო მასშტაბურს გავხდით. ვაპირებთ, ასევე, დავაწესოთ SAMSUNG-ის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისთვის და ხელი შევუწყოთ განათლების დონის ამაღლებას,“ – განაცხადა SAMSUNG-ის პრეზიდენტმა ბი ქეი იუნმა.

ბი ქეი იუნი SAMSUNG-ის გენერალურ დირექტორად და პრეზიდენტად 2012 წელს დაინიშნა. სწორედ მისი ხელმძღვანელობის პერიოდში გახდა SAMSUNG-ი LED ტელევიზორების, მონიტორების, მოწინავე ტექნოლოგიების, 3D TV, SMART TV-ს და სხვა მიმართულებების მხრივ ნომერ პირველი კომპანია მსოფლიოში.

კომპანია SAMSUNG-ი 1938 წელს შეიქმნა და სადღეისოდ ელექტროტექნიკის მწარმოებელ უდიდეს კომპანიას წარმოადგენს.

**სალომე გველესიანი**

## სარჩევი

როგორ აპირებს რუსეთი საქართველოს „ნატოში“ გაწევრიანებისთვის ხელის შეშლას და რატომ ილაპარაკა დიმიტრი მედვედევმა მიხეილ სააკაშვილზე კორექტულად ........ 6

ვის დაასახელებს ბიძინა ივანიშვილი თავის მემკვიდრედ და ვინ გაუმაგრებს ზურგს საქართველოს რუსეთ-სომხეთისა და აზერბაიჯან-თურქეთის სამხედრო ალიანსების გარემოცვაში ........ 8

როგორ იზრდებოდა 2004 წლიდან ხათუნა გოგორიშვილის ხელფასი გეომეტრიული პროგრესიით და რა შემოსავალი მოუტანა მას სამი მოწვევის პარლამენტის წევრობამ ........ 9

სისხლიანი დიქტატორების უცნაური გატაცებები ........ 12

რამდენი მილიარდი დაჯდა რომან აბრამოვიჩის განქორწინება და რატომ შეწყდა რუპერტ მერდოკის ქორწინება ........ 13

პირველი ქართული კერძო სკოლა მოსკოვში – კერა, რომელმაც მძიმე წლებში ასობით ბავშვი შეიკედლა... .... 14

ადვოკატი გირჩევთ ........ 16

რისგან იტანჯება ზოგიერთი ქალი ოჯახში და როდის ხდება ქმარი ცოლისთვის უცხო ........ 20

როგორ იპოვა რუსეთში მცხოვრებმა გოგონამ მამა და ელოდებიან თუ არა მასთან შეხვედრას მისი ნახევარდაძმები ........ 21

რომელი ცნობილი თბილისური სასტუმროს ადგილზე აშენდა „მაკდონალდსი” მარჯანიშვილის მოედანზე, რომელი ისტორიული შენობები აიგო ალმაშენებლის გამზირზე გერმანელი არქიტექტორის პაულ შტერნის პროექტით და რით იყო განთქმული სასტუმრო „ევროპა” მიხეილის პროსპექტზე ........ 23

რა ეხმარება ადამიანს თავისი ცხოვრების გაკონტროლებაში და რისი უფლება ეძლევა გარდაცვლილის სულს ორი დღის განმავლობაში ........ 24

მოძღვარი გვირჩევს ........ 25

რომელი რელიგიური სექტის წევრი გახდა არგენტინის ნაკრების მეკარე კარლოს როა და რომელი რელიგიური ორგანიზაციის ლიდერია კოლუმბიელი რადამელ ფალკაო ........ 26

ექიმის რჩევები ........ 29

რატომ მოუხდა ოტია იოსელიანს მიცვალებულის „გაძარცვა“ და რა გადაიტანა მან ნანატრი პალტოს გამო ... 30

როგორ ხდება შურიანი ადამიანისგან გათვალვა და ვის შემოაქვს ჩვენს საცხოვრებელში შავი და ბოროტი ენერგია ........ 32

ენტონი ჰოპკინსი – მსოფლიო კინოს ყველაზე ცნობილი სერიული მკვლელი ........ 34

როგორ ამოწმებდა სტალინი პოლიტბიუროს წევრების ერთგულებას ........ 35

შეკითხვა ასტროლოგს ........ 36

რა კავშირი არსებობს ადამიანის დაბადების თარიღსა და ყველაზე გავრცელებულ დაავადებებს შორის .... 36

კვირის დღეების ასტროპროგნოზი ...... 45

კოსმეტოლოგის რჩევები ........ 47

როგორ იძია შური ქართველმა კრიმინალმა, მეტსახელად „ცოფიანმა“, თავის მეუღლესა და ყოფილ „პაძელნიკზე“ ........ 48

რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს ... 50

ვეტერინარის რჩევები ........ 56

ფლორის სამყაროში ........ 56

როგორ გაუსწორდა ყოფილი პატიმარი თანამოსაკნეს ექვსი წლის შემდეგ და როგორ გაიხსნა დანაშაული მწყემსის დახმარებით ........ 57

ქურდული ცხოვრება ........ 58

მოწმე – მკვლელი ........ 65

მკვდარი ვერსია ........ 66

ვისგან ნასესხები თანხით ააგო დემეტრე თავდადებულმა მეტეხის ტაძარი და როგორ გახდა წარმოშობით ქურთი სადუნ მანკაბერდელი მეფის მეურვე ........ 72

რატომ არის 27 ოქტომბერი პრეზიდენტის ასარჩევად სწორად დანიშნული თარიღი და რა შანსები აქვთ ამ დღეს პრეზიდენტობის კანდიდატებს ........ 73

# ჯ ა ყ ო დაკმაყოფილებულია

## ანუ, „ფერი ფერსო...“

მართალია, **მისმა პოლიტიკურმა კარიერამ ჩაილურის წყალი დალია (ოღონდ, ჩვენი ტერიტორიების 20 პროცენტიც წაიყოლა)**, მაგრამ, ავანსცენაზე გასულ კვირას ისევ გამოჩნდა: **ედუარდ-ჯაყო კოკოევმა თავიც შეგვახსენა და ნერვებიც გვარიანად აგვითამაშა.**

ბუნებრივია, **ომის საკუთარი ვერსიაც გაგვაცნო, ლაიტმოტივით – რომ თავად მშვიდობის მტრედის როლს ასრულებდა** და **არც შეფასებები მოგვამადლა** (ბუნებრივია, ჯაყოურ სტილში): **„2008 წლის აგვისტოს ომი მრავალტანჯული ოსი ხალხის გამარჯვებაა ქართულ ფაშიზმზე;** ჩემი **პირადი გამარჯვებაა სააკაშვილზე, როგორც პოლიტიკოსზე, როგორც კაცზე** და **როგორც ადამიანზე**, რომელსაც ყველაფერზე პასუხისმგებლობა ეკისრება.“



**არც მუქარა დავიწყებია: „რუსეთი რომ ამ ომისთვის მზად ყოფილიყო** და, მით უმეტეს, მისი პროვოცირება მოეხდინა, ეს ომი საერთოდ არ დაიწყებოდა ან სულ **რამდენიმე საათში საქართველოს სრული განადგურებით დასრულდებოდა**.“

ცხადია, ყოფილ დე-ფაქტო **პრ. ჯაყოს მართალიც არ დაეჯერება**, თუმცა, **თუ ამ ჩვენი ქვეყნის რუკას დავხედავთ, დაჯერება იქით იყოს, გული მოგიკვდება**. ამის მიუხედავადაც, მაგალითად, **საქართველოს პრეზიდენტი აცხადებს**, რომ (მოვიხმობ ციტატას): **„რაც წლები გადის, მეტად მემატება სიამაყის განცდა – რას გავუძელით, როგორ გავუძელით და რა შევქმენით ამის შემდეგ**.“

თუ გავითვალისწინებთ, რომ **ეს შეფასება** ბ-ნმა **სააკაშვილმა მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე გააკეთა**, რომელიც 5-ოდე წლის წინათ საზეიმოდ გახსნა (ქვეყნის რუკაზე არაფერს ვიტყვი), აშკარაა, რომ **ფრიად ცოტა ჰყოფნის არათუ ადამიანს, თვით მთავარსარდალს, სრული ბედნიერებისთვის.**

# უსახელო უფლისციხელები

## და დაისზე შეფხიზლებული

ისე მოხდა, რომ **2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ „ნაციონალური“ ხელისუფლება მკაცრად ასაიდუმლოებდა არათუ ამ ომთან დაკავშირებულ ფაქტებს**, თვით **გმირების ვინაობასაც კი**, თუმცა, **1992-1993 წლების ომს საერთოდაც აინუნში არ აგდებდა**.



შესაბამისად, **შეუძლებელი იყო ინფორმაციის მოძიება, რა ვითარებაში დაიღუპნენ ჩვენი მეომრები**. თვით **მას შემდეგაც კი, როდესაც გიორგი ანწუხელიძის წამების ვიდეოჩანაწერი გავრცელდა** ინტერნეტით, **საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ წყალი პირში კიდევ უფრო საფუძვლიანად ჩაიგუბა.**

ჩვენთვის უცნობია**, რატომ გვიმალავდნენ იმდროინდელი მაღალჩინოსნები იმ ფაქტებს, რომლებიც ჩვენს შელახულ თავმოყვარეობას სალბუნად დაედებოდა**, თუმცა, **მოულოდნელად**, კერძოდ, **ომის მეხუთე წლისთავზე, ისე გაცხოველდნენ**, თითქოს, არა 2013, არამედ 2008 წელი ყოფილიყო: **მთავარსარდალი გიორგი ანწუხელიძის ოჯახსაც ესტუმრა**, ჯერ ერთი, დაჰპირდა, რომ **სახლს, რომლის მშენებლობაც ჩვენმა გმირმა ომში წასვლამდე** (ანუ, 5 წლის წინათ) **დაიწყო, სახელმწიფო დაუსრულებს და**, რაც მთავარია, **ქვემო ალვანში 24 წლის გმირულად დაღუპულ გიორგი ანწუხელიძეს ძეგლსაც დაუდგამენ.**



ბუნებრივია, **ჯობს** გვიან (ანუ, **პოლიტიკური კარიერის დაისზე მაინც გამოფხიზლდე**), ვიდრე არასდროს, თუმცა, **კვლავაც უპასუხოდ რჩება კითხვა**: 5 წლის განმავლობაში რა უშლიდა ხელს პრეზიდენტს გიორგი ანწუხელიძის და არა მხოლოდ მის გასახსენებლად? **ვითომ, ის, რომ ჯერ თავისი სასახლე ჰქონდა ასაშენებელ-მოსაწყობი?!**

# „ჩემი ლამაზი მგელი“

## ანუ, „ოვაციები საჭირო არ არის!“

გასულ კვირას **ინფორმაციის ისეთი ნაკადი დაგვატყდა ყურებზე, რომ, არც ყურებს ვუჯერებდით** და **მის გასაანალიზებლად, შესაძლოა, ათწლეულებიც არ გვეყოს**. **პრეზიდენტმა** დაწვრილებით გვიამბო ხუთი წლის წინანდელი ამბები, მათ შორის, საუბრის **ინტიმურ-კულუარული დეტალებიც გაგვანდო როგორც დასავლელებთან, ისე ჩრდილოელებთან.** რაც მთავარია, **დაგვარწმუნა, რომ, ომი, როგორც პატარძალს** (არ ვიტყვი, რა), **არ აგვცდებოდა** (ანუ, მე უბრალო ვარო) და იმაშიც **გამოგვიტყდა, რომ „ნატოსთან“ და აშშ-სთან მჭიდრო პარტნიორობის განყვეტასაც ლამობდა ტერიტორიების სანაცვლოდ**, თუმცა, **ჩრდილოეთში მაინც უარი უთხრეს**. არც ის დაუმალავს, რომ **პრ. პუტინს კრავის ხმითაც ელაპარაკებოდა** და მას **„ჩემს ლამაზ მგელსაც უწოდებდა“.**

თუმცა, **ყველაზე ეგზოტიკური მისი უხვეპიზოდებიანი მონათხრობის ის მონაკვეთი გახლდათ,** რომელიც **ასტანის ღამის კლუბ „მონაკოში“ მასა და დიმიტრი მედვედევს შორის განვითარებულ მოვლენებს ეხებოდა**: „ჩვენი მედვედევი გავიდა საცეკვაო მოედანზე და ცეკვავს... **მეც შევყევი საცეკვაო მოედანზე და რაღაც მომენტში დავავლე ხელი და გამოვიყვანე. დავისვი და მუხლზე დავადე ხელი, რომ არ გაქცეულიყო...“**

იმის მიუხედავადაც, რომ ზემოთ ნაამბობი **მხოლოდ უმნიშვნელო ფრაგმენტია იმისა, რაც პრეზიდენტმა ჩვენს ყურებს გასულ კვირას თავზე დაატეხა**, ამ ფონზე თვით ოსტაპ ბენდერიც კი ცხვირმოუხოცავი ღლაპივით გამოიყურება:

„ათი წუთის შემდეგ საბჭოთა ნაპირზე უცნაური კაცი გამოვიდა, უქუდოდ და ცალი ჩექმის ამარა. არავისთვის არ მიუმართავს, ისე წარმოთქვა ხმამაღლა: **ოვაციები საჭირო არ არის! გრაფი მონტე-კრისტო ჩემგან არ გამოვიდა. კვალიფიკაციის გამოცვლა და სახელმმართველად გახდომა მომიწევს.“**


ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




დაბეჭდილია „ასავალ-დასავალის“ სტამბაში
ელ-ფოსტა: PRINT@ASAVALI.GE

**განყოფილებები**

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე
დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
კორექტორი: ხატია ქღენტი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: ქეთი კვინიხიძე, თამუნა ჩალაძე
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე
ვებ-გვერდის მთავარი მოდერატორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52
სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53
დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“
ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com; tbiliselebi2001@yahoo.com

# ჭამი დაყრილი ჩანგლების აღებისა

რაკი **აგვისტო ფატალური თვეა ჩვენი უახლოესი ისტორიისთვის (2008 წლის 8 აგვისტოსა და 1992 წლის 14 აგვისტოს გადამკიდე)**, ბუნებრივია, გასულ კვირას **ერიცა და ბერიც, ისევე, როგორც უმრავლესობა-უმცირესობა, მხოლოდ ამ თემის ირგვლივ ტრიალებდა**, თუმცა, **იყო გამონაკლისიც.**



სახელდობრ, **„ნაცმოძრაობამ“ დავით ბაქრაძის ბაგეებით მთავრობას ეროვნული თანხმობის აქტის მიღება** და, **ზედაც, რამდენიმე ეკონომიკური ინიციატივა შესთავაზა**. პრეზიდენტობის კანდიდატს (რომელსაც ამ ფატალურ კვირასაც კი თავისი გასჭირვებია) **არც ის დაუმალავს, რომ ეკონომიკის მინისტრთან შეხვედრის სურვილი შესჩენია.**

კერძოდ, **პრეზიდენტობის მსურველი** ბ-ნი **ბაქრაძე უბნობს, რომ პიონერულ მზადყოფნაშია: „ყველა იმ საკითხში, რაც ეკონომიკას, ადამიანების დასაქმებას ეხება, ძალიან კოორდინირებულად ვიმუშაოთ ხელისუფლებასთან.**“ მის ამ სურვილს კეთილშობილური მიზნები ამოძრავებს: „რათა გაჩნდეს სტაბილურობის განცდა და, ერთმანეთთან ჩხუბის ნაცვლად, ეკონომიკის განვითარებაზე ვიზრუნოთ.“

**ეკონომიკის განვითარება კი ბ-ნ ბაქრაძეს ბიზნესსექტორისთვის საგადასახადო ამნისტიის გამოცხადებით წარმოუდგენია** (ანუ, **ტკბილად შეერგოთ, რაც ჯიბეში ჩაუდვიათ**). უფრო კონკრეტულად, იგი **ხელისუფლებას სთავაზობს, რომ მცირე ბიზნესს სასაქონლო ზედნადებები გაუუქმონ** (ნეტავ, **ვინ შემოიღო** მცირე ბიზნესისთვის სასაქონლო ზედნადებები?!) და, **თუკი საწარმოს მიერ გადახდილ გადასახადში ცდომილება 10 პროცენტზე ნაკლებია, ის არ დააჯარიმონ** (ჭეშმარიტად, **მაშინ მოდის გამოცდილება, როდესაც ის აღარ გვჭირდება**).

**ჩვენ არ ვიცით, გაითვალისწინებს თუ არა მთავრობა ზემოხსენებული ბატონის ეკონომიკურ ინიციატივებს** და არც ის, **რატომ არ განახორციელა ისინი თავად, როდესაც იყო ხელისუფლებაში**, მაგრამ, **სამაგიეროდ, დავავდგინეთ, რამ შთააგონა ჩანგლის საბრძოლო იარაღად გამოყენების იდეა**: პრეზიდენტმა გვიამბო, რომ **2008 წლის ომამდე, ბათუმში, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს საუზმისას** (როდესაც აჭარულ ხაჭაპურს მიირთმევდნენ) **მათთვის უთქვამს, ომი გარდაუვალიაო**. პრეზიდენტმა **ემოციურად შენიშნა – ამის გამგონეებმა ჩანგლები დავყარეთო**. შესაბამისად, როგორც ჩანს, **მტრის** შემოსვლისას ბ-ნი **ბაქრაძე მიხვდა, რომ იწყებოდა ჭამი დაყრილი ჩანგლების შეგროვებისა...**



# პოლიტიკოსის ფიქრები

## „ვამბობთ „სამშობლოს,“ ვგულისხმობთ „ნაცმოძრაობას“

შესაძლოა, იმიტომ, რომ **ჟურნალისტები ძველებურადაც აღარ სწყალობენ**, ან, იმის გამო, რომ **ძველებურად არც ისინი სწყალობენ ჟურნალისტებს**, აწ **უკვე უმცირესობის წევრები საზოგადოებას აზრებს, ძირითადად, სოციქსელების მეშვეობით უზიარებენ**. ეს ერთგვარად **კომფორტული მდგომარეობაა**, ვინაიდან, **თუ თანამოსაუბრე არ გეპიტნავა, ადგები და წაშლი.**

ასეა თუ ისე, **აგვისტოს მძიმე თვეს ერთ დროს ყველაზე ჯეელი პროკურორი** (თანამედებობისთვის ჯეელი), **აწ კი ხალხის რჩეული** ბ-ნი **საყვარელიძეც გამოეხმაურა**, ან კი, **რა გული მოუთმენდა, არ გამოხმაურებოდა?!**



მომყავს ციტატა: **„აქეთ გიყვირიან ცოცხებს ამოფარებულები და კვერცხების სროლაში დაოსტატებულები, უნდა გაგასამართლოთო, ყველაფერს მართლაც საზღვარი აქვს** (ბუნებრივია, ბ-ნი საყვარელიძე **არ წვრილმანდება ისეთ უმნიშვნელო დეტალებამდე, როგორიცაა, ვის ეჭირა ის ცოცხები ან ვინ აჭერინებდა).“**

თუმცა, **მისი მთავარი საწუხარი მაინც სულ სხვაა.** ამიტომაც, **სვამს რიტორიკულ საკითხს: „წარმოდგენაც კი რთულია, სხვა ქვეყანაში რა განაჩენს გამოუტანდა ხალხი მათ, ვინც, ომის დაწყებაში სამშობლოს დაადანაშაულებდნენ** (ანუ, **ვამბობთ „სამშობლოს,“** ვგულისხმობთ **„ნაციონალურ მოძრაობას“** და, პირიქით – **ვამბობთ „ნაციონალურ მოძრაობას“, ვგულისხმობთ სამშობლოს**).“

მეტიც, **ისტორიულ მაგალითებსაც იშველიებს**: „მე **არ მაგონდება და,** ეგებ, თქვენ დამეხმაროთ, მაგალითად, **ისრაელის მსგავსი სახელმწიფოს ისტორიაში თუ გახსოვთ რომელიმე ლიდერი, რომელსაც საკუთარი ქვეყანა რომელიმე ომის დაწყებაში დაედანაშაულებინოს და შემდეგ არჩევნები მოეგოს?** წარმოდგენაც კი რთულია, რა განაჩენს გამოუტანდა მას ხალხი...“

თუმცა, ამ რიტორიკული კითხვის პასუხიც აქვს: **„ჩვენ რა დაავადება გვჭირს ამისთანა, სუფრას და ყანწის სმას რომ არ სცილდება ჩვენი ვაჟკაცობა და ეროვნული ღირსების განცდა?“**

მე არ შევუდგები ბ-ნი საყვარელიძის ნააზრევის ანალიზს (იმ მარტივი მიზეზითაც, რომ ვაჟკაცობასა და ეროვნულ ღირსებაზე განსხვავებული წარმოდგენები გვქონია), თუმცა, **რაკი დახმარებას ითხოვს** (მე არ მაგონდება, იქნებ დამეხმაროთო), **მოვახსენებ**, რომ, მაგალითად, **ისრაელის სახელმწიფომ ერთი ჯარისკაცის გამოსახსნელად ომი წამოიწყო**, ხოლო, მაგალითად, **ერთმა სახელმწიფომ კი** (რომლის მაღალჩინოსანიც თავად ბრძანდებოდა) **დალუპული მეომრების ცხედრებიც კი ვერ გამოიყვანა** (სხვა დანარჩენზე კორექტულად დავდუმდები).

# სწავლა სიბნელეა?!

## „აი, ია“, ანუ – ვაი, დედა!

იმას, რომ **განათლების დონე სავალალო გვაქვს, საერთაშორისო კვლევებიც ადასტურებს** (ჩვენი **ელიტისა თუ უბრალო მოკვდავთა მეტყველება ხომ საერთოდაც ბოლოს გვიღებს**), თუმცა, **ის შედეგი, რაც ჩვენებურმა პედაგოგებმა სასერტიფიკაციო გამოცდებზე აჩვენეს** (ნახევარზე მეტი, არც მეტი, არც ნაკლები, ჩაიჭრა სპეციალობის გამოცდაში), **ნიშნავს, რომ ორი აგური გვაქვს თითო-თითოს საძებნელი.**



ამის პარალელურად, **სკოლის დირექტორობის მსურველებმაც მოსინჯეს ძალები** და **სულ ახლახან ფუნქციური წერის გამოცდის „შედევრებმაც“ იხილა დღის სინათლე**, რომელთა ნაწილს **თქვენც გაგიზიარებთ** (ბუნებრივია, **უკომენტაროდ, ვინაიდან, ამის კომენტირება საშუალოდ განათლების ადამიანურ ძალასაც კი აღემატება**):

„თქვენს მიერ გამოთქმული უკმაყოფილება ჩემს მიმართ, რამაც მაიძულა ამ ანგარიშის დაწერა თქვენს მიმართ, უსაფუძვლოა“. „ისტორიის მასწავლებელი არის ახალზედა, სულ ორი წლის“; **„ჩვენ სასწრაფოდ გვჭირდება საფუძვლიანი შეკეთება, თორემ მალე რემონტს აღარ დავექვემდებარებით“;** „სკოლას კაპიტალური რემონტი არ ჩატარებია, მხოლოდ კოსმეტიკა წავუსვით“; **„სკოლა საჭიროებს შებათქაშებას და შეგაჯვას“; „თვითმმართველობის ორგანომ უარი მითხრა დაფინანსებაზე. აბა ის ორგანო რა ორგანოა, უარს რომ გეტყვის საჭიროების შემთხვევაში“;** „ჩვენი ვალია ალვზარდოთ მოსწავლეები, რომელნიც ამავე დროს იქნებიან მოზარდები“; „მოვაწყვეთ „ვალენტინობა – სიყვარულის დღე“, რომელზეც მოვიწვიეთ სკოლის ვეტერანი მასწავლებლები“; **„ჩვენი სკოლა მართალია ნახმარია, მაგრამ კარგად შენახული“;** „ჩვენი სკოლა ემსახურება მხოლოდ 4 კმ რადიუსის მქონე ბავშვებს“; „ბავშვებს გადაეცა ტკბილეული, მართალია მეორადი, მაგრამ შესაძლებლობის ფარგლებში“; **„სკოლის რემონტი მოვახერხეთ მოსწავლეთა მამების ძალადობით“;** „ქარმა მთლიანად მოგლიჯა პერიპეტიები“; **„ბავშვებში ჩადებული კაპიტალი ბუმერანგივით დაუბრუნდება სამშობლოს“...**

**ზემომოყვანილისა და მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების შედეგების გათვალისწინებით** კი, აშკარაა, რომ **საქართველოს საჯარო სკოლების მოსწავლეები საერთაშორისო კვლევებში ცოდნის არნახულ დონეს ამჟღავნებენ.**

გვერდები მოამზადა
**ნინო ხაჩიძე**


ნდობის ტელეფონი

ინფიმი

0902 200 206

0902 200 244

მობილურებიდან



ზარი ფასიანია

# როგორ აპირებს რუსეთი საქართველოს „ნატოში“ გაწევრიანებისთვის ხელის შეშლას და რატომ ილაპარაკა დიმიტრი მედვედევმა მიხეილ სააკაშვილზე კორექტულად

**მართალია, ამჯერად უკვე საქართველოს ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში რუსეთის პრემიერ-მინისტრსა და 2008 წლის 26 აგვისტოს ჩვენი, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მაღიარებელ დიმიტრი მედვედევს დიდი და ახალი არაფერი უთქვამს, თუმცა, რაკი მისი სხვა გამოსვლებიც მოგვისმენია, თვალშისაცემი იყო, რომ რუსეთის ამჟამინდელი პრემიერი დიპლომატიურად საუბრობდა, განსაკუთრებით, მიხეილ სააკაშვილის მისამართით. ამიტომაც, მისი საუბრის ქვეტექსტების გაშიფვრას მაქსიმ შევჩენკოს დახმარებით შევეცდებით.**



**„იუჟნაია ოსეტიაში“ უფრო ადვილია დაბრუნება, თუმცა, ეს რთული პოლიტიკური ფორმატია. ჩემი აზრით, ადამიანებს შეიძლება ჰქონდეთ ორმაგი მოქალაქეობა – საქართველოსი და „იუჟნაია ოსეტიასი“**

**– ჩვენ მოგვისმენია დიმიტრი მედვედევის სხვა ინტერვიუები და გამონათქვამები, როდესაც ის საკმაოდ არაკორექტულად მოიხსენიებდა მიხეილ სააკაშვილსა და საქართველოს წინა ხელისუფლებას, გასაგებია, რომ დიპლომატიურ ენას იყენებდა ქართველ ჟურნალისტთან საუბრისას. რა მესიჯები გადმოგვცა მან, თქვენი აზრით, დიპლომატიური ენის მეშვეობით?**

– რამდენიმე გზავნილი იყო. პირველი: სანამ საქართველოს ხელისუფლების სათავეში არიან სააკაშვილი და მისი ხალხი, რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობის ნორმალიზება შეუძლებელია, რადგან, ჩვენ სააკაშვილს სამხედრო დამნაშავედ განვიხილავთ. მიგვაჩნია, რომ სწორედ მას ეკისრება პასუხისმგებლობა ქართველი მოსახლეობის მასობრივ განადგურებაში. ეს მედვედევს არ უთქვამს, ჩემი პოზიციაა, რომ სააკაშვილის გაუაზრებელ ქმედებებს მოჰყვა ქართული სოფლების განადგურება, ქართული ეკლესიების ნგრევა და ქართველი მოსახლეობის ტანჯვა „იუჟნაია ოსეტიაში“.

**– დავაზუსტებ: ამბობთ, სანამ სააკაშვილი და მისი ხალხი იქნება ხელისუფლებაშიო, მაგრამ, მისი პარტიის წევრები საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგაც დარჩებიან საქართველოს პარლამენტში, ანუ?**

– ერთია პარტია, მაგრამ, მეორეა ისეთი ხალხი, როგორიც არის, მაგალითად, მერაბიშვილი, ვინც დამნაშავეა ქართველი ხალხის წინაშე და რასაც ყოველთვის ამბობდა საქართველოს ოპოზიცია, დასავლეთის წარმომადგენლები, მიანიშნებდა საქართველოს პატრიარქი და რაზეც მუდმივად იცინოდნენ რუსეთში ლატინინა თუ სხვები, რომლებიც ახლა, რატომღაც, ჩუმად არიან. მინდა, რომ მათ კომენტარი გაუკეთონ იმ ვიდოებს, რომლებზეც ციხეებში სექსუალური ძალადობის ფაქტებია ასახული.

**– გასაგებია, მაგრამ, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები 4 წლის ვადით იქნებიან პარლამენტში.**

– მათ შორის განსხვავებული ადამიანები იყვნენ. მე არ მინდა, რომ მთელ პარტიას ვუწოდო დამნაშავე. მათ შორის, ალბათ, არიან ადამიანები, რომლებმაც, შესაძლოა, არ იცოდნენ იმის შესახებ, რაც ხდებოდა. მედვედევმა მკაფიოდ თქვა, რომ გულისხმობს სააკაშვილს და მათ, ვინც პასუხისმგებელია ომის დაწყებაზე, რეპრესიებსა და ქართველი მოქალაქეების შეურაცხყოფაზე და რომ ისინი უნდა დაისაჯონ. რუსეთში დიდ იმედებს ამყარებენ პოლიტიკურ ცვლილებებზე საქართველოში. ბიძინა ივანიშვილი ახმოვანებს ქართულ ინტერესს ყველა მოლაპარაკებასა და შეხვედრაზე. თან, ჩვენ ზუსტად ვიცით, რომ ბიძინა არ არის სადისტი, გარყვნილი და მანიაკი. ეს არის ქართველი, რომელთანაც შეიძლება დიალოგი, ის არის ქართველი ხალხის შვილი.

**– მიუხედავად ამ პოზიტიური აღწერილობისა, ბიძინა ივანიშვილის ამგვარ ქმედებებს რუსეთი პასუხობს მავთულხლართების გადმოწევით. ბ-ნმა მედვედევმა, მართალია, თქვა, რომ ამ გადაწყვეტილებას იღებს, თურმე, „იუჟნაია ოსეტიას“ ხელისუფლება, მაგრამ, ცნობილია, რომ „იუჟნაია ოსეტია“ მთლიანად რუსეთის დოტაციაზეა, იქ არის რუსული სამხედრო ბაზა. ასე რომ, გამორიცხულია, მავთულხლართების გადმოწევა თიბილოვის თვითშემოქმედება იყოს.**

– მე ვერაფერს ცუდს ვერ ვხედავ იმაში, რომ სუსტი სახელმწიფო დამოკიდებულია ძლიერზე.

**– გასაგებია, მაგრამ, როდესაც რუსეთის ხელმძღვანელობა ამბობს, არაფერ შუაში ვარო, ბეცი უნდა იყო, ეს დაიჯერო.**

– აბა, თქვენ რა გინდათ, პოლიტიკაში ამბობდნენ მხოლოდ სიმართლეს და არაფერს სიმართლის გარდა?!

**– ამიტომაც გეკითხებით, თუ ასე პოზიტიურად აღიქვამს ბიძინა ივანიშვილს რფ-ის ხელმძღვანელობა, რატომ დგამს არაპოზიტიურ შემხვედრ ნაბიჯებს? რისი მიღწევა უნდა ამით?**

– მედვედევის ინტერვიუ იმედის მომცემია, იმიტომ, რომ ის არ არის მტრული საქართველოს ხელისუფლებისა და მოსახლეობის მიმართ. დიმიტრი ანატოლის ძემ თქვა, რომ ეს არის გზის დასაწყისი და თბილისმა უნდა ილაპარაკოს ცხინვალთან და სოხუმთან. ბუნებრივია, ყველა ხვდება, რომ, იმავდროულად, საქართველომ უნდა იურთიერთოს მოსკოვთანაც, იმიტომაც, რომ სწორედ რუსი მესაზღვრეები იცავენ „იუჟნაია ოსეტიას“ საზღვარს.

**– ისევე, როგორც აფხაზეთში.**

– დიახ. ამიტომ, გასაგებია, რომ საქართველოს მოუწევს სამ მხარესთან საუბარი, საქართველოს კი მხოლოდ რუსეთთან სურს დიალოგი,

**აშშ-ისა და ევროკავშირს კავკასიაში არაფერი ესაქმებათ. ისინი უცხოები არიან, როგორც კოლონიზატორები. ჩვენ ჩვენით მოვილაპარაკებთ**

რაც, ვშიშობ, არ გამოვა, უნდა ვეძებოთ სხვა ფორმატები. ჩემი აზრით, მედვედევის დიპლომატიური ნათქვამი ნიშნავს შემდეგს: რუსეთი მზადაა, გამოვიდეს შუამავლად თბილისსა და ცხინვალს შორის. ყოველ შემთხვევაში, მედვედევის ინტერვიუ ძალიან მეგობრული იყო, თუმცა, მკაფიო. იყო მესიჯი, რომ რუსეთი არ არის ქართველი ხალხის მტერი. მე ვიცნობ ქართველებს, რომლებიც ცხოვრობენ და მუშაობენ რუსეთში, მათ აქვთ კონტაქტი ხელისუფლების მაღალ ეშელონებთან, მათ პატივს სცემენ და არავინ დევნის. რუსეთში ძალიან ბევრი მდიდარი ქართველი ცხოვრობს. სააკაშვილის დანაშაულებრივმა პოლიტიკამ მიგვიყვანა ურთიერთობის გაუარესებამდე და ჩვენ უნდა მოვიშუშოთ ეს ჭრილობები. კიდევ ერთი ძალიან მკაფიო მესიჯი ეხებოდა დევნილებს. რუსეთს არ მიუცია პირობა, რომ დევნილები დაბრუნდებიან, მაგრამ, პრეზიდენტმა საქართველოს პატრიარქთან შეხვედრაზე და პრემიერ-მინისტრმა ინტერვიუში ახსენეს დევნილები, რაც, ასეთი სიმაღლის დიპლომატიის დონეზე ნიშნავს, რომ რუსეთმა ეს საკითხი შეიტანა დღის წესრიგში. ეს უდიდესი წინგადადგმული ნაბიჯია.

**– და, რას ნიშნავს კონკრეტულად? ჩვენ ვიცით, რომ აფხაზები კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან ქართველი დევნილების დაბრუნებას. ჩვენებური ოსი სეპარატისტების აზრი არ ვიცი, იმიტომ, რომ მათთან დაკავშირებაც კი უკვე შეუძლებელია.**

– „იუჟნაია ოსეტიაში“ უფრო ადვილია დაბრუნება, თუმცა, ეს რთული პოლიტიკური ფორმატია და მე არ მინდა, ვისაუბრო დეტალებზე: ვინ რომელი მოქალაქეობა უნდა მიიღოს. ჩემი აზრით, ადამიანებს შეიძლება ჰქონდეთ ორმაგი მოქალაქეობა – საქართველოსი და „იუჟნაია ოსეტიასი“.

**– რაც ნიშნავს, რომ საქართველო ცნობს „იუჟნაია ოსეტიას“?!**

– პოლიტიკური ფორმატები პირობითი რამაა. ხალხი მარადიულია, ხოლო სახელმწიფო წუთის ამბავია. ქართული რესპუბლიკა, ფაქტობრივად, 1918 წელს შეიქმნა.

**– საქართველო სხვადასხვა ფორმით 3 000 წელია, არსებობს.**

– მე თქვენ არ გეკამათებით, ბოლომდე მომისმინეთ, რას ვამბობ: სახელმწიფოები მიდიან და მოდიან, კავკასია კი, რომელიც ერთიანი სხეულია, უფრო ხანდაზმულია, ვიდრე ნებისმიერი სახელმწიფო. საქართველო ახალგაზრდა სახელმწიფოა, დარწმუნებული ვარ, რომ მისი მოწყობის სამომავლო კონტურები, კონფედერაცია იქნება ეს თუ ევროკავშირის მსგავსი კავკასიური კავშირი, საშუალებას მოგვცემს, გადავჭრათ ბევრი პრობლემა, რაც უფრო არსებითია, ვიდრე ის, თუ სად გადის ესა თუ ის საზღვარი. ამდენად, ვფიქრობ, ამ ეტაპზე ქართველი დევნილების დაბრუნება იმ სოფლებში, საიდანაც ისინი გააძევეს, უფრო მნიშვნელოვნია, ვიდრე ის, თუ ვინ ვისი სუვერენიტეტის ქვეშაა. ავსტრიას შეუძლია, სამხრეთ ტიროლი ჩათვალოს ოკუპირებულ ტერიტორიად, მაგრამ, სამხრეთ ტიროლის მცხოვრებლებს შეუძლიათ, ილაპარაკონ იმ ენაზე, რომელზეც უნდათ; იცხოვრონ, სადაც უნდათ: პარიზში, ბერლინსა თუ ფრანკფურტში, იმიტომ, რომ გაჩნდა ახალი ფორმატები, რომლებიც უფრო მეტია, ვიდრე ნაციონალური საზღვრები. ასე რომ, მგონია, კავკასიის მომავალი არის კონფედერაციული კავშირი. რუსეთიც კავკასიური სახელმწიფოა. ჩემი კონცეფციაა, რომ კავკასია განვიხილოთ როგორც ერთიანი ცივილიზებული სივრცე, ისევე, როგორც ევროპა. მივალთ რა შეთანხმებამდე ხალხებთან, შემდეგ შეგვიძლია მოლაპარაკება საზღვრებზეც. ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია, აფხაზეთსა და „იუჟნაია ოსეტიაში“ აღდგეს საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია, ხოლო, თუ დაბრუნდებიან ქართველები, დაბრუნდება ეკლესიაც, თუნდაც ის იყოს აფხაზეთისა თუ „იუჟნაია ოსეტიას“ სახელმწიფო.

**– როგორც რუსეთი და უკრაინაა?**

– უკეთესი, უფრო როგორც რუსეთი და ბელორუსიაა. ეს იქნება ერთგვარი საბაჟო კავშირი, სადაც სახელმწიფო საზღვრები და-

# ალექსიშვილის კლინიკა

## ხერხემლისა და სახსრების დაავადებების მკურნალობა ეფექტური და სწრაფი მეთოდით

**მტკივნეული კვანძები, სისხლდენა, წვა, ქავილი – თემის დელიკატურობის გამო პაციენტები ხშირად ერიდებიან ექიმთან დროულად მისვლას, დაავადება კი უფრო მძიმდება და საქმე ქირურგიულ ჩარევამდე მიდის. „ალექსიშვილის კლინიკაში“, სადაც ექიმი დედაშვილი ქალბატონი მანანა და ბატონი სოსო მოღვაწეობენ, ბუასილს მარტივად, არაქირურგიული გზით მკურნალობენ. მათ მეთოდს საოპერაციო შემთხვევების დიდი უმრავლესობა ექვემდებარება.**

**ლუიზა გაბუნია** *(62 წლის. რუსთავი).*

**დიაგნოზი**: *მეოთხე ხარისხის კოქსართროზი.* დიდი ხანია, მაწუხებს სახსრების ტკივილი, ყურადღება არ მივაქციე. მტკიოდა ყველაფერი – წელი, მენჯები, კუნთები. ნაბიჯის გადადგმა მიჭირდა, ვკოჭლობდი, ჯოხით დავდიოდი. თითქმის ერთი წელია, გამუდმებული ტკივილისგან დამისუსტდა გული, დამეწყო უძილობა. „ალექსიშვილის კლინიკაში“ მისვლა ახლობელმა მირჩია. ქალბატონი მანანა ისე მესაუბრა, იმედი მომეცა. დავიწყე მკურნალობა და პირველი სეანსის დასრულებისთანავე შვება ვიგრძენი, ღამითაც კარგად მეძინა. ტკივილები ყოველდღიურად იკლებდა, მესამე დღეს კი სრულებით მომეხსნა. თავს არაჩვეულებრივად ვგრძნობ. მკურნალობას ბოლომდე მივიყვან.

**ჟუჟუნა საველიძე** *(67 წლის, თბილისი).*

**დიაგნოზი**: *წელის მალების ოსტეოქონდროზი, მუხლში სითხე და მარილები (გონართროზი).* სამი წლის წინ საშინელი ტკივილები დამეწყო წელის არეში, რომელიც მთელ ფეხში გადაეცემოდა. აუტანელ ტკივილს ვგრძნობდი. არ დამრჩა ექიმი, რასაც კი ყურს მოვკრავდი, ყველგან დავდიოდი, მაგრამ, ოდნავაც ვერავინ მიშველა. არ მშველიდა არანაირი წამალი თუ გამაყუჩებელი. ვერც ვწვებოდი, ვერც ვდგებოდი, ძილი მენატრებოდა. როდესაც ყველა იმედი გადამეწურა, მაშინ შევიტყვე ქალბატონი მანანა ალექსიშვილისა და მისი კლინიკის შესახებ. მივედი და ჭეშმარიტი სასწაული მოხდა: პირველივე სეანსის შემდეგ ვიგრძენი შვება და ღამით ნორმალურად მეძინა. 15 სეანსის შემდეგ სავსებით განვიკურნე. სამი წელი მშვენივრად ვიყავი,



მაგრამ, ცოტა ხნის წინ მეორე მუხლში დამეწყო ისეთივე ტკივილები. რა თქმა უნდა, ისევ ქალბატონ მანანას მივაკითხე და დავიწყე მკურნალობა. იგივე განმეორდა: პირველივე სეანსის შემდეგ თავი ბევრად უკეთ ვიგრძენი. მკურნალობას კვლავ განვაგრძობ.

მინდა, უდიდესი მადლობა გადავუხადო ქალბატონ მანანას, მის ვაჟს – ბატონ სოსოს და მთელ პერსონალს უდიდესი პროფესიონალიზმისა და გულისხმიერებისთვის!

# ბუასილი მარტივად იკურნება

**ომარ ვაშაძე** *(52 წლის. მძღოლი. რუსთავი).*

– 10-15 წელია, ბუასილი მაწუხებს. თავიდან ყურადღებას არ ვაქცევდი, მაგრამ, ბოლო ორი-სამი წელია, მდგომარეობა მკვეთრად გამიუარესდა – დამეწყო ძლიერი ტკივილები, რომელიც 7-8 საათს გრძელდებოდა. აფთიაქში რა სანთელი და მალამოც არსებობს, ყველაფერი გამოვცადე, თუმცა, შედეგი ვერ მივიღე. შემდეგ პროქტოლოგს გავესინჯე და დიდი ზომის ნაპრალი აღმომაჩნდა. გავიკეთე ოპერაცია, მაგრამ, მალე ისევ ტკივილები დამეწყო. აქ ახლობელმა მომიყვანა. რომ მივედი, ტკივილისგან სკამზე ვერ დავჯექი. მკურნალობა დავიწყე. იმ საღამოსვე ვიგრძენი შეღავათი, მეორე დღეს კი ტკივილი თითქმის გაქრა. ასევე, მომიწესრიგდა კუჭის შეკრულობა, შეწყდა სისხლდენა. ნეტავი თავიდანვე აქ მოვსულიყავი. აშენდა ამათი ოჯახი!

**ნელი ნანობაშვილი** *(46 წლის. გურჯაანი).*

– სამკურნალოდ კახეთიდან ჩამოვედი. ძალიან ცუდად ვიყავი, ენით ვერ აგიწერთ იმ ტკივილებს. მქონდა ბუასილის გამწვავება, გადიდებული კვანძები, ანთებითი პროცესი, ტკივილი, წვა, ქავილი, კუჭის აშლილობაც. არც ერთი გამაყუჩებელი შეღავათს არ მაძლევდა. კინაღამ გამაგიჟა. მეუღლემ ჩამომიყვანა ამ კლინიკაში. არ ვიცი, ამას სასწაული ჰქვია. ჩემი მდგომარეობა საათობით უმჯობესდებოდა. 3 დღეში აღარაფერი მტკიოდა. დღეს პატარა, უმტკივნეულო კვანძებიღა მაქვს დარჩენილი და ამისთვის მიმაქვს წამლები. სხვა ყველაფერი მომეხსნა, მომიწესრიგდა კუჭიც. დიდი მადლობა ჩემს საყვარელ ექიმებს – ქალბატონ მანანას და ბატონ სოსოს!

*მისამართი: მეტრო „ნაძალადევთან“, ცოტნე დადიანის ქუჩა №87 (ყოფილი რკინიგზის პოლიკლინიკა); კაბინეტი №18; №19. მიღება 11-დან 15 საათამდე, წინასწარი ჩაწერით. ტელეფონები: 599-10-06-36; 599-57-16-99.*

**თამუნა ნიჟარაძე**

---

კარგავს აზრს.

**– ეს საბჭოთა კავშირი არ არის?**

– ეს არ არის საბჭოთა კავშირი, იმიტომ, რომ ამ ტერიტორიაზე არსებობს კერძო საკუთრება.

**– კი ბატონო, იყოს მოდერნიზებული საბჭოთა კავშირი.**

– მოდერნიზაცია უკვე კარგია. ამიტომ, ვფიქრობ, კავკასიის მომავალი, ასე თუ ისე, კონფედერაციული სივრცეა.

**– მაგრამ, ჩვენ ვილაპარაკეთ დევნილების დაბრუნებაზე მხოლოდ ცხინვალის რეგიონში. აფხაზეთში დაბრუნება არ არის გეგმაში?**

– აფხაზეთი უფრო რთული თემაა, იმიტომ რომ ბევრი დრო გავიდა, ქართული სოფლები დანგრეულია და ის არის ნანგრევები, დაფარული ახალგაზრდა ტყეებით. აფხაზებთან ამ ჭრილობების მოშუშება უფრო რთული იქნება. აქ დიპლომატია უნდა ჩაერთოს. თუმცა, ჩემი აზრით, მცდელობა, გამოვიდეთ სამმხრივი მოლაპარაკების ფორმატიდან, არაკონსტრუქციულია, ისევე, როგორც რუსეთი არ დაუშვებს ამ პროცესში აშშ-სა და ევროკავშირის ჩართვას.

**– ამბობთ, რომ რუსეთი უნდა იყოს შუამავალი დანარჩენ საქართველოს, ცხინვალის რეგიონსა და და აფხაზეთს შორის – ისევ სამი ერთზეა. სამი ორზე რომ იყოს, არ შეიძლება?**

– ჩემი აზრით, აშშ-სა და ევროკავშირს კავკასიაში არაფერი ესაქმებათ. ისინი უცხოები არიან, როგორც კოლონიზატორები. ჩვენ ჩვენით მოვილაპარაკებთ. მე ვიცი, რომ აფხაზები თავისუფლად გადაადგილდებიან საქართველოში, მკურნალობენ იქ.

**– ეს ჩვენი დამსახურებაა.**

– რა თქმა უნდა და, უნდა მივაღწიოთ, რომ ქართველებიც ასევე თავისუფლად გადაადგილდებოდნენ აფხაზეთში.

**– ყველა რანგის ჩემს აფხაზ რესპონდენტს ვთხოვ, დამპატიჟოს აფხაზეთში, მაგრამ, ისეთი ცივი უარით მისტუმრებენ, თითქოს სასიკვდილო ინფექციის გამავრცელებელი ვიყო.**

– ეს არ არის იოლი საკითხი, მაგრამ, არ მგონია, გადაუჭრელი იყოს. თუმცა, თუ ქართველები რესტიტუციის საკითხს დააყენებენ, მაშინ მოლაპარაკება არ შედგება. ქართველების სახლებში 20 წელია, ცხოვრობენ აფხაზები, რასაც ისინი არავითარ შემთხვევაში არ დათმობენ. ომი მარტივი საქმეა: ავტომატი იოლად ისვრის, მაგრამ, ამის მიერ გამოწვეული პრობლემების მოგვარებას უკვე დიდი დრო სჭირდება. არავის უგია ისე მწარედ პასუხი ომის გამო, როგორც გერმანელებს: 9 მილიონმა გერმანელმა დატოვა თავისი საცხოვრებელი ევროპაში ომის შემდეგ. რა თქმა უნდა, ქართველების ბედი ტრაგიკულია და მე, როგორც მართლმადიდებელ რუსს, მინდა, რომ ქართველები დაბრუნდნენ იმ ტერიტორიებზე, საიდანაც ისინი გამოაძევეს.

**– თქვენ ისაუბრეთ რამდენიმე მესიჯზე, მაგრამ, არ გიხსენებიათ „ნატო“, რის შესახებაც საკმაოდ მკაფიო პოზიცია გამოხატა ბ-ნმა მედვედევმა.**

– თუ საქართველო ისევ გამოიჩენს მისწრაფებას „ნატოსკენ“, რუსეთი და საქართველო იქნებიან მტრული სახელმწიფოები და მაშინ, ჩვენ შორის, სამწუხაროდ, დრამატული მოვლენები განვითარდება. რაც უფრო ახლოს იქნება საქართველო „ნატოსთან“, მით უფრო მაღალი იქნება სასაზღვრო ბოძები.

**– მხოლოდ მაღალი თუ უფრო შიგნითაც?**

– დიახ, უფრო მაღალიც და უფრო შიგნით.

**– ანუ, კიდევ ერთი ომი?**

– არ მგონია, ომი იყოს, იმიტომ, რომ 2008 წლის ომი სააკაშვილისა და მისი მფარველების სიშლეგის შედეგია, მაგრამ, თუ საქართველო ისევ „ნატოსკენ“ წავა, ვფიქრობ, აქედან კარგი არაფერი გამოვა.

**– „ნატოს“ ავღანური ტვირთბრუნვის 40 პროცენტი გადის რუსეთზე; თქვენ მათ მიეცით სამხედრო ბაზა ულიანოვსკში; ახლახან ჩაატარეთ ერთობლივი ანტიტერორისტული წვრთნები აშშ-ისა და კანადის სამხედრო-საჰაერო ძალებთან ერთად. რა გამოდის? რუსეთს შეუძლია ჩეჩნეთსა და მთლიანად ჩრდილოეთ კავკასიაში წესრიგის დამყარება, საქართველოს კი იგივე ეკრძალება; რუსეთს შეუძლია, ითანამშრომლოს აშშ-სთან, საქართველოს ეკრძალება. ისევ უმცროსი ძმის როლში ვართ?**

– რუსეთი არ ცდილობს, გახდეს „ნატოს“ წევრი; ჩვენ არ ვცდილობთ, შემოვიყვანოთ „ნატოს“ ძალები. ჩვენ ვთანამშრომლობთ ავღანეთის ოპერაციაში იმ ვალდებულებებიდან გამომდინარე, რომლებიც აიღო რუსეთმა, როდესაც 2001 წელს ცეცხლის ალში იყო გახვეული აშშ. ამდენად, ეს არ არის „ნატოსთან“ თანამშრომლობა, ეს არის იმ ვალდებლებების შესრულება, რაც რუსეთს პრინციპულად მნიშვნელოვანი ჰგონია. რუსეთისა და „ნატოს“ ურთიერთობა არ არის სტრატეგიული პარტნიორობა, საქართველოს კი უნდა „ნატოს“ წევრობა, რომ კავკასიონთან იდგეს „ნატოს“ სადაზვერვო რადარები, სამხედრო კომპლექსები.

**– რა დიდი მნიშვნელობა აქვს, „ნატოს“ რადარები თურქეთში იდგება თუ საქართველოში? თუ, უფრო მორალური საკითხია?**

– ეს არის არა მორალური, არამედ, სტრატეგიული საკითხი. კავკასია არის რუსეთის უახლოესი სტრატეგიული მიზნების ზონა, ამიტომაც, ვერ დავუშვებთ, რომ კავკასიაში მუდმივად იყოს ის სამხედრო ძალა, რომელსაც რუსეთი თავის მოწინააღმდეგედ მიიჩნევს.

**– დავაკონკრეტებ: ამბობთ, რომ, თუ ომი არ იქნა, მავთულხლართები საქართველოს „ნატოში“ სწრაფვის პირდაპირპროპორციულად გადმოინაცვლებს სიღრმეში?**

– ასეც შეიძლება ითქვას: საზღვარი გამყარდება. შეხედეთ ესტონეთ-რუსეთის საზღვარს, ასეთივე საზღვარი იქნება თქვენთანაც.

**ნინო ხაჩიძე**

**სულ ახლახან აზერბაიჯანის პარლამენტის, იმავდროულად, უშიშროებისა და თავდაცვის კომიტეტის წევრმა ფართო საზოგადოებას აუწყა, რომ მზადდება თურქეთისა და აზერბაიჯანის არმიების შერწყმა, რაც აქამდე არსებულ ფორმულას: „ერთი ერი, ორი სახელმწიფო“ შემდეგნაირად შეცვლის: „ერთი ერი, ერთიანი არმია“. არც ოფიციალური ერევნის რეაქციას დაუყოვნებია. მათ აზერბაიჯანელი დეპუტატის მოსაზრება ფანტასტიკის ჟანრის მოვლენად შეაფასეს, თუმცა, თუ გავიხსენებთ, რომ სომხეთსა და რფ-ს შორის კარგა ხანია მოქმედებს სამხედრო შეთანხმება, რის მიხედვითაც სომხეთის შემწუხებელი რუსეთის შემწუხებელია (და პირიქით), წესით, აზერბაიჯანისა და თურქეთის სამხედრო შერწყმაც არ უნდა გაჰკვირვებოდათ. ასეა თუ ისე, ცხადია, რომ რუსეთიც და თურქეთიც, რომელსაც ზურგს „ნატოც“ უმაგრებს, სამხრეთ კავკასიაში პოზიციების განმტკიცებას ცდილობენ. ამ არცთუ იოლი ვითარების ანალიზში ექსპერტი ხათუნა ლაგაზიძე დაგვეხმარება.**

# ვის დაასახელებს ბიძინა ივანიშვილი თავის მემკვიდრედ და ვინ გაუმაგრებს ზურგს საქართველოს რუსეთ-სომხეთისა და აზერბაიჯან-თურქეთის სამხედრო ალიანსების გარემოცვაში

**– ცნობილია, რომ მოსკოვი აქტიურად ცდილობს ბაქოს დაყოლიებას საბაჟო კავშირში გასაწევრიანებლად, რასაც პრეზიდენტი ალიევი ეწინააღმდეგება, თურქეთ-აზერბაიჯანის სამხედრო თანამშრომლობის გაღრმავების იდეა ამ ზეწოლის განეიტრალების მცდელობაა თუ პასუხია სომხეთ-რუსეთის სამხედრო ერთობაზე სამხრეთ კავკასიაში გავლენის დასაბალანსებლად?**

– თავისთავად, ძალიან საინტერესო ინფორმაციაა. მართალია, რთულია მსჯელობა იმაზე, იქცევა თუ არა რეალობად, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, ვინ გაასაჯაროვა ის – აზერბაიჯანის პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ერთ-ერთმა წევრმა, საკმაოდ მნიშვნელოვანი ინფორმაციაა. ეს არის გამოძახილი იმ ახალი რეალიებისა, რომლებიც მსოფლიოში იჩენს თავს, რაც განსაკუთრებით თვალშისაცემია ჩვენს რეგიონში. რადგან რუსეთ-სომხეთის სამხედრო ალიანსი არახალია, ამიტომ ეს ვერ ჩაითვლება ამის პასუხად და, სხვა მიზეზები უნდა ვეძებოთ. უპირველეს ყოვლისა, ალბათ, ის, რომ რუსეთი, ისე, როგორც არასდროს, ბოლო წლებში ცდილობს, დაიბრუნოს დაკარგული პოზიციები პოსტსაბჭოთა სივრცეზე და ძალიან ნიშანდობლივი იყო უკრაინასა და სომხეთში განვითარებული პროცესები – ვგულისხმობ ჯერ უკრაინის, შემდეგ სომხეთის თანხმობას, წარმოდგენილნი იყვნენ საბაჟო კავშირში დამკვირვებლის სტატუსით. სომხეთისთვის ეს უფრო ორგანულად გამოიყურება, მაგრამ, უკრაინის შემთხვევაში, ეს ნაბიჯი რუსეთის მხრიდან ზეწოლის შედეგია. ამის პარალელურად, რუსეთის მიერ პოსტსაბჭოთა სივრცის ერთგვარ შტურმის სქემაში ეწერება რუსეთის განსაკუთრებით გაძლიერებული ზეწოლა აზერბაიჯანის მისამართით: რუსეთის შესაბამისი პოლიტიკური წრეებისა და სპეცსამსახურების გააქტიურება აზერბაიჯანის ოპოზიციის მხარდასაჭერად, რომლებიც მსხვილი ფინანსური ჯგუფების სახით არიან წარმოდგენილი.



ბევრ კითხვას გასცემს პასუხს პრემიერის პოზიცია წასვლა-არწასვლაზე

**– თუმცა, ფინანსური მხარდაჭერა არც ილჰამ ალიევს აკლია.**

– რა თქმა უნდა, არც ფინანსური და არც საერთაშორისო მხარდაჭერა, მაგრამ, ძალიან დიდი ძალების შეჯახებაზეა საუბარი, რაც მიზნად ისახავს ოქტომბერში დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებში ალიევებისთვის ხელისუფლების წართმევას. როგორც ჩანს, საკმაოდ მწვავეა რუსეთის ზეწოლა აზერბაიჯანზე და ამის საპასუხო ერთ-ერთ მიზეზად უნდა ვიგულისხმოთ აზერბაიჯან-თურქეთის გაერთიანებული არმიის შექმნის ინიციატივა. აქვე მინდა აღვნიშნო, ბოლო დროს გავრცელდა ინფორმაცია, რომ აზერბაიჯანის ოპოზიცია საქართველოში მართავს შეხვედრებს და ეს ნამდვილად არ წაადგება საქართველოსა და აზერბაიჯანის ურთიერთობას. თუ ეს ალიანსი განხორციელდება, ეს იქნება ეპოქალური მოვლენა, იმიტომ, რომ თურქეთი „ნატოს“ წევრია, აზერბაიჯანი – დსთ-ის და, თუ მათი სამხედრო ძალების გაერთიანებაზეა მსჯელობა, სავარაუდოდ, „ნატომ“ ძალიან საინტერესო ტაქტიკა აირჩია და რუსეთის პირდაპირ გალიზიანებას საქართველოს ან აზერბაიჯანის გაწევრიანებით „ნატოში“, ირიბი გზა არჩია.

ჟურნალი „თბილისელები“ სამძიმარს უცხადებს კახა შავლაძესა და ეკა სალაღაიას, დედის

**თინა ბახტურიძე-შავლაძის**

გარდაცვალების გამო.

**– ანუ, თურქეთის ხელით ამის გაკეთება.**

– დიახ, „ნატოს“ წევრი ერთ-ერთი ძლიერი ქვეყნის ხელით. თუკი ეს იდეა რეალობად იქცა, აზერბაიჯანში იდგება „ნატოს“ ჯარი, ოღონდ, არა ამ ფორმულირებით. ეს არის რეგიონზე გავლენის მოპოვების სავსებით ახალი ტაქტიკა და, შესაძლოა, აღმოჩნდეს უფრო ეფექტიანი, ვიდრე რუსეთის მუდმივი გაღიზიანება „ნატოს“ გაფართოების თემით. თუმცა, თუ ჩვენ ვხვდებით ამას, ბუნებრივია, რუსეთიც ხვდება. გარდა ამისა, აქ მნიშვნელოვანია რელიგიური ფაქტორიც. თუკი ამერიკელებს უკავშირდება ასეთი სამხედრო ალიანსის შექმნის იდეა, მაშინ, უნდა ვიფიქროთ, რომ თავად ამერიკის სტრატეგიაშიც ძალიან საინტერესო ცვლილებაა. როდესაც მათ საკმაოდ სპეციფიკურ რეგიონში, როგორიცაა მუსლიმანური სამყარო, აირჩიეს არა პირდაპირი ყოფნა, რაც ბევრ ქვეყანაში უკმაყოფილებას იწვევს, არამედ, ამას განახორციელებენ იმავე რელიგიის მქონე პარტნიორის მეშვეობით, რაც მათ, ასევე, რესურსების დაზოგვის საშუალებასაც აძლევს. ამდენად, ამ სტრატეგიით, ამა თუ იმ რეგიონის კონტროლი და ამერიკის ინტერესების წარმოდგენა ეკისრება იმ რეგიონის ლიდერ ქვეყანას, რომელიც ამერიკას პარტნიორად ეგულება.

**რუსეთის მიერ პოსტსაბჭოთა სივრცის ერთგვარ შტურმის სქემაში ეწერება რუსეთის განსაკუთრებით გაძლიერებული ზეწოლა აზერბაიჯანის მისამართით**

**– აზერბაიჯანის უკან თურქეთია თავისი სამხედრო მანქანით; სომხეთის უკან – რუსეთი იმავე არსენალით; ჩვენ უკან ვინ მოიაზრება? ისევ ყველაზე სუსტ რგოლად ვრჩებით?**

– რა თქმა უნდა, მთავარი ეს არის. დავიწყოთ თქვენი შეკითხვის არსით: სამხრეთ კავკასიის ორ ქვეყანას ძალიან მძლავრი პარტნიორები ჰყავს. მართალია, პარტნიორად ჩვენც შეიძლება დავიგულოთ თურქეთი, მაგრამ, აზერბაიჯანის შემთხვევაში, გაცილებით დიდ კავშირებზეა საუბარი: თურქეთი იღებს პასუხისმგებლობას აზერბაიჯანზე თავდასხმის შემთხვევაში. ჩვენ რა რეალობის წინაშე ვდგებით ამ ვითარებაში? დავიწყოთ აზერბაიჯანულ-თურქული ალიანსით: ამ კავშირისგან ჩვენ განგვასხვავებს რელიგიური ნიშანი და, ამიტომაც, გარკვეული რისკები არსებობს, დავარქვათ ამას ფარული რელიგიური რისკების საფრთხე. თუმცა, თანამედროვე ცივილიზაციის პირობებში ეს ფაქტორი ნაკლებად საშიშია, რადგან, უკვე საქართველოს ხელისუფლების გონიერებაზეა დამოკიდებული მისი განეიტრალება. მაგრამ, იდეოლოგიურად ეს მიმართულება ჩვენთვის გაცილებით მისაღებია და სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების მხრივაც ამ მიმართულებიდან ნაკლები რისკები გვემუქრება. რაც შეეხება მეორე, სომხეთ-რუსეთის, მიმართულებას: აქ რელიგიური კუთხით თავსებადობა უფრო მაღალია, მაგრამ, აბსოლუტური აცდენაა იდეოლოგიური კუთხით და იედოლოგიაში ვგულისხმობ დასავლურ მიმართულებას. ეს კი გაცილებით დიდი რისკია, ჩვენი ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, მით უმეტეს, რომ აზერბაიჯან-თურქეთის ალიანსის მიღმა ივარაუდება „ნატო“ და ის პრიორიტეტი, რომ აშშ-მ განამტკიცოს და გააფართოოს კონტროლი კავკასიაზე, კასპიის რეგიონზე, შუა აზიაზე და ასე შემდეგ. მეორე მხრივ, იმ გზაზე, რომ რომელიმე ალიანსისკენ წავინაცვლოთ, გვაქვს მნიშვნელოვანი ბარიერი: საქართველოში ლამის თანაბარი რაოდენობით ცხოვრობენ როგორც აზერბაჯანული, ისე სომხური ანკლავები, ამიტომ, ამ დიდ გეოსტრატეგიულ თამაშებში რომელიმე მოთამაშის გვერდით დგომა ჩვენთვის შეუძლებელია. ამას გარდა, რუსეთი სომხეთის გარეშეც ყველაზე დიდი რისკ-ფაქტორია. ასე რომ, ამ ალიანსების შექმნით რისკები ნაკლებად გაგვეზრდება, თუმცა, შესაძლოა, ჩვენთვის პერსპექტიულიც კი იყოს ეს გადანაწილებები.

**– სუსტი რგოლი იმიტომ ვახსენე, რომ, ისევ ჩვენ ვრჩებით დასჯის ერთადერთ ობიექტად? ისევ ჩვენზე გადმოინთხევა ამ ორი პოლუსის ჭიდილის ბოღმა?**

– მთელი თურქულ-აზერაბიჯანული ალიანსი კარგავს ხიბლს, თუ საქართველო მთლიანად და არსებითად წაინაცვლებს რუსეთისკენ და შევა რუსეთის გავლენის სფეროში, იმავე საბაჟო კავშირში, თუნდაც, დამკვირვებლის სტატუსით. ეს, ალბათ, არ არის მხოლოდ აზერბაიჯან-თურქეთის დონეზე მიღებული გადაწყვეტილება და, თუკი ზოგადად რეგიონის კონტროლზეა საუბარი, საქართველოს ფაქტორის გარეშე ამის განხორციელება რთულად წარმოსადგენია. ამდენად, ამ იდეის სულისჩამდგმელების ინტერესი უნდა იყოს, რომ საქართველო ხელიდან გამოჰგლიჯონ რუსეთს.

**– რა ფორმით შეუძლია ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს, რომ ხელიდან გამოგვგლიჯოს რუსეთს?**

– მე ვფიქრობ, რომ აზერბაიჯან-თურქეთის ალიანსი „ნატოს“ ალტერნატივაა, რადგან, იმავე შედეგს მოუტანს დასავლეთს, მაგრამ, ფაქტია ისიც, რომ დღეს რუსეთი ძალიანაა გააქტიურებული, მან შეძლო უკრაინისა და სომხეთის ხელში მოგდება. გამიჭირდება იმის თქმა, როგორ შეეძლება ასეთ პირობებში დასავლეთს, ქო-

# როგორ იზრდებოდა 2004 წლიდან ხათუნა გოგორიშვილის ხელფასი გეომეტრიული პროგრესიით და რა შემოსავალი მოუტანა მას სამი მოწვევის პარლამენტის წევრობამ

**ნინო გოგუაძე – გიორგი ღლონტი**

ხალხის რჩეული ნინო გოგუაძე საქართველოს მერვე მოწვევის პარლამენტში საარჩევნო ბლოკ „ქართული ოცნების“ მეშვეობით მოხვდა. ის 1958 წელსაა დაბადებული თბილისში, უმაღლესი განათლება თსუ-ში მიიღო და სპეციალობით ქიმიკოსია. მისი პროფესიული კარიერა კი შემდეგნაირად ვითარდებოდა: 1980-2004 წლებში არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტში მუშაობდა, 1990-1994 წლებში – სამედიცინო აკადემიაში, 2000-2003 წლებში – განათლებისა და განმტკიცების პროექტში. შემდეგ მის შრომით ბიოგრაფიაში წყვეტაა, ბუნებრივია, გაპარლამენტარებამდე.

ქ-6 ნინო გოგუაძეს ფინანსურ დეკლარაციაში ოჯახის წევრებად მითითებული ჰყავს მეუღლე გიორგი ღლონტი და დედამთილი ქ-ნი ლიანა ჩხიკვიშვილი. გიორგი ღლონტის საკუთრებაა მიწის ნაკვეთი სოფელ წყლულეთში (600 კვადრატული მეტრი ფართობის), ასევე, წილის 33 პროცენტს ფლობს საცხოვრებელი ბინისას, რომელიც ყიფშიძის ქუჩაზე მდებარეობს (70 კვადრატული მეტრი ფართობის), იმავე ბინის 33 პროცენტის მფლობელია ქ-ნი ლიანა ჩხიკვიშვილიც. თავად ნინო გოგუაძეს კი 50 პროცენტი ეკუთვნის ვაჟა-ფშაველას გამზირზე მდებარე 118 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ბინიდან. ავტომანქანა მხოლოდ გიორგი ღლონტს ჰყავს – 2005 წლის გამოშვების „ნისან X-ტერა.“

გიორგი ღლონტის სამუშაო ადგილია ქეა საერთაშორისო კავკასიაში, ის პროგრამების მენეჯერია და გასულ წელს მისმა შრომითმა ანაზღაურებამ 62 700 ლარი შეადგინა.

**ხათუნა გოგორიშვილი**

ხათუნა გოგორიშვილი 1964 წელსაა დაბადებული თბილისში, უმაღლესი განათლება მასაც თსუ-ში აქვს მიღებული და ორ სპეციალობას ფლობს: ბიოლოგიცაა და სამართალმცოდნეც. მისი შრომითი ბიოგრაფია 1981 წლიდან (ანუ უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარებამდე) იწყება – განათლების სამინისტროს სპეციალიზებულ საციგურაო სპორტულ სკოლაში, სადაც ლაბორანტად მუშაობდა. ბიოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, 1987-დან 1990 წლამდე კიკეთის საშუალო სკოლაში ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას – ქიმია-ბიოლოგიას ასწავლიდა. 1991-1993 წლებში მწვანეთა მოძრაობის საორგანიზაციო განყოფილების გამგე იყო, 1993 წლიდან კი ჯერ პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის წამყვანი სპეციალისტი გახლდათ, 1995-დან 2003-მდე კი – უკვე პარლამენტის აპარატის უფროსიც. 2003-2004 წლებში „გაერთიანებული დემოკრატების“ საკადრო რესურსების სამსახურს უფროსობდა, 2004 წელს კი მეექვსე მოწვევის პარლამენტის წევრიც გახდა, შემდეგ მეშვიდესიც და, რა თქმა უნდა, მერვესიც.



მის მიერ სულ ბოლოს, 2013 წელს შევსებული დეკლარაციით, მხოლოდ ერთი საცხოვრებელი ბინა გააჩნია – შარტავას ქუჩაზე (112 კვადრატული მეტრი ფართობის). ასევე, „რიკო ექსპრესის“ ერთ თამასუქსაც ფლობს – ფასიანი ქაღალდის ნომინალია 6 055 ევრო.

2012 წლის განმავლობაში, როგორც პარლამენტის წევრმა, ხელფასის სახით, 77 868 ლარი აიღო, ხოლო, როგორც წმიდა ნინოს სახელობის სღვთისმეტყველო სასწავლებლის ლექტორმა, 2 032 ლარი. მას შემოსავალი მივლინებებიდანაც ჰქონდა – 2 706 ლარი, ხოლო ანაბარზე კი 449 ევროს ოდენობის სარგებელი დაერიცხა. რაკი სტაჟიანი პარლამენტარია, თვალი გადავავლეთ მის სახელფასო შემოსავალს წლების მიხედვით: 2004 წელს მისმა საპარლამენტო წლიურმა ხელფასმა 13 680 ლარი შეადგინა, ხოლო სამივლინებო ხარჯებიდან 5 427 ლარი დარჩა; 2005 წელს, ხელფასის სახით, 29 904 ლარი აიღო, მივლინებიდან 2 777 ლარი დარჩა; 2006-ში საპარლამენტო ხელფასი 34 848 ლარამდე გაეზარდა, მივლინებებმა კი 5 093 ლარი მოუტანა. 2007 წელს წლიურმა ხელფასმა 42 269 ლარი შეადგინა, მივლინებებიდან დარჩენილმა თანხამ – 3 743 ლარი; 2008 წელს წლიური ხელფასის ოდენობა 63 780 ლარი, მივლინებებიდან შემოსავალი კი – 4 073 ლარი გახლდათ; 2009 წელს ხელფასის სახით, 66 476 ლარი აიღო, მივლინებებიდან 3 258 ლარი დარჩა; 2010 წელს წლიური ხელფასი 77 970 ლარი გაუხდა, მივლინებებიდან დარჩენილი თანხა კი – 5 866 ლარი; 2011 წელს მისი ხელფასი 79 224 ლარამდე გაიზარდა, მივლინებებიდან მხოლოდ 5 097 ლარი დარჩა. 2012-ში კი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ქ-ნი გოგორიშვილის საპარლამენტო შემოსავალმა 77 868 ლარი შეადგინა.

**ნინო ხაჩიძე**

---

ლგა გადააფაროს საქარვველოს, მზა რეცეპტი არ მაქვს, თუმცა, ეს ახალი იდეები ზრდის საქართველოს შანსებს იმავე რუსეთთან ურთიერთობაში. რამდენიმე დღის წინათ იყო ძალიან საინტერესო ინფორმაცია, შეიძლება, ვერსიის დონეზეც, მაგრამ, განიხილავდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან წავლის მიზეზებს და ერთ-ერთი არაქართველი ანალიტიკოსი წერდა: ამის ყველაზე რეალურ მიზეზად მეჩვენება ის, რომ დასავლეთი ცდილობს, საქართველოს პრმიერ-მინისტრის პოსტზე გაიყვანოს „რესპუბლიკური პარტიის“ წარმომადგენელი. იმ პირობებში, როდესაც საკონსტიტუციო ცვლილებების შემდეგ მთელი ძალაუფლება აკუმულირდება პრემიერის ხელში თითქმის იმავე დოზით, რა დოზითაც აქვს ახლა პრეზიდენტს, ეს მნიშვნელოვანი პოსტია. მართალია, ყველაზე მეტადაა მომძლავრებული დამოუკიდებლობის დღიდან დღემდე, მაგრამ, საქართველოს პრორუსული პოლიტიკური სპექტრი ძალიან სუსტია საიმისოდ, რომ სერიოზული საპროტესტო ტალღის აგორება შეძლოს, ამდენად, საფრთხეს ვერ ვხედავ. თუმცა, დასავლეთი მაინც შეეცდება რაღაც რესურსების გამოყენებას.

**– ანუ, დასავლეთი არ ენდობა ბიძინა ივანიშვილს და ამიტომ ურჩევნია, ჩაანაცვლოს რესპუბლიკელებით?**

– დღეს საქართველოს ყველაზე მეტად გაუჭირდება რუსეთთან გამკლავება, ამიტომ ჩნდება კითხვა, რამდენად სურს მას ამ ბრძოლაში ჩაბმა. მეორე მხრივ, შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ ის ამ ბრძოლის ტვირთს ანდობს ან მკვეთრად პროდასავლურ ფიგურას, ან მისთვის ყველაზე ერთგულ ადამიანს, რომელსაც შესაძლოა, მკვეთრი ორიენტაცია არც ჰქონდეს. თუ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლა არ იყო მისი და მისი ოჯახის პერსონალური გადაწყვეტილება, მაშინ, მისი წასვლაც არ იქნება მისი პერსონალური გადაწყვეტილება და ამას ჩვენ დაგვანახვებს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა. აქამდე ირიბადაც არ მოხსენიებულა, რომ პრემიერ-მინისტრის პოსტი უნდა ჩაჰბარდეს „რესპუბლიკურ პარტიას“. ამ ინფორმაციამ მხოლოდ ერთხელ გაიჟღერა ქართულ პრესაში, ანუ, საქართველოს შიგნით ეს ყველაზე ნაკლებად განიხილება. ამდენად, ბევრ რამეს გამოაჩენს ბიძინა ივანიშვილის მიერ მემკვიდრის დასახელება. შეიძლება, ვიგულისხმოთ ასეთი ვერსიაც: დასავლეთმა დაინახა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ სახით პერსპექტივა აღარ ჰქონდა ქვეყანაში, გადაახალისა საკუთარი პროდასავლური რესურსები და ეს იყო ის, რაც ჩვენ ვიხილეთ 2012 წლის პირველი ოქტომბრიდან დღემდე, ან, საქართველოში სხვა ძალების გააქტიურებას უნდა ველოდოთ.

**– პრორუსულის?**

– დიახ. დღეს, შეიძლება ითქვას, რომ დასავლეთისა და რუსეთის შანსები საქართველოზე კონტროლის გაგრძელების თუ დაბრუნების არის თანაბარი და მე ამის თქმის საფუძველს მაძლევს ჩვენი პოლიტიკური სპექტრი. ავად თუ კარგად, ჩვენი პოლიტიკური სპექტრი დღეს იმდენად დაბალანსებულია – კარგი გაგებით და იმდენად სუსტი – ცუდი გაგებით, რომ, არც ერთ ქვეყანას არ აქვს გარანტია, რომ მათი მიმდევარი პოლიტიკური ძალები შეძლებენ სიტუაციის კონტროლს.

**– დიდი ქვეყნებისთვის დრო პირობითია. ხომ არ არსებობს საფრთხე, რომ დასავლეთმა რაღაც პერიოდით, 10-15-20 წლით, ისევ დაუთმოს რუსეთს გავლენის სფეროდ სამხრეთ კავკასია, თუ თურქეთ-აზერბაიჯანის ალიანსი მიანიშნებს, რომ დასავლეთი ამ რეგიონისთვის საბრძოლველადაა განწყობილი?**

– ალბათ, უფრო მეორე. თუკი ეს ინფორმაცია რეალობას შეესაბამება, მაშინ აზერბაიჯან-თურქეთის ალიანსი კარგავს მნიშვნელობას საქართველოს გარეშე. მე არ ვამბობ, რომ საქართველო ამ ალიანსის ფორმალური წევრი გახდება, მაგრამ, საქართველო შეიძლება მოვიაზროთ არაფორმალურ წევრად, იმიტომ რომ, ამ ალიანსის ყველა შესაძლო მიზანი თავის თავში მოიაზრებს საქართველოს, სულ მცირე, როგორც სატრანზიტო ქვეყანას. ამიტომ, ვფიქრობ, დასავლეთისთვის საქართველო რჩება მნიშვნელოვნად, მაგრამ, ტაქტიკაა შეცვლილი. თუმცა, დღეს დასავლეთს აღარ ჰყავს ისეთი მყარი დასაყრდენი საქართველოში, როგორიც ჰყავდა „ნაციონალური მოძრაობის“ სახით და, გარკვეული დრო სჭირდება იმას, რომ დასავლური იდეა კვლავ ისეთივე ღირებული გახდეს, როგორიც იყო ბოლო 20 წლის განმავლობაში. რუსეთმა ძალიან კარგად გამოიყენა დასავლეთის აუწონავი მიდგომა ტრადიციული ღირებულებებისადმი ქართველ საზოგადოებაში იმედგაცრუებისა და დასავლეთისადმი აგრესიის გასაღვივებლად. ტოლობის ნიშანი დაისვა დასავლური ღირებულებებისა და სექსუალური უმცირესობის უფლებების დაცვას შორის. ამის მიზეზია დასავლეთის დაუდევრობა, რაც გამოიყენა რუსეთმა და აქცია თავისი ახალი საინფორმაციო პოლიტიკის ქვაკუთხედად.

**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი
0902200200
SMS – 93094

დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან
ზარი ფასიანია

**ტურიზმის დეპარტამენტის ახალი შეფი, 31 წლის გიორგი სიგუა საზოგადოებისთვის ცნობილი მაშინ გახდა, როცა პრისტონის უნივერსიტეტში სიტყვით გამოსვლისას მიხეილ სააკაშვილს მწვავე რეპლიკებით დახვდა. მაშინ ის საქართველოდან იძულებით წასული ახალგაზრდა იყო. ბედის ძიებამ, როგორც თავად ამბობს, „მოხეტიალე რაინდად" აქცია – რვა წელიწადში მსოფლიოს 12 ქვეყანაში იცხოვრა თითქმის ყველა კონტინენტზე. ესპანეთში სასტუმროს დირექტორობას „გამოჰკრა ხელი", სამხრეთ აფრიკაში ალმასების მოსაპოვებლად ჩავიდა... მოკლედ, სანამ ქართულ ტურიზმს ჩააბარებდნენ, თავს ბევრი რამ გადახდა, რაზეც საკმაოდ ხალისიანი და გულახდილი რესპონდენტის როლში თავად გვესაუბრა.**

# როგორ მოხვდა ტურიზმის ადმინისტრაციის ახალი შეფი აფრიკაში ალმასების მოსაპოვებლად და რა ხრიკი ასწავლა მას პოლონეთის ექსპრეზიდენტმა

**– ბატონო გიორგი, როგორ აღმოჩნდით ამ პოსტზე და რატომ გააკეთეს არჩევანი თქვენზე?**

– შეიძლება ითქვას, რომ აქ შემთხვევით მოვხვდი. მე ვმუშაობდი პარლამენტში რეგიონული პოლიტიკის თავმჯდომარის, ირაკლი ტრიპოლსკის თანაშემწედ. ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე, ხშირად მიწევდა ურთიერთობა მთავრობის წევრებთან და სხვადასხვა უწყების ხელმძღვანელებთან. ერთ-ერთ სამთავრობო მიღებაზე შევხვდი ეკონომიკის მინისტრსა და მის პირველ მოადგილეს. საუბარში გაირკვა, რომ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციიის ხელმძღვანელის თანამდებობა ხუთი თვის განმავლობაში იყო ვაკანტური – ვერ პოულობდნენ ადამიანს, რომელიც იქნებოდა შესაბამისი კანდიდატურა ამ სამსახურისთვის. მითხრეს, ხომ არ მოსინჯავდი ძალებსო. მე ამ თემაზე ვესაუბრე ეკონომიკის მინისტრს და აღმოჩნდა, რომ ის მე მიცნობდა საზოგადოებრივი აქტივობებიდან გამომდინარე. ასე გადაწყდა ჩემი დანიშვნა ამ თანამდებობაზე.

**– რა პროფესიის ხართ და ადრე თუ გქონიათ შეხება ამ სფეროსთან?**


მქონდა ურთიერთობა მილიონერებთან, მილიარდერებთან, მეფეებთან, შეიხებთან, პრემიერ-მინისტრებთან

– მე თქვენ გაჩვენებთ ჩემს დიპლომს, რომელიც გაცემულია შვეიცარიის ერთ-ერთი პრესტიჟული სასწავლებლის მიერ, სადაც მე გავიარე ხუთვარსკვლავიანი სასტუმროებისა და მენეჯმენტის სრული კურსი. 2006 წელს ბელგიიდან საცხოვრებლად გადავედი კიევში, უფრო სწორად, კი არ გადავედი, მე, როგორც ცნობილი „მოხეტიალე რაინდი", რომელმაც რვა წლის განმავლობაში სხვადასხვა კონტინენტის 12 სხვადასხვა ქვეყანაში იცხოვრა, ჩემი მეგობრის ბელგიაში გადმოსაყვანად ჩავედი კიევში. ჩემს მეგობარს ბელგიაში ჩასასვლელ ვიზას არ აძლევდნენ. მაგრამ, მისი ბელგიაში ჩაყვანა ისე მარტივი არ აღმოჩნდა, როგორც მე მეგონა და მის გამო დროებით მეც „ჩავრჩი" კიევში. რაც ფული მქონდა, გამითავდა, ქურდობა და ყაჩაღობა მე არ ვიცი და, გადავწყვიტე, მუშაობა დამეწყო, რაღაცით ხომ უნდა მერჩინა თავი?! 24 წლის ვიყავი, ვინ მიმიღებდა სამუშაოდ უცხო ქვეყანაში? ვიფიქრე, ვიფიქრე და არჩევანი გავაკეთე სასტუმროზე. იმ პერიოდისთვის ვიცოდი რუსული, ინგლისური და ნიდერლანდური ენები, რაც სასტუმროში ძალიან გამომადგებოდა. მაშინ ერთადერთი ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო იყო „პრემიუმ პალასი". მივადექი სასტუმროს კადრების განყოფილებას. იქ დამხვდა ტამარა ანატოლიევნა, რომელსაც ვუთხარი: ასეთი და ასეთი კაცი ვარ, ენებიც ვიცი, კრეატიულიც ვარ, რაზეც გინდათ დამასაქმეთ-მეთქი. ტამარა ანატოლიევნამ მითხრა, რომ სასტუმროს გამოცხადებული ჰქონდა კონკურსი ბათლერის პოზიციაზე და, რვა ადამიანს, რომლებსაც კონკურსის შედეგად შეარჩევდნენ, თავად უშვებდნენ სასწავლებლად შვეიცარიის სასწავლებელში. ბათლერი არის სტუმრის პერსონალური თანაშემწე, რომელიც სტუმარს ხვდება აეროპორტში და უგვარებს ყველაფერს: კვებას, შეხვედრების ორგანიზებას, კონსიერჟის მომსახურებას და ასე შემდეგ. შესაბამისად, ბათლერი ძალიან კარგად უნდა ერკვეოდეს ყველაფერში. მოკლედ, ტამარა ანატოლიევნამ შემომთავაზა, კონკურსში მხოლოდ მას შემდეგ მიგაღებინებთ მონაწილეობას, თუ რეკომენდაციას მომიტანთ და ვინმე დაარწმუნებს ჩვენს მენეჯერს, რომ შენ ის კაცი ხარ, ვინც ოჯახში შეიძლება მივილოთო. წამოვედი რეკომენდატორის საძებნელად. გამახსენდა ცნობილი ფეხბურთელი და მწვრთნელი ვიქტორ პროკოპენკო, რომელიც იმ დროს უკრაინის რადას წევრი იყო. 80-იან წლებში ის წვრთნიდა ოდესის „ჩერნომორეცს". როცა მისი გუნდი თბილისში ჩამოდიოდა სათამაშოდ, პროკოპენკო დაუახლოვდა მამაჩემს. 1981 წლის სექტემბერში, როცა მე დავიბადე დაემთხვა პროკოპენკოს მორიგი ჩამოსვლა თბილისში და მათ მე მაჩუქეს საფეხბურთო ბურთი ავტოგრაფებით. ეს ბურთი ოჯახში გვქონდა შენახული. მოკლედ, როგორც კი პროკოპენკო გამახსენდა, ჩემებს ბურთი გამოვაგზავნინე და ამ კაცთან მივედი მისი და ფეხბურთელების ხელმოწერილი ბურთითა და ფოტოებით, სადაც პროკოპენკოს კისერზე ვზივარ 3-4 წლის ასაკში *(იცინის).*

**– როგორც ჩანს, ამ რელიკვიამ გაჭრა.**

– გაჭრა რომელია! მივედი და ვთხოვე: არაფერი არ მინდა შენგან, გარდა რეკომენდაციისა. იმ კონკურსსაც მე თვითონ გავივლი, ვისწავლი და ვიმუშავებ კიდეც-მეთქი. ასე გავედი კონკურსზე და გამიშვეს სასწავლებლად შვეიცარიაში. პირობის მიხედვით, მე ორი წლის განმავლობაში უნდა მემუშავა იმ სასტუმროში, მაგრამ, არ დავრჩი ორი წელიწადი. ექვსი თვის შემდეგ წამოვედი, რადგან ჩემი მეგობრის ბელგიაში გადაყვანის სურვილი კიდევ ძალაში იყო ***(იცინის),*** თუმცა, იმ ექვსმა თვემ, რაც მე იმ სასტუმროში ვიმუშავე, ძალიან დიდი გამოცდილება მომცა. სულ მქონდა ურთიერთობა მილიონერებთან, მილიარდერებთან, მეფეებთან, შეიხებთან, პრემიერ-მინისტრებთან. მე მიმუშავია „ფიფას" პრეზიდენტთან – იოზეფ ბლატერთან, საუდის არაბეთისა და გაერთიანებული ემირატების შეიხებთან, ელტონ ჯონთან, სტივენ სიგალთან – როცა ისინი კიევში ჩამოდიოდნენ, ჩვენს სასტუმროში ჩერდებოდნენ. მახსოვს, როგორ მაჩუქა არაბმა შეიხმა 10 ათასი დოლარი „ჩაევოი" იმის გამო, რომ ხუთ წუთში მოვასწარი მისთვის ფაქსის გაგზავნა. მერე მოხდა ისეთი რამ, რამაც ყველაფერი შეცვალა: ჩვენს სასტუმროში ცხოვრობდა პოლონეთის ექსპრეზიდენტი ალექსანდრ კვასნევსკი. მე მას ვთხოვე, რომ დამხმარებოდა ჩემი მეგობრის ვიზის გაკეთებაში, რადგან ის კვლავ და კვალ ოცნებობდა ბელგიაში მოხვედრაზე, რაც პოლონეთიდან უფრო იოლი იყო. კვასნევსკიმ მითხრა: ერთად, შინაურული, ძმაბიჭური ფოტოები გადავიღოთ, მიიტანე პოლონეთის საელჩოში და ეს იქნება ყველაზე კარგი ვიზაო. გადავიღეთ ფოტოები და მეორე დღეს მივედი პოლონეთის საელჩოში, სადაც, რა თქმა უნდა, უყოყმანოდ ავიღეთ პოლონეთის ვიზები. ასე დაიწყო ჩემი ევროპული ცხოვრების ეპოპეის მეორე ნაწილი.

**– წარმატებული ოჯახის შვილი იყავით და აქ ცხოვრება არ გაგიჭირდებოდათ. რატომ გადაწყვიტეთ, რომ უცხოეთში „მოხეტიალე რაინდად" ქცეულიყავით?**

– 90-იან წლებში მამაჩემი გაკოტრდა – ფაბრიკა „ნარიყალა," რომლის დირექტორიც მამა იყო, კაპიკებში გაიყიდა. იმ პერიოდში ხომ ყველაფერი ერთად დაინგრა. ამას გარდა, იძულებული გავხდი, რომ აქედან წავსულიყავი. დავამთავრე უნივერსიტეტის მენეჯმენტის და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატი, მერე ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მაგისტრატურაში ვსწავლობდი. ძალიან აქტიური სტუდენტი ვიყავი. 2004 წელს დაიწყო ჩემი და ჩემი მეგობრების დაპირისპირება ახალ ხელისუფლებასან, რადგან, მათ უნივერსიტეტის რექტორის დანიშვნა მოინდომეს, რასაც ჩვენ ვეწინააღმდეგებოდით. სახლში მესხდნენ ვარძელაშვილები, თარგამაძეები, რომლებიც მუქარით, შანტაჟით, მოქრთამვით ცდილობდნენ ჩვენს გაჩუმებას. იძულებული გავხდი, გავქცეულიყავი აქედან, რადგან, ყველა ჩემი მეგობარი, ვინც ჩემსავით აქტიური იყო, ან დაიჭირეს, ან რაღაც დამართეს. მახსოვს ის დღე, როცა ბელგიაში ჩავედი: მე ვიდექი ქუჩაში, ჯიბეში მედო 35 ევრო, არ მყავდა არავინ და არ ვიცოდი, სად უნდა წავსულიყავი. ძალიან რთული დღეები გავიარე. მოვითხოვე თავშესაფარი და შემასახლეს სადღაც, ყაზარმაში. ლამის ჭკუიდან გადავდიოდი. მერე და მერე ყველაფერს ეჩვევა ადამიანი. სულ მინდოდა თბილისში ჩამოსვლა, მაგრამ, ვინაიდან ეს შეუძლებელი იყო, დავდიოდი სხვადასხვა ქვეყანაში და ვეძებდი ადგილს, სადაც თავს სტუმრად არ ვიგრძნობდი, თუმცა, ეს სხვა ქვეყანაში ცხოვრების დროს შეუძლებელია. ამას გარდა, ძალიან კომუნიკაბელური ადამიანი ვარ, ჩემთვის საინტერესოა ადამიანები, ახალი ურთიერთობები, მაგალითად, სამხრეთ აფრიკაში წავედი ესპანეთში რამდენიმე საათის გაცნობილ ადამიანთან ერთად, რომელმაც, როგორც კი გაიგო, რომ იქაურ ენაზე ვლაპარაკობდი, მაშინვე შემომთავაზა სამხრეთ აფრიკაში წასვლა ალმასების მოსაპოვებლად. მე თავგადასავლების მოყვარული ადამიანი ვარ, არ გავურბივარ სიახლეებსა და სირთულეებს. იმასაც გეტყვით, რომ შვეიცარიის სასწავლებელი და კიევის სასტუმროში მუშაობა არ ყოფილა ჩემი ერთადერთი გამოცდილება ტურიზმში. მე მიმუშავია ტურისტულ ინფრასტრუქტურაში აბსოლუტურად ყველგან, სადაც შეიძლება ადამიანმა იმუშაოს: ვიყავი გიდი, მძღოლი, ტურაგენტი, უძრავი ქონების მოვაჭრე ტურისტებისთვის, ექსკურსიამძღოლი... სასტუმროსა და რესტორანში პოზიცია არ არის,

# მოსახერხებელი შეფუთვა, მოსახერხებელი ფასი

*„ნატახტარი" ქართული ლუდის ბაზრის ლიდერი კომპანიაა. ამაზე მეტყველებს მისი აქტივობა და ინოვატორობა, პროდუქციის ხარისხი, მრავალფეროვნება და ხელმისაწვდომობა. „ნატახტარის" ლიმონათი კი საქართველოს ბაზარზე 2005 წლიდან გამოდის. მან დიდი მოწონება და სიყვარული დაიმსახურა მომხმარებელში და დღეს ყველაზე პოპულარული ლიმონათია საქართველოში. „ნატახტარის" ლიმონათი გასცდა საქართველოს საზღვრებს და მისი რეალიზაცია სხვადასხვა ქვეყანაში ხორციელდება. ექსპორტის მიმართულებით წლიდან წლამდე იზრდება მოთხოვნა ლიმონათზე. დღეისთვის კი ექსპორტი სტაბილურად მსოფლიოს 20 ქვეყანაში მიმდინარეობს.*

*კომპანია „ნატახტარი" მომხმარებელს ახალ-ახალი სიურპრიზითა და სიახლეებით ანებივრებს. ფაქტია, ამას მომხმარებელიც აღიარებს, რაც, შესაბამისად, გაყიდვების რაოდენობაზეც აისახება. ამჯერად „ნატახტარმა" კიდევ ერთი სიახლე შესთავაზა მომხმარებელს, რომლის შესახებაც რამდენიმე დღის წინ ჟურნალისტებისთვის პრესკონფერენცია გამართა. ჟურნალისტების შეკითხვებს კი კომპანია „ნატახტარის" მარკეტინგის დირექტორმა, ᲗᲝᲠᲜᲘᲙᲔ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ უპასუხა.*



*რაც შეეხება კომპანიისგან შემოთავაზებულ სასიამოვნო სიახლეს, იმაში მდგომარეობს, რომ ამიერიდან „ნატახტარის" ლუდი და ლიმონათი ბაზარზე 0,33-ლიტრიანი თუნუქის შეფუთვით გამოვა. ახალი შეფუთვის გამოშვება მომხმარებლის გაზრდილმა მოთხოვნამ განაპირობა, შეფუთვის ეს სახე კი მომხმარებლისთვის უფრო მოსახერხებელი და ფასითაც მიმზიდველია, რაც ხელს უწყობს ზოგადად ლიმონათისა და ლუდის მოხმარების ზრდას.*

## „ნატახტარის" ლუდი და ლიმონათი 0,33-ლიტრიანი შეფუთვით გამოდის



**ᲗᲝᲠᲜᲘᲙᲔ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ**
**კომპანია „ნატახტარის" მარკეტინგის დირექტორი**

**ᲗᲝᲠᲜᲘᲙᲔ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ** *(კომპანია „ნატახტარის" მარკეტინგის დირექტორი)*: კომპანია „ნატახტარში" სიახლე ორ მიმართულებით გვაქვს და ორივე – მიმართულებას ერთი საერთო აქვს – ეს არის თუნუქის ქილა 0,33-ლიტრიან შეფუთვაში. ერთი მიმართულება არის ლუდი, ხოლო მეორე ლიმონათი. რაც შეეხება ლუდს, გამოვუშვით 0,33-ლიტრიანი თუნუქის ქილა, რომლის ფასიც მომხმარებლისთვის იქნება 1 ლარი. ხოლო ლიმონათის ახალი არომატები – ტარხუნა და საფერავი – ასევე თუნუქის ქილებში, 0,33-ლიტრიანი მოცულობით გაიყიდება, რომლის ფასიც მომხმარებლისთვის მხოლოდ 50 თეთრი იქნება. ლიმონათის არსებული ფასი აქციის ხასიათს ატარებს. მსოფლიოში საკმაოდ გავრცელებულია ამ ტიპის შეფუთვა, ხოლო რაოდენობა მისაღებ დოზად ითვლება. ლუდისა და ლიმონათის თუნუქის შეფუთვები ინტენსიურად გადის, ასევე, ექსპორტზე, რაც მნიშვნელოვანია როგორც ჩვენი კომპანიისთვის, ასევე, მთლიანად საქართველოსთვისაც.

**ᲛᲐᲠᲘᲙᲐ ᲮᲘᲓᲣᲠᲔᲚᲘ**

---

ნამუშევარი რომ არ მქონდეს. ჭურჭლის მრეცხავობით დაწყებული, შეფ-მზარეულობით დამთავრებული; შვეიცარობით დაწყებული და სასტუმროს დირექტორობით დამთავრებული. ყველგან ვსწავლობდი იმ ქვეყნის ენას, სადაც ჩავდიოდი. მერე მოვხვდი ამერიკაში.

– **სწორედ იმ პერიოდს უკავშირდება სკანდალი, რომელშიც ამ პოსტზე დანიშვნისთანავე გაეხვიეთ.**

– ამერიკაში გამოვჩნდი იმით, რომ პრისტონის უნივერსიტეტში გადავეყარე მიხეილ სააკაშვილს – ამით ძალიან ბევრმა ადამიანმა გამიცნო. მე გავხდი ერთ-ერთი მოთავე იმ წინააღმდეგობრივი მოძრაობისა, რაც „ნაციონალურ მოძრაობას" ამერიკაში ყველგან ხვდებოდა. იმის გამო, რომ მე ასოცირებული ვიყავი რეჟიმთან ბრძოლასთან და კარგი ურთიერთობა მქონდა „ქართულ ოცნებასთან", რატომღაც, ვიღაცეებმა ჩათვალეს, რომ მილიონებთან მქონდა საქმე. არადა, ჩემი ცოლ-შვილი უკრაინაში თავის მშობლებთან გამოვგზავნე, რადგან, მათ ველარ ვარჩენდი. გავყიდე ყველაფერი, რაც კი მქონდა სახლში. დავდიოდი დანგრეული მანქანით და, ჩემს მეგობარს, ანტონ ჯღამაძეს შევეკედლე – მის სახლში იატაკზე მეძინა. ვიღაცეებმა ჩათვალეს, რომ მე ამერიკაში ვიშოვე მილიონები, რომლითაც ვიყიდე ეს თანამდებობა, ახლა უნდა ვიშოვო მილიარდები და, ალბათ, ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის ხელმძღვანელის ადგილს ვიყიდი ***(იცინის)***. უამრავი ადამიანია, ვინც თავად არ მუშაობს, სხედან კომპიუტერებთან და ვირტუალურ სამყაროში იოხებენ გულს, თუმცა, იყო რამდენიმე არასასიამოვნო ბრალდებაც, რომლებსაც სასამართლოსა და პროკურატურის მეშვეობით გაეცემათ პასუხი.

– **რა ბედი ელის ქართულ ტურიზმს თქვენი ხელმძღვანელობის პერიოდში?**

– მხოლოდ და მხოლოდ კარგი. მიმაჩნია, რომ ამ ქვეყანაში ტურიზმის განვითარებისთვის ბევრი არაფერი კეთდებოდა. ის, რომ ტრიალებდა კლიპები „სიენენსა" და სხვა არხებზე, „მსოფლიო ბანკისა" და სხვა დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით იკირწყლებოდა ქუჩები და ილებებოდა ფასადები, არ ნიშნავს ტურიზმის განვითარებას. პრობლემა ისაა, რომ ქვეყანას ჯერ არ ჰქონია შემუშავებული ტურიზმის განვითარების სტრატეგია, რაც, ძირითადად, მიხეილ სააკაშვილის მოულოდნელ სურვილებზე იყო დამოკიდებული. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ეს სტრატეგია რაც შეიძლება მალე შეიქმნას. ტურიზმი არაა მარტო ტაშ-ფანდური, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ეკონომიკური ინდუსტრია. მსოფლიო ეკონომიკაში ტურიზმს უჭირავს 9 პროცენტი და, როგორც წესი, ტურისტულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი უფრო მაღალია. ჩვენთან ეს მაჩვენებელი 6,37 პროცენტს შეადგენს, მაგრამ, ეს ჩემთვის არადამაკმაყოფილებელი მაჩვენებელია. ტურისტების მაჩვენებლის ზრდა მაშინ არის კარგი, როდესაც მათ აქ ახვედრებ სათანადო სერვისს, მაგრამ, როცა ამ სერვისს ვერ ახვედრებ, სტატისტიკის მიხედვით, ერთი უკმაყოფილო ტურისტი 170 ტურისტს დაგაკარგვინებს. ჩვენთან რა ხდება? ანალიზის დონეზე კი არ ვითარდებოდა ეს დარგი – სად, რომელ კურორტზე როგორი ქანებია; სად წვიმაა ხშირად და სად ქარი, არა, მიშას მოეწონებოდა რომელიმე ადგილი და იქ უნდა აშენებულიყო სასტუმრო. თბილისში ერთადერთი ტურიზმის საინფორმაციო ცენტრია, რომელიც რუსთაველზე, მუზეუმში მდებარეობს. ეს ადგილი ვიღაცამ თუ არ მიგასწავლა, შემთხვევით ვერ მიაგნებ. ამას გარდა, ტურიზმის განვითარება არის არა მხოლოდ ტურისტების მოპატიჟება გარედან, არამედ, სინქრონში, ხარისხისა და მომსახურების სტანდარტის გაუმჯობესებაზე ზრუნვა და შიდა ტურიზმის განვითარებაც.

## არაბმა შეიხმა მაჩუქა 10 ათასი დოლარი „ჩაევოი", იმის გამო, რომ ხუთ წუთში მოვასწარი მისთვის ფაქსის გაგზავნა

– **რა გააკეთეთ ამ სამ თვეში ქართული ტურიზმისთვის?**

– ორი მცირე დეტალით მოვიწონებ თავს: ჩვენ უკვე შევქმენით უფასო საინფორმაციო სატელეფონო ცენტრი, რომელიც იმუშავებს 24 საათის განმავლობაში. ნებისმიერ ტურისტს, რომელიც გადმოკვეთს საქართველოს საზღვარს, მესაზღვრე ხელში მისცემს ცნობარს ამ ტელეფონის ნომრით, რომლითაც ის შეძლებს, დაუკავშირდეს ამ სამსახურის ოპერატორს მისთვის სასურველი ინფორმაციის მისაღებად. უახლოეს დღეებში ქალაქში ივლიან „მობილური გიდები", რომლებსაც ეცმევათ სპეციალური ფორმები, თან ექნებათ ბუკლეტები, ბროშურები და შემხვედრ ტურისტებს დაეხმარებიან სასურველი ინფორმაციის მიღებაში. ტურისტს ქალაქის რუკა რომ დასჭირდეს, სადღაც ხომ უნდა აიღოს? ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია მომსახურების ხარისხის გაზრდა რესტორნებსა და სასტუმროებში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად, „ფარული სტუმრის" სტატუსით მეც ვისარგებლებ და აუცილებლად ვივლი მალულად სასტუმროებსა და კვების ობიექტებში, რომ საკუთარი თვალით დავრწმუნდე, როგორ ვხვდებით და რას ვახვედრებთ იქ ჩვენს სტუმრებს.

**ᲗᲐᲛᲣᲜᲐ ᲡᲐᲛᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

# სისხლიანი დიქტატორების უცნაური გატაცებები

*დიქტატორები ფუფუნების და მდიდრული ცხოვრების მოყვარულები რომ არიან, ცნობილი ფაქტია. მათი ძვირფასი კოლექციების შესახებ ცნობილი უმეტეს შემთხვევაში მათი გარდაცვალების ან ქვეყანაში ხელისუფლების ცვლილების შემდეგ ხდება. საინტერესო იქნება გავეცნოთ ნივთებს, რომლებითაც ერთ დროს პლანეტის ყველაზე სისხლიანი მმართველები „თამაშობდნენ".*

## მუამარ კადაფის „ეირბას A340 M"

2003 წელს ამ თვითმფრინავის ფასი 73 მილიონ გირვანქა სტერლინგს შეადგენდა. ავიალაინერში განთავსებულია საკონფერენციო დარბაზი, საძინებელი უზარმაზარი საწოლით და თავთან დიდი სარკით, მისაღები ოთახი ტყავის ავეჯით და ძვირფასი აბაზანა ჯაკუზით.



## სადამ ჰუსეინის იახტა

ერაყის ექსპრეზიდენტის სისუსტე სასახლეები იყო, რომელთაც ის ყველგან იშენებდა – საკუთარი იახტაც კი სასახლედ აქცია. 82 მეტრი სიგრძის „ოუშენ ბრიზი" 1981 წელს დანიაში აიგო და 1990 წლამდე – ომამდე სპარსეთის ყურეში ჰუსეინი ხშირად მოგზაურობდა ამ იახტით. 2003 წელს ჰუსეინი ამერიკელებმა დააკავეს და მას შემდეგ იახტა ნიცის პორტში დგას. იახტის შენახვა ძვირი სიამოვნებაა და მასში 30 მილიონი დოლარის გადამხდელი ჯერაც ვერ მოიძებნა.

## საპარმურატ ნიაზოვის მბრუნავი ოქროს ქანდაკება

„თურქმენბაში" – თურქმენეთის სამუდამო პრეზიდენტი საპარმურატ ნიაზოვი 1990-2006 წლებში პრეზიდენტობდა ყოფილ საბჭოურ რესპუბლიკას და გარდაცვალებამდე საკუთარ თავს ღმერთთან აიგივებდა. ოქროსგან ჩამოსხმული „თურქმენბაშის" უზარმაზარი ქანდაკება 75-მეტრიანი მონუმენტის ნაწილი იყო და მზის გარშემო ტრიალებდა. მონუმენტის აგება 12 მილიონი დოლარი დაჯდა. 2010 წელს თურქმენეთის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა გურბანგული ბერდიმუჰამედოვმა „თურქმენბაშის" კულტის დანგრევა დაიწყო და უპირველესად, მონუმენტის დემონტაჟის ბრძანება გასცა.



## კიმ ჩენ ირის ბრონირებული მატარებელი

ჯავშნოსანი მატარებელი ჩრდილოეთ კორეის ყოფილ ლიდერს – კიმ ჩენ ირს, მამისგან ხვდა წილად მემკვიდრეობით. კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის დამაარსებელსა და ყველა ჩრდილოკორეელის მამას, კიმ ირ სენს 20 ვაგონისგან შემდგარი მატარებელი საბჭოელმა ბელადმა იოსებ სტალინმა აჩუქა. კიმ ჩენ ირმა სტალინის მატარებელს რეკონსტრუქცია ჩაუტარა და თანამედროვე ტიპის სასტუმროს დაამსგავსა. ცნობილია, რომ კიმ ჩენ ირს არ უყვარდა საჰაერო საშუალებები და მატარებლით მგზავრობდა. ცნობილია მისი მოგზაურობის შესახებ რუსეთსა და ჩინეთში. დანარჩენ მსოფლიოში კი ამ მატარებლით მგზავრობის სურვილი მას არ გამოუთქვამს. ამჟამად ჯავშნოსანი მატარებლით ჩრდილოეთ კორეის ახალი ლიდერი კიმ ჩენ ინი სარგებლობს.



## ნიკოლაე ჩაუშესკუს სასახლეები

1974-1989 წლებში რუმინეთის მმართველმა ნიკოლაე ჩაუშესკუმ, რომლის ოფიციალური წლიური ანაზღაურება 3 ათასი დოლარი იყო, მოახერხა და ქვეყნის ტერიტორიაზე 15 უზარმაზარი სასახლე აიშენა. 1983 წელს ჩაუშესკუმ ჩაიფიქრა ბუქარესტის ცენტრში პარლამენტისა და მთავრობის ახალი შენობა აეგო, სადაც 1 100 ოთახი იქნებოდა. მშენებლობის დასაწყებად ბუქარესტის ცენტრში ათობით საცხოვრებელი სახლი დაანგრიეს და ხალხი ქალაქის გარეუბნებში გადაასახლეს.



## ჟან-ბედელ ბოკასას კორონაცია

ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის კანიბალი მეთაური, მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი ტირანი ჟან-ბედელ ბოკასა საკუთარ თავს იმპერატორს უწოდებდა და მისი ტახტზე ასვლის ცერემონია მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ძვირად ღირებულ კორონაციად არის მიჩნეული. ორდღიანი ცერემონია 10 მილიონამდე ფუნტი სტერლინგი დაჯდა, კულმინაცია კი ბოკასას ტახტზე ასვლა იყო. ტახტი 2 ტონა ოქროსგან იყო ჩამოსხმული და არწივის ფორმა ჰქონდა.



## მუჰამედ რეზა ფეჰლევის ავტომობილების კოლექცია

ირანის უკანასკნელი შაჰი, ფეჰლევის დინასტიის ბოლო წარმომადგენელი ქვეყანას 1941-1979 წლებში მართავდა. ამ პერიოდში შაჰის ბრძანებით შეიქმნა ავტომობილების კოლექცია, სადაც სპორტული „სუპერკარები", წარმომადგენლობითი სედანები და საკოლექციო რარიტეტული ავტომობილები იყო. შაჰის გაქცევის შემდეგ „როლს-როისები", „ფერარები", „ლამბორჯინები" და სხვა ავტომობილები ირანის საავტომობილო ნაციონალური მუზეუმის ნაწილი გახდა.

## იმელდა მარკოსის ფეხსაცმელების კოლექცია

ფილიპინების რესპუბლიკის პრეზიდენტის, ფერნანდო მარკოსის შესახებ ცნობილია, რომ პრეზიდენტობის პერიოდში მან სახელმწიფო ბიუჯეტიდან 10 მილიარდამდე დოლარი მიითვისა. მარკოსი 1965-1986 წლებში მართავდა ქვეყანას და მთელი ამ ხნის განმავლობაში მისი მეუღლე, იმელდა მარკოსი მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში შოპინგობდა და თავისი ფეხსაცმელების კოლექციას ამდიდრებდა. გავრცელებული ცნობით, იმელდა მარკოსის კოლექციაში 10 ათასამდე ფეხსაცმელი ინახებოდა.

## იდი ამინის ჰარემი

უგანდის ყოფილი პრეზიდენტი, სასტიკი და დაუნდობელი იდი ამინი „ყველა ცხოველისა და თევზის" ხელმწიფე მრავაცოლიანობის მომხრე იყო და მთელი ჰარამხანა ჰქონდა. დიქტატორს ოფიციალური 6 ცოლი და 45 რეგისტრირებული შვილი ჰყავდა, გარდა ამისა, ამინის ჰარამხანა 30-მდე ქალისგან შედგებოდა.

## სუხარტოს „საფულე"

ინდონეზიის ექსპრეზიდენტი სუხარტო, რომელიც სამი ათეული წელი მართავდა ქვეყანას, არ იყო ძვირფასი საგნების მოყვარული. ერთადერთი, რაც სუხარტოს უყვარდა, იყო ფული. ამბობენ, რომ სუხარტოს „საფულეში" პრეზიდენტობის პერიოდში კორუფციული გზებით ნაშოვნი 35 მილიარდი დოლარი აღმოაჩინეს – მსოფლიო რეკორდი კორუფციაში. როდესაც სუხარტო პრეზიდენტის თანამდებობას ჩამოაშორეს, სასამართლოზე ის შეუძლოდ გახდა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გაათავისუფლეს.

**უშანგი რუხაძე**

**გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები"**
*შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს*
*ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში*
„მაცნე" – 214-39-06;
„პლანეტა" – 251-75-21;
„ელვასერვისი" – 238-80-02;
„ინფოსერვისი" – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია" – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია" – 294-32-32

# რამდენი მილიარდი დაჯდა რომან აბრამოვიჩის განქორწინება და რატომ შეწყდა რუპერტ მერდოკის ქორწინება

*განქორწინების შემთხვევაში კანონით დადგენილია, რომ ყოფილი მეუღლეები იყოფენ ქონებას ან მეორე ვარიანტით, ქმრები ცოლებს კომპენსაციას უხდიან. ასეთი წესია უცხოეთში და ყველაზე საინტერესოა, როცა მდიდარი ადამიანების განქორწინების შესახებ ვრცელდება ინფორმაცია. ასეთ შემთხვევებში თანხა ყოველთვის სარეკორდოა.*

**ალექს და ჯოსლინ ვილდენშტეინები** – *განქორწინების თარიღი: 1997-1999; კომპენსაცია: 2,5 მილიარდი დოლარი, პლუს 100 მილიონი დოლარი ყოველწლიურად 13 წლის განმავლობაში.*

1997 წლამდე ხელოვნების ნიმუშების კოლექციონერის, ვილდენშტეინის გვარი მხოლოდ ვიწრო წრისთვის იყო ცნობილი, თუმცა განქორწინების შემდეგ ოჯახი მთელმა მსოფლიომ გაიცნო. აღმოჩნდა, რომ კოლექციონერის მეუ-



ღლე 30-მდე პლასტიკური ოპერაციის შემდეგ ცდილობდა, კატას დამსგავსებოდა. თანაც, ჯოსლინი ამერიკული ტელეშოუების ხშირი სტუმარი გახდა. 2008 წელს ალექს ვილდენშტეინი გარდაიცვალა. მისი ყოფილი მეუღლე კი კვლავ აგრძელებს იმ წესით ცხოვრებას, როგორც განქორწინებამდე. ჯოსლინი წელიწადში რამდენჯერმე იკეთებს პლასტიკურ ოპერაციას, სატელეფონო საუბრებში თვეში 60 ათას დოლარს იხდის და ჭამაში წელიწადში 547 ათასი დოლარი ეხარჯება.

**რუპერტ და ანა მერდოკები** – *განქორწინების თარიღი: 1998-1999; კომპენსაცია: 1,7 მილიარდი დოლარი.*

82 წლის მედიამაგნატის ამჟამინდელი ქონება 11,2 მილიარდ დოლარად არის შეფასებული. მას ეკუთვნის „ნიურ კორპორეიშენი”, „უოლსტრიტ ჯორნალი”, „ზი სანი”, „თაიმზი”, „ნიუიორკ პოსტი” და კინოსტუდია „მეოცე საუკუნე ფოქსი”. 1960 წელს რუპერტ მერდოკი დაქორწინდა ჟურნალისტ ანა ტორვზე, რომელიც მასთან ინტერვიუს ჩაწერისას გაიცნო. მათი



ქორწინება 32 წელი გაგრძელდა და ამ ხნის განმავლობაში ანამ სამი შვილი გააჩინა. ოფიციალურად რუპერტი და ანა 1999 წელს განქორწინდნენ, მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა რუპერტისა და 38 წლის ჟურნალისტის, ვენდი დენგის რომანის შესახებ.

**ბერნი და სლავიკა ეკლსტოუნები** – *განქორწინების თარიღი: 2008; კომპენსაცია: 1,2 მილიარდი დოლარი.*

სლავიკა ზუსტად შეესაბამებოდა მილიარდერის ცოლის სტატუსს, მაღალი, 188 სანტიმეტრი სიმაღლის ლამაზმანი, ჯორჯო არმანის საყვარელი მოდელი და 159 სანტიმეტრი სიმაღლის მილიარდერი, „ფორმულა 1-ის” მფლობელი ბერნი ეკლსტოუნი, რომლის კაპიტალი 3,8 მილიარდი დოლარია. სლავიკამ და ბერნიმ 24 წელი იცხოვრეს ერთად. განქორწინების შემდეგ კი, სლავიკამ დიდი ხნის ნატვრა აიხდინა და მიღებული კომპენსაციით, 60 მილიონ დოლარად საკუთარი თვითმფრინავი იყიდა.

**ადნან და სორაია ჰაშოგები** – *განქორწინების თარიღი: 1974; კომპენსაცია: 874 მილიონი დოლარი.*

ადნან ჰაშოგმა დიდძალი კაპიტალი საუდის არაბეთის სამეფო ოჯახისთვის იარაღის მიყიდვით დააგროვა. მის საკუთრებაში გახლდათ კომპანია „ტრიადი”, რომელიც შვეიცარიაში იყო ბაზირებული, ასევე, ფლობდა ბანკებს, სასტუმროებს. 1970-იან წლებში ადნანი – იმდროინდელი მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი, განქორწინდა. ექსმეუღლისთვის გადახდილი კომპენსაცია მაშინ სარეკორდოდ ითვლებოდა. განქორწინების მიზეზი კი სორაია ჰაშოგის ღალატი იყო, მან სხვა მამაკაცისგან გააჩინა შვილი, როცა ქმარი ადნანი გახლდათ. მოგვიანებით, ადნანი მეორედ დაქორწინდა იტალიელ ლაურია ბიანკონელიზე.

**სტივ და ელეინ ვინები** – *განქორწინების თარიღი: 2010; კომპენსაცია: 750 მილიონი დოლარი.*

ამერიკელი სათამაშო მაგნატის სტივ ვინისა და ელეინის რომანი ლამაზად დაიწყო. ისინი კოლეჯში სწავლის პერიოდიდან ხვდებოდნენ ერთმანეთს. სტივს ყველაზე ჭკვიანის სტატუსი მიანიჭეს კურსზე, ხოლო ელეინი სილამაზის დედოფალი გახლდათ. 1963 წელს ისინი დაქორწინდნენ, 1986 წელს კი – განქორწინდნენ. ხუთი წლის შემდეგ მეორედ დაქორწინდნენ, ხოლო 2010-ში საბოლოოდ განქორწინდნენ. ელეინ ვინი სტივის კომპანიის „ვინ რეზორტის” დირექტორთა საბჭოს წევრი იყო. ბოლო მონაცემებით, ელეინ ვინის პირადი კაპიტალი 1,7 მილიარდ დოლარს შეადგენს და 882-ეა მილიარდერების მსოფლიო რეიტინგში.

**კრეიგ და ვენდი მაკკოები** – *განქორწინების თარიღი: 1998; კომპენსაცია: 460 მილიონი დოლარი.*

კრეიგ მაკკოი ფიჭური კავშირგაბმულობის პიონერია. ჯერ კიდევ 1980-იანი წლების დასაწყისში დაიწყო მან ბიზნესის აწყობა, როცა ანალიტიკოსები აცხადებდნენ, მობილურ კავშირს მომავალი არ აქვსო. მაკკოიმ არ დაიჯერა და შექმნა კომპანია „მაკკოი სელულარი”, რომელიც 1994 წელს კომპანია „აიტი ენდ ტ-ს” 11,5 მილიარდ დოლარად მიჰყიდა. წარმატებული ოპერაციიდან რამდენიმე ხანში, კრეიგს მეუღლესთან განქორწინება მოუწია და ვენდი მაკკოიმ მას ნახევარი ქონება გამოსძალა. წყვილი 21 წელი ცხოვრობდა ერთად, განქორწინების მიზეზად, ხასიათების შეუთავსებლობა დასახელდა.

**რობერტ ჯონსონი და შეილი კრამპი** – *განქორწინების თარიღი: 2002; კომპენსაცია: 400 მილიონი დოლარი.*

მედიამაგნატი რობერტ ჯონსონი პირველი მილიარდერი აფროამერიკელია, რომელიც 2000 წელს „ფორბსმა” მილიარდერების რეიტინგში შეიყვანა. საკაბელო ტელევიზია „ბლექ ენთერტეინმენტის” შემქმნელმა გამდიდრებამდე დიდი გზა განვლო და მეუღლე – შეილი კრამპი მისი მთავარი დასაყრდენი გახლდათ მძიმე პერიოდში. წყვილმა 33 წელი ერთად იცხოვრა და 2002 წელს განქორწინდა. შეილიმ კომპენსაციის სახით 400 მილიონი დოლარი მიიღო, ის სამი სპორტული კლუბის მფლობელიც გახდა: ესენია: ჰოკეის „ვაშინგტონ კაპიტალსი” და კალათბურთის – „ვაშინგტონ ვიზარდსს” და „ვაშინგტონ მისტიკს”. საგულისხმოა, რომ ამჟამად შეილი კრამპი იმ მოსამართლის მეუღლეა, რომელმაც განქორწინება დააკანონა.

**რომან და ირინა აბრამოვიჩები** – *განქორწინების თარიღი: 2007; კომპენსაცია: 300 მილიონი დოლარი.*

ირინა მალანდინასთან 16-წლიანი თანაცხოვრების პერიოდში, რომან აბრამოვიჩი რეზინის სათამაშოების მწარმოებელი კოოპერატივის „უიუტის” დირექტორიდან თავდაპირველად ნავთ-



ობტრეიდერად, შემდეგ ჩუკოტკის გუბერნატორად, ბოლოს კი საფეხბურთო კლუბ „ჩელსის” მფლობელ მილიარდერად იქცა. აბრამოვიჩის ამჟამინდელი ქონება 10,2 მილიარდ დოლარს შეადგენს. ირინა წარსულში სტიუარდესა იყო და რომანს ხუთი შვილი გაუჩინა. თუმცა, მათი კავშირი მას შემდეგ დაინგრა, რაც ცნობილი გახდა რომან არკადიევიჩის რომანის შესახებ დარია ჟუკოვასთან.

**სამატურ ლი კინ-კანი და ფლორენს ჩანგ ჩიუ-ვანგი** – *განქორწინების თარიღი: 2008; კომპენსაცია: 154 მილიონი დოლარი.*

როდესაც ჰონკონგის უმდიდრესი ადამიანის, შამუელ ტაკ ლის ვაჟი მეუღლეს გაშორდა, ეს ცნობა აზიის ყველაზე სკანდალურ განქორწინებად დასახელდა. სამატურმა ყოფილ მეუღლეს 1,2 მილიარდი ჰონკონგური დოლარი, ანუ 154 მილიონი ამერიკული დოლარი გადაუხადა კომპენსაციის სახით. წყვილი რვა წელი ცხოვრობდა ერთად და განქორწინების მიზეზად ის დასახელდა, რომ ამ ხნის განმავლობაში მათ შვილი არ ეყოლათ.

**ფრენკ და ჯენი მაკკორტები** – *განქორწინების თარიღი: 2011; კომპენსაცია: 130 მილიონი დოლარი.*

ამერიკელი ბიზნესმენი, მწერალი და კლუბ „ლოს-ანჯელეს დოდჯერსის” მფლობელი – ფრენკ მაკკორტი იდეალურ მეუღლედ მიიჩნეოდა, სანამ ცნობილი არ გახდა მისი რომანების შესახებ. 32-წლიანი ქორწინება ჯენი მაკკორტთან, ღალატის გამო დასრულდა და ფრენკს ადვოკატების შეთავაზებული თანხის გადახდა მოუწია მეუღლისთვის. კომპენსაციის გადახდას ფრენკის კლუბი შეეწირა, რომლის გაყიდვაც გახდა აუცილებელი.

**უშანგი რუხაძე**

ჟურნალ **„თბილისელების“** რედაქცია სამძიმარს უცხადებს ქალბატონ ზაირა რთველიაშვილს, ნინო და თათა გოგავებს, ზურაბ გუდავაძეს, მარინა გოგავას, მეუღლის, მამის და ძმის, შესანიშნავი პიროვნების

**თამაზ გოგავას**

გარდაცვალების გამო და იზიარებს მათ მწუხარებას.

# პირველი ქართული კერძო სკოლა მოსკოვში – კერა, რომელმაც მძიმე წლებში ასობით ბავშვი შეიკედლა...

*– ანა სახელაშვილი! – ვარ! მამუკა მარგველანი! – ვარ! ნინო ესაიაშვილი! – ვარ! ნუკრი ნოდია! – ვარ! ირაკლი გეგუჩაძე! – ვარ! დათო დარასელია! – არ არის! თამთა ბეჟანიშვილი! – ვარ! თეა შონია! – ვარ! თამუნა ძაძამია! – ვარ! ეთიკო ბაძგარაძე! – ვარ! მამუკა იოსებაშვილი! – ვარ! ანა ჩარკვიანი! – ვარ! დიტო ცაავა! – არ არის! პაატა რეხვიაშვილი! – არ არის! ნატო გელაშვილი! – ვარ! სალომე თოლორაია! – ვარ! დარეჯან შავლიაშვილი! – არ არის! თამუნა თუთბერიძე! – ვარ! რუსო ჯგებურია – ვარ! რამაზ ბუკია! – ვარ! თეონა კუჭავა! – ვარ! გოგიტა ვაშაყმაძე – არ არის! არ არის!..*



სია დღეს სხვამ წაიკითხა და არა მან... მან, ვინც ცხოვრების პირველი ნაბიჯების სწორად გადადგმა ასწავლა. ალბათ, ამიტომაც, დღემდე საკუთარ თავს „ხათუნას ბავშვებს" უწოდებენ... ხათუნა კვარაცხელია გაფურჩქვნის ასაკში წავიდა ამქვეყნიდან – მოულოდნელად ჩაქრა ახალგაზრდა, სიყვარულით სავსე სიცოცხლე... სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული, მოსკოვში არ „დარჩა" – მისი სამუდამო განსასვენებელი თბილისში, ამაღლების ტაძრის მიმდებარე ადგილი გახდა, სადაც 7 იანვარს, მის დაბადების დღეზე, ხშირად იკრიბებიან მისი ახლობლები.

სია მოსკოვის პირველი დამოუკიდებელი ქართული სკოლის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ კლასში ათი წლის შემდეგ კიდევ ერთხელ ამოიკითხეს... სამი „არა" „საპატიო" იყო – ერთი „არა" – ყველაზე მძიმე – გოგიტა ვაშაყმაძე წლების წინ ტრაგიკულად დაიღუპა ავტოკატასტროფაში. შეცვლილი იყო შეხვედრის ადგილი, ისევე, როგორც თაობა, რომელიც საქართველოსთვის მძიმე წლებში ბედმა მოსკოვის ერთ ლამაზ ქართულ კერასთან შეკრიბა...

ეს ისტორია 20 წლის წინ დაიწყო: აფხაზეთიდან დევნილი კვარაცხელიების ოჯახი... დაცემული სოხუმი და სვანეთის თოვლიანი გზა... მოგვიანებით ოჯახის უფროსის, ნოდარ კვარაცხელიას მეუღლე, ქალბატონი ციალა დიდი ტკივილით კიდევ ერთხელ გაიხსენებს იმ დღეებს: „მახსოვს ის განცდა, როცა საქართველოდან წავედით და უკან დარჩა ყველაფერი. მაშინ გავიგე, რა ყოფილა კუთხისა და მიწის სიყვარული; მაშინ „გავიგე" „მგზავრის წერილები", მაშინ შევიცანი, რა ყოფილა შიო არაგვისპირელის „მიწაა"... იმას ვნანობდი, სოხუმის მიწა რომ არ წამოვიღე თან. ისეთი მძაფრი იყო განშორების განცდა, როცა სოხუმის მიწას ვემშვიდობებოდი, ძლივს ავდექი ფეხზე... მე გადავიტანე შვილის სიკვდილი – ამაზე დიდი ტკივილი რა შეიძლება იყოს, მაგრამ, მიწის ყივილი ისეთი მძიმე რამ ყოფილა, ეს ათეული წლების შემდეგაც არ გიმშვიდებს სულს...

### მოსკოვი, ოლონეცკის გასასვლელი №6...

იდეა შვილებს ეკუთვნოდათ. შვილებს, რომელთაც მხოლოდ იმიტომ გადაწყვიტეს მოსკოვში ჩასვლა, რომ საკუთარი თვალით ენახათ, როგორ დაბინავდებოდნენ ამაგდარი მშობლები. ნანა უფროსი იყო, ხათუნა – მასზე უმცროსი, სულ რაღაც 23 წლის. ოჯახი ერთად შეუდგა ქართული სკოლის შექმნის იდეას – შვილებმა დირექტორობა მამას, მათემატიკოსს, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატს, ნოდარ კვარაცხელიას ჩააბარეს, რომელსაც მოსკოვში დიდი სანაცნობო წრე ჰყავდა. სკოლას ბევრი, ძალიან ბევრი ტექნიკური პრობლემის მოგვარება სჭირდებოდა, რაც ნოდარ კვარაცხელიას საკმაოდ კარგად გამოსდიოდა.



ათი წლის განმავლობაში ის უდიდესი ძალისხმევით ემსახურებოდა მოსკოვში მამულიშვილურ ქართულ საქმეს.

**ნოდარ კვარაცხელია:** ახალი ჩასული ვიყავი მოსკოვში. რიგის ვაგზალთან ბაზარში შევედი. დიდი ბაზარი იყო, ბევრი ქართველი ვაჭრობდა იქ, რომ ოჯახები ერჩინათ. გვერდით პატარა, 10-12 წლის ბავშვები იდგნენ. დავინტერესდი მათი ცხოვრებით და, სკოლაში რატომ არ ხართ-მეთქი, – ვკითხე. ქართული სკოლა არ გვაქვსო, – მიპასუხეს. ამან ძალიან იმოქმედა ჩემზე. ჩემს ხელმძღვანელს, პროფესორ გიორგი დოროფეევს გავანდე ჩემი წუხილი. პროფესორების: გ. დოროფეევისა და გ. მურავინის, აკადემიკოს ვასილ ვასილევის მხარდაჭერით, 1994 წელს ქართულმა სკოლამ ბინა დაიდო მოსკოვის ოლქის მასწავლებელთა და განათლების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ინსტიტუტში.



*სკოლა დაარსებისთანავე გახდა პოპულარული. მისი ხშირი სტუმრები იყვნენ საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები, ხელოვანები, დიპლომატები. სკოლის მუსიკისა და ცეკვის საბავშვო გუნდი ფურორს ფორორზე ახდენდა დიდ ქალაქში...*

*10 წელი ფეთქავდა ეს თბილი ქართული კერა იმ ყინულეთში. მტრის უხეში ხელით ბუდემოშლილი ასობით პატარა შეიკედლა და გადაარჩინა გაუცხოებას. იქ წლობით ჟღერდა ქართული სიტყვა, ისმოდა ქართული სიმღერა, წკრიალებდა ქართული საკრავი, იხატებოდა ქართული ჩუქურთმა, ტრიალებდა ქართული ფერხული, ქუხდა ქართული ლექსი, იკერებოდა ქართული კაბა, იწერებოდა ქართული სახელმძღვანელო, ისმოდა ქართული საგალობელი!*

**ნანა კვარაცხელია**: გვქონდა დიდი ენთუზიაზმი – გაგვეკეთებინა კარგი ქართული სკოლა, სადაც ბავშვები არა მხოლოდ ქართულ განათლებას მიიღებდნენ, კარგ ქართველებადაც ჩამოყალიბდებოდნენ. ჩვენი მიზანი იყო, რაც შეიძლებოდა კარგად წარმოგვეჩინა საქართველო მოსკოვის საზოგადოების წინაშე; რომ ეს არ იყო საწყალი და საცოდავი ქვეყანა, რომელმაც დაკარგა აფხაზეთი და, აგერ, სადაცაა, სამაჩაბლოსაც დაკარგავს, არა! ჩვენ ყოველდღიურად ვამტკიცებდით, რომ ვიყავით ხალხი დიდი კულტურითა და ისტორიით. სკოლამ თავიდანვე მოიპოვა დიდი ავტორიტეტი, გვქონდა სწავლის მაღალი დონე. ჩემი და, ხათუნა, ღამეებს ათენებდა, საკუთარი ხელით ვწერდით სასწავლო პროგრამას, ვქმნიდით იმ ლიტერატურას, რაც მოსკოვში რთულად ხელმისაწვდომი იყო. ხათუნა ხშირად ამბობდა, ერთი ბავშვისთვისაც კი გავწირავდი თავს, რომ ის გარუსებისგან გადამერჩინაო. ხათუნამ შემოიღო სასწავლო საგანი – ქრისტიანული კულტურა. ის ხელით წერდა, ბეჭდავდა და ასე ამრავლებდა ლიტერატურას. ჩვენ გავაძლიერეთ ინგლისური ენის სწავლება, დავნერგეთ ლათინურის გაკვეთილები. გულით და სულით ვაკეთებდით ჩვენს საქმეს.



### შეხვედრა 10 წლის შემდეგ.

**თბილისი, 3 აგვისტო...**

**ნუკრი ნოდია**: 11 წლის ვიყავი, როცა ამ სკოლაში მიმიყვანეს. აფხაზეთიდან დევნილისთვის ახალ, უცხო გარემოსთან შეჩვევა იოლი არ იყო, მაგრამ, იქ ბევრი დამხვდა „ჩემნაირი". ბატონ ნოდარსა და მის ქალიშვილებს, ხათუნა და ნანა კვარაცხელიებს, სკოლაში ისეთი გარემო ჰქონდათ შექმნილი, სამშობლოს ნოსტალგია რომ არ გვეგრნო. ჩემს კლასში უამრავი ბავშვი იყო თავმოყრილი აფხაზეთიდან, თუმცა, ასევე ბევრი მოსწავლე იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან: კახეთიდან, გურიიდან, იმერეთიდან... სკოლა №311 პატარა საქართველოდ ჰქონდათ ქცეული, სადაც ბევრი თაობა აღიზარდა ქართულად, მამაპაპურად, ტრადიციულად. ამისთვის დიდ მადლობას ვუხდით ჩვენს დირექტორს, ბა-

# უკავშირდება თუ არა ქრისტინე იმედაძის კიევში გადასვლა სიყვარულს

*ქრისტინე იმედაძის შესახებ ბოლო დროს უამრავი ჭორი გავრცელდა. თუმცა, ეს ზაფხული მისი მეგობრისთვისაც იმდენი სკანდალით იყო სავსე, რომ სხვა ყველა შოუბიზნესური ნიუსი ამ სკანდალმა ჩაყლაპა. ქრისტინეზე იწერებოდა, რომ ის სიყვარულმა მეზობელ და მეგობარ უკრაინაში გადაიყვანა საცხოვრებლად, რომ მან ცხოვრება უკრაინაში მყოფ ქართველს დაუკავშირა. მისი „ფეისბუქის“ გვერდიდან ისიც კარგად ჩანდა, რომ ქრისტინე აქტიურად იყო ჩართული კიევის ბომონდურ ცხოვრებაში და კარიერაში სერიოზულ წარმატებულ ნაბიჯებს დგამდა. ქრისტინე ზაფხულს აქტიურად ატარებს. რამდენიმე დღე ქობულეთში, „ჯორჯიან პალასში“ დაისვენა. მისი თბილისში დაჭერა ვერ შევძელით, ამიტომაც ინტერვიუ ისევ და ისევ სოციალური ქსელის საშუალებით ჩავწერეთ.*

**ქრისტინე იმედაძე**: აქტიური ზაფხული გამოვიდა, თავს არაჩვეულებრივად ვგრძნობ, ვისვენებ... ალბათ, იცით, რომ ჩვენს სამეგობროში სიახლეა, ახალი შვილი შეგვეძინა – ნინის ულამაზესი ელენე და ყველანი ძალიან ბედნიერები ვართ. საოცარი გოგოა. ამჟამად ორ ქვეყანას შორის ვარ მიმოფრენაში. კიევში დიდ დროს ვატარებ, რაც ვფიქრობ, ჩემი კარიერისთვის ძალიან მნიშვნელოვან შედეგებს გამოიღებს. იქ ყოფნისას ჩავწერე თბილისიდან წასული და ამჟამად უკრაინაში მოღვაწე დიმკა თეიმურაზოვის ახალი სიმღერა, რომელზეც უახლოეს მომავალში კლიპის გადაღებასაც ვგეგმავ. მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მხოლოდ კიევში ვმუშაობ და ჩემი კარიერის განვითარებას მხოლოდ იქ ვხედავ. თბილისში ჩამოსვლისთანავე ორი ახალი, ქართულენოვანი სიმღერა ჩავწერე.

**– სიუჟეტი ვნახე, თურმე „კეკელა და მარო“ ჩაგიწერია.**

– მე და ჩემმა მეგობარმა, დათო კენჭიაშვილმა მის სტუდიაში ჩავწერეთ „ჯეირანის“ ახლებული, ჩვენეული ვერსია. ამას მოჰყვა, სრულიად სპონტანურად, „კეკელა და მაროს“ თანამედროვე, საინტერესო ვერსიის ჩაწერის იდეაც. იდეა მალევე განვახორციელეთ. მე, დათომ და თათია კენჭიაშვილმა „კეკელა და მარო“ ჩავწერეთ და დიდი იმედი გვაქვს, რომ მსმენელს მოეწონება და გაახალისებს.

**– როგორც ვხვდები, საცხოვრებლად კიევში არ გადასულხარ.**

– ნაწილობრივ. უფრო აქეთ-იქით მიწევს სიარული, გააჩნია სად მაქვს საქმე. კიევში ჩემი ძალიან ბევრი მეგობარი ცხოვრობს და ადვილად შევეგუე იქაურობას.

**– იმის გამო, რომ ქართულ შოუ-ბიზნესში არაფერი ხდება, უკრაინულ შოუ-ბიზნესში დამკვიდრება გადაწყვიტე?**

– ეს ცოტა ხმამაღალი ნათქვამია, მაგრამ ნელ-ნელა ვცდილობ, რაღაც ნაბიჯები გადავდგა ამ მიმართულებით. ვწერ სიმღერებს, მონაწილეობას ვიღებ პატარ-პატარა პროექტებში. ასევე, არის სერიოზული შემოთავაზებები და თუ გამოვა, ამაზე უკვე მოგვიანებით მოგიყვებით დაწვრილებით. მაგრამ, თბილისის გარეშე დიდხანს ყოფნა არ შემიძლია, ამიტომ აქაც ველი შემოთავაზებებს სასექტემბროდ.



**ამჟამად ორ ქვეყანას შორის ვარ მიმოფრენაში**

**– როგორც თბილისში გავრცელდა ხმები, შენი კიევში ყოფნა უკავშირდება პირად ცხოვრებას, სიყვარულს...**

– პირადი ცხოვრება იმიტომ არის პირადი, რომ მასზე საჯაროდ არ ისაუბრო. არასდროს ვლაპარაკობ პრესასთან ამ თემებზე და არანაირ ჭორზე კომენტარს არ ვაკეთებ. გარწმუნებთ, ჩემი კიევში ყოფნის მიზეზი საქმეა, რომელიც, იმედი მაქვს, კარგ შედეგებს გამოიღებს. ამისთვის ყველაფერს ვაკეთებ, უზომოდ ბევრს ვშრომობ.

**– როგორ ატარებ ზაფხულს?**

– მე და ტაისია თბილისში ჩამოვედით. ტაისია ბებიასთან ერთად რაჭაში წავიდა, სადაც არაჩვეულებრივი დრო გაატარა. მე ჩემს გოგოებთან ერთად რამდენიმე დღით ქობულეთში წავედი. მოგვიანებით, ტაისიაც უნდა წავიყვანო ზღვაზე, მაგრამ ჯერ გადაწყვეტილი არ მაქვს, კონკრეტულად სად.

**– კიევში ძალიან მალე შეგამჩნიეს, ყველა ელიტურ წვეულებაზე შენი ფოტოები დევს.**

– მართლა ძალიან ბევრ საინტერესო და ლამაზ ღონისძიებაზე მიმიწვიეს კიევში. ეს ყველაფერი კი ჩემი მეგობრის, ბიჭოლას დამსახურებაა, რომელიც მთელ კიევს ძალიან უყვარს, დიდ პატივს სცემენ. მეც შევიძინე ახალი მეგობრები. უკრაინელი ხალხი ძალიან თბილი და კარგი საურთიერთობოა. მიხარია, მათთან ურთიერთობა.

**სალომე გველესიანი**

---

ტონ ნოდარს და ჩვენს მასწავლებლებს: ლალი მგალობლიშვილს, რუსუდან ზუხბაიას, მაია გურჩიანს, სვეტა ნოდიას.

**მამუკა მარგველანი**: მეც აფხაზეთიდან ვარ, ქალაქ სოხუმიდან. ჩემი ოჯახი მოსკოვში ლტოლვილობის პირველ წლებში მოხვდა. ბატონ ნოდარს სკოლა ახალი დაფუძნებული ჰქონდა – მე მესამე კლასიდან შევუერთდი ჩემს კლასს, რომელიც ამ სკოლის ერთ-ერთი პირველი თაობა იყო. დღეს განსაკუთრებულად მახსენდება ის წლები. ძალიან მიხარია, რომ ამდენი წლის გასვლის მიუხედავად, ჩვენ შევინარჩუნეთ იქ დაწყებული მეგობრობა.

**ეთიკო ბაძგარაძე**: დღეს ყველა ჩვენგანი ბედნიერია იმ დიდი სიხარულით, რაც წლების შემდეგ წარსულთან შეხვედრას ახლავს. ჩვენს ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღოდათ ჩვენს მასწავლებლებს; სამწუხაროდ, მათ შორის ჩვენთვის ყველაზე ძვირფასი მასწავლებელი – ხათუნა – ჩვენ გვერდით აღარაა. მან დასთან, ნანა კვარაცხელიასთან ერთად, ძალიან ბევრი სიკეთე გააკეთა თითოეული ჩვენგანისთვის. სკოლაში ყველაფერი იყო იმისთვის, რომ მიგვეღო კარგი განათლება და დავრჩენილიყავით ქართველ ბავშვებად ისე, რომ არ დაგვეკარგა ჩვენი ენა, მამული და სარწმუნოება. ხათუნა მასწავლებელი ყველაფერს აკეთებდა ჩვენთვის, ის იყო ჩვენი მფარველი და დამცველი. მას არ ჰქონდა თავისი ოჯახი, მისი შვილები ჩვენ ვიყავით. მან მთელი ახალგაზრობა და წლები ჩადო ჩვენში, რის გამოც, როგორც ჩვენ გვიწოდებდნენ – „ხათუნას კლასი”, – გამორჩეული იყო. ხათუნა ქართულ ენასა და ლიტერატურას გვასწვლიდა; გარდა ამისა, გვიკითხავდა ქრისტიანულ მოძღვრებას და, გვიკითხავდა ისე, რომ საოცრად გვაახლოებდა ჩვენს რელიგიასთან. ხათუნა სულ ცდილობდა, რომ ბევრი რამ მოეცა ჩვენთვის: თავად წერდა და ქმნიდა ქართულ წიგნებს; გვიდგამდა ქართულ ცეკვებს. მახსოვს, როცა ჩვენ ცეკვა „ქართული“ შევასრულეთ ინდონეზიის საელჩოში, სადაც არც კი იცოდნენ სად იყო საქართველო, ისე აღფრთოვანდნენ საელჩოს თანამშრომლები და სტუმრები, ემოციებს ველარ მალავდნენ. ხათუნამ საკუთარი ხელით შეკერა ქართული ეროვნული სამოსი იმ გამოსვლისთვის...

**ლალი მგალობლიშვილი**: 90-იან წლებში, ისევე, როგორც ბევრი სოხუმელის, ჩემი ოჯახიც მოსკოვში აღმოჩნდა. შვილისთვის სკოლას ვეძებდი. როცა გავიკითხე, გავიგე, რომ



ბატონ ნოდარ კვარაცხელიას ახალი გახსნილი ჰქონდა კერძო ქართული სკოლა. ბატონ ნოდარზე ბევრი რამ გამეგონა, სოხუმის უნივერსიტეტიდან ვიცნობდი მის ქალიშვილს – ნანას. ბავშვი სკოლაში შევიყვანე და მალე მეც იქვე დავიწყე მუშაობა. ისტორიის მასწავლებლად ვიმუშავე ათი წელი – სკოლის გახსნიდან მის დახურვამდე, 2004 წლამდე. თითოეულ ჩვენგანს დიდხანს გაგვყვა ამ სკოლის ნოსტალგია. დღეს შემიძლია, ვთქვა: რომ არ ყოფილიყო ეს სკოლა, ჩვენი განცდები სამშობლოსთან დაკავშირებით, შესაძლოა, უფრო მძაფრი ყოფილიყო. ალბათ, უფრო ძალიან გაგვიჭირდებოდა უსამშობლოდ მოსკოვში ცხოვრება.

***ხათუნა კვარაცხელია...***

*„ჩემი სოხუმის ყველა ბილიკი და ყველა ქუჩა,*
*ჩვენი სახლები, ეზოები და მოლივლივე ზღვა...*
*მე თვალწინ მიდგას ჩემი ქალაქი*
*და მე არ მინდა სხვა..*
*მე შენზე დარდმა და მონატრებამ ავად გამხადა,*
*დედა ხარ ჩემი აფხაზეთო, ჩემი ნანა ხარ..*
*და მე ის ნანა მტერმა წამართვა...“*

*ასე უყვარდა ის მიწა და ის ზეცა, რომლის გარეშეც ძალიან უჭირდა ცხოვრება. დეკემბერი მისი აღსასრულის თვე აღმოჩნდა, 2003 წლის 13 დეკემბერი – მისი ბოლო დღე... განგებამ შეუბრალებლად ხანმოკლე წუთისოფელი არგუნა. წარმოუდგენლად დიდი ტკივილი გაიყოლა თან – თავისი უსაყვარლესი მხარის, აფხაზეთის, დარბეული და გასხვისებული სამკვიდროს დარდი. უცხო ნიადაგზე გადარგული ყვავილივით ილეოდა და, მაინც, ყველაზე რთულ საქმეს შეჭიდებულმა, ასევე უცხო ნიადაგზე გადარგულ ყვავილებს – ბავშვებს დაუკავშირა დევნილობის მწარე წლები. ამ ლამაზმა, კეთილმა, სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა ქალმა, ვერ პოვა დამსახურებული სიმშვიდე, სიხარული და ბედნიერება, ვერ დატკბა დედობით, საკუთარი ოჯახით... მაგრამ, არ ჩასვენებულა მისი ვარსკვლავი – დაჰკრავს ჟამი და, ჩუმი ციაგით, უკვე სხვა თაობებთან ერთად, დაბრუნდება იმ აფხაზეთში, რომლის გარეშეც ხათუნა კვარაცხელიამ დიდხანს ვერ გაძლო...*

**თამუნა ნიჟარაძე**

# ადვოკატი გირჩევთ



**რუბრიკას უძღვება ადვოკატი ირაკლი გაბრიჭიძე**

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
**ანატოლ ფრანსი**

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, აქვს თუ არა უფლება საქართველოს პრეზიდენტს, ნებისმიერ დროს და ნებისმიერი მსჯავრდებული პირის მიმართ გამოიყენოს შეწყალება და უპირობოდ გაათავისუფლოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან?**

**პასუხი:** შეწყალების გამოყენების წესის შესახებ გაცნობებთ, რომ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად, შეწყალება არ გამოიყენება შემდეგი მსჯავრდებული პირების მიმართ: ა) რომელსაც მიესაჯა უვადო პატიმრობა, თუ მას ფაქტობრივად არ აქვს მოხდილი თავისუფლების აღკვეთის 25 წელი; ბ) რომელიც სასჯელს იხდის თავისუფლების აღკვეთის სახით ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენისთვის და მოხდილი არ აქვს დანიშნული სასჯელის ნახევარი; გ) რომელსაც მსჯავრი დაედო მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის, მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა 5 წელზე მეტი ვადით და მოხდილი არ აქვს დანიშნული სასჯელის ნახევარი; დ) რომელიც ადრე მსჯავრდებული იყო, ნასამართლობის გაქარწყლებამდე ან მოხსნამდე კვლავ ჩაიდინა განზრახი დანაშაული და არ აქვს მოხდილი დანიშნული სასჯელის ნახევარი; ე) რომელიც პირველადაა მსჯავრდებული 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთით და მოხდილი არ აქვს დანიშნული სასჯელის 1/3; ვ) რომლის მიმართ ადრე გამოყენებულ იქნა ამნისტია ან შეწყალება და ნასამართლობის გაქარწყლებამდე ან მოხსნამდე კვლავ ჩაიდინა განზრახი დანაშაული; ზ) რომელიც სასჯელს იხდის პირობითი მსჯავრდებისას სასამართლოს მიერ დანიშნული გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ჩადენილი განზრახი დანაშაულისთვის; თ) რომელიც სასჯელის მოხდისგან გათავისუფლდა პირობით ვადამდე და ნასამართლობის გაქარწყლებამდე ან მოხსნამდე კვლავ ჩაიდინა განზრახი დანაშაული; ი) რომელსაც სასამართლოს მიერ სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეცვლილი აქვს უფრო მსუბუქი სასჯელით; კ) რომელიც სასჯელის მოხდის ადგილიდან ხასიათდება უარყოფითად; ლ) რომელიც არ ცნობს თავს დამნაშავედ, არ ინანიებს ჩადენილ დანაშაულს და არ ითხოვს შეწყალებას.

**კითხვა: მაინტერესებს და, გთხოვთ, მაცნობოთ რას ნიშნავს სისხლის სამართლის საქმის მტკიცებულებების გაცვლა; არის თუ არა ეს პროცედურა სავალდებულო და რა იურიდიულ შედეგებს იწვევს მხარეებს შორის სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულებების გაუცვლელობა?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე დაცვის მხარის მოთხოვნა ბრალდების მხარის იმ ინფორმაციის გაცნობის თაობაზე, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც ბრალდების მხარე აპირებს, დაუყოვნებლივ უნდა დაკმაყოფილდეს. ბრალდების მხარე, ასევე, ვალდებულია, ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დაცვის მხარეს გადასცეს მის ხელთ არსებული გამამართლებელი მტკიცებულებები. დაცვის მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ, ბრალდების მხარე უფლებამოსილია, დაცვის მხარისგან მიიღოს ის ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც დაცვის მხარე აპირებს. რაც შეეხება მტკიცებულებების გაუცვლელობას, ინფორმაციის გაცვლის მოთხოვნის შემდეგ, იმ მომენტისათვის არსებული მასალის მხარისთვის სრული მოცულობით გადაუცემლობა იწვევს ამ მასალის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობას.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რა კრიტერიუმებით აფასებს მოსამართლე სისხლის სამართლის საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებებს განაჩენის გამოტანის დროს?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობის და უტყუარობის თვალსაზრისით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა.

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, რა შემთხვევაში აქვს დოკუმენტს ან სხვა ნივთიერ მტკიცებულებად წარმოდგენილ საგანს მტკიცებულებითი ძალა, ანუ, რა შემთხვევაში ჩაითვლება საგანი საქმეზე დასაშვებ ნივთიერ მტკიცებულებად?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ მხარის მოთხოვნის შემთხვევაში დოკუმენტს მტკიცებულებითი ძალა აქვს, თუ ცნობილია მისი წარმომავლობა და ის ავთენტურია. დოკუმენტი ან ნივთიერი მტკიცებულება დასაშვები მტკიცებულებაა, თუ მხარეს შეუძლია, მოწმედ დაკითხოს პირი, რომელმაც მოიპოვა, შექმნა ის ან/და რომელთანაც ინახებოდა სასამართლოში წარდგენამდე. დოკუმენტი, იმავდროულად, შეიძლება იყოს სისხლის სამართლის საქმეზე ნივთიერი მტკიცებულება, თუ მას შეუნაცვლებლობის თვისება აქვს.

**კითხვა: მაინტერესებს და, გთხოვთ, მაცნობოთ, არის თუ არა კანონით დადგენილი სისხლის სამართლის პროცესში მხარეებს შორის მტკიცებულებების გაცვლის რაიმე კონკრეტული ვადა?**

**პასუხი:** კონკრეტული ვადაა, რომ წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს 5 დღისა, მხარეებმა ერთმანეთს და სასამართლოს უნდა მიაწოდონ იმ მომენტისთვის მათ ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც აპირებენ.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რა შემთხვევაში შეიძლება იქნეს გამოყენებული სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე მოწმისთვის დაცვის სპეციალური ღონისძიებები?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ ზოგადად პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური ღონისძიება, მათ შორის – მოწმისთვის, შეიძლება, გამოყენებულ იქნეს, თუ: განიხილება საქმე ისეთი ქმედების ჩადენის ფაქტზე, რომლის საჯარო განხილვაც, თავისი ბუნებით, არსებით ზიანს მიაყენებს პროცესის მონაწილის პირად ცხოვრებას; პროცესის მონაწილის ვინაობისა და საქმეში მონაწილეობის გასაჯაროებით მნიშვნელოვანი საფრთხე დაემუქრება მის ან მისი ახლო ნათესავის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ქონებას. დაცვის სპეციალური ღონისძიებები, ასევე, გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, თუ პროცესის მონაწილე დამოკიდებულია ბრალდებულზე.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რა შემთხვევებში და რა საფუძვლით შეიძლება მტკიცებულება დაუშვებლად იქნეს ცნობილი და რომელი ორგანოს კომპეტენციას წარმოადგენს მტკიცებულებების დასაშვებობა-დაუშვებლობის საკითხის გადაწყვეტა?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ სისხლის სამართლის კოდექსის არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და ამგვარი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და მას იურიდიული ძალა არ გააჩნია. მტკიცებულება, ასევე, დაუშვებელია, თუ ის მოპოვებულია კოდექსით დადგენილი წესის დაცვით, მაგრამ, უარყოფილი არ არის გონივრული ეჭვი მისი შესაძლო გამოცვლის, მისი ნიშან-თვისებების არსებითი შეცვლის ან მასზე დარჩენილი კვალის არსებითი გაქრობის შესახებ. ამასთან, მხარე ვალდებულია, სასამართლოს მიაწოდოს ინფორმაცია საკუთარი მტკიცებულების წარმომავლობის შესახებ. რაც შეეხება მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხს, ბრალდების მხარის მტკიცებულების დასაშვებობისა და დაცვის მხარის მტკიცებულების დაუშვებლობის მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს, ხოლო, საბოლოოდ მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საკითხს წყვეტს სასამართლო.

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, რას ნიშნავს პრეიუდიციული ფაქტი და რა სახის ფაქტები შეიძლება ჩაითვალოს პრეიუდიციულად?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ, ფაქტები, რომლებიც გამოკვლევას არ საჭიროებენ, ითვლებიან პრეიუდიციულად დადგენილ ფაქტებად, კერძოდ, გამოკვლევის გარეშე მტკიცებულებად მიიღება: საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი; განაჩენი ნასამართლობაზე; სხვა სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, თუ პროცესის არც ერთი მონაწილე მათ საეჭვოდ არ ხდის; ნებისმიერი სხვა გარემოება თუ ფაქტი, რომელზეც მხარეები შეთანხმდებიან. ამასთან, მხარის ინიციატივით, სასამართლომ შეიძლება უარყოს პრეიუდიციულად დადგენილი ფაქტი, თუ ეს ფაქტი ეწინააღმდეგება სასამართლოში მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგებს.

# ინტიმური საუბრები

## დაქალი შეყვარებულს მართმევს

ძალიან გთხოვთ, ეს წერილი დამიბეჭდოთ. მინდა, ჩემმა ყოფილმა დაქალმა წაიკითხოს (ყოველთვის კითხულობს თქვენს რუბრიკას და, ალბათ, არც ამ ნომერს გამოტოვებს) და მიხვდეს, რომ მე ვწერ ამ წერილს, თუმცა, სახელებს მაინც ვცვლი.

მე და იაკო პატარაობიდან ერთად გავიზარდეთ: ერთ კორპუსში ვცხოვრობდით, ერთ კლასში ვსწავლობდით და უმაღლესშიც ერთ ფაკულტეტზე ჩავაბარეთ. პირველი სტუდენტური ზაფხულიც ერთად გავატარეთ – რამდენიმე გოგო და ბიჭი, ვინც ყველაზე მეტად დავუმეგობრდით ერთმანეთს, ერთად წავედით დასასვენებლად მთაში, სადაც ერთი თვე დავრჩით. იქ ბექა განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ჩემ მიმართ, ერთ დღეს კი სიყვარული ამიხსნა. მეც მომწონდა და ვუთხარი, თბილისში რომ ჩავალთ, შევხვდეთ ხოლმე-მეთქი. რა თქმა უნდა, ეს იაკოს ვუამბე. მან კი ბექას ლანძღვა დაიწყო: „ბაბნიკია“, ყველა გოგოს სიყვარულს უხსნის, მერე კი ზურგსუკან დასცინის და მათზე ბიჭებთან ლაპარაკობსო. მეც დავუჯერე და ბექას ვუთხარი, საერთოდ აღარ დამელაპარაკო-მეთქი. ისე ჩამოვედით თბილისში, ხმა აღარ გამიცია. ლექციები რომ დაგვეწყო, ბექა ძალიან ცდილობდა, შევერიგებინე, მაგრამ, ახლოს აღარ ვიკარებდი და იაკოს ვთხოვე, უთხარი, თავი დამანებოს-მეთქი. მან კი, ვითომ იმ მოტივით, რომ ჩემი თხოვნა შეესრულებინა, ბექასთან შეხვედრები დაიწყო. მივხვდი, რომ სხვა რაღაცაში იყო საქმე, მაგრამ არავისთვის არაფერი მითქვამს, მათ შორის არც იაკოსთვის. ის კი ყოველდღე მეუბნებოდა, მაღარიჩი მეკუთვნის, ეს ბიჭი რომ ჩამოგაშორეო.

ერთ დღეს, ლექციების შემდეგ, ბექა გარეთ დამხვდა და მითხრა, შენთან სერიოზული საქმე მაქვსო. ისეთი სახით მიყურებდა, დამაინტერესა, რა უნდა-მეთქი და იქვე სკვერში შევედით სალაპარაკოდ და სკამზე ჩამოვსხედით. რა გინდა-მეთქი, – ვკითხე. მან თვალებში შემომხედა და მკითხა – შენთვის ოდესმე რამე დამიშავებიაო? ძალიან გამიკვირდა ეს შეკითხვა, მაგრამ, მაინც „ვუიაზვე“ – ვერ მოასწარი, თორემ, დამიშავებდი, იაკოს დროზე რომ არ გავეფრთხილებინე, ვინც ბრძანდები-მეთქი. ახლა ის დარჩა სახტად. მოკლედ, ჩვენი საუბრიდან გაირკვა, რომ, როცა იაკო მას ხვდებოდა (ვითომ ჩემ გამო), ჩემზე ცუდ რაღაცეებს ეუბნებოდა და აფრთხილებდა, მაგ გოგოსთან ფრთხილად იყავი, თორემ ცუდ რამეს დაგმართებსო. ისიც უთქვამს, ვითომ მე ბექას ყველასთან ვლანძღავდი და ზურგსუკან დავცინოდი. ეს რომ გავარკვიეთ, იაკოს მაშინვე დავურეკე და სკვერში დავიბარე. როცა ყველაფერი ვუთხარი, თავხედურად მიპასუხა: დიახაც, მე დაგაშორეთ ერთმანეთს, იმიტომ, რომ ბექა შენზე ადრე მე შემიყვარდა, მე უფრო ვარ მისი შესაფერისიო. ბექამ მხოლოდ ის უთხრა, მე შენ კარგი ადამიანი მეგონე და შენთან ვმეგობრობდი, შენ კი ვინ ყოფილხარო, – და წავიდა. მე კი კარგად გავლანძღე იაკო, ჩემთან ურთიერთობა ავუკრძალე და ისე მივატოვე აცრემლებული, არც კი შემცოდებია. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ მე და ბექა დღემდე ვხვდებით ერთმანეთს, იაკო კი ყველანაირად ცდილობს, ერთმანეთს დაგვაშოროს. გოგოებთან უთქვამს, რადგან ბექა წამართვა, არ შევარჩენ, ისე წავაჩხუბებ ერთმანეთს, გასაშველებლები გახდნენო. ბექა მეუბნება, ნუ მიაქცევ ყურადღებასო, მაგრამ მე მაინც მეშინია – ვინ იცის, რას გვიპირებს. მაგრამ, თუ ეს მაინც მოხდა, მერე კი მიფრთხილდეს – არ დავინდობ და საშინელ დღეში ჩავაგდებ.

**მაკო, 20 წლის.**



**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ SMS-ები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 595 40-76-78. ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@yahoo.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

## ნინო ვარსიმაშვილი – ნათელმხილველი, რომელიც თქვენს ცხოვრებას უკეთესობისკენ შეცვლის

### როგორ დავამარცხოთ ბოროტი ძალა, გავიხსნათ ბედი და მოვიზიდოთ ბარაქა

*ჩვენი ჟურნალის მკითხველი კარგად იცნობს ნათელმხილველ **ნინო ვარსიმაშვილის**. რედაქციაში საკმაოდ ბევრი ადამიანი რეკავს, რათა კიდევ ერთხელ მივაწოდოთ ინფორმაცია ამ ქალბატონის იმ უნარის შესახებ, რაც მას მემკვიდრეობით გადაეცა. ქალბატონი ნინო ამარცხებს ბოროტი ძალების, ჯადოსა და ავი თვალის ზემოქმედებას და ეხმარება ადამიანებს გაუმკლავდნენ იმ პრობლემებს, რაც მათ აწუხებთ. ბოლო პერიოდში ადამიანთა უმეტესობა ნევროზს, უბარაქობას, წარუმატებლობასა და ოჯახურ პრობლემებს უჩივის. ახალგაზრდები ვერ უგებენ ოჯახის წევრებს და სახლიდან გარბიან, ბევრი ერთმანეთზე უზომოდ შეყვარებული წყვილი ერთი შეხედვით უმიზეზოდ შორდება, ადამიანები ვერ აღწევენ წარმატებებს და მარცხს მარცხზე განიცდიან. როგორც ნათელმხილველი ნინო ვარსიმაშვილი ამბობს, ამ ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს, რადგან ჩვენ ბოროტი ძალების გააქტიურების ხანაში ვცხოვრობთ.*

**ნინო ვარსიმაშვილი:** საკმაოდ დიდი ხანია, რაც ადამიანების დახმარებას ვცდილობ. ჩვენ ძალიან რთულ პერიოდში გვიწევს ცხოვრება – გარემო დაამძიმა ამდენმა ცოდვამ. არასდროს ყოფილა ამდენი სისხლისღვრა, ტრაგედია, უბედური შემთხვევა. არიან ადამიანები, რომლებიც თავს გამუდმებით ცუდად გრძნობენ, დაკარგული აქვთ ყველაფრის ხალისი, შიში და უძლურება ეუფლებათ, რის შედეგადაც ყალიბდება ნევროზი, რომელიც უკვე მასობრივ დაავადებად იქცა. სამწუხაროდ, მათ ექიმები და მედიცინის ჩარევაც კი ველარ შველის, თუმცა, არსებობს სპეციალური ლოცვები, რაც ხშირად წამალზე ეფექტურია. მე მაქვს თილისმები, რომელიც კურნავს ნევროზს, ამარცხებს ჯადოს, ბედის ჩაკეტილობას.

**– ძალიან ბევრ ადამიანს არ სჯერა ჯადოს არსებობის.**

– ძალიანაც ცდებიან, რადგან ეშმაკი სწორედ ასეთების დამორჩილებას იწყებს. ჯადო ნამდვილად არსებობს, ამას ეკლესიაც კი აღიარებს. ბევრს ჯადო სიყვარულზე, ბევრს კი უბარაქობაზე აქვს გაკეთებული. ჯადოს აქვს კონკრეტული ვადები – სამი თვე, ექვსი თვე... ყველაზე საშინელი შთამომავლობითი ჯადოა, რომლის მოხსნაც ძალიან ძლიერი ლოცვებითა და სხვა საშუალებებით შეიძლება. მე ამ პრობლემას იოლად და სწრაფად ვაგვარებ. ჩემთან მოდიან ქალბატონები, რომლებმაც დაკარგეს ქმრები იმის გამო, რომ მათ ჯადო გაუკეთეს. მე ვიცი, რა თილისმებით შეიძლება გაქცეული ადამიანის უკან დაბრუნება, მინდა ვურჩიო ყველას, რომ არავინ არ გაწირონ ბოროტი რიტუალებით მარტოობისა და ბედის ჩაკეტილობისთვის, რადგან, ადრე თუ გვიან, ყველაფერი უკან დაუბრუნდებათ. ასეთ ხალხს ბოროტი ძალა, ეშმაკი ამოძრავებს, რომელიც ბოლოს აუცილებლად მარცხდება. როცა ადამიანი „ჩაკეტილია”, ის ფიზიკურადაც ცუდად გრძნობს თავს, აქვს გულისრევა, თავბრუხვევა. ასეთ ადამიანებს ვაძლევ თილისმას, რომელშიც სპეციალური, მემკვიდრეობით გადმოცემული საშუალებებია ჩადებული.

***ქალბატონ ნინოს ყოველთვის უამრავი ადამიანი აკითხავს. ბევრი მათგანი აქ მეორედ მადლიერების გამოსახატავად მოდის, ზოგიერთმა ჩვენთანაც ვერ დამალა თავისი ემოციები, გვიამბეს რაშიც ნინო ვარსიმაშვილი დაეხმარათ და საკუთარი საიდუმლოებების გამხელაც გაბედეს. თუ თქვენც გსურთ, მოაგვაროთ თქვენი საქმიანი და პირადი პრობლემები, გათავისუფლდეთ ბოროტი ძალების გავლენისგან, დაუკავშირდით ქალბატონ ნინოს ტელეფონის ნომრებზე: 599 003-006, 597 82-68-68.***

**დავით ნ.** *(თბილისი):* 50 წლის კაცი ვარ და ის, რაც ნინო ვარსიმაშვილის წყალობით გადამხდა თავს, ვინმეს რომ მოეყოლა, არ დავიჯერებდი. მილიონერი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ, ბოლო წლებში განსაკუთრებით ცუდად წამივიდა საქმეები: ჯერ ჩემი პარტნიორი გარდაიცვალა, მერე ძალიან დიდი ფინანსური ზარალი განვიცადე, მოკლედ, გავკოტრდი. მეზობელმა მომასწავლა ნინოს მისამართი. იმ ოჯახს გაუთხოვარი გოგო ჰყავდა და ნინოს წყალობით გაათხოვეს. ხომ იცით კაცების ამბავი, თავიდან არ მოვდიოდი, მერე ცოლმა ძალით გამომაგდო. ნინომ თილისმა მომცა, რაღაცეები დამარიგა, როგორ უნდა მოვქცეულიყავი. ის დღე იყო და, ჩემი საქმეებიც წინ წავიდა.

**მარინა ს-ძე,** *64 წლის:* ჩემმა ქალიშვილმა 2 უმაღლესი დაამთავრა, მაგრამ წლების განმავლობაში სამსახურს ვერ შოულობდა, 30 წლამდე ვერც გათხოვდა. შემთხვევით გავიგე ნინოს შესახებ და მოვედით მასთან. ნინომ შეულოცა ბარაქაზე, ბედზე და 2 თვე არ იყო გასული, მუშაობა რომ დაიწყო. მერე სამსახურში გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე. მე დღეს ძალიან ბედნიერი ქალი ვარ – 2 შვილიშვილის ბებია. ყველაფერი ქალბატონ ნინოს დამსახურებაა. ულრმეს მადლობას ვუხდი მას.

**თამარ ჩხენკელი**

**„დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს” ლიდერის, ნინო ბურჯანაძის ცხოვრებაში ისევ დადგა გადამწყვეტი ბრძოლის მომენტი – ამჯერად ის საქართველოს პრეზიდენტობისთვის იბრძოლებს. ამიტომ, ჩვენი მკითხველისთვის უფრო მეტად საინტერესოა ამ პოლიტიკოსის ცხოვრება, რომელიც სწრაფ ტემპებში, ამერიკული დოლარის კურსივით იცვლება – ხან აღმასვლას, ხან კი ვარდნას განიცდის.**

# რაში დასჭირდა ნინო ბურჯანაძეს ღამის 3 საათზე ქმრის დახმარება და სად ეძინა მას ჩაცმულ-დახურულს

**– ქალბატონო ნინო, ფაქტობრივად, მას შემდეგ, რაც პოლიტიკაში ხართ, თქვენი ცხოვრების პულსი აჩქარებულია, სულ რაღაცასთან ბრძოლა, ჭიდილი გიწევთ. რთული არ არის ქალისთვის ასე ცხოვრება?**

– პოლიტიკაში მოსვლამდეც ძალიან დაძაბული გრაფიკი მქონდა – დიდი დრო მიჰქონდა სწავლას, დისერტაციაზე მუშაობას. ყველაზე გულდასაწყვეტი ჩემთვის ის არის, რომ დისერტაციაზე მუშაობის პერიოდში მე და ბადრის უკვე გვყავდა შვილი და მისი თბილისში დატოვება მოგვიწია, რადგან, შეუძლებელი იყო პატარა ბავშვით მოსკოვში გამგზავრება და, თან, დისერტაციაზე მუშაობა. ანზორიკო ჩემს მშობლებთან იზრდებოდა. რა თქმა უნდა, მას არაფერი აკლდა, მაგრამ, ეს ჩვენთვისაც და, გარკვეულწილად მისთვისაც, დანაკლისი იყო. თბილისში დაბრუნების შემდეგ იყო სახელმწიფო უნივერსიტეტი, სადაც ახლად ჩამოყალიბებულ საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტზე ვიყავი, პარალელურად ვმუშაობდი პირველი ქართული დიპლომატიური ლექსიკონის შექმნაზე, რაც ძალიან შრომატევადი სამუშაო იყო და ძალიან ვამაყობ ამ პროექტში მონაწილეობით. მერე, როდესაც გავხდი პარლამენტის წევრი, ბუნებრივია, ეს გრაფიკი გადავიდა სრულიად სხვა რეალობაში. მთელი საკანონმდებლო ბაზა შესაცვლელი იყო, ანუ, საბჭოთა საკანონმდებლო ბაზა უნდა შეგვეცვალა ახლით, დემოკრატიული საქართველოს პრინციპებიდან გამომდინარე. ხშირ შემთხვევაში, სახლიდან დილის 10 საათზე გასული, ღამის 2 საათზე ვბრუნდებოდი. ერთხელ, ძალიან გავიჭედეთ ამ საკანონმდებლო ცვლილებებში და ჩემს ქმარსაც კი დავურეკე ღამის 3 საათზე. თქვენ იცით, ბადრი იურისტია და, ვთხოვე, იქნებ მოხვიდე შენს ერთ-ორ მეგობართან ერთად და კონსულტაცია გაგვიწიოთ-მეთქი, რადგან დილისთვის საკანონმდებლო პაკეტი მზად უნდა ყოფილიყო და ბადრი მოვიდა. აღარაფერს ვიტყვი პარლამენტის თავჯდომარეობის, იგივე ვარდების რევოლუციის პერიოდზე, როდესაც, ფაქტობრივად სამი კვირის განმავლობაში პარლამენტის შენობიდან არ გამოვსულვარ.



საააკაშვილმა ეს გააკეთა შეგნებულად. მან კარგად იცის, როგორი შეკრულია ჩვენი ოჯახი, რამხელა საყრდენია ჩემი ქმარი, შვილები, მშობლები და ამით ჩემი პიროვნულად დანგრევა სცადა

**– მეც კარგად მახსოვს ეგ პერიოდი. ვიცი, რომ მაშინ ჩაცმულს გეძინათ პარლამენტის შენობაში და ძალიან გადაღლილი იყავით.**

– როდესაც ეს პროცესები დაიწყო, ჩავალაგე ჩანთა და დღე და ღამე იქ ვიყავი, ჩაცმულ-დახურულს მეძინა ტახტზე, მხოლოდ დილის 8 საათზე ვაძლევდი ჩემს თავს იმის საშუალებას, რომ ცოტა მაინც მოვწესრიგებულიყავი. ეს რთული პერიოდები გაგრძელდა. საერთოდ, თუ ადამიანი დროს სწორად დაგეგმავს, ყველაფერს მოასწრებს. მე ძალიან ცოტა მძინავს, დაახლოებით ხუთი საათი.

**– არასდროს გიფიქრიათ პოლიტიკიდან წასვლაზე, არ გიგრძნიათ დაღლა? თქვენთვის, რეალურად, ხომ არც ერთ ეტაპზე არ ყოფილა შედეგიანი ამ ორომტრიალში ყოფნა?**

– დაღლის განცდა არ მაქვს, მაგრამ კეთილი შურით მშურს იმ ადამიანების, ვინც თუნდაც ხელოვნების სფეროშია – სხვებსაც სიამოვნებას ანიჭებენ და თავადაც იღებენ დიდ სითბოსა და სიყვარულს. პოლიტიკოსის ცხოვრებაში საქმე სხვაგვარად არის – ცუდს თუ აკეთებ ან რაღაც შეგეშალა, მომენტალურად იღებ ნეგატიურ რეაქციას, მაგრამ, კარგს თუ აკეთებ, ამ კარგის შედეგი დგება გვიან, ან, ხშირ შემთხვევაში, საერთოდ არ ჩანს. მე მაინტერესებს და მიყვარს ის საქმე, რასაც ვაკეთებ!

**– ეს იმიტომაც გკითხეთ, რომ, ერთხელ, ინტერვიუს დროს როდესაც მამათქვენზე ჩამოვარდა საუბარი, თქვენი ცრემლიანი თვალები შევნიშნე. მაშინ დიდი გულისტკივილით თქვით, რომ მამათქვენი, ფაქტობრივად, თქვენ გამო იყო მუდმივად კრიტიკისა და ჭორების ქარ-ცეცხლში, რისთვისაც მას ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან ბოდიშიც კი მოუხადეთ.**

– როდესაც პოლიტიკაში მოვდიოდი, შეგნებული მქონდა ერთი მომენტი: შეიძლებოდა, დიდი გულისტკივილი მიმეღო, ხშირ შემთხვევაში – აბსოლუტურად დაუმსახურებელი. ძალიან მძიმეა ეს ოჯახთან მიმართებაში. მამაჩემის ლანძღვა-გინება და ყველა ცოდვაში დადანაშაულება დაიწყო მას შემდეგ, რაც პოლიტიკურად სერიოზული ნაბიჯები გადავდგი, მანამდე, ამ ადამიანის აუგი არავის დასცდენია 65 წლის ისე გახდა, ყველაზე მტკივნეული და მძიმე ჩემთვის სწორედ ეს იყო. შემდეგ უკვე ეს გადავიდა მეუღლეზე, შვილებზე, რაც არანაკლებ მტკივნეულია, მაგრამ, რას ვიზამთ... მჯერა, საბოლოო ჯამში, სიმართლე არ დაიმალება და ყველა ყველაფერს გაიგებს

**– მახსოვს, სულ ერთსა და იმავეს რომ იმეორებდნენ – როგორ დააგროვა ანზორ ბურჯანაძემ დიდძალი ქონება პურ-პროდუქტებში მუშაობის პერიოდში.**

კეთილი შურით მშურს იმ ადამიანების, ვინც თუნდაც ხელოვნების სფეროშია – სხვასაც სიამოვნებას ანიჭებენ და თავადაც იღებენ დიდ სითბოსა და სიყვარულს

– ამას წინათ ერთ-ერთ საიტზე წავიკითხე ძალიან დიდი სისულელე. თურმე, არა მხოლოდ მთელი საქართველოს ქონებაა ჩემს ხელში, არამედ, ნახევარი მსოფლიოსი. ჩვენ არასდროს დაგვიმალავს ჩვენი ოჯახური მდგომარეობა და შესაძლებლობები. რა თქმა უნდა, მე პოლიტიკაში არ მოვსულვარ „ცალ-ცალი კალოშით”. ჩემი ოჯახი ძალიან ცნობილი ოჯახია, განსაკუთრებით – დასავლეთ საქართველოში. ბაბუაჩემის მამა ერთ-ერთი ყველაზე შეძლებული ადამიანი იყო ლეჩხუმში, ასევე, დედაჩემის ბაბუა და ჩვენ ყოველთვის ვიყავით ეკონომიკურად უზრუნველყოფილები. მერე მამას ჰქონდა მაღალი თანამდებობები და, შესაბამისად, მაღალი შემოსავალი, ასე რომ, არასდროს გვიჭირდა. ეს დიდი პლუსი იყო ჩემთვის, იმიტომ, რომ ამან საშუალება მომცა კარგი განათლება მიმეღო, ბევრი მემოგზაურა და შეხება მქონოდა ძალიან საინტერესო ადამიანებთან. ჩვენ არასდროს გვიჭირდა და არც ახლა გვიჭირს, მაგრამ, ხმები მილიონებზე თუ ათეულ მილიონებზე, რა თქმა უნდა, არის გამოგონილი. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ყველა ხედავდით, როგორ გააფთრებული მებრძოდა „ნაციონალური მოძრაობა,“ რას აღარ იგონებდნენ, ლამის ბავშვების ჭამა დამაბრალეს, მაგრამ, ვერ დადეს ვერც ერთი დასაბუთებული მტკიცებულება იმ უსინდისო ბრალდებებისა. ასე რომ, ამ თვალსაზრისით აბსოლუტურად მშვიდად ვარ. თქვენ ალბათ, იმასაც ხედავდით, ტელევიზიები რაებს აკეთებდნენ, გადიდებული კადრით მუდმივად იყო ჩემი ნიშნობის ბეჭდის ჩვენება, რომელიც ახლაც მიკეთია, არასდროს მომიხსნია და არც მოვიხსნი. ეს ბეჭედი თავის დროზე 550 მანეთი ღირდა. ნამდვილად ბრწყინავს, იმიტომ, რომ ხარისხით უმაღლესია – საბჭოთა ბრილიანტებია.

**– ახლა წყნეთის აგარაკი გამახსენდა ამ თქვენი ქონებისა და ბრილიანტების ხსენებაზე. მართალია, სიმბოლურად ერთ ლარად შეძენილი აგარაკი იყო, მაგრამ, იმ მომენტში რას გრძნობდით, როდესაც გაიგეთ, რომ ჩამოგართვეს და როცა სახლიდან თქვენი ნივთების გამოტანა ხდებოდა?**

– მიმაჩნია, რომ, საერთოდ, იმ აგარაკის აღება სისულელე იყო, მიუხედავად იმისა, რომ კანონი არ დამირღვევია და ეს კანონი არა მარტო საქართველოში მოქმედებს, როდესაც ხელისუფლების პირველ და მეორე პირებს უზრუნველყოფენ საცხოვრებელი ფართით. მიუხედავად იმისა, რომ კანონის არც ერთი პუნქტი არ დამირღვევია, მაინც ჩავთვალე, რომ, ალბათ, ამ ვითარებაში შეცდომა იყო. ისეთი მადლობელი ვარ სააკაშვილის იმ აგარაკიდან ჩემი გამოსახლებით, რომ, მას ვერც კი წარმოუდგენია, როგორ გამიადვილა ცხოვრება. როცა დადგა არჩევანი წყნეთის სახლსა და ბრძოლის გაგრძელებას შორის, დაუფიქრებლად გავაკეთე არჩევანი მეორეზე, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წუთამდე იყო შემოთვლები: ასეთი გააფთრებით ნუ შემოგვებრძოლება და, რა თქმა უნდა, პრობლემა არ იქნება არც აგარაკის და არც არაფრისო.

**– სიმართლე გითხრათ, ასეთი აქტიური ქალი ქართულ პოლიტიკაში თქვენ გარდა სხვა არავინ ვიცი. იყო ისეთი მომენტებიც, როცა ლამის ხელჩართულ ბრძოლაში გიწევდათ ჩართვა, რაც თქვენი ტრადიციების ოჯახიდან, ბუნებიდან, თვისებებიდან, განათლებიდან თუ გარეგნული მონაცემებიდან გამომდინარე, გარეშე თვალისთვის დაუჯერებელი იყო. აი, მაშინ მართლა არ ჰგავდით თქვენს თავს, როცა ამ კადრებს ვუყურებდი.**

– ყველაზე მძიმე პერიოდი ჩემს ცხოვრებაში მაინც დაკავშირებულია 2007 წლის 7 ნოემბრის, 2008 წლის აგვისტოსა და 2011 წლის მაისის მოვლენებთან. იმედი მაქვს, ამაზე მძიმე პერიოდები ჩემს ცხოვრებაში აღარ იქნება. ახლა, 26 მაისის დღეებს რომ ვიხსენებ, მიკვირს, როგორ გავუძელი იმას, რასაც გავუძელი. იყო უამრავი რამ, რაც ჩანდა და, იყო უამრავი რამ,

# რატომ თქვა უარი ნიკა ნიკვაშვილმა გერლენთან თანამშრომლობაზე და რის გამო არ ანიჭებს ის საკუთარ გარეგნობას დიდ მნიშვნელობას

***26 წლის მუსიკოსი, ნიკა ნიკვაშვილი უკვე 3 წელია, მოსკოვში ცხოვრობს და თავის მუსიკალურ კარიერასაც იქ აგრძელებს. მართალია, ეს არცთუ ისე დიდი დროა წარმატებისა და სახელის მოსახვეჭად, მაგრამ ქართველმა მუსიკოსმა ეს შეძლო. ამას ისიც მოწმობს, რომ ჩვენი რესპონდენტი დღეს ძალიან მოთხოვნადია და არაერთი ცნობილი მომღერლის კონცერტი გაუორკესტრებია.***

**ნიკა ნიკვაშვილი**: პოეზიის საერთაშორისო ფესტივალი, რომელიც ყოველწლიურად ტარდება საქართველოში, წელს ვლადიმირ მაიაკოვსკის 120 წლისთავს და ნოდარ დუმბაძის 85 წლისთავს ეძღვნებოდა. ძალიან ბევრი სტუმარი ჩამოვიდა სხვადასხვა ქვეყნიდან. ფესტივალის ფარგლებში, მანანა მენაბდესთან ერთად ჩავატარეთ კონცერტი. ამ პროგრამით მე და ქალბატონი მანანა უკვე ერთი წელია, ვმუშაობთ. საქართველოში კი პირველად გამოვედით. ერთი კონცერტი ბათუმში გვქონდა, პიაცაზე, ხოლო მეორე თბილისში, რომელიც ძალიან ვიწრო წრისთვის გავმართეთ. სექტემბერში კი თბილისელ მაყურებელს გრანდიოზულ კონცერტს შევთავაზებთ.

**– ხარ ძალიან ენერგიული ადამიანი, რომელიც ყოველთვის მუშაობს.**

– 24 საათიდან, მხოლოდ 5-6 საათი მძინავს, დანარჩენი კი, ფაქტობრივად, სულ ვმუშაობ. ვმუშაობ, როგორც პედაგოგი, როგორც არანჟირების ავტორი, როგორც კომპოზიტორი, როგორც პიანისტი. ამ ყველაფრის პარალელურად, ცურვაზე დავდივარ, ვვარჯიშობ და ასე შემდეგ. ფაქტობრივად, თავისუფალი დრო არ მრჩება. იმდენი რამ მაქვს ჯერ კიდევ გასაკეთებელი ჩემი პოტენციალის მაქსიმალურად დასახარჯად, რომ მენანება ყოველი უქმად დაკარგული წუთი, ამიტომაც ვმუშაობ ამდენს.

**– ამჯერად რაზე მუშაობ?**

– თამრიკო გვერდწითელთან ერთ პროექტზე ვმუშაობ, ასევე, ვმუშაობ სოსო პავლიაშვილის ალბომზე და ასე შემდეგ. სხვადასხვა მომღერალთან ერთად რამდენიმე კონცერტი უკვე დაგეგმილი მაქვს. ძალიან მიხარია, რომ ჩემთან მუშაობის სურვილს თვითონ გამოთქვამენ და ბევრი ძალიან ცნობილი ადამიანი თავისი სურვილით მიკავშირდება. როცა პროფესიონალი მუსიკოსი მიკავშირდება და თავის კონცერტს მანდობს, რა თქმა უნდა, ეს ჩემთვის ძალიან დიდი სიხარულია. მოსკოვში სულ მაქვს შემოთავაზება, რომ სოლო კონცერტი გავაკეთო, რისთვისაც ვერასდროს ვიცლი.

**– მოსკოვში თავის დამკვიდრება ადვილი ნამდვილად არ არის. შენ კი 3 წლის განმავლობაში შეუძლებელი გააკეთე და დღეს რუსულ შოუ-ბიზნესში ნიკა ნიკვაშვილს ბევრი წარმატებული ადამიანი იცნობს.**



ვმუშაობ, როგორც პედაგოგი, როგორც არანჟირების ავტორი, როგორც კომპოზიტორი, როგორც პიანისტი

– ყოველ შემთხვევაში, სამუშაოს დეფიციტს ნამდვილად არ განვიცდი, რისთვისაც უფალს ყოველთვის მადლობას ვეუბნები. ვერ ვიტყვი, რომ ძალიან მაღალ საფეხურზე ვარ, მაგრამ მოსკოვის მუსიკალური საზოგადოების გარკვეულ წრეში ასე თუ ისე მიცნობენ. მაქვს ჩემი სამუშაო, ხან დიდ საკონცერტო დარბაზში გამოვდივარ, ხან რომელიმე კლუბში. ჩემთვის არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა სად დავუკრავ, მთავარია, გემოვნებიანი მსმენელი მყავდეს. შეიძლება, დღეს დავუკრა დარბაზში, რომელიც 5 000 კაცს იტევს, ხვალ კი – 150-კაციანში. მივყვები ცხოვრებას ისე, როგორც არის და ყოველი დღით კმაყოფილი ვარ. მაგალითად, ყოველ ხუთშაბათს, მოსკოვის ერთ-ერთ პრესტიჟულ კლუბში ვუკრავ, სადაც სულ ანშლაგია, ბილეთები წინასწარ თუ არ დაჯავშნეს, შეიძლება ადგილი არ დახვდეთ. ძალიან ბევრი მკითხულობს, თუ ვუკრავ, მოდიან. მოკლედ, კარგი დროსტარება მიდის.

**– სხვა ეროვნების ადამიანებს რომ თავი დავანებოთ, ძალიან ბევრი ქართველის კონცერტი გაქვს გაკეთებული.**

– კი, ფაქტობრივად, ვინც კი მოსკოვშია, ყველა ქართველი მომღერლის კონცერტში მიღია მონაწილეობა. მეშინია, ვინმე არ გამომრჩეს ჩამონათვალში. მაგალითად, მალე ია ნინიძის კონცერტს ვგეგმავთ.

**– გარეგნულად ძალიან სიმპათიური ხარ, რაც არავის გამორჩებოდა მხედველობიდან. შემოთავაზება არ გქონია სამოდელო სფეროდან?**

– ბოლო პერიოდში გარეგნობაზე მეტად ბევრმა სხვა რაღაცამ დამაინტერესა. მიუხედავად იმისა, რომ გარეგნობას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ, საკუთარ თავს თუკი რამე შეიძლება, მართლა ყველანაირად ვუვლი. ეს ელემენტარული ესთეტიკაა და როცა სცენაზე მაყურებლის წინაშე გიწევს გამოსვლა, არ შეიძლება მოუვლელი იყო. ეს არის, თორემ თავის მოვლა ჩემი თვითმიზანი ნამდვილად არ არის. რაც შეეხება შემოთავაზებას მოდის სფეროდან, იყო ასეთი ფაქტები არაერთხელ. სხვათა შორის, როგორც მეუბნებიან, პარამეტრებს მილიმეტრებში ვაკმაყოფილებ. იმასაც ამბობენ, ერთხელ რომ მნახავენ, მერე ჩემი გარეგნობა არ ავიწყდებათ, რადგან საკმაოდ გამორჩეული და თავისებური ვიზუალი მაქვს. სიმართლე გითხრათ, აქამდე სულ უარს ვამბობდი, მაგრამ ბოლო დროს ჭკუაში დამიჯდა, თუ რამე სერიოზული შემოთავაზება იქნება, რატომაც არა. თუ იქნება კარგი ბრენდი და გადაღებებიც კარგად ანაზღაურდება, უარს აღარ ვიტყვი. მაგალითად, 3 წლის წინ გერლენის დირექტორისგან მქონდა შემოთავაზება გადაღებებზე, მაგრამ უარი ვუთხარი. დღეს, უბრალოდ, იმის გამო მივიღებ მსგავს წინადადებას, რომ გავერთობი და ამ გართობაში ფულსაც ავიღებ.

**მარიკა ხიდურელი**

---

რაც უახლოესმა ადამიანებმაც არ იციან, რა მაწუხებდა ერთიან კომპლექსში, რა პრობლემები იყო და რისი გადალახვა დამჭირდა. ალბათ, ღვთის ნება იყო, რომ ამისთვის გამეძლო. საოცარი უსამართლობის განცდა დამეუფლა, რომ ამ უსამართლობას ვერანაირად ვაჩერებდი. გარდა ამისა, მქონდა დედობრივი ინსტინქტის მომენტიც. მე დავინახე, როგორ მიათრევდნენ ანზორიკოს, როგორ ჩააგდეს მანქანაში და, მაშინ გავიფიქრე, ალბათ, ველარასოდეს ვნახავ შვილს-მეთქი. იგივე დამემართა 2009 წლის 6 მაისს, როდესაც ჩვენ აღმოვჩნდით პოლიციის სამმართველოსთან. მაშინ უმცროსი შვილი, რეზიკო, 15 წლის იყო. მახსოვს, აგვისტოს ომის დროს ანზორიკო მოვიდა და მითხრა: დედა, სხვისი შვილები იქ არიან და შენი შვილიც იქ უნდა იყოსო. რა თქმა უნდა, ჩემთვის ძალიან მძიმე იყო თქმა – კი, შენ მართალი ხარ, შენ ხარ გმირი, – მაგრამ, კიდევ უფრო მძიმე იყო იმის ყურება, როგორ ალაგებდა თავის ჩანთაში ნივთებს და ემზადებოდა წასასვლელად.

**– ბოლოდროინდელმა პოლიტიკურმა მოვლენებმა რა გავლენა იქონია თქვენსა და თქვენი მეუღლის ურთიერთობაზე?**

– ოჯახი ყოველთვის გვერდში მედგა მძიმე მომენტებში. მე და ჩემი მეუღლე კიდევ უფრო დავახლოვდით, კიდევ უფრო დავინახეთ, რა ძვირფასები ვართ ერთმანეთისთვის, კიდევ უფრო გავიგეთ ერთმანეთის ფასი და, ის, თუ რამდენად წარმოუდგენელია ჩვენთვის ცალ-ცალკე ყოფნა. უარყოფითად იმოქმედა იმდენად, რამდენადაც, სახლი ცარიელი იყო მის გარეშე. როცა იცი, რომ ადამიანი საქმეზეა წასული სადღაც და, როცა უნდა, მაშინ დაბრუნდება, ეს, რა თქმა უნდა, კიდეც რომ მოგენატროს, ისეთ დისკომფორტს არ გიქმნის; მაგრამ, როცა იცი, რომ მას არ შეუძლია თავის ქვეყანაში დაბრუნება, ეს არის მძიმე ასატანი. ყოველ დილით შიშით ვურეკავდი ჩემს დედამთილს, რომ გამეგონა მისი ხმა. იმის წარმოდგენაც კი არ მინდოდა, რომ, შეიძლებოდა, მას ჯანმრთელობის პრობლემა შეჰქმნოდა ან რამე უფრო მძიმე მომხდარიყო და ამ დროს მისი შვილი ვერ იქნებოდა მის გვერდით. სააკაშვილმა ეს გააკეთა შეგნებულად. მან კარგად იცის, როგორია შეკრულია ჩვენი ოჯახი, რამხელა საყრდენია ჩემი ქმარი, შვილები, მშობლები და ამით ჩემი პიროვნულად დანგრევა სცადა – ოჯახი გამიხლიჩა, მით უმეტეს, მაშინ, როცა დიდი დარტყმის ქვეშ დააყენა ჩემი შვილი, რომელზეც სააკაშვილს ყოველთვის გართულება ჰქონდა, რადგან, ჩემი ოჯახიდან ყველაზე მეტად მაინც ანზორიკო იყო მის მიმართ აგრესიულად განწყობილი. ეს მან იცოდა და არც აპატია – „საჩუქრად" გამოაქვეყნა ის ფალსიფიცრებული ვიდეომასალა გრუზთან დაკავშირებით, რაზეც მერე თვითონვე თქვა – სინამდვილეში არაფერი იყოო.

**– მეუღლეზე რომ გკითხეთ, ვიგულისხმე მასთან დისტანციურ მდგომარეობაში ყოფნაც. როგორ იმოქმედა ამან თქვენზე, როგორც ცოლ-ქმარზე?**

– ბადრი ახლა აქ არის. ადრეც შეეძლო ჩამოსვლა, რადგან, მის მიმართ საქმე შეწყვეტილი იყო, მაგრამ, მან ასე გადაწყვიტა – ვიდრე ყველა პოლიტპატიმარი არ გამოვიდოდა გარეთ, არ ჩამოსულიყო.

**– მუდმივად რაღაცას ამბობენ თქვენზე, მაგალითად, საზოგადოების გარკვეული ნაწილი ისევ ფიქრობს, რომ თქვენ რუსეთის სპეცსამსახურების აგენტი ხართ. ძალიან მაინტერესებდა თქვენი აზრი ამ ყველაფერთან დაკავშირებით და, აი, გკითხეთ.**

– რა თქმა უნდა, მტკივნეულია, როცა ტელევიზორს ჩართავ და, უცებ, შენზე ამბობენ, სამშობლოს მოღალატეაო, მაგრამ, ცდილობ, არ აჰყვე ასეთ ბინძურ ჭორებს. ჩემთვის გაცილებით გასაღიზიანებელი იყო ის, რომ, რა კონტაქტებიც მაქვს და მქონდა რუსეთთან, მართლაც შეიძლებოდა, ქვეყნის სასიკეთოდ ყოფილიყო გამოყენებული, მაგრამ, ასე არ მოხდა, პირიქით, უკუღმა შეატრიალა სააკაშვილმა და მისმა ხელისუფლებამ. ამიტომ, არ მაინტერესებს ჭორები. მთავარია, სწორად იცხოვრო, სწორად აკეთო შენი საქმე და, ამ საქმით, სინდისით, ქვეყნისა და შენი ოჯახის წინაშე მართალი იყო.

**ეკა პატარაია**



# რისგან იტანჯება ზოგიერთი ქალი ოჯახში და როდის ხდება ქმარი ცოლისთვის უცხო

**ადამიანის შეცვლა პრაქტიკულად შეუძლებელია. პრობლემები წყვილის ურთიერთობაში იწყება მაშინ, როცა ისინი ერთმანეთის გადაკეთებას ცდილობენ. თითოეული ჩვენგანი ინდივიდუალურია და განსაკუთრებული. ზოგჯერ დიდი გრძნობა გვაიძულებს, ჩვენს ჩვევებსა და ხასიათში რაღაც შევცვალოთ. თუმცა, ეს მცდელობა მარტივი ნამდვილად არ არის და არცთუ იშვიათად, დროებითია. მამაკაცებს არ უყვართ, როცა მათი პირადი თავისუფლება იზღუდება. მით უმეტეს, თუ ის დიდი ხნის განმავლობაში შეჩვეული იყო ერთპიროვნული გადაწყვეტილებების მიღებას და თანხების დამოუკიდებლად განკარგვას. ბევრი ქალისთვის ეს სერიოზული პრობლემაა, რომელიც დროთა განმავლობაში ნელ-ნელა მძიმდება. როგორც ჩანს, ორი სქესი არა მარტო ფიზიოლოგიურად და ფიზიკურად განსხვავდება ერთმანეთისგან, არამედ აზროვნებითა და კონკრეტულ სიტუაციაში ქმედებებით. თუ სიყვარული ისეთი ძლიერი არ არის, რომ ეს ყველაფერი გადაფაროს, განხეთქილება გარდაუვალია.**

**მაკა** ***(29 წლის):*** ჩემი ოჯახი კრახისკენ მიდის. თავდაღმართზე ვდგავართ და რისკენ მივექანებით, არავინ იცის. ვერ ვიტყვი, რომ ქმარი არ მიყვარს, მაგრამ...

ძალიან ახალგაზრდები ვიყავით ერთმანეთი რომ გავიცანით. რვა წლის განმავლობაში გვიყვარდა და სულ ერთად ვიყავით. როგორ ვერ გავიცანი ამ ხნის განმავლობაში, რომ ოჯახში სხვა კაცის პირისპირ აღმოვჩნდი.

**– რას გულისხმობთ?**

– იმას, რომ ოჯახში აბსოლუტურად სხვანაირი აღმოჩნდა. სადღაც გაქრა მისი ბევრი ისეთი თვისება, რომლითაც აღფრთოვანებული ვიყავი. მაგალითად, მიხაროდა, რომ ქორწინებას არ ჩქარობდა. ვფიქრობდი, როგორი პასუხისმგებლობა აქვს, როგორი სერიოზულია-მეთქი. თავიდანვე არ უთქვამს, რომ არ უნდოდა ჩემი მუშაობა. თუმცა, ძალიან კარგი სამსახური, ინსტიტუტის დამთავრებისთანავე ვიშოვე. ანუ, სანამ მისი ცოლი გავხდებოდი, უკვე მქონდა საკმაოდ ნორმალური შემოსავალი.

**– არასოდეს გილაპარაკიათ ქორწინებამდე ამ საკითხზე?**

– არა. არ ჩავთვალე საჭიროდ, მე ხომ ვმუშაობდი და მან ეს ძალიან კარგად იცოდა. რაღა იყო სალაპარაკო? ერთხელ მაინც, თვითონ რომ წამოეწია ეს თემა, მე ჩემს აზრს აუცილებლად გამოვთქვამდი. ახლა ვნანობ, ასე რომ არ მოხდა. ქორწილის მერე მთხოვა, იქნებ ცოტა ხანი შვებულება აიღო, სანამ დავლაგდებით და ოჯახს მოვაწყობთო. არაფერი განსაკუთრებული ამაში არ დამინახავს. ავიღე შვებულება. ჯერ კუთვნილი, მერე – უხელფასო... მერე ფეხმძიმედ დავრჩი და ჩემი ქმარი გადაირია: ტოქსიკოზი გაქვს და სამსახურში როგორ უნდა იარო. ბავშვი ხომ ყველაფერზე მნიშვნელოვანიაო. არც ამაზე გამომითქვამს პრეტენზია. დავეთანხმე. თვითონ ძალიან კარგად აეწყო. სერიოზული შემოსავალი ჰქონდა.

**– თქვენ როგორ გაძლევდათ ფულს, ხელმოზომილად?**

– იცით, რაშია საქმე? იმ პერიოდში მე განსაკუთრებულს არაფერს ვითხოვდი. საკვებსა და რაც ორსულს სჭირდება, ამ ყველაფერზე არანაირი პრობლემა არ მქონია. რა სისულელეა, პრობლემები მერე დაიწყო... ყოველ საღამოს ბედნიერი ველოდი ჩემს ქმარს და ახალ-ახალ, გემრიელ კერძებს ვუმზადებდი. ვურეცხავდი, ვუუთოებდი. თავისთვის ძვირფას ტანსაცმელს ხშირად ყიდულობდა, ბავშვისთვისაც. მე მეუბნებოდა, შენ ჯერ არ გინდა ბევრი ტანსაცმელი, სად დადიხარო. ერთ მშვენიერ დღეს, ერთფეროვნება და მზარეულ-დიასახლისის როლში ყოფნა ძალიან მომწყინდა. გადავწყვიტე, გავსულიყავი სამსახურში. ჩემს ძველ სამსახურში სიხარულით დამაბრუნეს და მეც სიამოვნებით დავბრუნდი. ბავშვი უკვე ორი წლის ხდებოდა. აღარ იყო პრობლემა მისი ბაღში მიყვანა. ქმარს აშკარად არ ესიამოვნა ჩემი გადაწყვეტილება. იქნებ ჩემთვისაც გეკითხაო და რომ გავიოცე, რა არის ამაში განსაკუთრებული-მეთქი, – ცუდია, ამას რომ ვერ ხვდებიო. გულახდილად რომ გითხრათ, მეწყინა. ისიც არ მესიამოვნა, რომ კარგად არ ვილაპარაკეთ და ბოლომდე არ ამოვწურეთ ეს თემა. როგორც კი სამსახურში გავედი, ჩემი ქმარი შეიცვალა, თანაც, შეიცვალა უარესობისკენ.

**– რა იგულისხმება უარესობაში?**

– გეტყვით. ფულის „მოჟოშკვა“ დაიწყო. მითხრა, ახლა ფული შენც გაქვს და ოჯახის ხარჯების ნაწილი დროა, საკუთარ თავზე აიღოო.

**– ამის გამო იჩხუბეთ?**

– არა. ხმაც არ ამომიღია. როგორც იტყვიან, გაგებით მოვეკიდე ამ ამბავს. ვიფიქრე, ოჯახზე ორივე ვზრუნავთ. ჩვენი ბიუჯეტი რამ გაყო-მეთქი და ხელფასს თითქმის მთლიანად მის საჭიროებას ვახმარდი. ბოლოს პროდუქტსაც კი მე ვყიდულობდი და ჩემთვის ფულის დახარჯვა მენანებოდა. არადა, ძალიან ბევრი რამ მჭირდებოდა. რას გიხსნით, ქალი რომ ხარ, ფორმაში ხომ უნდა იყო?

**ოჯახში სხვა კაცის პირისპირ აღმოვჩნდი. გაქრა მისი ბევრი ისეთი თვისება, რომლითაც აღფრთოვანებული ვიყავი**

თვეში ერთხელ მაინც ხომ უნდა წახვიდე სალონში, თმა დაივარცხნო, ფრჩხილები მოიწესრიგო. სეზონზე ერთი ახალი კაბა ან ფეხსაცმელი როგორ ვერ უნდა იყიდო?! როცა შემოსავალი შენც გაქვს და შენს ქმარსაც.

ერთხელ, კარადის უჯრაში რაღაცას ვეძებდი. უცებ ქაღალდების გროვაში ბანკის სახელფასო ბარათის ამონაწერს წავაწყდი. დავხედე და ლამის შოკში ჩავვარდი. თვალებს ვერ დავუჯერე. რამდენჯერმე წავიკითხე. სიმართლე შემაძრწუნებელი აღმოჩნდა. ჩემს ქმარს იმის ნახევარიც არ მოჰქონდა თანხიდან, რასაც რეალურად იღებდა. წარმოგიდგენიათ მაინც, რა დამემართებოდა?! იმდენი ვიტირე, ლამის გული გამისკდა. როგორ მინდოდა, ყველაფერი ცუდი სიზმარი ყოფილიყო. ჩემი ქმარი წელიწადზე მეტი იყო, რაც აშკარად მატყუებდა. ავიღე ეს საბუთები და როგორც ნივთმტკიცება, ისე შევინახე. რამდენიმე დღე საკუთარ თავს ვებრძოდი. ვერ ვწყვეტდი, როგორ მეთქვა ქმრისთვის.

**– იმაზეც ხომ არ ყოყმანობდით, საერთოდ გეთქვათ თუ არა?**

– არა. არანაირი ყოყმანი. აუცილებლად უნდა მეთქვა. ოჯახი რისთვის არსებობს? რომ ორმა ადამიანმა ერთ სულ და ერთ ხორც იცხოვრონ. გადაწყვეტილებები ერთად მიიღონ, პრობლემები ერთად მოაგვარონ...

ამ ფურცლებს ისე ვუყურებდი, როგორც ბომბს. თავში ისეთი ფიქრები და აზრები მიტრიალებდა, მიკვირს, სახლამდე როგორ მივედი. სამსახურშიც გონება ვერაფერს დავატანე... ყველაფერზე ეკონომიას მაკეთებინებდა. ზედმეტი ლარი რომ რამეში გადამეხადა, სკანდალს მიწყობდა და თვითონ ხელგაშლილი აბნევდა ფულებს. ეს, იცით, რა იყო? დამიჯერეთ, ღალატზე უარესი. მთლიანად მოვიშალე.

**– ღალატი გამორიცხეთ?**

– ვერაფერი ვერ გამოვრიცხე, ან როგორ უნდა გამომერიცხა, სადღაც ხომ მიჰქონდა ეს ფული?

**– თქვენ ხომ თქვით, რომ თავისთვის ბევრ ძვირფას ნივთს ყიდულობდაო.**

– ეგეც დავითვალე. თანხა – ანუ, ის ფული, რომელიც არ ჩანდა, გაცილებით მეტი იყო, ბევრად მეტი. ლამის ერთი კვირა გავიდა, სანამ გამბედაობას მოვიკრეფდი და ქმარს ვეტყოდი. როცა სახლში იყო, ტუჩებს ვიკვნეტდი, რომ წივილ-კივილი არ დამეწყო და კარგად არ გამომელანძღა. დაწყება მიჭირდა. არ ვიცოდი, საიდან დამეწყო. მინდოდა მშვიდი და არგუმენტირებული ვყოფილიყავი. ვერაფერი რომ ვერ ეთქვა თავის გასამართლებლად და აქეთ არ გადმოსულიყო შეტევაზე. კაცებს ხომ ჩვევად აქვთ – ყოველთვის მართლები იყვნენ.

**– თქვენ, რა თქმა უნდა, იფიქრეთ, რომ ჰყავდა საყვარელი და ამ ფულს მას ახარჯავდა?**

– მარტო ეგ კი არა, ყველაფერი ვიფიქრე – კაზინოც, ნაშებიც და კიდევ ათასი უბედურება. იმასაც ვფიქრობდი, როგორ ვიცხოვრე ოთხი წელი კაცთან, რომელსაც, თურმე, საერთოდ არ ვიცნობდი-მეთქი. თან, არც მარტო ფულში არ არის საქმე. ვერაფრით ვიპოვნე, ერთი გამამართლებელი მიზეზიც კი... ყოველთვის ვიცოდი, რომ ერთმანეთის მიმართ სრული ნდობა გვქონდა. ყველაზე საშინელი, სწორედ ამ ნდობის გამტყუნება ყოფილა. გეფიცებით, რომ ელალატა და გამეგო, ასე შეიძლება არ მენერვიულა. ამდენი ხანი ტყუილში ცხოვრება? – ამან გამაგიჟა.

**– რა გითხრათ ქმარმა?**

# როგორ იპოვა რუსეთში მცხოვრებმა გოგონამ მამა და ელოდებიან თუ არა მასთან შეხვედრას მისი ნახევარდაძმები

*24 წლის დარია ზურაბის ასული ანდიაშვილი ეძებდა 48 წლის ზურაბ ანდიაშვილს.*

**ისტორია**: ვეძებ მამაჩემს – 48 წლის ზურაბ ანდიაშვილს. მის შესახებ ინფორმაცია 1991 წლის შემდეგ არ მაქვს. როგორც ვიცი, ის რუსეთიდან საქართველოში, დმანისის რაიონის სოფელ ჯავახში უნდა წასულიყო. ძალიან მინდა მისი მოძებნა. თქვენი დიდი იმედი მაქვს. გიგზავნით მამას ფოტოს. გთხოვთ, დამეხმაროთ მის პოვნაში.



**ჟურნალისტის შენიშვნა**: დარია „ჟდი მენიას“ საიტიდან დამიკავშირდა და მამის მოძებნაში დახმარება მთხოვა. ის ამჟამად რუსეთში ცხოვრობს. მას რუბრიკა „დაკარგულების“ დიდი იმედი ჰქონდა და იმედი არ გაუცრუვდა. ეს ისტორია „დაკარგულების“ 22 ივლისის ნომერში დაიბეჭდა და დარიას მამა და მისი ოჯახი მალევე დამიკავშირდნენ. დაკარგული ზურაბი ნაპოვნია. ის ამჟამად საქართველოში სამ შვილთან ერთად ცხოვრობს. მთელი მისი ოჯახი მოხარულია დარიას გამოჩენით. დანარჩენს კი ჩემი რესპონდენტი თვად გიამბობთ.

**– დარია, 22 წელია, მამა არ გინახავს და ამ ხნის განმავლობაში მის შესახებ არაფერი იცოდი. რა რეაქცია გქონდა, როდესაც გაიგე, რომ ის ნაპოვნია და შენს ზარს ელოდება?**

– მამის პოვნა ძალიან მინდოდა, მაგრამ ეს თითქმის შეუძლებელი მეგონა. მე ქართული ენა არ ვიცი და ჩემი ისტორია მხოლოდ „ჟდი მენიას“ სამძებრო საიტზე განვათავსე. რაღაც პერიოდის შემდეგ გავიგე თქვენ შესახებ და იმედი მომეცა, დაგიკავშირდით და დღესდღეობით უბედნიერესი ვარ. მადლობა ყველაფრისთვის, რასაც თქვენ ხალხისთვის აკეთებთ. როდესაც მომწერეთ, რომ მამას მეორე ოჯახი აქვს და მე მყავს ნახევარდა და ორი ძმა, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მუდამ ვოცნებობდი, მყოლოდა ძმა ან და. ძალიან გამიხარდა, როცა გავიგე, რომ მათაც უნდათ ჩემთან დაკავშირება და ჩემი ნახვა. ყველაფერს გავაკეთებ, რომ ისინი ვინახულო და მამას ოჯახი გავიცნო. შეიძლება, თავიდან გამირთულდეს – ჩვენ ხომ 22 წელია, ერთმანეთი არ გვინახავს, მაგრამ, ის მამაჩემია და ყველაფერი კარგად იქნება.

**– აპირებ თუ არა საქართველოში ჩამოსვლას და როდის გეგმავ ამას?**

– მინდა, რომ საქართველოში ჩამოვიდე, მაგრამ ამისთვის ცოტა დრო დამჭირდება, მანამდე კი მამასთან ურთიერთობა ტელეფონით ან ინტერნეტით მექნება. დღემდე ვერ ვიჯერებ, რომ ის ნაპოვნია და ჩემთან შეხვედრა უნდა.



**– მამაშენს, თურმე, სულ ახსოვდი და შენი ამბავი ყოველთვის აინტერესებდა. გეგონა თუ არა, რომ შენს ისტორიას ასეთი დასასრული ექნებოდა?**

– როდესაც პირველად გადავწყვიტე მამას მოძებნა, მეგობრები მეუბნებოდნენ, რომ არაფერი გამოგივა, რადგან, მას რომ უნდოდეს შენთან დაკავშირება, ამდენი წლის განმავლობაში თვითონ გიპოვიდაო. მე კი სულ მჯეროდა, რომ მამას ვახსოვარ და ჩემი გამოჩენა მას გაახარებდა. გამიმართლა, რომ თქვენ ჩემი ისტორიით დაინტერესდით. რომ არა თქვენ, მე მამას კიდევ კარგა ხანს ვერ ვიპოვიდი. მისი ფოტოს იმედი კი მქონდა, მაგრამ, რამდენია დაკარგული ადამიანი, რომლებსაც დღემდე ვერ პოულობენ და მათზე ვერც რაიმე ინფორმაციას იგებენ. მთავარია, ალბათ, გჯეროდეს და აუცილებლად გაგიმართლებს. ჩემი ისტორიის ასეთი დასასრული ყველას უკვირს. „ჟდი მენიას“ ბევრი მიმართავს, მაგრამ, იმისთვის, რომ ადამიანი იპოვონ, მათ დიდი დრო სჭირდებათ, მე კი ივლისში დაგიკავშირდით და აგვისტოში უკვე ბედნიერი ვარ.

**– დედაშენმა თუ გაიგო, მამა რომ იპოვე და რა რეაქცია ჰქონდა?**

– დედამ იცოდა, მამას რომ ვეძებდი და, სიმართლე გითხრათ, ეს დიდად არ მოსწონდა, რადგან, ფიქრობდა, რომ მისი ამჟამინდელი ოჯახი (რომელიც მას უთუოდ ეყოლებოდა) ამის წინააღმდეგი იქნებოდა. მაგრამ, ყველაფერი კარგად დასრულდა. მისი ოჯახი გაგებით მოეკიდა ჩემს სურვილს და მე მოხარული ვარ ამით. მეც რომ ვყოფილიყავი მათ ადგილას, ზუსტად ასე მოვიქცეოდი. თქვენგან გავიგე, რომ პირველმა ჩემმა ნახევარდამ დაგირეკათ, რომელსაც, თურმე, ერთი სული აქვს, როდის დამელაპარაკება და მნახავს. ზურაბის მეუღლე კი, თურმე, საქართველოში არ იმყოფება, მაგრამ, როცა იქნება, მასაც გავიცნობ. დარწმუნებული ვარ, არაჩვეულებრივი ქალია.

***თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.***

**ნატალია მახარაშვილი**

---

# რედაქციაში წერილი მოვიდა

**მე ძალიან ძლიერი და პრინციპული პიროვნება ვარ. ასეთი ვიყავი ყოველთვის და ასეთი შემიყვარა ჩემმა ქმარმა. ახლა კი პრეტენზიები აქვს. თურმე, ისეთი არ ვყოფილვარ, როგორიც ეგონა. რატომ უნდა გავხდე ისეთი, როგორიც მას უნდა, მე ხომ ზრდასრული ადამიანი ვარ?! რატომ ჰგონიათ ამ კაცებს, რომ ცოლი ენაჩავარდნილი მონა უნდა იყოს და, ქალი რომ გათხოვდება, საკუთარი აზრი არაფერზე აღარ უნდა გააჩნდეს? ვეჩხუბო თუ რა ვქნა?!**

– ოო, ეგ კიდევ ცალკე თემაა. როგორც იქნა, დაველაპარაკე. აღარ დამიწყია მიკიბვ-მოკიბვა. პირდაპირ ავიღე და წინ დავუდე ქაღალდები. ეს რა არის-მეთქი. იცით, როგორ წამოხტა და გადაირია? მთელი ხმით ბღაოდა, შენ როგორ გაბედე და ჩემს საბუთებში ქექვა როგორ დაიწყე?! უსირცხვილო ქალი ხარ. ამაზრზენი, თავმოყვარეობა საერთოდ არ გქონიაო, – იქით შემომიტია. კიდევ უფრო გამიმწვავდა მდგომარეობა. ისეთი აგრესია გამიჩნდა, რაც ხელში მომხვდა, ყველაფერი ძირს გადმოვყარე. მეც ვკიოდი, შეურაცხადივით ვიქცეოდი. მოვითხოვდი, ეთქვა, სად წაიღო ფული. ისე გამლანძღა და ისეთი სიტყვები მიწოდა, გახსენება აღარ მინდა, ცუდად გავხდი. ჩემ წინ სხვა კაცი იდგა და ვიგრძენი, როგორ გაქრა ჩემი გრძნობა მის მიმართ. გეფიცებით, ეს ერთ წუთში მოხდა. იმ მომენტში, როცა მისი ნამდვილი სახე დავინახე – ეგოისტის და უპასუხისმგებლო ადამიანის. როგორ, თუ ცოლია ქმრის წინაშე ანგარიშვალდებული, ქმარი ზუსტად ისე არ უნდა იქცეოდეს?! მე რამე განსაკუთრებული მოვითხოვე? რატომ მატყუებდა? რას მიმალავდა? ყველაფრის გაგება შემიძლია და პატიებაც, თუ ნორმალურად ამიხსნიან.

## ჩემი ოჯახი თავდაღმართზე დგას და საით მიექანება, არავინ იცის. ვერ ვიტყვი, რომ ქმარი არ მიყვარს, მაგრამ...

**– იქნებ სამსახურში ჰქონდა პრობლემები? კაცებს არ უყვართ ხოლმე, თავის საქმეებზე ლაპარაკი.**

– მესმის, მაგრამ ეთქვა. რატომ შეეპარა ეჭვი, რომ შეუგნებელი ვიყავი და ვერ გავიგებდი?! ასეთი ცოლი მე არ ვიყავი. პირიქით, თვალებში ვუყურებდი და თავზე ვევლებოდი.

**– არ თქვა მიზეზი? საერთოდ არაფერი გითხრათ?**

– მიზეზი არ მითხრა. სამაგიეროდ, ქუჩის უკანასკნელი ქალივით გამომლანძღა. ძუკნა ხარ, ფულზე გადარეული არარაობა. მინდოდა და ვხარჯავდი. შენ ვინ გეკითხებაო. იმტვრიე ახლა იმაზე ფიქრით თავი, რაში დავხარჯე და რატომ. შეიძლება, საყვარელიც მყავს, მაგრამ ვინ გკითხავს შენო. მე თითქოს არაფერი ვყოფილვარ. საკმარისი ფული მომქონდა ოჯახში და დანარჩენს რას ვუზამდი, ცოლისთვის რატომ უნდა მეკითხაო.

**– მაინც გგონიათ, რომ სხვა ქალი ჰყავს?**

– გულახდილად რომ გითხრათ, მე ეს ამბავი უკვე ნაკლებად მაინტერესებს. შეიძლება, ჰყავს და თანაც, არა ერთი. პრობლემა ის არის, როგორ გავაგრძელო ცხოვრება ასეთ კაცთან. რანაირად ვიყო მასთან, როგორ მოვეფერო, როგორ ჩავეხუტო... მხოლოდ ბრაზი და აგრესია მაქვს მის მიმართ... სიყვარული მოკვდა. როგორმე ფეხზე უნდა დავდგე, მოვკიდო ჩემს შვილს ხელი და მივატოვო. მეტყვით, იქნებ ეს მისი ნაკლიაო, მაგრამ მე არ შემიძლია, ასეთ ნაკლთან შეგუება. მით უმეტეს, როცა ვხედავ, რომ თვითონ ფეხებზე ვკიდივარ.

**დალი მიქელაძე**

**გამოხმაურება:** როგორც ჩანს, თქვენი ქმარი სტერეოტიპების ტყვეობაშია. გაგიჭირდებათ, თუ ბრძოლას გამოუცხადებთ. იქნებ, ტკბილი სიტყვით აუხსნათ, რა გინდათ მისგან. შეეცადეთ, მშვიდად და ნორმალურად დაელაპარაკოთ. თუ მწვავედ დაუპირისპირდებით, ძალიან გაართულებთ სიტუაციას.

ფსიქოლოგი
**მაგდა რობაქიძე**

**„მახსოვს, პირველად რომ ვნახე თბილისში, ტელევიზორში „რივერდანსის“ შოუ, როგორი აღფთოვანებული ვიყავი, შემდეგ, 2000 წელს, ნიუ-იორკში ცოცხლად ვნახე მათი კონცერტი გერშვინის თეატრში, 2005 წელს კი ნიუ-იორკში „რადიო სიტი მიუზიკ ჰოლში“ ვიყავი მათ წარმოდგენაზე. სიმართლე გითხრათ, არასდროს მიფიქრია, რომ ერთ დღეს მეც ვიცეკვებდი „რივერდანსში“ და ხუთი წლის შემდეგ მე თვითონ ვიდგებოდი „რადიო სიტი მიუზიკ ჰოლის“ სცენაზე. არა იმიტომ, რომ ეს წარმოუდგენლად მეჩვენებოდა, უბრალოდ, იმ დროისთვის ჩემს პროფილად უფრო კლასიკური ბალეტი მიმაჩნდა და, შესაბამისად, მთელი ყურადღება მისკენ მქონდა მიმართული“... – ეს სიტყვები ნათია რთველიაშვილს ეკუთვნის, რომლის ექსკლუზიური ინტერვიუც ჯერ კიდევ 2010 წელს დაიბეჭდა „თბილისელებში“. ნათია ერთადერთი ქართველი მოცეკვავეა, რომელიც წლების განმავლობაში ცეკვავდა „რივერდანსში“ და სწორედ იქ შეხვდა თავის მომავალ მეორე ნახევარს. დღეს ნათია „მეტროპოლიტენ ოპერაში“ ცეკვავს, სხვადასხვა კომპანიასთანაც თანამშრომლობს და, რაც მთავარია, ცნობილ კომპანია BALLET BEAUTIFUL-ში მსახიობებისა და „ვიქტორიას სეკრეტის“ მოდელების გარეგნობის, ფორმების დახვეწასა და შენარჩუნებაზე ზრუნავს.**

# როგორ ავარჯიშებს ნათია რთველიაშვილი „ვიქტორიას სეკრეტის“ მოდელებს სხეულის კარგი ფორმის შენარჩუნებასა და მოდელის ვიზუალის შექმნაში და როგორ მიულოცა მას და მის მეუღლეს დაქორწინება ბრუკლინის მერმა

### „რივერდანსში“ ნაპოვნი ბედნიერება

სულ მენატრება საქართველო, თბილისი, ჩემი ოჯახი. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ დატვირთული გრაფიკი მაქვს, ვცდილობ, წელიწადში მინიმუმ ერთხელ მაინც ჩამოვიდე. ჩემი მეუღლე, როგორც იცით, „რივერდანსში“ გავიცანი. ის ირლანდიური წარმოშობის ამერიკელია და ჩვენს შოუში ვიოლინოზე უკრავდა. მას ძალიან უყვარს საქართველო, ქართველი ხალხი. პატრიკი, გარდა იმისა, რომ მევიოლინეა, პარალელურად დიჯეობს, მუსიკას წერს – მრავალმხრივი ადამიანია. თან, რაც ყველაზე საინტერესოა, ელექტროვიოლინოზე უკრავს თანამედროვე მუსიკას დიჯეისთან ერთად. პატრიკი ერთ-ერთი პირველია, ვინც ეს საქმე წამოიწყო, ყველა ჟანრის მუსიკის იმპროვიზაციას აკეთებს ელექტროვიოლინოზე, რომელსაც ძალიან საინტერესო ჟღერადობა აქვს. ის თითქოს სხვა დარგში მოღვაწეობს და მე – სხვაში, მაგრამ, მაინც ერთ სფეროში ვტრიალებთ. პატრიკს ჩაწერილი აქვს სოლო მუსიკალური ალბომი და ახლა ახალ ალბომზე მუშაობს, უკვე დაწერილი აქვს ბევრი მუსიკა. მის ერთ-ერთ კომპოზიციას ჰქვია „გზად შატილისკენ“. შარშან, აქ რომ ვიყავით, შატილში წვედით და მასზე იმხელა შთაბეჭდილება მოახდინა, მუსიკა დაწერა, რომელიც ამ ალბომში შევა.

### „რივერდანსიდან“ „მეტროპოლიტენ ოპერაში“

როგორც იცით, „რივერდანსი“ – ეს არის ირლანდიური ცეკვების შოუ, რომელშიც შედის, ასევე, სხვადასხვა ქვეყნის ცეკვებიც. მე ვასრულებდი მოისეევის დადგმულ რუსულ ნომერს და, ასევე, ერთ-ერთ ირლანდიურ მუსიკაზე ნეო-კლასიკის სტილში გაკეთებულ, თანამედროვე საბალ-



**მქონდა საინტერესო პროექტი ქორეოგრაფ სესილია მარტასთან, რომელიც ერთ-ერთ ვორკ-შოპზე გავიცანი. მან მაშინვე შემამჩნია და თავის კომპანიაში მიმიწვია**

ეტო დუეტს. ფინალში დიდი ხაზი რომ არის, ყველა ერთად ცეკვავს, იქ ცოტა ირლანდიურიც გვასწავლეს. წინა ინტერვიუს დროს, როდესაც ჩვენ ვისაუბრეთ, სწორედ მაშინ ვიმყოფებოდი „რივერდანსთან“ ერთად ჩემს ბოლო გასტროლზე. მეც და პატრიკსაც უკვე გადაწყვეტილი გვქონდა ოჯახის შექმნა, ნიუ-იორკში საცხოვრებლად დარჩენა და კარიერის გაგრძელება. ეს ერთგვარი რისკი იყო და თითქოს მეშინოდა დაბრუნება. ნიუ-იორკი ცეკვის დიდი მეგაპოლისია და ოთხი წელი დიდი დროა იმისთვის, რომ არ ჩანდე ნიუ-იორკის სცენაზე. ამიტომ, არ ვიცოდი, როგორ გაგრძელდებოდა ჩემი, როგორც მოცეკვავის კარიერა. როცა ოთხი წელი ერთსა და იმავე სტილში ცეკვავ, რა თქმა უნდა, ამ სტილში იდეალურ ფორმაში ხარ, მაგრამ, სხვა მხრივ თითქოს არ ხარ ფორმაში. ამიტომ, როგორც კი ჩაიარა ჩვენმა ქორწილმა, მერე დავიწყე ყველა სტილში მომზადება. ახლა ისეთი დროა, თუ ცეკვის ყველა სტილში არ ხარ ძლიერი, ნიუ-იორკში სამსახურს ველარ იშოვი. რაც უფრო მეტი შეგიძლია, მით უფრო მეტი შესაძლებლობა გაქვს, აგიყვანონ სხვადასხვა პროექტში სამუშაოდ. ასე რომ, „რივერდანსთან“ დავამთავრე ურთიერთობა. ეს რთული იყო, მაგრამ, მზად ვიყავი, სხვა ნაბიჯი გადამედგა.

### დაბრუნება „მეტროპოლიტენ ოპერაში“

ახალი წესით, ყოველ წელს, „მეტროპოლიტენ ოპერაში“ ახალ სპექტაკლებში, რომლებიც შემდეგ სეზონზე იდგმება, აჰყავთ ახალ-ახალი მოცეკვავეები, ანუ, კონკრეტულ ოპერაში კონკრეტულ მოცეკვავეებს იყვანენ. გამოცხადებული იყო ქასთინგი სამ ოპერაზე, რომლებიც მომავალ წელს იდგმებოდა. მოკლედ, ისეთ ფორმაში შევედი, პირველივე მისვლაზე ამიყვანეს და 2011 წლიდან ისევ „მეტროპოლიტენ ოპერაში“ ვმუშაობდი ორ სხვადასხვა სპექტაკლზე. იმდენად ბედნიერი ვიყავი, რომ ძნელია ამ ყველაფრის გადმოცემა. ისინი ქორეოგრაფებს იწვევენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, ყველას თავისი სტილი, ხედვა აქვს, შესაბამისად, ტაქტიკაც შეცვლილი აქვთ და ურჩევნიათ, აიყვანონ ისეთი მოცეკვავეები, როგორიც მათ სტილს უხდება. თითო სპექტაკლზე შეიძლება სჭირდებოდეთ 3-დან 50-მდე მოცეკვავე, გასინჯვაზე კი, შესაძლოა, 300 ადამიანი მოვიდეს. ასე რომ, კონკურენცია საკმაოდ დიდია. როდესაც ისეთ ორგანიზაციაში მუშაობ, როგორიც არის „მეტროპოლიტენ ოპერა“, გაწევრიანებული ხარ პროფკავშირებში და უფრო მეტი პრივილეგია გაქვს. შესაბამისად, არის გასინჯვები, როდესაც პირველად გავდივართ. ზოგჯერ, შეიძლება, თვითონ დირექტორმა დაგპატიჟოს, მაგრამ, როცა ახალი ქორეოგრაფი დგამს ახალ სპექტაკლს, მან შენზე არაფერი იცის და ამიტომაც გიბარებს გასინჯვაზე. გარდა ამისა, აქ არის ასეთი მიდგომა: ყველას უნდა ჰქონდეს თანაბარი შანსები, რომ სამსახური მიიღოს. რეზიუმეს კი უყურებენ, მაგრამ, დიდ ყურადღებას აქცევენ იმას, რას გააკეთებ, როგორ იცეკვებ. გარდა ამისა, მქონდა საინტერესო პროექტი ქორეოგრაფ სესილია მარტასთან, რომელიც ერთ-ერთ ვორკ-შოპზე გავიცანი. ზაფხულობით ნიუ-იორკში, „ცენტრალ პარკში,“ ღია სცენაზე ტარდება „ზაფხულის ფესტივალი“, სადაც არაჩვეულებრივი კონცერტები იმართება, იწვევენ მომღერლებს, მოცეკვავეებს. სესილია მარტასაც ჰქონდა შემოთავაზება, რომ გაეკეთებინა კონცერტი ამ სცენაზე. მან ჩემში დაინახა და შეძლო, გაეღვიძებინა ის, რაც მეც არ ვიცოდი, რომ შემეძლო. ეს უფრო არის მსოფლიო თანამედროვე ჯაზი. თუმცა, ცეკვის ჯაზს მუსიკის ჯაზთან არანაირი კავშირი არ აქვს, სხვადასხვაა, უბრალოდ, სახელი აქვთ ერთი. ამ ქალის ქორეოგრაფიაში იგრძნობა სხვადასხვა ქვეყნის კულტურის საწყისიდან წამოსული მოძრაობები. წარმოდგენამ არაჩვეულებრივად ჩაიარა. ყველა მოცეკვავე რადიკალურად განსხვავდებოდით ერთმანეთისგან და უფრო საინტერესოც გამოვიდა. ამერიკაში ძალიან პოპულარულია „მაკნატუნა“. ყოველ ზამთარს მისი სეზონია და ნიუ-იორკში თითქმის არ არის არც ერთი ბალეტი, სადაც ამ დროს „მაკანტუნას“ არ ცეკვავენ. ჩემს ახლანდელ მდგომარეობას ჰქვია „ფრი ლაინს“, ანუ, არც ერთ კომპანიას არ ეკუთვნი, თვითონ ირჩევ, სად და როდის გინდა მუშაობა. ეს მომწონს, რადგან, მეხმარება იმაში, რომ ზრდა განვაგრძო, კონკურენციას გავუძლო, იდეალურ ფორმაში ვიყო, უფრო მეტს მივაღწიო, მეტი ვისწავლო და მეტ სტილში მოვსინჯო საკუთარი ძალები. „რივერდანსიდან“ თუ იქნება შემოთავაზება და იმ პერიოდისთვის სხვა პროექტში არ ვიქნები დაკავებული, აუცილებლად დავთანხმდები. თან, 20 წლის იუბილესთვის შოუში მთელი შემადგენლობა ბრუნდება. ამიტომ, არ არის გამორიცხული, ცოტა ხნით დავბრუნდე. „რივერდანსში“ საუკეთესო წლები მაქვს გატარებული.




### ქართულ-ამერიკულ-ირლანდიური ქორწილი

„რივენდანსის“ ბოლო სპექტაკლზე ჩემი მშობლები, ძმა, რძალი ჩამოვიდნენ, პირველად დაესწრნენ კონცერტს ჩემი მონაწილეობით და ძალიან ამაყად ისხდნენ. თან, პატრიკს, მათ მომავალ სიძეს მიჰყავდა მთელი შოუ. ორი საათის განმავლობაში სულ უკრავს – ვიოლინოს როლი „რივერდანსში“ ძალიან დიდია. კონცერტის შემდეგ დავბრუნდით ნიუ-იორკში – 20 ივნისს გვქონდა ქორწილი დაგეგმილი. მთელი ქორწილი რამდენიმე კულტურის, ხელოვნების სხვადასხვა დარგის შერწყმა იყო: მე – მოცეკვავე, პატრიკი – მომღერალი, ჩვენი მეგობრები „რივერდანსიდან“; ასევე, უკრაინელი, რუსი მეგობრები, ამერიკელები, პატრიკის ნათესავები და ჩემი მეგობრები. ჩემთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მათთვის ქართული კულტურა მეჩვენებინა. ამიტომ, გავაკეთეთ 20-წუთიანი ქართული ცეკვის შოუ, რომელიც წარმოადგინა ქართული ცეკვების ანსამბლმა „ფესვებმა“, რომლის ხელმძღვანელები, ვანო და შორენა, ჩემი მეგობრები არიან. ვანომ ორ სალამურზე რომ დაუკრა, ხალხი გაგიჟდა. მე, რა თქმა უნდა, ვიცეკვე „ქართული“. ეკლესიაშიც, ცერემონიალზე, ჩვენმა მეგობრებმა დაუკრეს. კათოლიკურ ეკლესიაში დავიწერეთ ჯვარი. მღვდელი პატრიკის ოჯახის ახლო მეგობარია, პატარაობიდან იცნობს პატრიკს, მეც უკვე კარგად მიცნობს, ჩვენს კონცერტებზე ნამყოფია და, მოკლედ, პერსონალური ჯვრისწერა გვქონდა. ქორწილში, რომელიც მანჰეტენზე გაიმართა, ჯერ პატრიკის მეგობრებმა დაუკრეს ირლანდიური მუსიკა. რა თქმა უნდა, გადმოხტნენ „რივერდანსის“ მოცეკვავეები და არაჩვეულებრივი, მაგარი წარმოდგენა გამართეს, მერე მათ ჩემი რუსი მეგობრები ჩაენაცვლნენ და დაიწყეს ცეკვა. ერთმა მეგობარმა, რომელიც გიტარით იყო მოსული, მთხოვა, ბოშური მეცეკვა. ადრე რუსულ ფოლკლორულ ანსამბლ

**(გაგრძელება 46-ე გვერდზე)**

# რომელი ცნობილი თბილისური სასტუმროს ადგილზე აშენდა „მაკდონალდსი" მარჯანიშვილის მოედანზე, რომელი ისტორიული შენობები აიგო აღმაშენებლის გამზირზე გერმანელი არქიტექტორის პაულ შტერნის პროექტით და რით იყო განთქმული სასტუმრო „ევროპა" მიხეილის პროსპექტზე

დავით აღმაშენებლის გამზირის დაგეგმარება და მშენებლობა 1818 წლიდან იღებს სათავეს. ეს არის თბილისის ამ მიდამოებში ვიუტენბერგიდან წამოსული გერმანელი კოლონისტების ჩასახლების პერიოდი. კოლონია მეცხრამეტე საუკუნეში „ალექსანდერდორფის" სახელით იყო ცნობილი. თბილისელები კი მარცხენა სანაპიროს ამ ტერიტორიას „კუკიას" უწოდებდნენ. გერმანელების მასიურ ჩასახლებამდე ამ ადგილზე სოფელი კუკია იყო, სადაც თელეთიდან გადმოსახლებული გლეხები ცხოვრობდნენ. მოგვიანებით, თავად გერმანელებმა ამ ადგილს „ახალი ტიფლისი" უწოდეს. კოლეჟსკი



ყოფილი ტუმაევის სახლი, ამჟამინდელი გერმანიის საელჩოს შენობა (1910-იანი წლები)

ასესორ ტოვარნიცკის 1836 წელს შედგენილ თბილისის გეგმაზე აღნიშნულია ალექსანდერდორფის ცენტრალური ქუჩის მშენებლობა, რომლის იდეა მაშინდელ მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს ეკუთვნოდა. სწორედ მის პატივსაცემად ეწოდებოდა ამჟამინდელ აღმაშენებლის გამზირს ოქტომბრის რევოლუციამდე მიხეილის პროსპექტი. 1991 წლამდე ის პლეხანოვის პროსპექტი იყო. აღსანიშნავია, რომ მიხეილის პროსპექტი პირველად თბილისის 1851 წლის გეგმაშია აღნიშნული.



რკინიგზელთა კულტურის სახლი (1950-იანი წლები)



მელიქ-დადაიანის შემოსავლიანი სახლი, ყოფილი რკინიგზის ტექნიკუმი (1940-იანი წლები)

აღმაშენებლის პროსპექტზე არაერთი ისტორიული შენობაა, რომელთაც პირვანდელი სახე შეუნარჩუნდათ რამდენიმე წლის წინ ჩატარებული რეკონსტრუქციის დროს. ყოფილ მიხეილის პროსპექტზე არაერთი ცნობილი, თბილისში მოღვაწე არქიტექტორის სანიმუშო პროექტებით აგებული შენობებია. პაულ შტერნის პროექტით აშენდა ყოფილი ტუმაევის სახლი, ამჟამინდელი გერმანიის საელჩოს შენობა. პროექტი ქალაქის მმართველობამ 1891 წელს დაამტკიცა. შენობის გარე გაფორმება შესრულებული იყო მავრიტანული სტილით. რამდენიმე წლის შემდეგ არქიტექტორ შიმკევიჩის ახალი პროექტის მიხედვით გადაკეთდა ორსართულიანი სახლი და რენესანსის სტილის ეს ნაგებობა დღესაც ერთ-ერთი ულამაზესია თბილისში. თავდაპირველად, სახლი გერმანული სათვისტომოს საკრებულოსთვის აიგო, შემდგომში კი ტუმაევის სახლს უწოდებდნენ. სავარაუდოდ, მისი მფლობელი სომეხი ეროვნების ვაჭარი ტუმაევი გახლდათ. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ კი ეს მდიდრული შენობა სახელმწიფოს საკუთრებაში გადავიდა და სხვადასხვა დროს იქ იყო თბილისის მეშვიდე საშუალო სკოლა, რომელიც მე-13 ქალთა სკოლასთან გაერთიანების შემდეგ, 24-ე საშუალო სკოლა გახდა და ამ შენობაში 1956 წლამდე ფუნქციონირებდა. შემდეგ ამ შენობაში დაიდო ბინა მუსიკალურმა სასწავლებელმა და საქართველოს კინემატოგრაფისტთა კომიტეტმა. 1992 წლიდან კი იქ გერმანიის საელჩო ფუნქციონირებს. პაულ შტერნის პროექტითაა აგებული 1893 წელს, აღმაშენებლის გამზირისა და ბაქოს ქუჩის კუთხეში მდებარე გოთური სტილის შენობა, რომელიც თავდაპირველად, საცხოვრებელი სახლი იყო. შემდგომ კი მასში განთავსდა „ტფილისის დავრდომილთა თავშესაფარი". აღმაშენებლის გამზირის და ბაქოს ქუჩის მეორე კუთხეში, სადაც ამჟამად 24-ე საჯარო სკოლაა, 1939-1942 წლებში სამხედრო ჰოსპიტალი იყო. ომის დასრულების შემდეგ, 1955 წლამდე, ჭიჭიკო ბენდელიანის სახელობის საავიაციო ინსტიტუტი ფუნქციონირებდა ამ შენობაში, ხოლო 1956 წლიდან – სკოლა, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩეხი განმანათლებლის, იან ამოს კომენსკის სახელს ატარებდა. 24-ე სკოლა აქვთ დამთავრებული პაატა ბურჭულაძესა და გოგი დოლიძეს, რომლის ბიუსტიც ამშვენებს ამჟამად სკოლის სკვერს. საცხოვრებელი სახლი აღმაშენებლისა და ჯანსუღ კახიძის (ყოფილი კრილოვის) ქუჩ-



„ტფილისის დავრდომილთა თავშესაფრის" შენობა. მეოცე საუკუნის დასაწყისისა და თანამედროვე ხედები



ის კუთხეში ასევე პაულ შტერნის პროექტითაა აგებული 1893 წელს და არქიტექტორიც ამ სა-



პლეხანოვის (აღმაშენებლის) გამზირის ხედი, 1940-იანი წლები. მარჯვენა კუთხეში მდგარი შენობის ნაცვლად, 1966 წელს გაიხსნა მეტროსადგური „მარჯანიშვილი"

ხლში ცხოვრობდა ოჯახთან ერთად. ცნობილი სომეხი არქიტექტორის, გაბრიელ ტერ-მიქელოვის პროექტით აშენდა აღმაშენებლის გამზირზე მდებარე ორი ისტორიული შენობა: 1950 წელს რკინიგზელთა კულტურის სახლი და სომეხი ვაჭრის, მელიქ-დადაიანის „შემოსავლიანი

(გაგრძელება 31-ე გვერდზე)

**სულისა და სხეულის გაყრის შემდეგ, როგორც კი სხეული, უფლის კურთხევის თანახმად, მიწას მიებარება, ერთი შეხედვით თითქოს ყველაფერი სრულდება; მაგრამ ბიბლიური სწავლებით, სიკვდილი და საფლავი ის კარიბჭეა, რომელსაც ახალ ცხოვრებაში შევყავართ. ცხადია, ეს ცხოვრება მიუწვდომელია ურწმუნოთათვის, რომლებსაც სიკვდილი ყველაფრის დასასრულად მიაჩნიათ. წმიდა იოანე ოქროპირი გვეუბნება: „მართალია, ადამიანთაგან არავინ დაბრუნებულა, მაგრამ, უფალმა, ვისიც ყველაზე მეტად უნდა გვწამდეს, ეს განგვიცხადა“. ამ თემის შესახებ გვესაუბრება ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა გიორგი (თევდორაშვილი).**

# რა ეხმარება ადამიანს თავისი ცხოვრების გაკონტროლებაში და რისი უფლება ეძლევა გარდაცვლილის სულს ორი დღის განმავლობაში



**თავად უფალი იესო ქრისტეს გმობაც კი შეიძლება მიეტევოს ადამიანს, თუ ეს გონების დროებითი დაბინდვისას ან უცოდინარობით იქნება ჩადენილი**

**– სახარების თანახმად, წინასწარ შეგვიძლია, განვჭვრიტოთ, რისთვის ვიქნებით მსჯავრდებულები და როგორ შეიძლება შეწყალებულნი ვიყოთ. და, მაინც, რა ელოდება ადამიანს კერძო სამსჯავროზე წარდგენის წინ, რისი გავლა უწევს მას?**

– როდესაც ადამიანის სული ამ სამყაროს ტოვებს, ის დიდ ნუგეშს იღებს თავისი სხეულის გარშემო მყოფი ახლობლებისა და მეგობრების დანახვისას. საუბარია იმ ადამიანებზე, რომლებიც ჩვეულებრივი სიკვდილით კვდებიან. ამ დროს ქრისტიანის სული ახლობლების მწუხარებითა და ტირილით მისდამი სიყვარულსა და ერთგულებას გრძნობს. თუ მომაკვდავის სხეული აღსასრულის ჟამს ნათესავებითა და მეგობრებით არის გარშემორტყმული, მსგავსად ამისა, სხეულთან განშორებული და მარადიული სამყოფლისკენ მიმავალი სული თავისი მონათესავე, სულიერი არსებებით არის გარშემორტყმული. სათნოებით შემკული სული ნათლის ანგელოზების გარემოცვაშია, ცოდვილი სული კი – ბოროტი და ბნელეთის სულის, ანუ დემონების გარემოცვაში იმყოფება. ანგელოზები მიაცილებენ არა მხოლოდ მართალთა სულებს, არამედ ცოდვილებსაც, როგორც ამას აღნიშნავს იოანე ოქროპირი. ჩვენი შეწყალება, ჩვენი მარადიული ცხოვრება, შემოქმედის წინაშე კეთილკრძალულ ძრწოლაშია. შიში – არ შევცოდო, შიში – არ შეურაცხვყო სიყვარული, მოყვასი, საკუთარი თავი – ეს ადამიანს საკუთარი ცხოვრების გაკონტროლებასა და უფლის მცნებების დაცვაში ეხმარება. ის მცირე ძრწოლა, რომელსაც ქრისტიანი განიცდის, არის მარცვალი მეორედ შობისა, რაზეც მაცხოვარი ნიკოდიმოსთან საუბრობდა და რომლის გარეშეც ვერავინ შევა სასუფეველში. სულის სისუფთავე ადამიანს წინმავალ ცხოვრებაში უწყვეტი ლოცვით განწმედისა და განმტკიცებისკენ მოუწოდებს. ეს პრაქტიკა სულს აცოცხლებს, კვებავს, ანათლებს, ხვეწს, წმენდს ბოროტისგან, ბნელი ძალებისგან. ნებისმიერ მორწმუნეს შეუძლია, განიკურნოს, თუ ის ეკლესიის წიაღში ცხოვრობს, ლოცულობს, მიუტევებს სხვებს ცოდვებს და თავადაც შეინანიებს, ამას კი უფალი ყოველთვის შეისმენს და სამსჯავროზე ჩვენს სულებს შეიწყალებს. სულებს ღმერთის კერძო სამსჯავროს წინ უძღვის სულთა გამოცდა ეგრეთ წოდებულ საზვერეებზე, რომელთა გავლითაც ისინი ანგელოზთა თანხლებით ხვდებიან ჰაერთა სფეროში, სადაც ბოროტი სულები აკავებენ მათ და ამხელენ სიცოცხლეში ჩადენილ ყველა ცოდვაში, ანგელოზები კი მიუთითებენ სულის კეთილ საქმეებზე და ზრუნავენ მის გამართლებაზე. კეთილი სულები, რომლებიც მთელი ჩვენი ცხოვრების განმავლობაში ჩვენი განუყრელი ხელმძღვანელები არიან ყოველგვარ კეთილ საქმეებში, განსაკუთრებით კი – მფარველი ანგელოზები, ყოველი ნათლისღებულისთვის ღმრთისგან გამოგზავნილი, არ გვტოვებენ ჩვენ სიკვდილის მძიმე წუთებშიც. მფარველი ანგელოზები ადამიანს ბოლომდე მფარველობენ, არ ტოვებენ სიკვდილის მძიმე წუთებში, ისინი ამხნევებენ სულს და ხელმძღვანელობენ იმ საშინელი, მისთვის სრულიად უცნობი გადასვლისას ამქვეყნიური ცხოვრებიდან მარადისობაში. თუმცა, ბოროტი ძალები, მეორე მხრივ, შემთხვევას არ უშვებენ, რათა გააკეთონ ჩვენი სულისთვის დამღუპველი რამ, სხეულთან მისი გაყრის შემდეგაც. ორი დღის განმავლობაში სულს ეძლევა ნება, მასთან მყოფ ანგელოზებთან ერთად იაროს მიწაზე, სადაც მოესურვება. ამიტომ, სული, სხეულის მოყვარული, დაეხეტება ხან სახლის ახლოს, სადაც განეშორა სხეულს; ხან კუბოსთან ახლოს, სადაც ასვენია მისი სხეული. კეთილისმყოფელის სული კი დადის იმ ადგილებში, სადაც სიკეთის კეთების ჩვეულება ჰქონდა. მესამე დღეს კი სული ზეცად ადის ღმერთისთვის თაყვანისაცემად.

**სული, სხეულის მოყვარული, დაეხეტება ხან სახლის ახლოს, სადაც განეშორა სხეულს, ხან კუბოსთან ახლოს, სადაც ასვენია მისი სხეული. კეთილისმყოფელის სული კი დადის იმ ადგილებში, სადაც სიკეთის კეთების ჩვეულება ჰქონდა**

**– რას აკეთებს ამის შემდეგ სული?**

– ღმერთის თაყვანისცემის შემდეგ, ანგელოზები სულს აჩვენებენ წმიდანთა სავანეებსა და სამოთხეს ექვსი დღის განმავლობაში. ამის შემდეგ ანგელოზებს სული კვლავ აჰყავთ ღმერთის თაყვანსაცემად, მერე კი სული ჩაჰყავთ ჯოჯოხეთში და აჩვენებენ მას სხვადასხვა ადგილს, ადამიანების ტანჯვას, წამებას, რომლის დროსაც სულები განუწყვეტლივ გოდებენ. სული წამების ამ ადგილებში სულ დაიარება 30 დღის განმავლობაში, რათა თვითონაც არ მიესაჯოს მათში ჩაკეტვა. მეორმოცე დღეს ის კვლავ აღიყვანება ღმრთის თაყვანსაცემად და ამჯერად უკვე მსაჯული განსაზღვრავს მის ადგილსამყოფელს. იმ მდგომარეობას, რომელშიც გადის სული და რომელშიც არსებობს სხეულთან განშორების მომენტიდან საშინელ სამსჯავრომდე, ღმერთშემოსილმა მამებმა „გაურკვეველი მდგომარეობა“ უწოდეს, რადგან, სული არ იღებს სრულ მისაგებელს არც ბოროტებისთვის და არც სიკეთისთვის, საშინელ სამსჯავრომდე კიდევ შესაძლებელია ცვლილებები სულთა მდგომარეობაში. მაგალითად, ეკლესიის ლოცვებით, ზოგიერთი ცოდვილი, შესაძლოა, გათავისუფლდეს ტანჯვისგან, ან, უკიდურეს შემთხვევაში, მიიღოს ტანჯვის შემსუბუქება. ამ დროებით მდგომარეობაში სული განიცდის მომავალ ცხოვრებაში თავისი ნეტარების ან ტანჯვის წინათგრძნობას.

**– როგორ უნდა იზრუნონ მიცვალებულის სულზე ახლობლებმა?**

– რაც შეეხება მიცვალებულების სულებზე ზრუნვას, ბევრს აქვს ამ საკითხზე ძალიან დამახინჯებული წარმოდგენა. ბევრი მიიჩნევს, რომ აუცილებელია უხვი მოსახსენიებელი სუფრის გაშლა, რომელიც მაგარი სასმელებითა და იშვიათი საჭმელებით არის სავსე; შემდეგ – საფლავზე ქვის დადგმა, რათა ნაცნობებმა არ დაგვძრახონ სიძუნწის გამო. ასევე, საფლავში ატანენ მიცვალებულს საყოფაცხოვრებო ნივთებს: სავარცხელს, სარკეს, სათვალეს, სანთებელას, თამბაქოს და ასე შემდეგ, იმის მიხედვით, მიცვალებული მამაკაცია თუ მანდილოსანი. ეს წარმართული გადმონაშთია. ადამიანს იმქვეყნად არაფერი სჭირდება, მით უმეტეს, საყოფაცხოვრებო ნივთები, მათ მხოლოდ ჩვენი ლოცვით უნდა შევეწიოთ. ეკლესიის დადგენილებით, მიცვალებულთა მოხსენიება ორმოცი დღის განმავლობაში უნდა გაგრძელდეს და განსაკუთრებით ძლიერი უნდა იყოს მეორმოცე დღეს. რასაკვირველია, აუცილებელია, მესამე და მეცხრე დღეს მიცვალებულს გადაეხადოს პანაშვიდები.

**– რომელია ცოდვა, რომლის მონანიებაში ეკლესიაც ვერ ეხმარება ადამიანს?**

– არსებობს ერთი განსაკუთრებული, თავზარდამცემი და დამღუპველი სახე ცოდვისა, ამ დროს ადამიანი ისეთ ცოდვილ მდგომარეობაში იმყოფება, ეკლესიური ლოცვაც კი ვერ უშველის. ამის შესახებ პირდაპირ ამბობს მოციქული იოანე ღვთისმეტყველი: „უსარგებლოა ლოცვა მიუტევებელ ცოდვილთათვის“. იესო ქრისტე ამ ცოდვის შესახებ ბრძანებს, რომ, ეს ცოდვა – გმობა სულიწმიდისა, არ მიეტევება ადამიანებს არც წუთისოფელში და არც მომავალში. ვინც მომაკვდინებელი ცოდვით სცოდავს, შეუპოვრად და შეგნებულად ეწინააღმდეგება უცილობელ ჭეშმარიტებას და, ამიტომ, გმობს ჭეშმარიტების სულს – უფლის წმიდა სულს. აუცილებელია, აღინიშნოს, რომ თავად უფალი იესო ქრისტეს გმობაც კი შეიძლება მიეტევოს ადამიანს, თუ ეს გონების დროებითი დაბინდვისას ან უცოდინარობით იქნება ჩადენილი. ათანასე დიდის სწავლებით, სულიწმიდის გმობა იმ შემთხვევაში მიეტევება შემცოდეს, როცა ის შეწყვეტს ამ გმობას და მოინანიებს.

**ნათია უტიაშვილი**

# წმიდანთა მიერ აღსრულებული სასწაულები

### ღვთისმშობლის გამოცხადება

მეუფე ზინობს მიღებული ჰქონდა მრავალი საეკლესიო ჯილდო. მაგრამ, არა მარტო მინიერი ჯილდოებით აღინიშნა მისი ერთგული მოშურნე მოღვაწეობა უფლისადმი, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა და მართლმადიდებელი ეკლესიისადმი. უფლის ერთგულებისა და მტკიცე რწმენისთვის იგი ღირსი შეიქნა ენით გამოუთქმელი უდიდესი მადლისა: მეუფეს სენაკში თავად ზეციური დედოფალი ეწვია. ეს 1972 წელს მოხდა, როდესაც იგი მძიმედ ავადმყოფობდა.

ექიმთა კონსილიუმმა მას ორ დღეში სიკვდილი უწინასწარმეტყველა. მეუფე ზინობი საწოლში იწვა და მზერა იმ ღვთისმშობლის ხატისადმი მიეპყრო, რომელზეც დედა ღვთისა ყრმას კურნავს (ღვთისმშობლის ამ ხატს „მკურნალი" ეწოდება). მეუფე სრულად მიენდო ღვთის ნებასა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს და მათ ევედრებოდა განკურნებას. და აი, დედა ღვთისა თავად ეწვია მას სენაკში და აკურთხა იგი. სამწუხაროდ, ჩვენ არ შეგვიძლია, სრულად აღვწეროთ ეს გამოცხადება, რადგან, მეუფემ მის შესახებ არავის უამბო, – თავად გამოცხადების ფაქტიც კი მხოლოდ უახლოესმა ადამიანებმა იცოდნენ. ამ გამოცხადების შემდეგ იგი, ყველასათვის მოულოდნელად, სწრაფად გამოჯანმრთელდა. უფრო მეტიც, მან ყველა იმ ექიმზე დიდხანს იცოცხლა, ვინც მას სწრაფი გარდაცვალება უწინასწარმეტყველა. მეუფე ზინობმა ამ შემთხვევის შემდეგ კიდევ 13 წელი იცოცხლა.

### რატომ მოიხსნა სანკტ-პეტერბურგის ბლოკადა წმიდა ნინოს ხსენების დღეს

ერთხელ მეუფე ზინობს ჰკითხეს: „რას უნდა ნიშნავდეს, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს სანკტ-პეტერბურგის ბლოკადის მოხსნა 27 იანვარს – წმიდა ნინოს ხსენების დღეს დაემთხვა?" მეუფე დაფიქრდა, პირჯვარი გადაისახა და თქვა: „მრავალი დამწუხრდა ქალაქის მცხოვრებთა გამო, მათთვის ლოცულობდნენ და, რითაც შეეძლოთ, ეხმარებოდნენ. ლიბანის მთებში მიტროპოლიტი ილია (სალიბი) გამოქვაბულში დაეყუდა და 40 დღე იმარხულა. მას დედა ღვთისმშობელი გამოეცხადა, რომელმაც უთხრა: „ვიდრე რუსეთში ეკლესიას ბორკილებს არ ახსნიან, მტერს ვერ დაამარცხებენ". მტერი, უბრალოდ, გერმანიის სამხედრო ძალა კი არ იყო, არამედ, აღმოსავლეთის (ჰიმალაისა და ტიბეტის) სატანისტთა საიდუმლო წარმართულ და ოკულტურ დოქტრინებზე დაფუძნებული დემონური ძალა.

იმავე პერიოდში მეც ძილ-ღვიძილში ხილვა მქონდა. ვიხილე, თუ როგორ იდგა მუხლმოდრეკილი წმიდა ნინო უფლის საყდრის წინაშე და ლოცულობდა. იგი უფალს ალყაში მოქცეული ქალაქის მცხოვრებთ ავედრებდა და მათ მტრის ძლევაში დახმარებას სთხოვდა. ამ ლოცვა-ვედრების დროს წმიდა ნინოს ღაწვებზე მსხვილი, ყურძნის მარცვლის ოდენა, ბროლის მსგავსი ცრემლები დასდინდა. ეს ხილვა ასე ავხსენი: ღვთისმშობელმა დედამ წმიდა ნინოს მისცა მორჩილება, რომ დაეცვა ალყაში მყოფი ქალაქი.

რუსეთში ძველად გავრცელებული იყო შეხედულება, რომ, მტერზე ძლევისას, რომელი წმიდანის ხსენების დღეც იყო, იმ წმიდანს ჰმადლობდნენ შეწევნისთვის და სწამდათ, რომ სწორედ მისი მფარველობით დაამარცხეს მტერი.

ამიტომ, სანკტ-პეტერბურგის მცხოვრებლებმა, ღვთის სადიდებლად და წმიდა ნინოს მიმართ მადლიერების ნიშნად, ყველა ტაძარში მისი ხატი უნდა დააბრძანონ სამადლობელი ნაწერით, რომელიც მათ შთამომავლებს ალყაში მოქცეული ქალაქის გამათავისუფლებელზე მოუთხრობს და, თუკი მოციქულთა სწორი დედა ნინოს ხსოვნა ექნებათ, ეს თანამედროვე პეტერბურგელებსაც დიდ მადლს მიანიჭებს... კარგი იქნება, თუ პეტერბურგში წმიდა ნინოს სახელობის ტაძარი აშენდება."

დღემდე მეუფე ზინობის ეს სურვილი პეტერბურგის მხოლოდ ერთ ტაძარში – ნეტარი ქსენია პეტერბურგელის სახელობის ტაძარშია შესრულებული, სადაც დაბრძანებულია წმიდა ნინოს ხატი შესაბამისი წარწერით.

# ჭეშმარიტი სარწმუნოება

### ოინგაზის სიკვდილი

ეპიფანე კვიპრელი (მეხუთე საუკუნე) იერუსალიმიდან თავის ქალაქში კვიპროსზე ბრუნდებოდა. გზაზე ორი ოინბაზი შეხვდა, რომლებმაც წმიდანის გამასხარავება მოინდომეს. ჯერ კიდევ შორიდან მომავალი რომ დაინახეს, ერთ-ერთი მათგანი მკვდარივით დაწვა. მოახლოებულ წმიდა ეპიფანეს მეორე ტაკიმასხარამ მიმართა: „მამაო, მოხედე მიცვალებულს და დაფარე მისი სიშიშვლე".

წმიდანი მიეახლა ძირს განრთხმულს, პირი აღმოსავლეთისაკენ იბრუნა, გარდაცვლილისათვის ილოცა, ზემო სამოსი მოიხსნა და მიცვალებულს სხეული დაუფარა. შემდგომ მღვდელმთავარმა გზა განაგრძო.

ცოცხალმა მეგობარს უთხრა: „ადექი, ძმაო, ის არარაობა უკვე წავიდა". მეორე არაფერს პასუხობდა. პირველმა კვლავ სცადა შეხმიანება, მაგრამ ძირს განრთხმული ნამდვილად მომკვდარიყო. შეშფოთებულმა ყველაფერი მიატოვა და წმიდა ეპიფანეს დაეწია. მასთან მიახლოებული მუხლებზე დაეცა, დანაშაული აღიარა, შენდობა ითხოვა და წმიდანს ევედრებოდა, დაბრუნებულიყო, შესამოსელი აეღო და მიცვალებული გაეცოცხლებინა.

წმიდა ეპიფანემ მიუგო: „წადი, შვილო და დამარხე მიცვალებული, რადგან ის მანამდე გარდაიცვალა, სანამ შენ მის სამოსლით დაფარვას მთხოვდი".

### გლახაკთა მოწყალეს ღმერთი ასწილად მიუზღავს

ერთ თავადს გულქვა მოურავი ჰყავდა, სახელად პეტრე. არავის ახსოვდა, რომ მას ოდესმე მოწყალება გაეღო. ერთხელ მოურავი პურს აგზავნიდა სასახლეში. უეცრად მოწყალების სათხოვნელად მისული გლახაკი დაინახა. პეტრემ მრისხანედ შეუყვირა, მაგრამ ვერ მოიშორა. ქრისტეს გულისთვის შემეწიეო, – ითხოვდა გლახა. პეტრე გაჯავრდა, მიიხედმოიხედა, ქვას ეძებდა, რომ აბეზარი მათხოვარი გაეგდო, მაგრამ ვერ იპოვა და გაბრაზებულმა პური ესროლა მთხოვნელს.

გავიდა ორიოდე დღე. პეტრე ძლიერ ავად გახდა. ავადმყოფობისას მან ჩვენება იხილა, რომელიღაც სასამართლოში იყო, წინ კი სასწორი ედგა, რომლის ერთ პინაზე ვიღაც შავ-შავი, საზარელი არსებანი მის ცოდვებს ალაგებდნენ. მეორეზე ანგელოზები იდგნენ დაღონებულნი და ერთმანეთს შესჩიოდნენ: „ჩვენ რა დავდოთ სასწორზე, არა გვაქვს-რა იმ ერთი პურის გარდა, პეტრემ რომ ესროლა მათხოვარსო". ბოლოს, რაკილა სხვა არაფერი გააჩნდათ, სასწორზე პური დადეს. ცოდვებით დამძიმებული თეფში ოდნავ შეინძრა. მაშინ უთხრეს ანგელოზებმა პეტრეს: „წადი უბადრუკო და ამ პურს კიდევ მიუმატე რამდენიმე, რათა ჩვენმა მოქიშპეებმა არ მოგვტაცონ შენი თავი და საუკუნო ცეცხლსა და გეენაში არ ჩაგაგდონო".

გონს მოსულმა პეტრემ სინანულითა და მოწყალებით გამოისყიდა თავისი ცოდვები და ისეთი მოწყალე შეიქნა, წმიდანთა შორისაც კი შერაცხა

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: ჩემი ქმარი წინააღმდეგია, მოძღვარს ვუთხრა აღსარება, თუ ამას გავაკეთებ, შეიძლება, ოჯახი დამენგრას. როგორ მოვიქცე?**

პასუხი: პავლე მოციქული მოგვიწოდებს ცოლსა და ქმარს შორის თანხმობისკენ თვით სარწმუნოებრივი სხვადასხვაობის დროსაც კი. ამიტომ, მუდმივად უნდა ცდილობდეთ, ტკბილი სიტყვითა და გონივრული შეგონებით გადაალახვინოთ მეუღლეს სარწმუნოების მიმართ უარყოფითი განწყობა. დაფიქრდით, თქვენ თვითონ ხომ არ ხართ დამნაშავე ქმრის საქციელში, თქვენ ხომ არ მიგიციათ საბაბი ამგვარი საწინააღმდეგო ქმედებებისთვის?

**კითხვა: დიდი ხანია, გათხოვილი ვარ. მეუღლესთან ჯვარი არ მაქვს დაწერილი. ჯვრის დაწერა მინდა, მაგრამ, გამოგიტყდებით და, ქმარი არ მიყვარს, მასთან შვილების გამო ვარ. როგორ მოვიქცე, რა უფრო დიდი ცოდვაა – ჯვარი დავიწერო კაცთან, რომელიც არ მიყვარს თუ ჯვარდაუწერლად ვიცხოვრო ქმართან?**



პასუხი: რადგან თქვენს მეუღლესთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრობთ, საერთო შვილები გყავთ და ქრისტიანად მიიჩნევთ თავს, ჯვრისწერა აუცილებელია. შესაძლოა, თქვენი და მეუღლის ასეთი ურთიერთდამოკიდებულება იმითაც არის განპირობებული, რომ ჯვარი არ გაქვთ დაწერილი.

**კითხვა: რატომღაც, ჩვენში არ არის მიღებული გათხოვილი ქალის ან ცოლიანი მამაკაცის მეჯვარედ წაყვანა. შეიძლება თუ არა მეჯვარედ ქმარშვილიანი ქალი წავიყვანო?**

პასუხი: ამ მხრივ ქრისტიანს შეზღუდვა არ აქვს, თქვენ შეგიძლიათ, წაიყვანოთ მეჯვარედ გათხოვილი, ქმარშვილიანი ქალი.

**კითხვა: უპირველესად რა მოეთხოვება ადამიანს, რომელმაც ახლა დაიწყო ქრისტიანული ცხოვრება?**

პასუხი: უპირველესად მას მოეთხოვება წუთისოფლის საცთურებისგან განშორება, ანუ, უნდა დაივიწყოთ ყველა წესი და ჩვეულება, რაც ეწინააღმდეგება სახარებასა და ქრისტიანულ სულიერებას.

# რომელი რელიგიური სექტის წევრი გახდა არგენტინის ნაკრების მეკარე კარლოს როა და რომელი რელიგიური ორგანიზაციის ლიდერია კოლუმბიელი რადამელ ფალკაო

*რელიგია და ფეხბურთი, ორი ერთმანეთზე გადაჯაჭვული ცნებაა. ფეხბურთელთა უმეტესობა მატჩების წინ ლოცულობს, ინერს პირჯვარს და გოლის გატანის შემთხვევაში, ხელების მაღლა აღმართვით მადლობას უხდის უფალს. გაგაცნობთ თანამედროვე ფეხბურთის ყველაზე რელიგიურ სპორტსმენებსა და მწვრთნელებს.*

### კუკა – კათოლიკე

ბრაზილიური „ატლეტიკო მინეიროს" მწვრთნელი კუკა მსოფლიოში ყველაზე რელიგიურ მენეჯერადაა მიჩნეული. კათოლიციზმის მიმდევარმა კუკამ ლიბერტადორრესის თასზე გამარჯვება ღვთისმშობლისგამოსახულებიანი მაისურით აღნიშნა.



ბელუორიზონტოელმა საეკლესიო მსახურმა კუკას მნიშვნელოვანი მატჩის დაწყებამდე აუწყა, რომ მხოლოდ ლოცვა მოუტანდა მის გუნდს გამარჯვებას. ფინალის დასრულების შემდეგ, კუკა მუხლებზე დაეცა, ხელები ცისკენ აღმართა და ლოცვა აღავლინა ღმერთის სადიდებლად.

### სტივენ პინაარი – კათოლიკე

სამხრეთაფრიკელი, რომელიც იოჰანესბურგის ყველაზე კრიმინალურ რაიონში გაიზარდა, არაერთ ინტერვიუში აღნიშნავს, რომ „ანგელოზები მფარველობენ". ერთ-ერთი მატჩის დროს მან საკლუბო მაისური გაიხადა და ყველას დაანახვა  შიდა მაისურზე წარწერა – ღმერთი დიდია. სტივენ პინაარი „ევერტონის" ყველაზე რელიგიური ფეხბურთელია, რომელიც არ აცდენს წირვა-ლოცვებს ტაძრებში.

### რადამელ ფალკაო – კათოლიკე

„მონაკოს" კოლუმბიელი ფორვარდი ახალგარზდული ქრისტიანული ორგანიზაცია „იესოს მებრძოლების" ლიდერია. ესპანეთის პრიმერადივიზონში ასპარეზობისას ის ცნობილი იყო რელიგიურობით.




ფალკაო 12 საათზე იძინებდა და დილით, ვარჯიშამდე რამდენიმე საათს ლოცვაში ატარებდა. ევროპის ლიგაში გამარჯვების შემდეგ ფალკაომ საკლუბო მაისური გაიხადა და ყველას დაანახვა წარწერა შიდა მაისურზე: „იესოსთან ერთად მარტო არ იქნები."

### გეივინ პიკოკი – პროტესტანტიზმი

ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების, „ჩელსისა" და „ნიუკასლის" ფეხბურთელი გეივინ პიკოკი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი გახლდათ 1990-იან წლებში. მან კარიერა 2001 წელს დაასრულა და თავდაპირველად, „ბიბისიზე" მოეწყო სპორტულ მიმომხილველად. 2006 წელს პიკოკმა თეოლოგიის კურსი გაიარა კემბრიჯში და ორ წელიწადში კანადაში, კალგარის სემინარიაში ჩააბარა. სემინარიის დამთავრების შემდეგ, პიკოკი კალგარის ერთ-ერთ ტაძარში დღემდე პასტორად მსახურობს.

### პაპ ბუბა დიოპი – შამანის მიმდევარი

სენეგალელმა ფეხბურთელმა, რომელმაც მსოფლიოს თავი 2002 წლის მუნდიალის გახსნის მატჩში, საფრანგეთის ნაკრების კარში გატანილი გოლით დაამახსოვრა, ინგლისურ „ფულჰემში" ასპარეზობისას ქომაგები მისი შამანიზმით გატაცების მოწმენი გახადა. კლუბის საშინაო სტადიონზე მან რამდენჯერმე ჩაატარა ოკულტიზმის ცერემონიალი – დაკლული შინაური ცხოველის სისხლი დაასხა კარის ძელებს და აფრიკელი შამანებისთვის დამახასიათებელ სხვადასხვა სეანსს ატარებდა კვირაში ერთხელ.

### ფრედერიკ კანუტი და პაპის სისე – ისლამისტები

პაპის სისე ბუბა დიოპის თანამემამულე და მორწმუნე მუსლიმია. ის რამადანის პერიოდში მარხვას და ყველა აუცილებელ წესს იცავს. ცნობილია, რომ სისემ უარი განაცხადა ეთამაშა მაისურზე ფინანსური კომპანია „ვონგას" წარწერით. მისი რელიგია კრძალავს პროცენტით ფულით გაცემას. იგივე მიზეზით „სევილიის" მალელი ფორვარდი ფრედერიკ კანუტი არ გავიდა სათამაშოდ საბუქმეიკერო კომპანიის ლოგოიანი მაისურით.

### ფრანკ რიბერი და ნიკოლა ანელკა – ისლამისტები

ორივე ფეხბურთელი არამუსლიმანურ ოჯახში დაიბადა და ისლამი მათ გვიანდელ ასაკში მიიღეს. ნიკოლა ანელკა 2004 წელს გახდა მუსლიმი, მან არაბთა გაერთიანებულ საემიროებში მიიღო ისლამი.




ანელკა არაბეთში აპირებდა საცხოვრებლად დარჩენას, თუმცა საბოლოოდ, გადაიფიქრა და „ფენერბაჰჩეში" განაგრძო კარიერა. ანელკას თქმით, მარხვის დაცვა მას უჭირს, რადგან სპორტული რეჟიმი სწორ კვებას მოითხოვს. ფრანკ რიბერი ანელკაზე გვიან, 2006 წელს გახდა ისლამის მიმდევარი. მან მეუღლის გამო შეიცვალა რელიგია. ცნობილია, რომ რიბერი მორწმუნე მუსლიმანია. თუმცა, მისი სახელი ისლამის მიმდევრისთვის შეუფერებელ სკანდალში ფიგურირებდა. 2009 წელს რიბერს არასრულწლოვან მეძავთან სექსუალური ურთიერთობა ბრალდებოდა. საგულისხმოა, რომ ორივე ფრანგი ფეხბურთელის მეორე, ისლამური სახელი - ბილალია.

### დემბა ბა და აბუ დიაბი – ისლამისტები

„არსენალისა" და „ჩელსის" ეს ფეხბურთელები შარიათის კანონის დამცველები არიან, იცავენ მარხვას რამადანის დროს და მზად არიან რელიგიის გამო სპორტული პრინციპებიც დათმონ. ბა და დიაბი ხშირად დღის განმავლობაში შიმშილობენ, რაც მათ სპორტულ ფორმაზე ნეგატიურად მოქმედებს.

### მილენკო კოვაჩიჩი – კრიშნაიზმი

26 წლის ასაკში იტალიური „ბრეშას" ხორვატმა ფლეი-მეიკერმა მილენკო კოვაჩიჩმა გადაწყვიტა საფეხბურთო კარიერა დაასრულოს და მთელი დრო მეურნეობასა და ლოცვას დაუთმოს. კოვაჩიჩი კრიშნაიდი გახდა, მან უარი განაცხადა ფეხბურთზე და სოფელში დასახლდა. მოგვიანებით, კოვაჩიჩი კვლავ დაბრუნდა ფეხბურთში და რამდენიმე სეზონი ითამაშა „სლავენსა" და „ჰაპოელში". 32 წლის ასაკში კი საკუთარი მოტოციკლით ავარიაში მოჰყვა და ტრაგიკულად დაიღუპა.

### კაკა – კათოლიკე

„რეალის" ბრაზილიელი ლეგიონერი კაკა მსოფლიოში ყველაზე ცნობილი კათოლიკე ფეხბურთელია, რომელიც ფალკაოს მსგავსად, სხვადასხვა რელიგიურ ორგანიზაციაშია გაერთიანებული.




კაკას მაისურებსა და ბუცებზე რელიგიური წარწერები ჭარბობს: „იესო პირველ ადგილზეა", „მე ვეკუთვნი იესოს" და სხვა. ყველა მნიშვნელოვანი მატჩის წინ კაკა ლოცულობს, ჰყავს პირადი მღვდელი და იგი ხშირად აბარებს მას აღსარებას.

### კარლოს როა – ადვენტისტი

1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე არგენტინის ნაკრების კარებში ინგლისელმა მაიკლ ოუენმა თავისი კარიერის ყველაზე მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა. არგენტინელების კარს კარლოს როა იცავდა, იმ დროს პლანეტის ერთ-ერთი საუკეთესო გოლკიპერი. მასზე „მანჩესტერ იუნაიტედი" და „ჩელსი" აცხადებდნენ პრეტენზიას, თუმცა ყველასთვის მოულოდნელად, 1999 წელს როა მეშვიდე დღის ადვენტისტების სექტაში მივიდა – ფეხბურთს თავი დაანება და აპოკალიფსის მოლოდინში რამდენიმე წელი გაატარა. მას შემდეგ, რაც არმაგედონი არ დადგა, როამ ფეხბურთში დაბრუნება გადაწყვიტა და რამდენიმე სეზონი ითამაშა ესპანურ „ალბასეტასა" და „მალიორკაში". როა ერთი პირობით თამაშობდა: უარს აცხადებდა შაბათობით თამაშზე, რადგან ამას რელიგია უკრძალავდა. ის ასევე, არ ჭამდა ხორცს, რის გამოც თანაგუნდელები მას „სალათას" ეძახდნენ.

## რონალდუს „მკვლელი" დარტყმა



არასასიამოვნო ინციდენტს ჰქონდა ადგილი მადრიდის „რეალის" წინასასეზონო მატჩის დროს. ინგლისურ „ბორნმუტთან" მატჩში მადრიდელების პორტუგალიელმა ვარსკვლავმა კრიშტიანუ რონალდუმ საჯარიმო დარტყმა შეასრულა, რომელიც კარს ასცდა და მაყურებლებით სავსე ტრიბუნას მოხვდა. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ რონალდუს „მკვლელ" დარტყმას 11 წლის ინგლისელი ქომაგი „ემსხვერპლა". ჩარლი სილვერვუდს რონალდუს დარტყმულმა ბურთმა ხელი მოტეხა. საგულისხმოა, რომ მატჩის დასრულების შემდეგ, კრიშტიანუ რონალდუმ დაზარალებულ ქომაგს „რეალის" მაისური აჩუქა ფეხბურთელების ავტოგრაფებით.

## ისინბაევა კარიერის დასრულებაზე დაფიქრდა

რუსი ოლიმპიური ჩემპიონი, მსოფლიო რეკორდსმენი ჭოკით ხტომაში – ელენა ისინბაევა სპორტული კარიერის დასრულებაზე დაფიქრდა. 10-18 აგვისტოს მოსკოვში მძლეოსნობის მსოფლიო ჩემპიონატი იმართება და მისი დამთავრების შემდეგ ისინბაევა დიდი სპორტიდან წასვლას გეგმავს. „არ ვაპირებ, ვიყო რუსეთის ნაკრების წევრი 2016 წლის ოლიმპიურ თამაშებამდე, ასაკით ყველაზე დიდი ვარ და მგონი, დროა, დავფიქრდე კარიერის დასრულებაზე," – განუცხადა ჟურნალისტებს 31 წლის ისინბაევამ, რომელსაც 28 მსოფლიო რეკორდი ეკუთვნის. ის არის 2004 და 2008 წლების ოლიმპიური თამაშების ოქროს მედალოსანი და 2012 წლის ლონდონის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი.

## მაიკ ტაისონი დაბრუნებას აპირებს

მსოფლიო კრივის ყველაზე სკანდალური ვარსკვლავი, ლეგენდარული მაიკ ტაისონი რამდენიმე ხნის წინ საკუთარი საპრომოუტერო კომპანიის „აირონ მაიკ პროდაქშენის" მფლობელი გახდა და კიდევ ერთხელ მიიქცია საზოგადოების ყურადღება. „რკინის მაიკმა" აქტიურ სპორტში დაბრუნების გადაწყვეტილება მიიღო და შესაძლოა, ახლო მომავალში მძიმეწონოსანი ექსჩემპიონი პროფესიულ რინგზე ვიხილოთ. „დიდი ხანია, ვფიქრობ დაბრუნებას. ჩემს მეუღლე კიკისაც ვესაუბრე და ისიც თანახმაა. თავს მშვენივრად ვგრძნობ და მგონი, ყველაფერი გამომივა," – განაცხადა ტაისონმა, რომელიც უკანასკნელად რინგზე 2005 წელს გამოვიდა და კევინ მაკბრაიდი ნოკაუტით დაამარცხა.




## ნადალი იახტაზე ნებივრობს

ესპანელი ჩოგბურთელი რაფაელ ნადალი, შეიძლება ითქვას, უბედნიერესი ადამიანია. ის არის მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელი, აქვს მილიონობით შემოსავალი, ახალგაზრდაა და ჰყავს ულამაზესი გერლფრენდი. გარდა ამისა, ნადალი მალიორკაზე ცხოვრობს. ეს არის ადგილი, სადაც მილიონობით ადამიანი ოცნებობს დაისვენოს. ამ ზაფხულსაც რაფა მშობლიურ მხარეში ატარებს. მისი სავარჯიშო ბაზა სახლთან ახლოსაა. გარდა ამისა, ნადალს საკუთარი იახტა ჰყავს და სწორედ ამ იახტაზე გადაუღეს ჩოგბურთის ვარსკვლავს პაპარაცული ფოტოები, როდესაც იგი საცოლე – ხისკასთან ერთად ნებივრობდა.

## დუეინ ვეიდის მათხოვარი ექსცოლი




ამერიკული პრესა შოკშია, ნაციონალური ლიგის ვარსკვლავის, „მაიამი ჰითის" კალათბურთელის, დუეინ ვეიდის ექსმეუღლეს შივონ ფანჩესს ჩიკაგოს ქუჩებში მათხოვრობის ფაქტზე შეასწრეს. დუეინი და შივონი 2010 წელს განქორწინდნენ და მას შემდეგ კალათბურთელს ყოფილი მეუღლისა და ორი შვილისთვის ალიმენტების სახით რამდენიმე მილიონი დოლარი აქვს გადახდილი. სწორედ ამ ფაქტის გამოა შოკისმომგვრელი შივონის საქციელი. დუეინი ამჟამად მსახიობ გაბრიელ იუნიონს ხვდება და ამბობენ, რომ სწორედ მსახიობთან რომანი გახდა მისი და შივონის დაშორების მიზეზი.

## „მანჩესტერის" ვარსკვლავები აზიაში

ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედი" ახალი სეზონის დაწყების წინ აზიაში გადის მომზადებას. გუნდს ტურნე აქვს აზის ქვეყნებში და იქაურ კლუბებთან სპარინგებს მართავს. აღნიშნული ტურნეები ფინანსურად მომგებიანია ევროპული კლუბებისთვის, ფეხბურთის გარდა, „მანჩესტერ იუნაიტედი" სარეკლამო ბაზარზეც აქტიურობს. აზიასა და იაპონიაში ყოფნის პერიოდში გუნდის რამდენიმე ფეხბურთელმა მონაწილეობა მიიღო ტომატის წვენის, „კაგომეს" სარეკლამო რგოლის გადაღებაში. რაიან გიგზი, რობინ ვან პერსი, მაიკლ კარიკი და შინჯი კაგავა ვიდეოში გემრიელად მიირთმევენ წვენს და იაპონურ ენაზე აქებენ მას.

## 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფასები ცნობილია

მსოფლიო ფეხბურთის მმართველმა ორგანომ, „ფიფამ" 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებზე დასასწრები ბილეთების ფასები დაადგინა. ყველაზე იაფი ბილეთი უცხოელებისთვის 90 დოლარი ეღირება. ამ ფასად შესაძლებელი იქნება ჯგუფური ეტაპის ყველა მატჩზე დასწრება, გახსნის მატჩის გარდა, რომლის ბილეთის ფასი 220 დოლარიდან იწყება. ბრაზილიელებისთვის მატჩის ბილეთების ფასი 15 დოლარიდან დაიწყება, თუმცა ამ ფასად ბილეთის შეძენა მხოლოდ სტუდენტებს, 60 წელს გადაცილებულ პენსიონერებს და სიღარიბის პროგრამაში მოხვედრილ ადამიანებს შეეძლებათ. მუნდიალის ფინალურ მატჩზე დასასწრები ყველაზე იაფიანი ბილეთის ღირებულება უცხოელებისთვის 440 დოლარი იქნება, პრესტიჟული ადგილის 990 დოლარი. სულ, თავისუფალ გაყიდვაში 3 მილიონი ბილეთი იქნება.

## ძამბროტა კარიერის გაგრძელებას აპირებს

იტალიელი მსოფლიოს ჩემპიონი, 2006 წლის მუნდიალის გამარჯვებული ჯან-ლუკა ძამბროტა, რომელმაც კარიერა 2012 წელს დაასრულა, აქტიურ სპორტში დაბრუნებას აპირებს. „მილანისა" და „იუვენტუსის" ადრინდელი ვარსკვლავი შვეიცარიის მეორე დივიზიონის კლუბ „კიასოში" აპირებს თამაშს. გარდა ამისა, 36 წლის ვეტერანი სამწვრთნელო საქმის შესწავლასაც გეგმავს და „კიასოს" მთავარი მწვრთნელის ასისტენტადაც იმუშავებს. „სკუადრა აძურას" ყოფილი წევრის დაბრუნებას დიდ ფეხბურთში იტალიელი „ტიფოზები" დიდი სიხარულით შეხვდნენ.

**გვერდები მოამზადა უშანგი რუხაძემ**



## კარტოფილის წვენი არტერიულ წნევას აქვეითებს

კარტოფილის წვენს აქვს ანთების საწინააღმდეგო და პერისტალტიკის გამაძლიერებელი მოქმედება. ის აქვეითებს საჭმლის მომნელებელი ჯირკვლების სეკრეციას. აცეტილქოლინის შემცველობის გამო კი, თუ კარტოფილის წვენს ხანგრძლივად მიიღებთ, ქვეითდება არტერიული წნევა. ახალგამოწურული კარტოფილის წვენი ეფექტურია გასტრიტებისა და წყლულოვანი დაავადებების დროს. თუ ჭამამდე ნახევარი საათით ადრე მიიღებთ წვენს, ეს გააუმჯობესებს საჭმლის მონელებას და აწესრიგებს ნაწლავების ფუნქციას.

კარტოფილის ბოლქვები, განსაკუთრებით კი კანი, შეიცავს მაღალაქტიურ გლუკოალკალოიდ სოლანინს, რომელიც ანტიანთებით მოქმედებას ავლენს, მაგრამ ტოქსიკური ეფექტი აქვს. მისი დიდი ხნის განმავლობაში მიღებისას მწვანე ბოლქვებში სოლანინის შემცველობა შეიძლება, მოწამვლის მიზეზი გახდეს. დიდი დოზით მიღებისას სოლანინი თრგუნავს ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციას.

უხარისხო კარტოფილით მოწამვლისას ვითარდება პირღებინება, დისპეფსია, ქოშინი, გულის ფრიალი, კრუნჩხვა და გონების დაკარგვაც კი.

თუ მუცლის შებერვა გაწუხებთ, დილით, უზმოზე დალიეთ 1 ჩაის ჭიქა ახალგამოწურული კარტოფილის წვენი, წამოწექით ნახევარი საათით და შემდეგ ისაუზმეთ. მკურნალობის კურსი ერთი კვირაა.

## ანწლის ყვავილების ნახარში რევმატიზმს კურნავს

მედიცინაში სამკურნალო მიზნით გამოიყენება ანწლის ყვავილები და ნაყოფი. ანწლის ყვავილი შეიცავს გლუკოზიდებს, ეთეროვან ზეთს, C ვიტამინს, რუტინს, ქოლინს, ვაშლის, ვალერიანისა და ძმრის მჟავებს და სხვა. მედიცინაში ყვავილები და გამხმარი ნაყოფი იხმარება როგორც ოფლის მომგვრელი, ნაღველმდენი და შარდმდენი საშუალება. ნაყოფი, აგრეთვე, გამოიყენება ნაწლავების პერისტალტიკის გასაძლიერებლად, კისელის მოსამზადებლად, რომელიც კარგია კუჭის აშლილობის დროს. ანწლის ყვავილები კი რეკომენდებულია ბრონქიტების, ნევრალგიების, ლარინგიტების, თირკმელებისა და საშარდე გზების დაავადებისას. ხალხურ მედიცინაში ანწლის ყვავილების ნახარშს იყენებენ რევმატიზმისა და ნიკრისის ქარების საწინააღმდეგოდ.

ერთი სადილის კოვზი ანწლის ყვავილისა და ნაყოფის ნარევი ჩაყარეთ მომინანქრებულ ჭურჭელში და დაასხით ერთი ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი. გააჩერეთ ნახევარი საათით, შემდეგ გადაწურეთ და დალიეთ დღეში სამჯერ, მეოთხედი ჭიქა, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

## საზამთროს დიეტის დაცვა ორგანიზმს საჭირო ვიტამინებისგან ფიტავს

საზამთროში დიდი პროცენტი წყალია, მაგრამ, ამის გარდა, ის შეიცავს მინერალურ მარილებს, კალციუმს, მაგნიუმს, რკინას, საქაროზასა და კობალტს. არსებობს მოსაზრება, რომ საზამთროში არის ნივთიერება, რომელსაც თირკმელებში კენჭების დაშლა ან დაძვრა შეუძლია, თუმცა, ამის შიშის საფუძველი ნაკლებია. თუ ადამიანს დიდი ქვა აქვს თირკმელში, ის დროთა განმავლობაში ინფექციურ კერას ქმნის. ამ შემთხვევაში ცოტაოდენი საზამთროს მიღება სასარგებლოა, მაგრამ, არა იმისთვის, რომ ქვა დაშალოს, არამედ, ინფექცია გამოდევნოს ორგანიზმიდან.

საზამთროს განსაკუთრებულად ფრთხილად უნდა მოეკიდონ ისინი, ვისაც გულსისხლძარღვთა სისტემის პრობლემები ან მაღალი წნევა აქვთ, რადგან, რაც უფრო მეტი სითხე ხვდება ორგანიზმში, მით მეტი დატვირთვა ადგება გულს. ამას გარდა, საზამთროს შეუძლია, ორგანიზმში წყლისა და მარილის ბალანსი დაარღვიოს, კერძოდ, მარილი გაცილებით მეტი რაოდენობით გამოდევნოს, ვიდრე ეს საჭიროა. შესაძლოა, მსგავსი რამ კალციუმზეც მოხდეს.

ბევრი ადამიანი გახდომის მიზნით ან ორგანიზმის გასაწმენდად, საზამთროს დიეტას იწყებს. არადა, დაახლოებით 8-10 დღის განმავლობაში მხოლოდ ამ ხილის ჭამა არ შეიძლება. ეს ნიშნავს, რომ თქვენ არასრულფასოვნად იკვებებით, რადგან საზამთრო არ შეიცავს ვიტამინებს.

## დღის რომელ მონაკვეთში აღწევს ადამიანის შრომისუნარიანობა მაქსიმუმს

ადამიანის ყველა შინაგანი ორგანო, მათ შორის ტვინიც, მთელი სიცოცხლის განმავლობაში კარგად რომ გემსახუროთ, დღეში სამჯერ მაინც უნდა ივარჯიშოთ. სხვათა შორის, სწორედ დღეში სამჯერ აღწევს ორგანიზმის ფიზიკური ძალები მაქსიმუმს და ასევე, დღეში სამჯერ დგება დაღლილობის პერიოდიც. ეს პერიოდები უნდა იცოდეთ და გაითვალისწინოთ, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში, სწორად დაგეგმოთ ნებისმიერი ნაბიჯი. ეს გარანტირებული ჯანმრთელობის საწინდარია.

თუ ეცდებით, რომ ნერვულ სტრესს აარიდოთ თავი, ორგანიზმი გადაღლილობისგან იხსნათ, შრომის ნაყოფიერება გაზარდოთ და ასევე, საუკეთესო გუნება-განწყობა შეიქმნათ, მაშინ ყველაფერი რიგზე იქნება.

გთავაზობთ რამდენიმე მარტივ რჩევას, რაც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ. მაგალითად:

* დღის ორი საათიდან ოთხ საათამდე არ არის რეკომენდებული საქესთან ჯდომა, რადგან ამ დროს ორგანიზმი უდიდეს დატვირთვას განიცდის.

* სწავლის, ინტელექტუალური განვითარების და სხვა დატვირთვისთვის საუკეთესო დროა 4-დან ექვს საათამდე.

* ყველაზე აქტიური და შრომისუნარიანი პერიოდი ათიდან თორმეტ საათამდე დგება. ამ დროს კარგია მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება, პრობლემების მოგვარება, ხელშეკრულებების დადება და პარტნიორებთან მოლაპარაკებები.

* ფიზიკური შრომისთვის კარგია სამიდან ოთხ საათამდე პერიოდი. ამიტომ, ყველაზე მძიმე და მნიშვნელოვანი ფიზიკური სამუშაო სწორედ ამ მონაკვეთში შეასრულეთ.

* სპორტს დაუთმეთ დღის პირველი ნახევარი. ამ დროს ვარჯიში გაცილებით დადებით შედეგს მოგიტანთ.

* დღის პირველი საათიდან ორ საათამდე აუცილებელია საკვების მიღება. ამით თავიდან აიცილებთ კუჭისა და საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებებს.

* რვიდან ათ საათამდე კი შეგიძლიათ, უყუროთ ტელევიზორს ან იკითხოთ წიგნი. ამით ძილისთვის კარგ პირობას შეიქმნით.

## კარიესის პროფილაქტიკისთვის დღის განმავლობაში ბევრი სითხე სვით

კარიესი კბილის მაგარი ქსოვილის ანუ მინანქრისა და დენტის დაავადებაა. დროთა განმავლობაში ქსოვილი თანდათან კარგავს გამძლეობას და იშლება, კბილში ჩნდება ღრმულები. კარიესის პროვოცირებას კარიესოგენური ფაქტორები იწვევს, კერძოდ:

* კბილის ქსოვილის განვითარების გენეტიკური დეფექტი;

* სუსტი, დაქვეითებული იმუნიტეტი;

* ღრძილების ანთება;

* საკვებ რაციონში ცილების, მიკრო და მაკროელემენტების, ვიტამინების დეფიციტი და ნახშირწყლების დიდი რაოდენობა;

* პირის ღრუს ჰიგიენის არასწორი დაცვა;

* ნერწყვის გამოყოფის დარღვევა;

* ორგანიზმში სისხლძარღვოვანი და ნერვული ბოჭკოების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა.

კარიესოგენური ფაქტორების ზემოქმედებით წარმოიქმნება კბილის ქვები. იქ კი იბუდებენ მიკრობები და გლუკოზისგან რძე-

მჟავა წარმოიქმნება. ეს მჟავა მინანქარს შლის და კარიესული პროცესი იწყება, შემდეგ კი თანდათან ვითარდება.

ნერწყვში შაქარი რძის მჟავას შემცველობას ზრდის. ამიტომ, ის ზომიერად მიიღეთ. შოკოლადი თამამად ჭამეთ, რადგან შეიცავს ფტორს, რომელიც ამაგრებს მინანქარს; თეობრომინს, რომელიც ასტიმულირებს გულ-სისხლძარღვთა და ნერვულ სისტემას და სხვა ისეთ ნივთიერებებს, რომლებიც სისხლში ენდორფინს ანუ სიხარულისა და ბედნიერების ჰორმონების გამოყოფას უწყობს ხელს.

კარიესის პროფილაქტიკისთვის დღის განმავლობაში სვით ბევრი სითხე, იქნება ეს მინერალური წყალი თუ უშაქრო მწვანე ჩაი. ამით ნერწყვის გამოყოფა რეგულირდება. ასევე, ეცადეთ, რაციონი გაამდიდროთ A, B, C, D, E ვიტამინებით, რომელსაც ახალი ხილი და ბოსტნეული შეიცავს. ასევე, მიკროელემენტებით, რომელსაც დიდი რაოდენობით შეიცავს ნიგოზი და თხილი. ფტორის შენაერთითა და კალციუმით კი, რძის ნაწარმი მოგამარაგებთ. აგრეთვე, კარგი იქნება, თუ შაქარს ნატურალური თაფლით ჩაანაცვლებთ.

ჭამის შემდეგ პირში გამოივლეთ ანადუღარი წყალი ან დაღეჭეთ საღეჭი რეზინი, სამი წუთის განმავლობაში. გაითვალისწინეთ, რომ დიდი ხნით საღეჭი რეზინის ღეჭვა ემალს აზიანებს. კბილები გაიხეხეთ დღეში ორჯერ, კერძოდ, დილით და საღამოს. ღრძილები რომ არ დაგიზიანდეთ, რბილი ჯაგრისი შეარჩიეთ.

კბილის პასტის შერჩევისას, ყურადღება მიაქციეთ მის შემადგენლობას. კერძოდ, ის უნდა შეიცავდეს ფტორის ნაერთებს, ვიტამინებს, სამკურნალო მცენარეების ექსტრაქტებს, ფერმენტებს, მიკროელემენტებს, მინერალურ მარილებს, თუთიის ნაერთსა და კალციუმს.

## როგორ ამოვიცნოთ თიაქარი

თიაქარი ნებისმიერ ასაკობრივ ჯგუფში გვხვდება. არსებობს თანდაყოლილი და შეძენილი თიაქარი, მაგალითად: მუცლის, შინაგანი ორგანოების, მუცლის კედლის, მენჯის, დიაფრაგმისა და ასე შემდეგ. ამ დაავადებას იწვევს ასაკი, მემკვიდრეობა, სიმსუქნე, მუცლის კედლის ტრავმა, პოსტოპერაციული ნაწიბურები და სხვა. ასევე, დაავადების გამომწვევია ყველა ის ფაქტორი, რაც განაპირობებს მუცლის შიდა წნევის მომატებას, კერძოდ: მძიმე ფიზიკური შრომა, მძიმე მშობიარობა, შეკრულობა, შარდვის გაძნელება, ხანგრძლივი ხველა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ორსულობა, რადგან ამ დროს, მუცლის ღრუში წნევის მკვეთრ გაძლიერებასთან ერთად, მუცლის პრესი დუნდება და თხელდება. რაც შეეხება ბავშვებს, მათ ასაკში თიაქრის განვითარების ხელსაყრელ პირობას ქმნის ზოგიერთი დაავადება, მაგალითად: ფაღარათი, შეკრულობა, ყივანახველა. გარდა ამისა, შესაძლოა, ამის მიზეზი იყოს თანდაყოლილი მანკი. გვხვდება მუცლის შიგნითა და გარეთა, ასევე, თანდაყოლილი და შეძენილი თიაქარი. მამაკაცებში ძირითადად ჭარბობს საზარდულის, ქალებში კი – ჭიპისა და ბარძაყის თიაქარი. ამ დაავადების დროს ადამიანს აწუხებს სიმძიმის შეგრძნება, ხშირი შარდვა; უჩივის შრომისუნარიანობის დაქვეითებას; აგრეთვე, თიაქარს ახასიათებს გამობერვა და ტკივილი თიაქრის მიდამოებში. სხვათა შორის, თიაქარი ადვილად ამოსაცნობი დაავადებაა. მისი გართულებებიდან აღსანიშნავია ანთება და ჩაჭედვა. ჩაჭედვის შემთხვევაში, მუცლის ღრუში წნევის უეცარი აწევის გამო, თიაქრის პარკში ჩვეულებრივზე მეტი ორგანო ჩამოდის. ამ დროს თიაქრის ფარის კუნთები სალტისებურად შემოეჭირება პარკში მდებარე ორგანოებს და უკან დაბრუნების საშუალებას არ აძლევს, ახშობს მათ სისხლძარღვებს. თიაქრის ჩაჭედვის დროს სასწრაფო, გადაუდებელი ოპერაციაა საჭირო. ამ დროს დაუშვებელია მუცლის ღრუში მისი შესწორება. ამ მძიმე დაავადებისგან რომ დაიზღვიოთ თავი, აუცილებელია ჯანსაღი ცხოვრების წესის ზედმიწევნით დაცვა. თიაქრის განვითარების თავიდან აცილების საუკეთესო საშუალებაა ვარჯიში, რომელიც მუცლის კედლის კუნთებს ამაგრებს. ასევე, აუცილებელია შრომის სწორად გადანაწილება; ორსულობის დროს მნიშვნელოვანია რეჟიმის დაცვა, ხოლო მშობიარობის შემდეგ – მუცლის მასაჟი და ვარჯიში. ბავშვებისთვის კი აუცილებელია რაციონალური კვება და კუჭ-ნაწლავის მოქმედების რეგულირება. მათ არ უნდა ჰქონდეთ ჭინთვები. გაითვალისწინეთ ეს რჩევები და ამ საშიში დაავადებისგან დროულად დაიცავით თავი.

# ექიმის რჩევები

**კითხვა: შეექმნება თუ არა რაიმე პრობლემა შვილის ყოლასთან დაკავშირებით მამაკაცს, რომელსაც აქვს შაქრიანი დიაბეტი და ინსულინზეა დამოკიდებული?**

**პასუხი:** შაქრიანი დიაბეტის კომპენსირებული ფორმის დროს, მამაკაცს შვილოსნობასთან დაკავშირებით პრობლემები არ ექმნება.

**კითხვა: ვარ 24 კვირის ორსული, მაქვს საშინელი ოფლიანობა და დაღლილობის შეგრძნება, გულიც მიჩქარდება. არ მაქვს ტუბერკულოზი და ფილტვების ანთება, არც დაბალი ჰემოგლობინი. სხვა რამ შეიძლება, ეს ყველაფერი გამოიწვიოს?**

**პასუხი:** გირჩევთ, გამოიკვლიოთ სისხლში ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონთა დონე.

**კითხვა: თირკმელზე მაქვს 2-მილიმეტრიანი კისტა. საშიშია თუ არა?**

**პასუხი:** თირკმლის კისტა პრაქტიკულად ყოველთვის კეთილთვისებიანია და ჯანმრთელობას სერიოზულ საფრთხეს არ უქმნის. ბევრი ცხოვრობს თირკმლის კისტით ისე, რომ მის არსებობას არც კი ეჭვობს. კისტას, ჩვეულებრივ, შემთხვევით აღმოაჩენენ, როდესაც ამა თუ იმ მიზეზით იტარებენ ულტრაბგერით ან სხვა გამოკვლევას. თუ პაციენტს 5 სანტიმეტრამდე დიამეტრის კისტა აქვს, რომელიც არ იწვევს თირკმელებში სისხლის მიმოქცევის მოშლას და შარდის ნორმალურ გადინებას არ არღვევს, საკმარისია დინამიკაზე დაკვირვება.

**კითხვა: შეიძლება თუ არა ატრიალოს ჰულაჰუპი ადამიანმა, თუ მას კენჭები აქვს თირკმელში ან სახტუნაოთი იხტუნაოს?**

**პასუხი:** სახტუნაოთი ხტუნაობა შეიძლება გახდეს კენჭების მოძრაობის პროვოცირების მიზეზი, ჰულაჰუპი არ არის უკუნაჩვენები.

**კითხვა: ვაპირებდი დაფეხმძიმებას, ამიტომ წინასწარ ჩავიტარე გამოკვლევა, აღმომაჩნდა თირკმლის გაორება და 4-მილიმეტრიანი კენჭი. ანალიზები მაქვს სუფთა. გავიკეთო თუ არა დამატებითი უროგრაფია? ასევე, მაქვს მარცხენამხრივი საშარდის ურეთეროცელე. აუცილებელია თუ არა ოპერაცია? ისე, არაფერს ვუჩივი.**

**პასუხი:** გირჩევთ, ჩაიტაროთ ყველა გამოკვლევა და უროლოგების მიერ შემოთავაზებული მკურნალობა, რათა მინიმუმადე დაიყვანოთ ორსულობის შემთხვევაში საშარდე სისტემის მხრივ გართულებების რისკი. საშარდე გზების ინფექცია ორსულებში ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული პრობლემაა, რაც ართულებს ორსულობის მიმდინარეობას.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი**
**მაია ნუცუბიძე**



**გვერდები მოამზადა**
**ნონა დათეშიძემ**

# რატომ მოუხდა ოტია იოსელიანს მიცვალებულის „გაძარცვა“ და რა გადაიტანა მან ნანატრი პალტოს გამო

„ვწერ და ვწერ. ვაშენებ, ვთოხნი, ვამყნი ვაზს. გაზაფხულზე, ერთი ოციოდე ნერგს, ჩემს ეზოში რომ ადგილი არ იქნეს, მეზობლისას დავრგავ. ბოლოს და ბოლოს, ქუჩაში დავრგავ, გზის პირზე. დავაქროლებ მანქანას. მე როგორი მწერალი ვარ, რა მოგახსენოთ და, როგორი მძღოლი – ღმერთმა მოგცეთ! მოვიგდებ ნაბადს და ვმოგზაურობ ბარსა და მთაში. სახლიდან რომ გამოვდივარ, კარს ღიად ვტოვებ – დასაკარგავი არაფერი გამაჩნია, არც მინდა. ვკითხულობ და თვალის კაკლებში ვუყურებ ჩემს ხალხს, რა სტკივა ან რა უხარია. მიყვარს და ვწერ... ნოველებს, მოთხრობებს, საბავშვო-სადიდოს, რომანს, პიესას, სცენარს, ზღაპარს... მაგრამ, მართალს, ჩემი თვალით ნანახს, ჩემს ზურგზე გადავლილს...” – ეს, ოტია იოსელიანის საოცრად საინტერესო დღიურებია, ცოტა სევდიანი, ცოტაც მხიარული ამბებით. თავის დროზე ყველაფერს ერთიანად მოუყარა თავი და „ჩემი ასავალ-დასავალი” დაარქვა. ჩვენ ორ ეპიზოდს გთავაზობთ:



„მესამე წელია, ომია... მოდის დაღუპვის დეპეშები, კივის და წივის სოფელი... დაიღუპა ბებიას ძმისშვილი – ჭიჭიკო ავალიანი. მკვდარი უნდა დაიტირო, მაგრამ, სადაა მკვდარი!.. დახიკეს, უბედურ ჭიჭიკოს თუ რაიმე ჰქონდა დატოვებული, ძველი და ახალი ტანსაცმელ-ფეხსაცმელი, ქუდი, გააწყვეს ლოგინზე, დაალაგეს „გულზე” სურათები: თუ ცალკე ჰქონდა გადაღებული, ხომ კარგი, თორემ, ჯგუფური, ცოცხლებიც „მიამატეს”. დაუჯდა ფრჩხილებით ლოყებდახეული ცოლი, დედა და ხუთი და, ღრმად მოხუცი მამა, ბიძაშვილ-მამიდაშვილ-დეიდაშვილი და მოაწყდა სატირალს კუთხე-მეზობელი, მტერ-მოყვარე... საღამოს ამ ტანსაცმელს ცხედარივით მიასვენებენ და ეკლესიაზე მარხავენ (საწყალი ჭიჭიკო, ცოცხალი არ დააყენეს ამქვეყნად, თორემ, საფლავი ორი აქვს: ერთი აქ, თავის ეკლესიასთან, საგვარეულო სამარხში და, მეორე – იქ, საძმო საფლავში)... ორმოცზე მე და ჩემს ძმას გვაგზავნიან. მამიდა არაა სახლში, თორემ, ლხინს კი და, ჭირის დღეს ის არაფრით დააკლდებოდა... რაღაც თალხი პურის ფქვილი გვაქვს (ასე, ჭირის დღისთვის), ცოტაა; ცხრა ხაჭაპურის სამყოფი ყველი და პურის ფქვილი სადღაა. მუჭისტოლა კვერები რა გასაგზავნია და, ბებია აცხობს საკურთხის ტაბლე-პურებს. ტაბლე-პურისთვის ცოტა ცომიც კმარა... ამისთანა ცხრა ცალი, თუ ვერ გასახელებს, არც თავს მოგჭრის. ესეც ძლივს გამოვიყვანეთ და ჩვენი საჭმელი სადღაა, მაგრამ, ბებია მოითმენს და, ჩვენ იქ რომ მივალთ, უპატივცემულოდ ვინ დაგვტოვებს. ჩავაწყვეთ ეს ცხრა ტაბლე კალათაში, გადავაფარეთ გობზე გარეცხილი, გაცრეცილი სუფთა ტილო და გზას დავადექით. ბებიას სოფელი, მეზობელი სოფელია – გაღმა წყალტუბო... გორებია, ღელე, დახრამული და დაორწოხებული აღმართ-დაღმართები. მივდივართ, მაგრამ, ნამეტანი გაგვიჭირდა. ზაფხულია, სიცხეა. დავიღალეთ, გვასხამს ოფლი, მაგრამ, ცხელი კი არა, ცივი... გლახადაა საქმე, რაღა გინდა, რომ ქნა?! ეგერ, სარეცხელას ღელისპირზე ჭინჭიხას წყაროცაა. მივლასლასდით და, ვითომ ცივი წყაროს წყალი გვისაშველებს, გვგონია. მეტი არაა შენი მტერი. რაღა მოგვაწყურებს, პირში ხემსი არ ჩაგვსვლია. თითო-თითო ტაბლე სულს ჩაგვიბრუნებს კი არა, დევებად გვაქცევს და, ჭიჭიკო ავალიანს ერთი კი არა, ასი კაცი რომ ჰყავდეს მოკლული, ჩვენი მადლით არ წაწყდება. რას აპირებ! მკვდარს, ისიც ომში დაღუპულ მკვდარს, როგორ გინდა მოჰპარო „ლუკმა”! ძლომაზე ხომ არაა საქმე, თითო-თითო გვინდა... არა, ამას რა სინდისით ვიზამთ – მიცვალებულს, ისიც, ჭიჭიკო ბიძიას, რავა გავქურდავთ, მაგრამ, იქამდე ჩვენ ვერ მივაღწევთ... დავცვივდით მუხლებზე და შევევედრეთ, შევეხვეწეთ, ვემუდარეთ ჭიჭიკო ბიძიას სულს, ეპატიებია ასეთი მკრეხელობა, რაკი თვითონაც ხედავდა, რა დღეშიც ვიყავით. ცხრაჯერ გადავიწერეთ პირჯვარი და თითო-თითო ტაბლე ამოვაძვრინეთ კალათიდან... ხელები გვიკანკალებს. ვჭამთ, მაგრამ...





მეუღლესთან ერთად

მიცვალებული – მიცვალებულია, ახლა გზას მარჯვედ დავადექით, მაგრამ, იქ რომ დაითვალონ და რაიმე გვითხრან? მივედით, დანა კბილს არ გვიხსნის. ცეცხლი და ალმური გვეჭამა, არ გვერჩია?! შევეხვეწე ჩემს ძმას: შენ მიიტანე და, მერე, თუ რაიმეს აღაპიდან მოგცემენ, სუყველა შენი იყოს-მეთქი. ან იმას რა გამოსაჩენი პირი აქვს, მაგრამ, ჩემი ხსნა რომ იტვირთა, ამან გამბედაობა შეჰმატა და შეიტანა სამზადში, სადაც ქალები ასეთ „შემოწირულობებს” მაგიდაზე ახორავებდნენ, რომ მერე სუფრაზე გაეტანათ. მასხამს ისევ ცივ ოფლს, გავთავდი, სანამ ძმა უკან გამობრუნდებოდა... „არავის არ დაუთვლია, ისე მიაყარეს კუთხეშიო”. ოჰ... შენ აგაშენა ღმერთმა!.. გვტაცეს ხელი: საკურთხი ბავშვების, მშიერის და გაჭირვებულისააო. კინაღამ სუფრის თავში დაგვსხეს... სასმელს რავა წავეკარებოდი, მაგრამ, ასე პირშავად რომ ვიყავი, იქნება, მკრეხელობა შემინდოს-მეთქი და ჩაის ჭიქა მჟავე ღვინო დავცალე. აგერ მადგას ჭიჭიკოს გადიდებული სურათი და გაძარცულმა მკვდარმა რომ თავი დააქნია, დავკარგე მადა. დავკარგე არა მარტო მაშინ, მერეც, საერთოდ, სამუდამოდ... დიდხანს, დიდხანს, მაინც ცოდვასავით მაწვა... ალბათ, ნამეტანი უსაშველო გვჭირდა, თორემ, მკვდრისთვის კი არა, ცოცხლისთვის არაფერი მოგვიპარავს“...



შვილები

„...აგერ, მეორე წელიწადია, ომია, თითზე გადასახვევს ვერაფერს იშოვი. არ ვიცი, რა მოხდა, მანამადე არ შემინიშნავს, ახლა ამისთვის ვინ მოიცალა! ჩემი სოფლის მაღაზიაში გაჩნდა ახალთახალი, გაუხუნარი და დაუმტვერავი, ბიჭის შავი პალტო, ერთადერთი, რა თქმა უნდა... კიდია ეს შავი, ცინცხალი პალტო



ოტია იოსელიანი ძმასთან და მეგობრებთან ერთად



ოტია იოსელიანი თანაკლასელებთან ერთად (მარცხნივ)

მაღაზიაში და დიდსა და პატარას თვალს უხარებს. არც იყიდება, არც არაფერი. რა თქმა უნდა, მაშინდელ გაბონებულ ფულზე არავინ მოგვცემდა... ნაახალწლევს დათოვა – მუხლამდე დადო. რაღაცა, ჩვენი მოსწავლეების მოჭრილი შეშა აქვს სკოლას და ბუხარში ვაკიზინებთ, მაგრამ, ბუხარი და ორი კაციო – ტყუილად კი არ უთქვამს ხალხს და, ჩვენც ეს თუ მოგვეთბობა, თორემ, ვართ ამ ხის ფარღალალა, ძველი ოდასახლის ოთახებში დაპუტული ბელურებივით აბუნძლულები და მხრებში ჩამძვრალნი... ჩემს კლასში მარტო მე ვიცი, რომ არსებობს ქვეყნად საოცრება – ბავშვის პალტო... შესვენების


შვილიშვილთან ერთად

დროს მივადგებოდი რომელიმე, მთლად გალურჯებულ ბიჭს და, სხვების გასაგონად, იდუმალი ხმით დავიწყებდი: „ასე ა, ამის ზომა იქნება... ჩვენ, ბიჭებს, „მორგებული" გვაქვს შავი პალტო. გვაცვია, ზოგს სრული და ზოგს ვიწრო, გვაკერია ზედ ბზრიალა ფოლაქები ოხრად და ხშირ-ხშირად ვისინჯავთ ზურგზე მოკლე, კუდა ქამარს. უთუოდ, სათემო საბჭო და თუნდაც რაიონული კოოპერაცია, ასეთ რთულ საკითხს ვერ გადაწყვეტდა, თორემ, მე იმ პალტოს, იმდენ ხანს დუქანში გამოკიდებულს, არავინ მაყურებინებდა... ჩვენი თემი იყო ჩვენთვის ერთადერთი, თორემ, რაიონს ხომ ასეთი ბევრი ჰქონდა. ალბათ, იქაც ეკიდა ასეთი, თითო-თითო ობოლი მარგალიტი და, რაკი პალტო ბავშვისა იყო, განათლების განყოფილებას გადაეცა გასანაწილებლად. განათლების განყოფილების გამგე ვიღაც ქუთაისელი ებრაელი იყო, მამიდაჩემისგან ბევრჯერ მსმენია მისი ქება. აიღო ამ კაცმა, რა თქმა უნდა, ჩემი თემის კუთვნილი პალტო და ჩვენ „გაგვინაწილა". ნამდვილად იმ მოსაზრებით, რომ ყველა ბავშვი შიშველი იყო, ყველა წითელარმიელის შვილი, აქ ვინმეს გამორჩევა არ შეეძლო. თემში მასწავლებელიც ბევრი იყო და შვილებიც ჰყავდათ, ერთადერთი მამიდაჩემი იყო, რომელიც არა თავისი უბიდან ნაშობ შვილებს ზრდიდა. აიღო და „ტალონი" მის სახელზე გამოწერა. სხვა თემებში რა რიგითა და რა წესით გაანაწილა, ვერაფერს გეტყვით, რაკი, ესეც მხოლოდ ჩემი ვარაუდია. და, თქვენ წარმოიდგინეთ, ამ ერთადერთი საოცრების პატრონი გავხდი მე. ძმას ჩემი ერთადერთი, ჯიბეებიანი და რკინის ფოლაქებიანი, ნაცრისფერი ბლუზა გადავულოცე და, ეს მკლავგაუყრელი, ახალთახალი პალტო ჩითის პერანგზე მოვისხი. ერთი სიტყვით, მამაც გამიცოცხლდა, დედაც ჩემთანაა, მამიდა ხომ მყავდა, მაგრამ, თუ მყავს, ახლა მყავს. სასწორზე აქეთ რომ დამსვა და მთელი ქვეყნის ბედნიერება – მეორე მხარეს, რა თქმა უნდა, მე გადავწონი... თავის დღეში კარი რომ არ დაგვიკეტავს, გავუყარეთ იმ ღამეს ურდული, მაგრამ, წამედება თვალი და, თუ სადმე ქურდი და ყაჩაღი გამიგონია ან წამიკითხავს, აწყდება კარს, იქიდან რომ არა, ფანჯრებში იღებენ მინებს ან ბუხრის საკვამურიდან ჩამოდიან... ელირსა, გათენდა! როგორლაც მივაღწიე სკოლამდე და ქვეყნის სიმდიდრის ბატონ-პატრონი რომ ვარ... _ თქვენს მტერს: ერთბაშად არ შემაქცია ზურგი მთელმა სკოლამ და, მეტადრე – ჩემმა კლასმა?!. არავის ჩემი დანახვა არ უნდა. გუშინ რომ ერთმანეთის ფასი არავინ გვყავდა, ერთმანეთს რომ სულში ვიძვრენდით, დღეს იმ მხარეს არ იხედებიან, საითაც მე მივიჯგიმები. ტიტველი, დედიშობილა რომ ვინმეს მასწავლებლის მაგიდაზე დავესვი, ასე უხერხული და უსინდისობა როგორ იქნებოდა. თეთრი ყვავივით თუ შავი ყორანივით ვზივარ ამდენ გაბუტულ, გალურჯებულ ბელურაში და, ჩემმა თბილმა პალტომ როგორ ქნა, რომ ასე შემარცხვინა. მარტო ბიჭები კი არა, გოგოებიც... ვერ წარმოიდგენთ, როგორ მძულდა, მეზიზღებოდა თავი და ვიწვოდი სირცხვილით... მძულდა პერანგიც, ჩემს ძმას რომ ბლუზა მივეცი, ისიც, თითებგამოყრილი ფეხ-


ოტია და ოთარ იოსელიანები

საცმელებიც და დაწყვეტილი, ორ ადგილას გადანასკვნული ყაითნებიც... ერთი ბავშვი მაინც შევმოსეო და, როგორ გინდა, არ ჩაიცვა... ბედი ჩემი, რომ ჩემში მტაცებლისადმი ზიზღის გრძნობამ გაიმარჯვა და მეგობრები და ადამიანები გადამირჩინა. მაგრამ, ახალი და რაღაც გამორჩეული სამოსის სიძულვილის გრძნობას ვერ ვაჯობე..."

**ეკა პატარაია**

## რომელი ცნობილი თბილისური სასტუმროს ადგილზე აშენდა „მაკდონალდსი" მარჯანიშვილის მოედანზე, რომელი ისტორიული შენობები აიგო აღმაშენებლის გამზირზე გერმანელი არქიტექტორის პაულ შტერნის პროექტით და რით იყო განთქმული სასტუმრო „ევროპა" მიხეილის პროსპექტზე

(23-ე გვერდიდან)

სახლი". 1915 წელს აგებულ ამ შენობაში საბჭოთა დროს „Закавказский институт путей и сообщения" იყო, შემდგომ კი თბილისის რკინიგზის ტექნიკუმი. მის კურსდამთავრებულებს მეორე მსოფლიო ომის დროს ჯავშანი ჰქონდათ და ფრონტზე არ მიჰყავდათ.

### სასტუმროები მიხეილის პროსპექტზე

1889 წლიდან მიხეილის საავადმყოფოს პი-


სასტუმრო „მადერა" მიხეილის პროსპექტზე. 1900-იანი წლები

რდაპირ, ვენაგელის სახლში, ფუნქციონირებდა სასტუმრო „გერმანია". სასტუმროს ჰქონდა ვრცელი ბაღი და რესტორნის დიდი დარბაზი, სადაც ღამის ორ საათამდე უკრავდა ავსტრიიდან ჩამოსული ქალთა ორკესტრი. მიხეილის პროსპექტის 143 ნომერში მდებარეობდა სასტუმრო „ევროპა", რომელიც ცნობილი იყო თავისი გასართობი ბაღით. ზაფხულობით ამ ბაღში კონცერტები და მეჯლისები ეწყობოდა, იყო როტონდა-რესტორანიც. სასტუმროს თბილისის მცხოვრებნი „ბაღ ევროპას" უწოდებდნენ, სავარაუდოდ იმის გამო, რომ ერევნელის (თავისუფლების) მოედანზე მდებარე „ევროპისგან" განესხვავებინათ. ასევე, ავტორიტეტული სახელი ჰქონდა მიხეილის პროსპექტის 114 ნომერში მდებარე ლუიზა მადერის მიერ გახსნილ სასტუმრო „მადერას". ლუიზა მადერი გერმანელი კოლონისტების პირველი თაობის შთამომავლი იყო. მისი წინაპრები – ფრიდრიჰ და ხრისტიან მადერები, ერთ-ერთი პირველები იყვნენ, რომელთაც 1824 წელს ქალაქის პოლიციაში შეიტანეს თხოვნა გასაქირავებელი ეკიპაჟების შენახვის თაობაზე. მადერის გვარის წარმომადგენლები იყვნენ კარეტებისა და ეკიპაჟების ოსტ-


მარჯანიშვილის მოედნის ხედი (1950-იანი წლები)

ატები და მთავარი მიმწოდებლები თბილისში. 1910 წელს „მადერა" პრჟიბილის სახლში, კიროჩნიზე ამჟამინდელ მარჯანიშვილის ქუჩაზე, 20 ნომერში გადასულა. იმ პერიოდში სასტუმროს რესტორანი განთქმული იყო ქალაქში, 1918 წლიდან რესტორანს თბილისის პირველი შრომითი არტელის რესტორნად მოიხსენიებდნენ. კირხეს (კიროჩნის) ქუჩაზე, „მადერის" მოპირდაპირე მხარეს კიდევ ერთი სასტუმრო იყო გახსნილი, სახელად „ვარშავსკიე ნომერა", 1910 წლიდან ამ სასტუმროს სახელი შეეცვალა და „იმპერიალი" ეწოდა. გასაბჭოების შემდგომ წლებში სასტუმროები დაიხურა და საცხოვრებელ სახლებად გადაკეთდა. მოგვიანებით, „მადერას" ადგილზე მარჯანიშვილის ქუჩისა და აღმაშენებლის მოედნის კუთხეში სწრაფი კვების რესტორანი, „მაკდონალდსი" გაიხსნა.

**უშანგი რუხაძე**



**სანამ ადამიანი საკუთარ თავზე არ გამოსცდის, სხვისი მონაყოლი ზღაპარი ჰგონია. ეს განსაკუთრებით იმას ეხება, ფენომენალურ მოვლენას რომ უწოდებენ. ასევე, დღევანდელი ყოფის ფონზე, შესაძლოა, ერთი ადამიანის კეთილდღეობა მეორეს ისე შეშურდეს, რომ გათვალოს კიდეც და ამით მის წარუმატებლობას დაუდოს სათავე. როგორც პარაფსიქოლოგი, ქალბატონი ქეთი ამბობს, ჩვენ გარშემო უამრავი ბოროტი ადამიანია და სწორედ მათ შემოაქვთ ჩვენს საცხოვრებელში შავი და ბოროტი ენერგია, სახლში ეს ენერგია. შურიან და ღვარძლიან სტუმრებს შემოაქვთ და ასე გროვდება ის.**

# როგორ ხდება შურიანი ადამიანისგან გათვალვა და ვის შემოაქვს ჩვენს საცხოვრებელში შავი და ბოროტი ენერგია

**ქეთი**: არსებობს ფაქტები, ადამიანი ყურადღებას რომ არ აქცევს და როცა დრო გადის, მერე უფიქრდება – ხვდება, რომ უბრალოდ არაფერი ხდება ამ ცოდვილ დედამიწაზე. ის, რასაც ბევრი ცრურწმენას ეძახის, მე გამითვალისწინებია ბევრჯერ და მათ შედეგს დღესაც ვიმკი. დამიჯერეთ, ჯობია, კარგად დაფიქრდეთ, დაუჯეროთ უფროსი თაობის რჩევებს და სანამ ნაბიჯს გადადგამდეთ, გააანალიზოთ ყოველი სიტყვა, ქმედება. ასე, არც დაზარალდებით და არც სავალალო შედეგს მოიმკით. როგორც გითხარით, ადრე არც მე ვაქცევდი ცრურწმენებს ყურადღებას და ახლა იმდენად ყურადღებით ვარ, რომ იტყვიან, წესებს არ ვარღვევ. საერთოდ, სანამ საკუთარ თავზე არ იწვნევ, მანამდე არ ფიქრობ შედეგზე. დღესაც კი უამრავ ლიტერატურას ვკითხულობ, სადაც ძველი ეზოთერული სიბრძნეა ჩადებული. უფროსი თაობის წარმომადგენლებს ვხვდები და მათგანაც ბევრ საინტერესო ინფორმაციას ვიღებ ამ სფეროში.

**– კონკრეტულად, რა ახდენს განსაკუთრებულ ზემოქმედებას ამ ცხოვრებაში ჩვენს ბედზე?**

– ამჯერად, რამდენიმე წესს გაგანდობთ, რომელიც საკმაოდ მარტივია, მაგრამ დიდი ზემოქმედების უნარი აქვს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე. მაგალითად, ბევრმა დიასახლისმა იცის ღამით სამზარეულოს მაგიდაზე დანის დატოვება. ეს სახიფათოა, რადგან, ამან ოჯახური კონფლიქტი და ოჯახის წევრებს შორის გაუგებრობა შეიძლება, გამოიწვიოს. თუ გსურთ, საკუთარი ბედი არ დათარსოთ, არასდროს აჩუქოთ სხვას მარგალიტის ან გიშრის სამკაულები. ასევე, არ ასწიოთ ბავშვი მზის ჩასვლის შემდეგ თქვენს თავზე მაღლა, თორემ დაბალი გაიზრდება. ასევე, მზის ჩასვლის შემდეგ, არც თმა მოიჭრათ, არც ფრჩხილი, არც ღილი დააკეროთ და არც რაიმე გაკეროთ. ასეთ დროს, არც ფულის გასესხება და დათვლავარგა, უბარაქობა იცის.

**– დღეს ბევრი იშენებს სახლს. ძველად არსებობდა წესები, რომელსაც ჩვენი წინაპრები აუცილებლად ითვალისწინებდნენ, სანამ მის მშენებლობას დაიწყებდნენ. თქვენ ხომ არ მოგვაწვდით მსაგავს ეზოთერულ ინფორმაციას, რომელიც სახლის მშენებლობის დაწყებამდე უნდა გავითვალისწინოთ?**

– დიახ, ახლა, ბევრი იწყებს სახლის მშენებლობას და მინდა, ერთი ძველი ეზოთერული ოქროს წესი გაგანდოთ. კერძოდ, სახლის მშენებლობისას, საძირკველში აუცილებლად ჩაყარეთ ხურდა ფული, შაქარი და მატყლი. ეს იმისთვისაა საჭირო, რომ სახლში მუდმივად ბარაქა, სიტკბო და სითბო ტრიალებდეს. სახლის საძირკველში ჩატანებული ფული ბარაქას უზრუნველყოფს, შაქარი სიტკბოს, მატყლი კი ოჯახურ სიყვარულზე აგებს პასუხს.

**– ქალბატონო ქეთი, გამიგია, რომ ადამიანებს სახლში შემოსვლისას გარკვეული ენერგეტიკა შემოქვთ, რაც შემდეგ ის შიგნით იბუდებს და მაცხოვრებლებზე ზემოქმედებს. ეს რამდენად რეალურია?**

– დიახ, სახლში ნეგატიური ენერგია შეუძლია შურიანმა ადამიანმა შემოიტანოს და, ეს, ნამდვილად ასეა. ალბათ, ყველას ესტუმრებიან ხოლმე მეგობრები, მეზობლები თუ ნათესავები. ამ დროს, შესაძლოა შურიანმა სტუმარმა ბოროტი ენერგია იმ დოზით გადმოაფრქვიოს თქვენს საცხოვრებელში, რომ უნებლიეთ უიღბლობის მსხვერპლი გახდეთ. ამიტომ, სახლის დაცვა შურიანი ადამიანების თვალისგან კარიდან უნდა დაიწყოთ. სახლის კარზე დაამაგრეთ ნალი, რომელშიც ეკლიან

**ბევრი დიასახლისი ღამით სამზარეულოს მაგიდაზე დანას ტოვებს ხოლმე. ეს სახიფათოა, რადგან, ოჯახური კონფლიქტი და ოჯახის წევრებს შორის გაუგებრობა შეიძლება, გამოიწვიოს**

მცენარეს ჩაარჭობთ. ასე, დაცვა ორმაგდება, რადგან ეკალი კარგად ებრძვის ავ თვალს და მას კარის შიგნით, ანუ, სახლში არ უშვებს. ასევე, კარგია თუ ქოთნის ეკლიან ყვავილს შემოსასვლელში დადგამთ. სხვათა შორის, ჩვენი წინაპრები, სახლის კარის საკეტს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ანტიკვარულ და ძველ ავეჯს თუ დააკვირდებით, ნახავთ, რომ თითოეულ უჯრას თუ კარს ლამაზი და საგულდაგულოდ დასაკეტი გასაღები უკეთდება. უმჯობესია, გასაღებების აცმა ვერცხლისფერ ჯაჭვზე დაკიდოთ და ის არასდროს დადოთ მაგიდაზე. ასევე, ეცადეთ, ის შურიანი ადამიანების მზერას მოარიდოთ. ასე, გაქურდვისგან იქნებით დაცული. ძალიან კარგია, სახლში ძაღლის, კატის ან ჩიტის ყოლა. ყველაზე კარგი და წარმატების მომტანია აკვარიუმში მოცურავე თევზები, განსაკუთრებით კი ოქროსფერი. ოქროსფერი თევზი სიმდიდრის ერთგვარ თილისმად მოიაზრება ეზოთერიკაში. ზოგადად, ცხოველის ბეწვი უარყოფით ენერგიას ანეიტრალებს ბინაში. ამ მხრივ კარგია მუქბეწვიანი ძაღლი ან კატა. ასეთ ცხოველებს სახლის ენერგეტიკის დაცვა და შენარჩუნება უკეთ შეუძლიათ. ალისფერი შეფერილობის ჩიტი გალიაში სიყვარულში წარმატებას და ფინანსურ კეთილდღეობას გპირდებათ. ასე რომ, ბევრ რამეს არ ვანიჭებთ დიდ მნიშვნელობას და ეს შესაძლოა, უცოდინრობით მოგვდის ან დაუჯერებლობით. მაგრამ, ჩვენვე რომ შეგვიძლია, სხვების რჩევების გარეშე, დავეხმაროთ საკუთარ თავსა და ოჯახის წევრებს, ეს უდავოა.

**– ამბობენ, თუ საცხოვრებელში ბევრი სარკეა, ის გათვალვისგან გვიცავსო. ასეა?**

– დიახ, თუ ბევრი სარკე გაქვთ სახლში, მაშინ თქვენი გათვალვა რთული იქნება. თუ გუნება-განწყობა გაგიფუჭდათ, დადექით დაახლოებით ათი წუთის განმავლობაში სარკის წინ და მიაშტერდით საკუთარ სილუეტს. ნახეთ, დარდი და ტკივილი, მალევე გაგივლით. საერთოდ, სარკე ჯობია, სასტუმრო ოთახის მაგიდის გასწვრივ დაკიდოთ. თუ სარკე გაგიტყდათ, ნუ ჩავარდებით პანიკაში, არ დაიჯეროთ, რომ ეს ცუდის მომასწავებელია და აუცილებლად ახლობელი ადამიანის სიკვდილს ნიშნავს. უბრალოდ, აიღეთ წითელი სანთელი, აანთეთ და სარკის ნატეხები მის ალზე შემოატარეთ. შემდეგ კი მიწაში ჩაფალით. შესაძლოა, დამთხვევები იყოს, მაგრამ თუ იმ წესს გამოიყენებთ, რომელზეც ზემოთ გესაუბრეთ, მაშინ მშვიდად იყავით, ნურც ცუდზე იდარდებთ და ნურც ინერვიულებთ. უბრალოდ, კარგად გააანალიზეთ, რას აკეთებთ ცხოვრებაში არასწორად, გამოასწორეთ ის და ყველაფერი დალაგდება. სახლი შიგნიდან უნდა დაიცვას კაცმა, ხოლო მასში მომხდარ მოვლენებზე ოჯახის თითოეული წევრი აგებს პასუხს. ჰოდა, თუ შეგვიძლია, ამ ციხესიმაგრის დაცვა და ოჯახის წევრების კეთილდღეობაზე ზრუნვაც, რატომ უნდა ვთქვათ უარი, არ მესმის. მე, უბრალოდ, გირჩევთ, როგორ შეიქმნათ იდეალური და ჰარმონიული გარემო თქვენ გარშემო.

**ნონა დათეშიძე**

## გაიღიმე... მოეწონები!

შეგიძლიათ, ჰკითხოთ ქალს, თანაც, ნებისმიერს, როგორი კაცები მოსწონს? უმრავლესობამ, შეიძლება, გაიცინოს და, უბრალოდ, არც გიპასუხოთ, მაგრამ, პასუხი მაინც ერთია: მამაკაცი, რომელიც ქალს მოეწონება, უნდა იყოს ჭკვიანი, ყურადღებიანი, ხელგაშლილი, საქმიანი და... კარგი იუმორის გრძნობით... იტყვით, იუმორის გრძნობა რა პრობლემააო; რა უნდა ქალის გაცინებასო... მაგრამ, ასე ადვილადაც არ უნდა იყოს საქმე. ხშირად, მონდომებული „იუმორისტი“ სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩნდება ხოლმე. საქმე ისაა, რომ იუმორის გრძნობა პირდაპირ კავშირშია ინტელექტთან.

უნდა ითქვას ისიც, რომ მამაკაცური იუმორი ქალის იუმორისგან განსხვავდება – ის უფრო მძიმეა და „შავი“. ქალისა კი (თუ ის ჭეშმარიტი ქალია) – გაცილებით „მსუბუქი“. თუმცა, მამაკაცებს ჩვევად აქვთ, იცინონ ყველაფერზე, რასაც ქალი იტყვის, როცა მათ ეს ქალი მოსწონთ. თუმცა, რა მოხდება მერე – უკვე ოჯახში, ძნელი სათქმელია. დიდი შანსია, არც კი გაეღიმოთ.

ყველაზე ადვილია და ეფექტური – იხუმრო საკუთარ თავზე (ოღონდ, ზედმეტი არ მოგივიდეთ), თან, გაცილებით უსაფრთხოც. ნუ შეგეშინდებათ იმის, რომ ცუდად გაგიგებენ საკუთარი ნაკლის გაქილიკებას. არავითარ შემთხვევაში! თუ ამას ფიქრობთ, ესე იგი, არასრულფასოვნების კომპლექსი გაქვთ, ეს კი გაცილებით დიდი პრობლემაა. ამიტომ, არჩევანი შეაჩერეთ ამ უსაფრთხო ვარიანტზე და იყავით გამორჩეული.

## რისი ეშინიათ მამაკაცებს

მამაკაცი ცოლს ირთავს მაშინ, როცა ძალიან, ძალიან შეყვარებულია, ან... შეშინებული. დიახ, შიში იმისა, რომ, შესაძლოა, ამქვეყნიდან ისე წავიდეს, შთამომავლობის დატოვება ვერ მოასწროს, მამრებში არსებობს, თუმცა, მას არ აქვს გარეგანი გამოხატულება. ანუ, გამრავლების ინსტინქტი ჯერ კიდევ მუშაობს ადამიანებში, ისევე, როგორც ცხოველებში. რატომ? იმიტომ, რომ ეს ერთ-ერთი ძირითადი ინსტინქტია. არსებობენ მამაკაცები, რომლებსაც პატარა ბავშვების ეშინიათ. რა თქმა უნდა, გამრავლების ინსტინქტი მათშიც არანაკლებ მძლავრობს, მაგრამ, ამას ანეიტრალებს დაუოკებელი სურვილი ახლის შეცნობისა და ცხოვრებით ტკბობისა. ჰოდა, კაციც ფიქრობს, ბავშვი (თანაც, რამდენიმე) ხელს აუცილებლად შემიშლის ცხოვრებისგან სიამოვნების მიღებაშიო და არც ჩქარობს ცოლის შერთვას. შეიძლება, თქვენი რჩეული ამას ხმამაღლა არ აღიარებს, არ ლაპარაკობს ამაზე, მაგრამ, თუ ჯერ კიდევ ყოყმანობს და გადაწყვეტილება ვერ მიუღია, იცოდეთ, რომ ეს სწორედ ამ შიშის საფუძველზე ხდება. მისი გადალახვა შეიძლება – სხვანაირად, კაცობრიობაც შეწყვეტდა არსებობას. რა ქნან მამაკაცებმა? ისინი სუსტი არსებები არიან, თანაც, უამრავი კომპლექსით, მაგრამ, შიშის დაძლევა შეიძლება და, შეიძლება, რა თქმა უნდა, სიყვარულით!

## კაცები... ტირიან!

როდისმე გიტირიათ? არასდროს ტირით? – სულ ტყუილად და, სულერთია, ქალი ბრძანდებით თუ მამაკაცი. უცნაური სტატისტიკაა, მაგრამ, როგორც გაირკვა, ჩვენი პლანეტის მამაკაცთა 70 პროცენტი, ხოლო ქალთა 35 პროცენტი თავს ტირილის უფლებას არ აძლევს – ბუნებრივია, სხვადასხვა მოსაზრების გამო. კაცები განსაკუთრებით სხვების თანდასწრებით ერიდებიან ტირილს. ამის გამო ფსიქოლოგები ძალიან ბრაზობენ და ამ ყველაფერს მავნე სტერეოტიპებს აბრალებენ... სხვათა შორის, ცრემლები ბუნებრივად და ფიზიოლოგიურად წარმოშობა. როგორ შეიძლება, უარი თქვა ბუნებრიობასა და ფიზიოლოგიაზე?! ცრემლები არც სისუსტის მაჩვენებელია და არც რამე პათოლოგიის – ვითომ, რატომ არ უნდა იტიროს მამაკაცმა?! რა არის ამაში განსაკუთრებული ან სქესისთვის შეურაცხმყოფელი?! მამაკაცებო, ქალებს, პირიქით, მოსწონთ ემოციური კაცები, რომელთაც შეუძლიათ სხვისი პრობლემის გულთან ახლოს მიტანა.

ცრემლები – ეს არის ემოციის გამოხატვის აბსოლუტურად ფიზიოლოგიური და ადამიანური საშუალება. ის პასუხია ჩვენი ორგანიზმის ემოციური მდგომარეობისა, ამიტომაც, ვერც ერთი სქესის საკუთრება ვერ იქნება.

ერთი სიტყვით, თუ მამაკაცი ტირის, ამით მის მამაკაცურ ღირსებას არაფერი აკლდება, უფრო – პირიქით. ამიტომ, შეიძლება, თამამად ითქვას, რომ გმირებიც ტირიან და, რომ იცოდეთ, ანტიკურ ხანაში მამაკაცს გულამოსკვნილი ტირილი მხოლოდ პლუსებს ჰმატებდა...

## რა სჭირდება ქალს

სტატისტიკის მიხედვით, იმისთვის, რომ ბედნიერები იყვნენ, სიყვარულის საჭიროებას ქალბატონების 68 პროცენტი ასახელებს, მაშინ, როცა სიყვარული მამაკაცების მხოლოდ 16 პროცენტს აბედნიერებს. მათთვის ბედნიერება კარიერა და ძვირფასი მანქანაა. მამაკაცები იმასაც ფიქრობენ, რომ ქალებმა თავად არ იციან, რა უნდათ. არაფერიც, ძალიან კარგად იციან. უბრალოდ, რაც მათ უნდათ, უნდათ მაშინვე და უნდათ ყველაფერი ერთად. უნდა ვაღიაროთ – თუ ქალს ერთ დღეს ნახევარ სამეფოს აჩუქებთ, ის მეორე დღეს აუცილებლად მოიწყენს და მეორე ნახევარსაც მოითხოვს. მაგრამ, ისიც სიმართლეა, რომ შეყვარებული ქალი ადვილად იჯერებს იმას, რომ უყვართ, თუმცა, იმავდროულად, იმასაც ადვილად იჯერებს, რომ არავის უნდა და არავის სჭირდება.

მამაკაცებმა უნდა აღიარონ, რომ ყველა ქალშია სილამაზე და პარამეტრები აქ არაფერ შუაშია. ჭეშმარიტი ბედნიერება კი შინაგან ჰარმონიაშია. არავითარი ფილოსოფიური დისკუსიები! უმჯობესია, მალევე მიხვდეთ, რა სჭირდება ქალს სიმშვიდისა და ბედნიერებისთვის, რომ მან თქვენც გაგაბედნიეროთ; სულ მცირე – მშვიდ ცხოვრებაში მაინც არ შეგიშალოთ ხელი.

## ენდე ფსიქოლოგს!

ევროპაში ძალიან ცნობილია ფსიქოლოგ მეთიუ ფეინბერგის რჩევები. სხვათა შორის, ისინი თქვენც გამოგადგებათ. მაგალითად, თუ გსაყვედურობენ იმის გამო, რომ გიყვართ გოგონებთან გემრიელად წაჭორავება, ძალიანაც ნუ ინერვიულებთ. ეს სულაც არ არის პრობლემა და სრულიად ბუნებრივი მოთხოვნილებაა. ჯერ ერთი, ლაპარაკი შეიძლება ყველაფერზე: მოდაზე, ფილმებზე და... მამაკაცებზეც – რატომაც არა?! კალიფორნიის უნივერსიტეტის ფსიქოლოგებმა დაადასტურეს, რომ „უწყინარი ჭორაობა“ მეტად პოზიტიური მოვლენაა.

არასოდეს იგრძნოთ თავი დამნაშავედ და ნურც სინდისი შეგაწუხებთ – ილაპარაკეთ, ვისთანაც გინდათ და რამდენიც გინდათ. თანაც, თუნდაც კონკრეტული ადამიანის საქციელზე; პრობლემებზე ლაპარაკიც, ასევე, დადებითი მოვლენაა, რადგან, ის გვეხმარება პრობლემების გადაჭრაში და დიდწილად იმ ადამიანსაც წაადგება, ვის საქციელს ან პრობლემასაც განვიხილავთ. ბოლოს და ბოლოს, სიტუაციების წინასწარ განხილვით ბევრი უსიამოვნების თავიდან აცილებაც შესაძლებელია.



გვერდი მოამზადა ქეთი უგლავამ

# ენტონი ჰოპკინსი – მსოფლიო კინოს ყველაზე ცნობილი სერიული მკვლელი

***მსოფლიო კინემატოგრაფის ყველაზე ცნობილი სერიული მკვლელის, ჰანიბალ ლექტერის როლის შემსრულებელი სერ ენტონი ჰოპკინსი თანამედროვე კინოს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და ავტორიტეტული მსახიობია. „ოსკარის" ლაურეატი 75 წლის მსახიობი აქტიურად განაგრძობს სამსახიობო კარიერას და არაერთ ახალ პროექტზე მუშაობს.***

* სერ ფილიპ ენტონი ჰოპკინსი დაიბადა უელსის სამხრეთში, პორტ-ტალბოტთან ახლოს, მარგამში, 1937 წლის 31 დეკემბერს. მისი მამა, რიჩარდ არტურ ჰოპკინსი, მცხობელი იყო, ხოლო დედა – მიურიელ ენი – დიასახლისი. 1949 წელს მშობლების ინიციატივით ენტონი პონტიპულის ჯონსის ბიჭების სკოლაში მოეწყო, სადაც გატარებული შვიდი სემესტრის შემდეგ ქოუბრიჯის გაძლიერებული გრამატიკის სკოლაში გადაიყვანეს. იმ პერიოდში ენტონი დისლექსიით იყო დაავდებული და უჭირდა სკოლაში სწავლა. რამდენიმე ხანში ენტონიმ გადაწყვიტა, მთლიანად ხელოვნებისთვის დაეთმო თავისი დრო, შეესწავლა ფერწერა ან ფორტეპიანოზე დაკვრა.



* „ასოციალური ტიპი" – ასეთი მეტსახელით მოიხსენიებდნენ მასწავლებლები ენტონის და სახაზავს ურტყამდნენ თავში, რადგან, ენტონის არ უნდოდა სწავლა და მუდამ პროტესტს გამოთქვამდა საშინაო დავალებების გამო.

* მსახიობობა ენტონი ჰოპკინსმა 15 წლის ასაკში გადაწყვიტა. საბედისწერო გამოდგა შეხვედრა მსოფლიო კინოს ვარსკვლავთან, რიჩარდ ბარტონთან, რომელმაც ენტონის მსახიობის პროფესიის არჩევა ურჩია. საბოლოოდ ენტონი ჰოპკინსი კარდიფში, უელსის სამეფო მუსიკისა და დრამის კოლეჯში მოეწყო, რომელიც 1957 წელს წარჩინებით დაამთავრა. ორწლიანი სამხედრო სამსახურის გავლის შემდეგ კი იგი ლონდონში გაემგზავრა, სადაც სწავლა დრამატული ხელოვნების სამეფო აკადემიაში განაგრძო.

* 1965 წელს, ლოურენს ოლივიეს მიწვევის შემდეგ, ენტონი ჰოპკინსი სამეფო ნაციონალური თეატრის დასის წევრად ჩაირიცხა, სადაც სწორედ ოლივიეს დუბლიორი გახდა და რამდენიმე სპექტაკლში დიდი მაესტრო ჩაანაცვლა.

* ენტონი ჰოპკინსის პირველი სერიოზული როლი კინოში, იყო 1968 წელს გადაღებული „ლომი ზამთარში," სადაც მან ახალგაზრდა მეფე რიჩარდ ლომგული განასახიერა.

* 1970-1980-იან წლებში ენტონი ჰოპკინსი ბევრს მუშაობდა ტელევიზიაში – ის რამდენიმე ცნობილ ტელესერიალში ასრულებდა მთავარ როლებს. მაგალითად, ლევ ტოლსტოის რომანის „ომი და მშვიდობის" სატელევიზიო ეკრანიზაციაში პიერ ბეზუხოვის როლის შესრულებისთვის ჰოპკინსმა „ბაფტას" პრესტიჟული პრემია მიიღო.

* 1987 წელს ენტონი ჰოპკინსმა ინგლისის დედოფლისგან ბრიტანეთის იმპერიის ორდენის კომანდორის წოდება, 1993 წელს კი რაინდ-ბალაკავრობა მიიღო, რისი წყალობითაც მას ტიტული „სერ" მიენიჭა.

* ენტონი ჰოპკინსი „ანონიმური ალკოჰოლიკების საზოგადოების" წევრი იყო, თუმცა, 1975 წელს მან დაანება თავი ალკოჰოლს და მას შემდეგ სასმელს აღარ ეკარება.

* 2000 წელს ენტონი ჰოპკინსი ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე გახდა, თუმცა, მას უფლება მიეცა, რომ ტიტული „სერ" დაეტოვებინა.

* ერთხელ ენტონი ჰოპკინსმა მიიღო წერილი უცნობი სტუდენტისგან, რომელიც მსახიობს სწავლის საფასურის გადახდას სთხოვდა. პასუხად სტუდენტმა 2 900-დოლარიანი ჩეკი მიიღო.

* ამსტერდამში, მადამ ტიუსოს ცვილის ფიგურების მუზეუმში, ენტონი ჰოპკინსის ზუსტი ასლი დგას.

* 2010 წლიდან ენტონი ჰოპკინსი ვეგეტარიანელია, აგრეთვე, ის გაწევრიანებულია „გრინპისში" და ცხოველებზე ნადირობის წინააღმდეგ მოწყობილ პროექტებში მონაწილეობს.

* ფილმში „კრავთა დუმილი" ენტონი ჰოპკინსის პერსონაჟი, კაციჭამია მანიაკი მკვლელი, ჰანიბალ ლექტერი, სულ 16 წუთი ჩნდება ეკრანზე, თუმცა, თავისი ერთადერთი „ოსკარი" ჰოპკინსმა ჯერჯერობით სწორედ ამ როლისთვის მიიღო.

* ფილმში „ზღვარზე" გადაღებისას ენტონი ჰოპკინსი სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს – მსახიობი მდინარეში ჩავარდა და ის დინებამ გაიტაცა. საბოლოოდ, ჰიპოტერმიის დიაგნოზით, ჰოპკინსმა რამდენიმე დღე გაატარა საავადმყოფოში.

* ჰანიბალ ლექტერის პერსონაჟზე მუშაობის პროცესში ენტონი ჰოპკინსი სერიული მკვლელების ჩანაწერებს უსმენდა და მათი ხმის იმიტაციას ახდენდა.

* ენტონი ჰოპკინსს უყვარს, როცა შემოკლებით „ტონის" უწოდებენ.

* ენტონი ჰოპკინსის საყვარელი საშინელებათა ფილმია რომან პოლანსკის „როზმარის ჩვილი".

* ბავშვობაში ენტონი ჰოპკინსი პიანისტობაზე ოცნებობდა.

* პირველად ენტონი ჰოპკინსი 1967 წელს დაქორწინდა პეტრონელა ბარკერზე, რომელთანაც ხუთი წელი იცხოვრა და 1972 წელს განქორწინდა. მეორე ცოლი, ჯენიფერ ლინტონი, ჰოპკინსმა „ანონიმური ალკოჰოლიკების კლუბში" გაიცნო. ჯენიფერს იგივე პრობლემები ჰქონდა, რაც ენტონის და მათ ერთად გადაწყვიტეს ცხოვრება. ეს ქორწინება 2002 წელს დასრულდა. 2003 წლიდან ენტონი ჰოპკინსი წარმოშობით კოლუმბიელ სტელა აროიავზეა დაქორწინებული. ენტონის ერთი ქალიშვილი ჰყავს პირველი ქორწინებიდან – მსახიობი და კომპოზიტორი აბიგეილ ჰოპკინსი.

* სხვადასხვა დროს ენტონი ჰოპკინსმა უარი თქვა მთავარი როლების შესრულებაზე შემდეგ ფილმებში: „ბეტმენი", „სუპერმენი", „შეხვედრა მშობლებთან".

* ფილმში „აგვისტო", რომელიც ენტონი ჰოპკინსის მეორე სარეჟისორო ნამუშევარია, მის მიერ დაწერილი მუსიკა ჟღერს.

* ჰოპკინსის თქმით, ბავშვობაში მას რუსეთის იმპერიის ისტორია იზიდავდა და ბევრს კითხულობდა ისტორიულ წიგნებს და ნარკვევებს. 14 წლის ასაკში მან ლევ ტროცკის ნაშრომი „რუსული რევოლუციის ისტორია" წაიკითხა და ამიტომ თანაკლასელები „ტროცკისტსა" და „ბოლშევიკს" უწოდებდნენ.

* თავის საყვარელ მსახიობებად ლოურენს ოლივიესთან ერთად, ენტონი ჰოპკინსი კეტრინ ჰეპბერნს, ალბერტ ფინსა და პიტერ ო'ტულს ასახელებს.

* ენტონი ჰოპკინსის თქმით, მას არასდროს მიუღია ნარკოტიკული საშუალებები. „ორგანიზმში იმდენი ტეკილა და ვისკი მქონდა, რომ ნარკოტიკის ადგილი, უბრალოდ, არ მოიძებნა".

* ენტონი ჰოპკინსი სცენარებს პირველი ხუთი გვერდის წაკითხვის შემდეგ აფასებს, კარგია თუ ცუდი.

* 1986 წელს ენტონი ჰოპკინსმა გამოუშვა სინგლი „დისტანტ სტარ", რომელმაც ბრიტანულ ჩარტებში 75-ე ადგილი დაიკავა.

* 2012 წლის იანვარში ჰოპკინსმა კლასიკური მუსიკის ალბომი ჩაწერა ბირმინჰემის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად.

* ენტონი ჰოპკინსის ჰონორარები: „შეუსრულებელი მისია 2" – 5 მილიონი დოლარი; „ჰანიბალი" – 15 მილიონი დოლარი; „წითელი დრაკონი" – 20 მილიონი დოლარი; „ადამიანი-მგელი" – 15 მილიონი დოლარი.

**უშანგი რუხაძე**




**ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულება - „თბილისის ტურიზმის აკადემია"**

**გიწვევთ დაეუფლოთ სადღეისოდ მოთხოვნად სხვადასხვა სპეციალობას!**

**გიდი**: ***მესამე საფეხური*** – ადგილობრივი გიდი. ***მიღების მოთხოვნები:*** 1. სრული ზოგადი განათლება (12 კლასი); 2. ასაკი 18 წელი; 3. არაფორმალური განათლების აღიარება. ***მეოთხე საფეხური*** – სპეციალიზებული გიდი: 1. სრული ზოგადი განათლება (12 კლასი); 2. ასაკი 18 წელი; 3. გიდის მესამე საფეხურის დიპლომი; 4. არაფორმალური განათლების აღიარება.

**ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი):** ***მესამე საფეხური***: 1. საბაზო განათლება (9 კლასის ზემოთ ასაკობრივი შეზღუდვა არ არის); ***მეოთხე საფეხური:*** 1. ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტი) III საფეხურის დიპლომი; ***მეხუთე საფეხური:*** 1. ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტი) IV საფეხურის დიპლომი;

**კორესპონდენტი** – ***მესამე საფეხური:*** 1.საბაზო განათლება (9 კლასის ზემოთ ასაკობრივი შეზღუდვა არ არის);

**მუსიკოს-რეპეტიტორი** – ***მეხუთე საფეხური***: 1.სრული ზოგადი განათლება (12 კლასი); 2.შემოქმედებითი ტურის გავლა.

***სწავლა დაიწყება მიმდინარე წლის ოქტომბერში სასწავლებელი ავტორიზებულია, ყველა საფეხურზე გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული დიპლომი.***

**თბილისის დამოუკიდებელი სასწავლო უნივერსიტეტი**

აცხადებს მიღებას ლიცენზირებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2010 წლის 1 სექტემბრამდე ჩარიცხულ პირთათვის სწავლის გასაგრძელებლად (მობილობის წესით) 1. ფინანსები; 2. ტურიზმი; 3. ინგლისური ფილოლოგია; 4. სამართალმცოდნეობა; 5. ჟურნალისტიკა; 6. მასწავლებლის განათლება; 7. კომპიუტინგი/ინფორმატიკა.

**საჭირო საბუთები**: 1) ატესტატი (დედანი); 2) სტუდენტის ბარათი; 3) 4 ფოტოსურათი 3/4; 4) პირადობის მოწმობა (ასლი).

**საბუთების მიღება ყოველდღე ტელ: 2-93-66-03; 2-93-54-30; 2-99-96-26; 599-18-89-24**

**ორივე სასწავლებლის ხელმძღვანელი, პროფესორი ამირან მექვაბიშვილი**

# როგორ ამოწმებდა სტალინი პოლიტბიუროს წევრების ერთგულებას



ბელადის ნდობის ფაქტორი, თავისი ყველაზე უახლოესი თანამშრომლების მიმართაც კი მუდმივად მერყეობდა – „ენდე, მაგრამ შეამოწმე“, – ალბათ, ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ ეს ფრთიანი ფრაზა სტალინს ეკუთვნის და მისი პიროვნების ერთ-ერთი საუკეთესო „სავიზიტო ბარათია“. ჩვეულებრივი მეგობრული თუ ოფიციალური ვახშმების დროსაც კი, ბოლომდე განტვირთული არავინ იყო, სიმთვრალეშიც ცდილობდნენ, არაფერი წამოეყრანტალებინათ ისეთი, რაც გენერალური მდივნის უარყოფით რეაქციას გამოიწვევდა. დიდი სამამულო ომის შემდეგ, კუნცევოს მახლობელ აგარაკზე ხშირად, თითქმის ყოველდღიურად, იმართებოდა წვეულებები, რომელსაც სხვადასხვა რანგისა და ეროვნების ადამიანები ესწრებოდნენ. პირადად სტალინი იქ, ძირითადად, პოლიტბიუროს წევრებს იწვევდა და მათზე საკმაოდ სკურპულოზურ დაკვირვებებს აწარმოებდა. ერთ-ერთი ასეთი წვეულების დროს, რომელიც 1947 წლის შემოდგომაზე, საშვიდნოემბრო დღესასწაულის წინ გაიმართა, მოხდა ფაქტი, რაც შემდეგ კრემლში გაგრძელდა და იქვე დასრულდა. ნოემბრის დასაწყისში, 2-ში თუ 3-ში, საღამოს 9 საათისთვის კუნცევოში პოლიტბიუროს წევრები შეიკრიბნენ და მას შემდეგ, რაც სტალინმა სუფრის თამადად, ტრადიციულად ბერია დანიშნა, დაიწყო ქეიფი. შუა ქეიფის დროს, როდესაც კვლავ სტალინის სადღეგრძელო უნდა დაელიათ, ხრუშჩოვი კი ტრადიციული „გოპაკის“ საცეკვაოდ მოემზადა, სტალინი წამოდგა, გავიდა და თანამესუფრეები პირდაღებულები დატოვა. ეს გასვლა ისე უეცრად და მკვეთრად მოხდა, რომ სუფრის წევრები დაიძაბნენ. თვით ბერიაც კი, რომელიც სხვებზე მეტი სითამამითა და გამბედაობით გამოირჩეოდა, სასმლით სავსე ჭიქით, ფეხზე მდგარი თითქოს ერთ ადგილს მიეყინა. ერთი სიტყვით, ვერავის გაეგო სტალინის ასეთი დემარშის მიზეზი. გავიდა რამდენიმე საათი, მაგრამ სტალინი არ ჩანდა.

სტალინმა ოთახიდან გამოსვლისთანავე ვლასიკი იხმო და დაარიგა: „იქ არავინ შევიდეს, ხოლო თუ ვინიცობაა, რომელიმე გამოვა, რაც არ მგონია, არავინ არაფერი უთხრას, არ დაელაპარაკოს. მე დასაძინებლად მივდივარ, არავინ შემაწუხოს“ თქვა და საძინებელში გაუჩინარდა.

დილით, როგორც სტალინმა ივარაუდა, თანამესუფრეები იმავე ადგილას და თითქმის იმავე პოზებში დახვდნენ, როგორც დატოვა.

– თქვენ რა, მთელი ღამე ქეიფობდით? – იკითხა სტალინმა, პატეფონთან მივიდა, „გოპაკის“ მელოდია ჩართო და ხრუშჩოვს საცეკვაოდ მოუხმო. თვითონ კი სკამზე განცალკევებით ჩამოჯდა და პოლიტბიუროს წევრების გაცისკროვნებულ სახეებს თვალი მოავლო. მათ შვებით კი ამოისუნთქეს, თუმცა ვერ გაიგეს, რა ხდებოდა. ცეკვა დასრულდა. ხრუშჩოვი სტალინს შესციცინებდა თვალებში, თუმცა მას აღარაფერი უთქვამს. ბერიამ ამ დუმილით ისარგებლა და სადღეგრძელოს წარმოთქმა დააპირა, მაგრამ სტალინმა ის თითით თავისთან იხმო, დანარჩენები კი დაითხოვა. როდესაც სტალინი და ბერია მარტონი დარჩნენ, სტალინმა იგი თავის კაბინეტში გაიყვანა და ისე, რომ დაჯდომაც კი არ შეუთავაზებია, უთხრა: „ლავრენტი, ცხვირწინ შეთქმულება ტრიალებს, შენ კი ლოთობას გადაყევი, საქმე დაივიწყე!“

ბერიამ ენის ბორძიკით დაიწყო: „ნამდვილად მსგავსი არაფერი მსმენია და თუ ნებას მომცემთ, ახლავე ყველფერს გავიგებ!“ – ძლივს დაასრულა ბერიამ, ხოლო სტალინმა იქვე მიახალა: – „ახლა, შესაძლოა, უკვე გვიანაა!“

ამ სიტყვების შემდეგ მან მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა, წამოდგა და საკუთარი კაბინეტიდან გავიდა. მოგვიანებით, თავად ბერია, ქობულოვს ასეთ რამეს უყვებოდა: „ის რომ გავიდა, ვიფიქრე, მორჩა, ყველაფერი დასრულდა-მეთქი. მე, რა თქმა უნდა, ყველაფრის საქმის კურსში ვიყავი და მშვენივრად ვიცოდი, რომ არანაირი შეთქმულება არ მზადდებოდა, მაგრამ მაინც გამკრა გულში, იქნება ვინმე ინტრიგანმა ჩააწვეთა მას და ეს ყოველივე ამის შედეგია-მეთქი. ერთი სიტყვით, გაურკვევლობაში ჩავვარდი და თითქმის სამი საათი ასე გაუნძრევლად ვიდექი სტალინის კაბინეტში. შემდეგ კი უეცრად კარი გაიღო, ვლასიკი შემოვიდა და მითხრა, შეგიძლიათ, წაბრძანდეთო. ვლასიკის დანახვაზე, ცოტა არ იყოს, გულიც კი შემიქანდა და ვიფიქრე, ხომ არ მაპატიმრებენ-მეთქი, მაგრამ გადავრჩი. ერთი სიტყვით, სანამ კუნცევოდან მოსკოვში ჩავიდოდი, მთელი გზა იმაზე ვფიქრობდი, რა მოხდა, მაგრამ ვერაფერს მივხვდი. მხოლოდ მაშინ გამოვერკვიე, როდესაც უკვე კრემლს მივადექით“.

იმ დღეს სტალინს მოლოტოვის გარდა არავინ მოუხმია და ისიც იმიტომ დასჭირდა, რომ უცხოელ ელჩებს ხვდებოდა, მოლოტოვის დასწრება კი ეტიკეტით სავალდებულო იყო. ერთი სიტყვით, ისე ჩანდა, რომ სტალინი განაწყენებული იყო თავის თანამშრომლებზე და იმიტომ არ იკარებდა მათ, რამაც, რა თქმა უნდა, შიში და გაურკვევლობა გამოიწვია. მაგრამ, უეცრად, თითოეულ მათგანს (იგულისხმებიან წინა ღამის სტუმრები) პოსკრებიშევმა დაურეკა და ამხანაგ სტალინის გულითადი მიწვევა გადასცა. ბელადი მათ კუნცევოში, ტრადიციულ ვახშამზე იწვევდა. როდესაც სტუმრები მოვიდნენ და ვახშამი გაჩაღდა, დაძაბულობა მაინც იგრძნობოდა, მაგრამ სტალინის უშუალო ქცევამ მათი ეჭვები თითქმის გაფანტა და ატმოსფეროც შედარებით თავისუფალი გახდა. სუფრა, ჩვეულებისამებრ, გამთენიისას დაიშალა და სანამ სტალინი თავის სტუმრებს გამოემშვიდობებოდა, მათ აუწყა, რომ საღამოს 6 საათზე პოლიტბიუროს საგანგებო სხდომა იყო დანიშნული, თუმცა განსახილველ საკითხზე არაფერი უთქვამს. მიუხედავად დაღლილობისა, არც ერთ მათგანს ძილი არ მიჰკარებია და მოგვიანებით, ბევრმა კოშმარულიც კი უწოდა იმ დღეებს. პოლიტბიუროს სხდომებზე ყველამ თავისი ადგილი იცოდა და წინასწარ გაწერილი გეგმით იკავებდნენ მას, მაგრამ, იმ დღეს სულ სხვაგვარად მოხდა, რადგან ოთახში ისე იყო განლაგებული სკამები, როგორც დარბაზში ყრილობების დროს – პრეზიდიუმი და დარბაზი. როდესაც სხდომის მონაწილეები პოლიტბიუროს ასე სახეშეცვლილ ოთახში შევიდნენ, მათ, რა თქმა უნდა, „დარბაზში“ დაიკავეს ადგილები და ვერავინ გაბედა პრეზიდიუმში დაჯდომა. თუმცა, იქაც საკმაო რაოდენობის სკამები იდგა. ამასობაში სტალინიც გამოჩნდა და ყველანი ფეხზე წამოუდგნენ. ის პრეზიდიუმში დაჯდა. ყველას ხელით ანიშნა, დასხედითო. ბერია კი თავისთან იხმო და გვერდით დაისვა, რამდენიმე სიტყვა უთხრა და თან ხელებით რაღაც მიანიშნა. ბერია დარბაზიდან გავიდა, ხოლო სტალინმა სხდომა გახსნილად გამოაცხადა, იქვე, პატარა ტრიბუნასთან გავიდა და დაიწყო: „ამხანაგებო, ჩვენი საგანგებო სხდომა ყველაზე საჭირბოროტო საკითხს, ჩვენს რიგებში მოღალატეთა შეთქმულებას ეხება. სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ ჩემი განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილმა ზოგიერთმა უსინდისო პიროვნებამ, ისარგებლა რა ჩვენი მიამიტობით, ღალატის სამარცხვინო გზას დაადგა. ყველანი გასუსულიყვნენ და უმეტეს მათგანს თოვლისფერი დასდებოდა. ხრუშჩოვი კი ისე აეტანა ცახცახს, თავს ველარ იმორჩილებდა. თუმცა, სტალინს მისთვის არაფერი უთქვამს და განაგრძო: „საბედნიეროდ, ჩვენ მრავალი ერთგული ადამიანიც გვყავს და სწორედ მათი წყალობით შევძელით შეთქმულების გახსნა. ახლა, ამხანაგი ბერია იმ ადამიანების სიას მოიტანს, რომლებიც შეთქმულებაში ჩვენ მიერ დაპატიმრებულმა ტერორისტებმა ამხილეს. მათი ვინაობა ჯერჯერობით მეც არ ვიცი და თქვენთან ერთად გავეცნობი“.

სტალინი პრეზიდიუმში დაბრუნდა. დარბაზი კვლავ გასუსული იყო და ამ დროს შემოვიდა ბერია, რომელსაც ხელში წითელი საქაღალდე ეჭირა. ბელადი ფეხზე წამოდგა, საქაღალდე აიღო, ბერიას გაუწოდა და ხმადაბლა უთხრა: „ტრიბუნიდან წაიკითხე, რაც აქ წერია!“

ბერია, ცოტა არ იყოს, შეცბა, მაგრამ ბრძანების შესასრულებლად უსიტყვოდ გაეშურა ტრიბუნისკენ. წითელი საქაღალდე გადაშალა და დაიწყო: „ხრუშჩოვი, მიქოიანი, მალენკოვი და ასე შემდეგ... “ ერთი სიტყვით, დარბაზში მყოფი პოლიტბიუროს ყველა წევრის გვარი ბოლომდე ჩაიკითხა და გაჩერდა. შემდეგ სტალინს გახედა, რომელმაც ცალკე სკამზე მიუთითა, დაჯექიო. როცა ბერია დაჯდა, ტრიბუნასთან თავად ბელადი მივიდა და საქაღალდეში ჩაიხედა. ცოტა ხანში დახურა და კვლავ პრეზიდიუმისკენ გაემართა. ამასობაში დაცვის წევრები შემოვიდნენ, დარბაზის გასწვრივ განლაგდნენ, ხოლო ვლასიკი ორ მცველთან ერთად, ბერიას მიუახლოვდა და უთხრა: „თქვენ იმხილებით სახელმწიფოებრივ ღალატში. დაპატიმრებული ხართ და გთხოვთ, ადგეთ და ეს ინფორმაციაც გამოაქვეყნოთ“.

ბერია გაფითრდა, სახე დაეფოთლა, თუმცა არც ფეხზე ამდგარა და არც ხმა ამოუღია. მთელ ამ სცენას სტალინი გაფაციცებით ადევნებდა თვალს. შემდეგ წამოდგა, ტრიბუნასთან მივიდა და თქვა: „ეს იყო ხუმრობა განწყობისთვის და ცხადია, ყველამ კარგად იმხიარულეთ. ახლა კი თავისუფლები ხართ!“ უეცრად, ისტერიკული ხარხარი გაისმა. ყველა ხრუშჩოვს მიაჩერდა, რომელიც ხარხარებდა და ხარხარებდა. როდესაც სიცილით გული იჯერა, ტაში შემოჰკრა და პოლიტბიუროს სხვა წევრებიც აიყოლია. წარმოიდგინეთ, ასეთი სურათი: დაახლოებით 20-მდე კაცი ხმამაღლა იცინის და იმავდროულად, მქუხარე ტაშს უკრავს. აშკარა იყო, რომ ისინი თავიანთ გადარჩენას ზეიმობდნენ და ეს სცენაც ამან გამოიწვია. მხოლოდ ბერიას არ ამოუღია ხმა. ის კვლავ სკამზე, განცალკევებით იჯდა და პენსნეს წმენდდა.

**სტალინის პირადი დაცვის უფროსის მოადგილის, მიხეილ თევდორაძის ჩანაწერების მიხედვით მოამზადა**
**ნიკა ლაშაურმა**



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი
**მიხეილ ცაგარელი**

# რა კავშირი არსებობს ადამიანის დაბადების თარიღსა და ყველაზე გავრცელებულ დაავადებებს შორის

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან".*

**კურტ ვონეგუტი**

ვარსკვლავებისა და პლანეტების წამიერი განლაგება განსაზღვრავს ადამიანის ბედს მისი დაბადების მომენტში და ეს ბედი მას მთელი ცხოვრების განმავლობაში გასდევს.

ასტროლოგიურად, ჩასახვისა და დაბადების თარიღი ბავშვის ცხოვრებაზე მართლაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. ამიტომაც არის საჭირო ასტროლოგიურ-კოსმოგრამული პროგნოზის შედგენის დროს ადამიანის დაბადების ზუსტი საათისა და წუთის გათვლა.

სხვათა შორის, ჩასახვის მომენტი ადამიანის ჯანმრთელობაზეც აისახება.

ზაფხულში და შემოდგომაზე მომავალი დედის ორგანიზმი ვიტამინებით, მიკროელემენტებითა და მინერალებითაა სავსე და შედარებით სუფთა ჰაერსაც ჩაისუნთქავს. ამიტომ, ამ დროს ჯანმრთელი ბავშვის დაბადების მეტი შანსია.

ზამთარში და ადრეულ გაზაფხულზე ქალი ნაკლებ ვიტამინებს იღებს, განიცდის მზის სხივების დეფიციტს, ორგანიზმი დასუსტებულია და, ამიტომ, მეტი შანსია, ადამიანს სეზონური დეპრესია ან ვირუსული ინფექცია შეეყაროს. ყოველივე ამის ფონზე, ამ პერიოდში შედარებით სუსტი ჩვილები იბადებიან.

ასტროლოგიურად თავისებური კავშირი აქვს ბავშვის გუნება-განწყობასთან მამასაც. გაზაფხულზე შედარებით მხიარული გუნების ბავშვები იასხებიან, შემოდგომით კი – მოწყენილები და ნელები.

ამ დროს მშობლის ასაკსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება; ასევე, მნიშვნელოვანია მომავალი დედის სწორი კვება, სიმშვიდე, სუფთა გარემო და ასე შემდეგ.

მართალია, ბუნებაში, ყველაფერი თუ არა, უმეტესობა შემთხვევებისა სპონტანურად ხდება, თუმცა, კარგი იქნება, თუ ბავშვის ჩასახვას მაინც ვარსკვლავებს დაეკითხებით.

ასევე, ასტროლოგებმა გამოიკვლიეს, რა კავშირია ადამიანის დაბადების თარიღსა და ყველაზე გავრცელებულ დაავადებებს შორის. აღმოჩნდა, რომ დეკემბერსა და იანვარში დაბადებულ ადამიანთა უმრავლესობას სასუნთქი ორგანოების დაავადებები აწუხებთ; თებერვალსა და მარტში დაბადებულებს – ეპილეფსია და შიზოფრენია, ასევე, ხშირი დეპრესიები; აპრილსა და მაისში დაბადებულებს – ანორექსია და პარკინსონი; ივნისში და ივლისში დაბადებულ ადამიანებს – ალერგია; აგვისტოში დაბადებულებს – ლეიკემია; სექტემბერსა და ოქტომბერში დაბადებულ ადამიანებს – ალკოჰოლიზმი და შიშები; ნოემბერში დაბადებულებს – ხშირი დეპრესიები და ვენების გაგანიერება.

ამიტომ, სასურველია, ბავშვის ჩასახვის მომენტი წინასწარ დაგეგმოთ და ამით უამრავი პრობლემაც აიცილოთ თავიდან სამომავლოდ და შვილის ჯანმრთელობაც ვარსკვლავებისა და პლანეტების ხარჯზე დააზღვიოთ.

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: დავიბადე 1983 წლის 4 ნოემბერს. გთხოვთ, მითხრათ, რომელი პროფესიებია ჩემთვის მისაღები და უცხოეთის რომელ ქვეყანაში მელის მეტი წარმატება პრობლემებისა და ბარიერების გარეშე?**

**პასუხი:** პროფესიებიდან თქვენთვის წარმატების მომტანია: საბანკო, ეკონომიკური, სავაჭრო, საფინანსო ფართო სპექტრი; ისტორია, გეოლოგია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია, პედაგოგიკა, სასტუმროების ბიზნესი, ფოტოგრაფიის ხელოვნება ან ბიზნესი, სალომბარდე საქმე, იურისპრუდენცია, პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნების ფართო სპექტრი, ქორეოგრაფია, დიზაინი, არქიტექტურა, სამოდელო სფერო, პარფიუმერიულ-კოსმეტიკური საქმიანობა, სადალაქო ინდუსტრია, სოციოლოგია, ფილოსოფია. რაც შეეხება უცხოეთს, ის თქვენი კარმული მისია ნამდვილად არ არის. თუ საშუალება მოგეცემათ, იქ გაემგზავროთ, მაშინ, თქვენთვის შედარებით მისაღები ქვეყნებია: ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთი მხარე, ჰოლანდია, ჩრდილო-დასავლეთ აფრიკის ქვეყნები, შოტლანდია, თურქეთი, საფრანგეთის შამპანის პროვინცია, ახალი ზელანდია, ჩინეთი; იტალიიდან – ვენეციის მხარე; ნეპალი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი, სამხრეთ აფრიკა, ეგვიპტე, სან-მარინო, ესპანეთის კატალონიის მხარე, ტიბეტი, მონაკო, ლატვია, ეთიოპია, ჰავაის კუნძულები, გვატემალა და ავსტრია.

**კითხვა: დავიბადე 1979 წლის 23 სექტემბერს. გთხოვთ, მითხრათ, რა არის ჩემი კარმულ-კოსმიური მისია დედამიწაზე?**

**პასუხი:** თქვენი კარმულ-კოსმიური მისიაა, იყოთ მეტად ორგანიზებული, დისციპლინირებული, შეუპოვარი, მიზანსწრაფული, შრომისუნარიანი, მომთმენი, ნებისყოფიანი, პრაქტიკული, ფულის ყაირათიანად მხარჯველი და გამნაწილებელი. დაეყრდენით ინტუიციას და შეძლებით საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღება. გამოავლინეთ ინიციატივა, ლიდერულ-ორგანიზატორული თვისებები. იყავით უშიშარი, მებრძოლი, დარწმუნდით საკუთარ შესაძლებლობებში.

**კითხვა: დავიბადე 1991 წლის 22 ნოემბერს. რომელ უცხო ქვეყანაში მელის წარმატებები და რომელი პროფესიებია ჩემთვის ასტროლოგიურად უფრო მისაღები?**

**პასუხი:** პროფესიებიდან თქვენთვის მისაღები და წარმატებების მომტანია: სცენარისტობა, დრამატურგია, რეჟისურა, კომპიუტერული ტექნოლოგიები, პროგრამული სისტემები, მობილური და ვიდეოსისტემების ბიზნესი, საგამომცემლო საქმიანობა, ქორეოგრაფია, სოციოლოგია, ავიაციის ბიზნესი, ჟურნალისტიკა, საინჟინრო საქმე, ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია, სასტუმროების ბიზნესი, პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნების ფართო სპექტრი, საბანკო, ეკონომიკური, საფინანსო სფერო. რაც შეეხება უცხოეთს, ის თქვენი კოსმიური მისია არ არის, თუმცა, ძალების მოსინჯვა მაინც ღირს. ქვეყნებიდან კი შედარებით მისაღებია: პოლონეთი, რუსეთი, შვედეთი, ჩილე, კოლუმბია, სამხრეთ აფრიკა, სლოვაკეთი, ეთიოპია, კანადა, ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთი მხარე, ჰოლანდია, პარაგვაი, შოტლანდია, საფრანგეთის შამპანის პროვინცია, ინდოეთი, ჩინეთი, ნეპალი, უზბეკეთი და ტაჯიკეთი.

**კითხვა: დავიბადე 1982 წლის 18 ივნისს, დილის საათებში. რომელ ასტროლოგიურ ნიშანთან მექნება ჰარმონიული სასიყვარულო-პარტნიორული ურთიერთობა?**

**პასუხი:** თქვენთვის ჰარმონიული სასიყვარულო ოჯახური ურთიერთობებისთვის მისაღებია: კუროს, მორიელის, ქალწულის ან თევზების ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანებთან ურთიერთობა და ოჯახის შექმნა.

**კითხვა: დავიბადე 1984 წლის 23 დეკემბერს, დაახლოებით დილის 11 საათზე. რომელ ქვეყანაში მივაღწევ წარმატებებს და რომელ ზოდიაქოს ნიშანთან მელის იდეალური ქორწინება?**

**პასუხი:** თქვენთვის კარგია ურთიერთობა: მორიელთან, მერწყულთან, კუროსთან ან თევზებთან, უფრთხილდით სასწორის ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანებს. რაც შეეხება უცხოეთს, ის თქვენთვის საშუალოა. თქვენი კარმული მისია უკავშირდება სამშობლოს და ეს აუცილებლად გაითვალისწინეთ. უცხოეთში მიღებული გამოცდილება, ცოდნა და კაპიტალი სამშობლოში უნდა გამოიყენოთ. ქვეყნებიდან მისაღებია: ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთი ნაწილი, ჰოლანდია, შოტლანდია, თურქეთი, ახალი ზელანდია, ჩინეთი, ინდოეთი; იტალია-ვენეციის მხარე; მაროკო, ნეპალი, უზბეკეთი; გერმანია-ბავარიის მხარე; ნორვეგია, სირიის ჩრდილოეთი ნაწილი, შვედეთის დასავლეთი მხარე, კუბა, მექსიკა, უნგრეთი.

# კალეიდოსკოპი

### აუდიოჩანაწერი ამტკიცებს, რომ პრეზიდენტი მონიკა ლევინსკიმ აცდუნა

ამერიკის შეერთებული შტატების პირველ პირთან შეხვედრების ინიციატორი და ნამდვილი შემცდენელი მონიკა ლევინსკი ყოფილა, რომელთანაც რომანს კინაღამ შეეწირა ბილ კლინტონის პრეზიდენტობა – ასეთი დასკვნა შეიძლება გაკეთდეს თეთრი სახლის ყოფილი სტაჟიორის მონოლოგის აუდიოჩანაწერიდან, რომელიც ფართო საზოგადოებისთვის სულ ახლახან გახდა ცნობილი.

„მე გავიგე, რომ ხვალ საღამოს შენ მარტო იქნები. შენთან ორი წინადადება მაქვს, მაგრამ, არაფერი გამოვა, თუ არ მნახავ... მე შემიძლია, გავიხადო ტანსაცმელი... მოკლედ, მე ვიცი, შენ ეს აუცილებლად მოგეწონება. ვიმედოვნებ, მალე შევხვდებით; ვიმედოვნებ, შენ მიიღებ ჩემს სცენარს, და გააკეთებ ისე, როგორც მე მსურს", – ეს მონიკა ლევინსკის სიტყვებია. ფირზე, რომელიც ჟურნალისტებს ჩაუვარდათ ხელში, მხოლოდ მონიკას ხმაა ჩაწერილი, რომელიც სულ 3 წუთსა და 47 წამს გრძელდება და გაკეთებულია 1997 წლის ნოემბერში.

თუ ჩანაწერის მიხედვით ვიმსჯელებთ, ლევინსკი ნამდვილად მიმართავს ამერიკის 42-ე პრეზიდენტს. შემდეგ ლაპარაკი იმის შესახებაა, თუ როგორ მოაწყონ შეხვედრა, რათა არავინ აიღოს ეჭვი: ლევინსკი წინადადებას აძლევს პრეზიდენტს, დაურეკოს თავის მდივანს, ბეტი კურის და მოახდინოს გრაფიკის კორექტირება: „შენ ნახავლ 7 საათსა და 30 წუთზე, რომ, ყველა დანარჩენი, ვინც მე ვერ მიტანს, სახლში წავიდეს... შემდეგ შენ სწრაფად და შეუმჩნევლად ბრუნდები, ამ დროისთვის მე გამოვალ და მაშინ ჩვენ გვექნება პატარა სასიამოვნო შეხვედრა – 15 წუთით ან ნახევარი საათით, როგორც მოისურვებ", – განაგრძობს პრეზიდენტის შეცდენას ქალი და აზუსტებს, რომ მათი წინა, 60-წამიანი რანდევუ „საკმარისი არ იყო"... „შენ მე უარს არ მეტყვი, ვინაიდან, მე ასეთი მომხიბლავი და მიმზიდველი ვარ..."

მონიკა ლევინსკიმ ეს მონოლოგი ჩაწერა მხოლოდ იმიტომ, რომ არ სურდა, კვლავ წერილი გაეგზავნა პრეზიდენტისთვის.

1996 წელს რომანი ბილ კლინტონსა და მონიკა ლევინსკის შორის იმის მიზეზი გახდა, რომ პრეზიდენტი დაადანაშაულეს ფიცის ქვეშ ცრუ ჩვენების მიცემისას და იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებაში. თუმცა, პრეზიდენტი არ გადამდგარა. ინტიმური ურთიერთობის ფაქტი აღიარა როგორც კლინტონმა, ასევე ლევინსკიმ: მათ დაადასტურეს ცხრა „ეპიზოდი", როდესაც ორალური სექსით იყვნენ დაკავებულნი, მათ შორის თეთრი სახლის ოვალურ დარბაზში – ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მთავარ ოფისში.

### კემბრიჯის ჰერცოგინია და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პირველი ლედი – ყველაზე მოდური ცნობილები

ამერიკულმა ჟურნალმა Vanity Fair-მა მსოფლიოში ყველაზე ცნობილი მოდურად ჩაცმული ადამიანების ახალი სია გამოაქვეყნა. მასში უკვე მეოთხედ მოხვდა ბრიტანეთის პრინცის, უილიამის მეუღლე – კემბრიჯის ჰერცოგინია ქეითი, რომელმაც სულ ახლახან ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრე გააჩინა.

ქეითი აცხადებს, რომ მისი „სტილის ხატი" თავისი მეუღლის დედა – პრინცესა დიანაა. ჰერცოგინიას 2013 წლის ყველაზე დასამახსოვრებელ ჩაცმულობად ჟურნალმა ალექსანდრ მაკქუინის ღია ვარდისფერი პალტო და იმავე ფერის შლაპა დაასახელა, რომლითაც იგი ივლისში, დედოფალ ელიზაბეთ მეორის დაბადების დღისადმი მიძღვნილ პარადზე გამოჩნდა.

წლევანდელ სიაში, რომელშიც ცნობილები ადგილების მიხედვით არ არიან განაწილებულნი, აგრეთვე, მოხვდა ჩინეთის პირველი ლედი პენ ლიუანი – ხალხური და პატრიოტული სიმღერების ცნობილი შემსრულებელი, რომელიც, ამასთანავე, ჩინეთის სახალხო-გამათავისუფლებელი არმიის გენერალ-მაიორია.

გამოცემამ აღნიშნა მსახიობების: კერი ვაშინგტონის, შარლიზ ტერონისა და ბრუკ შილდსის; მომღერლების: ჯასტინ ტიმბერლეიქისა და ბიონსეს, აგრეთვე, „როლინგ სტოუნსის" გიტარისტის, კეიტ რიჩარდსის კარგი გემოვნება.

მსოფლიოს ყველაზე გემოვნებიანი ადამიანების სიაში აღმოჩნდა, ასევე, სამი სპორტსმენი: კალათბურთელი ლებრონ ჯეიმსი, ჰოკეისტი ჰენრიკ ლუნდკვისტი და ამერიკული ფეხბურთის მოთამაშე ტომ ბრედი. ამ ჩამონათვალში ბრედის მეუღლე, ბრაზილიელი სუპერმოდელი ჟიზელ ბუნდჩენიც მოხვდა.

კემბრიჯის ჰერცოგინიას გარდა, ყველაზე გემოვნებიანი პერსონების რიცხვში კიდევ ორი სამეფო ოჯახის წარმომადგენელი მოხვდა: ესპანეთის პრინცესა ლეტიცია და შვედეთის პრინცესა მადლენი, რომელიც ივლისში ცოლად გაჰყვა ამერიკელ ბანკირს კრისტოფერ ო'ნილს. ჟურნალში აღწერილია „ვალენტინოს" მიერ შექმნილი სპილოსძვლისფერი აბრეშუმის კაბა მაქმანიანი აპლიკაციებით, რომელიც შვედეთის პრინცესას ქორწილზე ეცვა.

**მოამზადა**
**ლაშა გაგელიძე**

# ცნობარი

1. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით 215-80-80; 236-40-11
2. ავტომანქანის გაქირავება, ტურები საქართველოში, სასტუმროს რეზერვაცია 218-22-44; 599 33-33-53
3. ავტოსადგური „ოკრიბა" 234-26-92
4. ადამიანის უფლებათა ცენტრი 237-69-50; 245-45-33
5. ავტომანქანების გაქირავება 595 33-21-00
6. აღსრულების ეროვნული ბიუროს საინფორმაციო სამსახური 274-96-49
7. გარემოს ეროვნული სააგენტო 243-95-32
8. აეროპორტის საინფორმაციო ბიურო 231-04-21
9. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი 599 11-57-44
10. გაზი გამოძახებით 292-32-46; 292-10-08
11. შპს აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი 253-06-32
12. საქ. მთავარი პროკურატურის ცხელი ხაზი 240-52-22
13. გაზის სავარიო (ქალაქის) 14; 238-40-65, 238-56-16 (ცენტ. სადისპეტჩერო)
14. განათლების სამინისტროს კომუტატორი 231-89-40; ცხელი ხაზი: 220-02-20
15. გზებზე ტექნიკური დახმარება 599 25-42-54
16. ჯანდაცვის სამინისტრო (ცხელი ხაზი) 251-00-33
17. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 220-62-32
18. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი" 221-21-84; 221-25-84
19. კავკასიის ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ტელეფონით 250-60-06
20. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 299-10-58; 299-11-21
21. „თელასის" საინფორმაციო ცენტრი 225-52; 225-52-11; 277-99-77
22. „თელასის" ცხელი ხაზი 277-99-99
23. შპს იმუნიზაციის ცენტრი 231-22-78
24. იუსტიციის სამინისტრო 240-52-02
25. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება სტაციონარებიდან 231-13-20; 231-13-21; 595 33-18-03; 0 790 50-10-50
26. საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისია 238-61-40 (პრესსამსახური); 231-13-13 (ადმინ. დეპარტამენტი)
27. კონტროლის პალატა 243-81-81 (ცხელი ხაზი)
28. კანალიზაციის სავარიო სამსახურის ცხელი ხაზი 293-11-11
29. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 243-11-00 (ცხელი ხაზი)
30. მერიის ცხელი ხაზი 272-22-22
31. ნავთლუღის ავტოსადგური 274-83-03; 274-63-23 599 39-35-35
32. სახალხო დამცველი 291-38-14(15)
33. ვაგზლის ცნობათა ბიურო: 219-90-10
34. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური 112
35. საპატრულო პოლიცია 112
36. სასწრაფო სამედიცინო დახმარება 112
37. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 577 42-42-38, 235-32-33
38. საქართველოს მთავრობის კანცელარია 298-92-73 (ფაქსი), 228-22-88 (მისაღები)
39. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 294-50-00 შიდა 24 (02, 03)
40. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური 226-11-15 (კანცელარია)
41. სადღეღამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 222-67-22; 210-30-50; 599 57-64-12
42. სოფლის მეურნეობის სამინისტროს შიდა აუდიტის სამსახური 237-80-50
43. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 261-30-90; 261-30-21
44. საყოფაცხოვრებო და სამშენებლო ნარჩენების (ნაგვის) გატანა; შპს „თბილსერვის ჯგუფის" დასუფთავების სერვისი, სანიაღვრე ქსელების ექსპლუატაცია 261-18-37, 261-18-11
45. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 225-22-33 (საინფორმაციო); 225-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანა)
46. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის ვეტერინარიის მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 291-91-67 (68)
47. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქ-პატენტი 292-31-66; 291-71-80 (ცხელი ხაზი)
48. საქართველოს მომხმარებელთა ფედერაცია 299-78-57
49. ტაქსი გამოძახებით 293-91-00
50. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი – 210-02-29; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, ცხელი ხაზი – 230-99-03.
51. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 241-10-66 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილება)
52. ფინანსთა სამინისტრო 226-14-12; 226-14-10 (კანცელარია); 226-24-09
53. ქორწინების რეგისტრაცია სიღნაღში 595 24-77-77
54. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) 225-01-45; 222-54-17
55. „ყაზტრანსგაზი" 220-04-04 (გაზიფიცირების სამსახური)
56. „ყაზტრანსგაზის" სადისპეტჩერო 231-04-04
57. „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის" 599 37-40-20
58. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზი 126
59. შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს საშორიგეო 241-42-63
60. შინაგან საქმეთა სამინისტროს მორიგე 274-62-67
61. საქციო საზოგადოება „ცენტრალური ავტოვაგზალი" 275-34-33
62. ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, ნარკოლოგიურ-ამბულატორიული დაწესებულება 230-10-03 (რეგისტრატურა)
63. წყალკანალის ცხელი ხაზი 293-11-11

## ორშაბათი 12 აგვისტო

**08.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **08.30** დ/ფ "რობინ ორლენი: იოჰანესბურგიდან გარნიეს სასახლემდე" **09.30** საბ. ანიმც/ფ "პატარა პოლარული დათვი" **11.00** "ეკონომ მენიუ" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.35** მხ/ფ **"სუპერმენი" 15.00** ან/სერ. "ტარატაბონგი" **15.05** ტ/სერ. **"ჭორიკანა" 17.00** ტ/სერ. "ნიკიტა" **18.00** დ/ფ "ძვლების მკვლევარები" **19.05** ტ/სერ. **"მაგდა ემი" 21.00** ტ/სერ. **"ნიკიტა" 22.00** მხ/ფ **"ლამაზი ანტონიო"**.

**08.00** ფორტ ბოიარი **09.00** ან/ფ "სპანჯბობი" **10.00** სერ. **"დაუვიწყარი" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **11.20** სერ. **"ცივი გული" 8** სერ. **12.30** მუსიკალური ლიგა (გ/ჩ) **14.40** ფულთან თამაში (გ/ჩ) **16.00** სერ. **"დამალული სიმართლე" 17.50** სერ. **"მაგნატები". 18.50** სერ. **"აკრძალული სიყვარული 21.00** სერ. **"დაბრუნება" 22.00** ქ.სერ. **"შუა ქალაქში"** (გ/ჩ) **23.00** ქ.სერ. **"ცხელი ძაღლი" 7** სერ. **00.15** მხ/ფ. **"აუზი"** (ა.დელონი).

**08.00, 03.00** კურიერი დაიჯესტი **08.30** ანიმაცია "ARTHUR ET LES MINMOYS" **10.00** სერ. **"სიყვარული მშვენიერია" 11.00** სერ. **"ცრემლების გვირგვინი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** ქართ. მხ/ფ **"თოჯინები იცინიან" 14.00** სერ **"ერთგულების ძალა" 15.30** შერეკილები. **17.00** სერ. **"ნამდვილი გრძნობა" 18.50** სერ. **"ტიტების დრო" 22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები" 00.00** მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად **00.30** შიშის ფაქტორი **01.30** მხ/ფ.

**7.00, 0.00, 2.00, 3.00, 4.00, 5.00, 6.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმი **9.30, 2.30** მაგთიფანი (გამ.) **10.00** მაღვიძარა(სიუჟეტების კოლაჟი) **11.00, 15.40, 17.30, 1.15, 3.30, 6.30** ფარული კამერა **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **12.40** თოქ-შოუ "არგუმენტები" (გამ.) **14.40, 22.20, 4.30** "ყოველდღიური აბები" (გამ.) **16.00 სერიალი "შტორმი" 19.00 სერიალი "1001 ღამე" 22.20** "კინო მაესტროზე" **0.30, 5.30** ღია კარის დღე.

**06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **06.35** მხ/ფ **"ლესი" 08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ქრისტიანული სწავლება **08.45** ერთი წვეთი **09.05, 18.05, 21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **09.10** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10, 18.55** ისტორიის დღიური **10.15** პატრიარქის ქადაგება **10.35** ლექსით ქებათა ქება **10.40** კვირიაკე **12.05** დოკ/ფ "კოდორის გმირები" **13.15** ერთი წვეთი **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.45** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** გუთნისდედა **15.30** სპექტაკლი - **"ბამბაზიის სამოთხე" 17.30** კვირიაკეს სიუჟეტი **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.30** ქრისტიანული სწავლება **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10, 02.30** სიახლენი **19.15** დოკ/ფ "ლოცვები სამშობლისათვის" **19.35** მხ/ფ **"გაზაფხული გადის" 20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** საღვთისმეტყველო საუბრები - გიორგი გვასალია -შესაქმე **22.25** "ჩვენი ფონდი" თამაზ ჯოლოგუა - დიმიტრი ყიფიანი **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "ახალმოწამე" **00.30** მხ/ფ **"ენი მწვანესახურავებიანი მამულიდან" 02.00** ირაო.

## სამშაბათი 13 აგვისტო

**08.00** დ/ფ "ვატიკანის ნამდვილი ძალაუფლება" **09.30** საბ. მხ/ფ **"უკანასკნელი მიმზი" 11.00** "ეკონომ მენიუ" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.35** მხ/ფ **"დაუვიწყარი მოგზაურობა" 14.30** დ/ფ "წიგნის მშვენება" **15.00** ან/სერ. "ტარატაბონგი" **15.05** ტ/სერ. **"ჭორიკანა" 17.00** ტ/სერ. **"ნიკიტა" 18.00** დ/ფ "მუზეუმის საიდუმლოებანი" **19.05** ტ/სერ. **"მაგდა ემი" 21.00** ტ/სერ. **"ნიკიტა" 22.00** მხ/ფ **"ოპერაცია "მფრინავი"**.

**08.00** ფორტ ბოიარი **09.00** ან/ფ "სპანჯბობი" **10.00** სერ. **"დაუვიწყარი" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **11.20** სერ. **"ცივი გული" 9** სერ. **12.30** მუსიკალური ლიგა (გ/ჩ) **14.40** კონცერტი: ვია **"75" 2** ნაწ. (გ/ჩ) **16.00** სერ. **"დამალული სიმართლე" 17.50** სერ. **"მაგნატები". 18.50** სერ. **"აკრძალული სიყვარული 21.00** სერ. **"დაბრუნება" 22.00** ქ.სერ. **"შუა ქალაქში"** (გ/ჩ) **23.00** ქ.სერ. **"ცხელი ძაღლი" 8** სერ. **00.15** მხ/ფ. **"მფრინავი ხანჯლების სახლი"** (ე.ლაუ).

**08.00, 03.00** კურიერი დაიჯესტი **08.30** ანიმაცია "ARTHUR AND THE REVENGE OF" **10.00** სერ. **"სიყვარული მშვენიერია" 11.00** სერ. **"ცრემლების გვირგვინი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** ქართ. მხ/ფ **"ხევსურული ბალადა" 14.00** სერ. **"ერთგულების ძალა" 15.30** შერეკილები **17.00** სერ. **"ნამდვილი გრძნობა" 18.50** სერ. **"ტიტების დრო" 20.50** ეროვნული ლატარია **22.00** გააცინე და მოიგე. **23.00** სერ. **"სიცრუის თეორია" 01.00** მხ/ფ.

**7.00, 0.00, 2.00, 3.00, 4.00, 5.00, 6.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმები **9.30, 2.30** მაგთიფანი (გამ.) **10.00** გადაცემა "პულსი" (გამ.) **10.30** მაღვიძარა (სიუჟეტების კოლაჟი) **11.00, 12.40, 17.30, 1.15, 3.30, 6.30** ფარული კამერა **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **14.40, 22.00, 4.30** "ყოველდღიური აბები" **15.30** მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება(გამ.) **16.00 სერიალი "შტორმი" 19.00 სერიალი "1001 ღამე" 22.20** "კინო მაესტროზე" **0.30, 5.30** ღია კარის დღე.

**06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** სპექტაკლი - **"ბამბაზიის სამოთხე" 08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ქრისტიანული სწავლება **08.45** ერთი წვეთი **09.05, 18.05, 21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **09.10** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** ლექსით ქებათა ქება **10.40** "ჩვენი ფონდი" თამაზ ჯოლოგუა - დიმიტრი ყიფიანი **10.55** დოკ/ფ "ახალმოწამე" გრიგოლ ფერაძე **10.20** საღვთისმეტყველო საუბრები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ **"გაზაფხული გადის" 13.15** ერთი წვეთი **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.45** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** სად უჩინარდებიან ჩემპიონები **15.30** დოკ/ფ "დავით გარეჯი" **17.00** ერთსულოვნების სალონი **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** ისტორიის დღიური **19.20** ჩვენი ტრაპეზი **19.30** დროის ჩანაწერები **20.00** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ლექსით ქებათა ქება **21.25** ისტორიის გაკვეთილი **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** "ჩვენი ფონდი" თ. გვანცელაძე - ქართულ-აფხაზური ურთიერთობები **23.45** განთიადის სიუჟეტი - იური ანუა **00.25** ისტორიის დღიური **00.35** მხ/ფ **"ენი მწვანესახურავებიანი მამულიდან" 02.00** ირაო.

გაგრძელება 43-ე გვერდზე

# კინოთეატრები

## კინოთეატრი „რუსთაველი"

**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**12 – 18 აგვისტო**

*დარბაზი 1*

15.15 - **„ტურბო"** 3D, *ხანგრძლივობა 1სთ. 35წთ;*

17.30, 20.00, 22.30 - **„ელიზიუმი"**, *ხანგრძლივობა 1სთ. 50წთ.*

*დარბაზი 2*

14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.15 - **„რა მოხდა კიევში"**, *ხანგრძლივობა 1სთ. 30 წთ;*

*დარბაზი 3*

14.45, 20.00, 22.30 - **„X-ადამიანები: უკვდავი"** 3D, *ხანგრძლივობა 2სთ. 05 წთ;*

17.30 - **„ტურბო"** 3D, *ხანგრძლივობა 1სთ. 35წთ.*

*დარბაზი 4*

14.30 - **„მონსტრების უნივერსიტეტი"** 3D, *ხანგრძლივობა 1სთ. 50 წთ;*

17.00, 19.45, 22.15 - **„რედი 2".**

*დარბაზი 5*

14.00 - **„ტურბო"** 3D, *ხანგრძლივობა 1სთ. 35წთ;*

16.45, 19.30, 22.30 - **„წყევლა"**, *ხანგრძლივობა 1სთ. 50 წთ.*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

## კინოთეატრი „ამირანი"

**კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.**

*დიდი დარბაზი*

14.45 - **„ტურბო"** 3D, *ხანგრძლივობა 1სთ. 35წთ;*

17.45, 19.45 - **„ელიზიუმი"**, *ხანგრძლივობა 1სთ. 50წთ;*

22.30 - **„წყევლა"**, *ხანგრძლივობა 1სთ. 50 წთ.*

*მცირე დარბაზი*

14.30, 22.30 - **„X-ადამიანები: უკვდავი"** 3D, *ხანგრძლივობა 2სთ. 05 წთ;*

17.15 - **„ტურბო"** 3D, *ხანგრძლივობა 1სთ. 35წთ;*

20.00 - **„წყევლა"**, *ხანგრძლივობა 1სთ. 50 წთ.*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com.
ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.

ინფო-თბილისი
თქვენი ზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

# ბლინები ქათმის ხორცითა და სოკოთი





**საჭირო ინგრედიენტები ბლინებისთვის:** 2 ჭიქა წყალი, 2 ჭიქა რძე, 2 ცალი კვერცხი, 1 ჩაის კოვზი შაქარი, 1/2 ჩაის კოვზი მარილი, 2 ჭიქა ფქვილი, 2 სადილის კოვზი ზეთი.

**შიგთავსისთვის:** 300 გრამი ქათმის უძვლო ხორცი, 300 გრამი სოკო, 1 თავი ხახვი, 100 გრამი არაჟანი, 100 გრამი მდნარი ყველი, ზეთი, მარილი, გრეხილი ყველი (შესაკრავად).

**მომზადების წესი:** ამ რაოდენობის ინგრედიენტებისგან 16-18 ცალი ბლინი გამოდის და ძალიან გემრიელია.

ჯერ ცალი მხრიდან გამოაცხვეთ ჩვეულებრივი, თხელი ბლინები და მოამზადეთ შიგთავსი. მოხარშეთ ქათამი, გააცივეთ, გამოაცალეთ ძვლები და ხორცი წვრილად დაჭერით. ძალიან წვრილად დაჭერით ხახვი და მოშუშეთ ზეთში, დაუმატეთ დაკეპილი სოკო და შუშეთ სითხის ჩაშრობამდე, დაახლოებით 5-7 წუთი. ჩაუმატეთ ქათმის ხორცი, არაჟანი, მდნარი ყველი და მარილი. კარგად ამოურიეთ და ძალიან დაბალ ცეცხლზე ჩაშუშეთ. ბლინებზე გამომცხვარი მხრიდან, შუაგულში მოათავსეთ ფარში. ბლინის ნაპირები ხინკალივით აკეცეთ და მიღებული „ტომსიკა“ გრეხილი ყველის „თასმით“ შეკარით. ყველა ბლინს რომ შეკრავთ, დააწყვეთ გამოსაცხობ ტაფაზე და 4-5 წუთით შედგით აირღუმელში. შემდეგ გადმოიღეთ ლანგარზე, მოასხით არაჟანი და მიირთვით. შეგიძლიათ, არაჟანი სუფრაზე ცალკე მიიტანოთ.

# ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲮᲕᲐᲠᲘ „ᲦᲠᲣᲢᲣᲜᲘᲐ“









**ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲘᲜᲒᲠᲔᲓᲘᲔᲜᲢᲔᲑᲘ:** 1 კილოგრამი ღორის ხორცი, 2 სადილის კოვზი მაიონეზი, 1 სადილის კოვზი მდოგვი, მარილი – გემოვნებით. ფოლგა – გასახვევად.

**ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲘ:** ღორის ხორცს ოდნავ მოაყარეთ მარილი. თასში მდოგვს შეურიეთ მაიონეზი, ეს ნაზავი ხორცს წაუსვით და გააჩერეთ 15-20 წუთი, შემდეგ დადეთ ფოლგაზე. კარგად შეფუთეთ და მოათავსეთ მაცივარში მეორე დილამდე. მეორე დღეს შედგით ცხელ აირღუმელში 1 საათისა და 30 წუთის განმავლობაში. უფრო გემრიელი იქნება, თუ გამორთულ აირღუმელშივე გააცივებთ.

# ღვეზელი გარგარით





**საჭირო ინგრედიენტები:** 1/4 ჩაის ჭიქა ფქვილი (200-გრამიანი ჭიქა), 120 გრამი კარაქი, 1/4 ჩაის კოვზი მარილი, 2-3 სადილის კოვზი წყალი, 500 გრამი ხაჭო, 1 პატარა შეკვრა ვანილი, 1/2 ჩაის კოვზი ლიმონის ცედრა, 4-5 სადილის კოვზი შაქარი, 5 სადილის კოვზი არაჟანი, 2 ცალი კვერცხი, 3 სადილის კოვზი სახამებელი, 400 გრამი გარგარი.

**მომზადების წესი:** კარაქი, ფქვილი და ცოტა მარილი დააბლენდერეთ (ძალიან არ გათქვიფოთ). დაუმატეთ ძალიან ცივი წყალი და კიდევ ერთხელ დააბლენდერეთ.

ცომით გააკეთეთ ბურთულა. მერე გააბრტყელეთ და შედგით მაცივარში.

**მოამზადეთ ღვეზელის შიგთავსი:** ღრმა თასში მოათავსეთ ხაჭო, კვერცხი, შაქარი, სახამებელი, ლიმონის ცედრა, ვანილი, არაჟანი და ეს ყველაფერი მიქსერით ათქვიფეთ.

ფორმაში, რომელსაც ცხიმის წასმა არ სჭირდება, ძირზე ჩააფინეთ გამოსაცხობი ქაღალდი. გაბრტყელებული ცომი დააფინეთ ქაღალდზე და გააკეთეთ კალათივით (ნაპირებზე შემოუკეცეთ). ჩაჩხვლიტეთ ჩანგლით და ტაფა მოათავსეთ 200 გრადუსზე გაცხელებულ აირღუმელში 7 წუთით. გამოიღეთ აირღუმლიდან, ამოავსეთ „კალათა“ ხაჭოიანი შიგთავსით, ზემოდან დაალაგეთ კურკაგამოცლილი გარგარი და ჩანგლით ოდნავ დააწექით, ხაჭოში რომ „ჩაჯდეს“. გამოაცხვეთ 170 გრადუსზე (40-45 წუთი საკმარისია). ღვეზელი ფორმაშივე გააცივეთ. შეგიძლიათ, მოაყაროთ შაქრის პუდრიც.



სომელიე
თეიმურაზ ბენიძე

# მაროკოული სალათა

**საჭირო ინგრედიენტები:** 3 პატარა ფორთოხალი, 50 გრამი უკურკო ზეთისხილი, 1 თავი წითელი ხახვი, 1 კონა კამა, 1 პატარა კონა მწვანე სალათა.

**სალათის საკაზმი:** 2 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, 1 ჩაის კოვზი ლიმონის წვენი, 1/2 ჩაის კოვზი მოხალული ქინძის თესლი, მარილი და პილპილი – გემოვნებით.



**მომზადების წესი:** კანგაცლილი ფორთოხლები დაჭერით, დაჭრისას გამოდენილი წვენი შეინახეთ. ზეთისხილი, ხახვი, კამა და სალათის ფოთლები დაჭერით და ფორთოხლის ნაჭრებს შეურიეთ. ზეითუნის ზეთი, ლიმონის წვენი და ფორთოხლის წვენი მოასხით დაჭრილ პროდუქტებს. შეგიძლიათ, დაუმატოთ წვრილად დაჭრილი ახალი ქინძი და პიტნის ფოთლები.

# ფარშირებული ბადრიჯანი

**საჭირო ინგრედიენტები:** 3 ცალი ბადრიჯანი, 3-4 ცალი ბულგარული წიწაკა, 1 თავი ნიორი, 2 თავი ხახვი, 1 ცალი სტაფილო, 0,5 ჩაის კოვზი ხმელი ქინძი, 1/3 ჩაის კოვზი დაფქული წითელი წიწაკა, 0,5 ჩაის კოვზი კურკუმა, 1 სადილის კოვზი შაქარი, ზეთი შესაწვავად, მარილი და ძმარი – გემოვნებით.



**მომზადების წესი:** ბადრიჯანი თხლად დაჭერით, მოაყარეთ მარილი და ზეთში შეწვით. შემწვარ ბადრიჯანს წაუსვით დანაყილი ნიორი. სტაფილო მოხარშეთ, გაფცქვენით და სახეხზე გახეხეთ, შეურიეთ დაფქული წიწაკა, კურკუმა, მოშუშული ხახვი, ხმელი ქინძი,  მარილი, ძმარი, შაქარი და კარგად ამოურიეთ. ეს მასა წაუსვით შემწვარი ბადრიჯნის თითოეულ ნაჭერს და რულეტივით გადაახვიეთ. ცალკე ზეთში მოშუშეთ დაჭრილი ბულგარული წიწაკა, მოაყარეთ ბადრიჯნებს, დააფარეთ თეფში და ზემოდან სიმძიმე დაადეთ, რომ ბადრიჯნები წიწაკის წვენით გაიჟღინთოს. 30-40 წუთის შემდეგ მიირთვით.

# თევზის გუფთები სოუსით

**საჭირო ინგრედიენტები:** 400 გრამი თეთრი თევზის ფილე, 2 თავი ხახვი, 1 ცალი კვერცხი, 2 ნაჭერი თეთრი პური, 1 ცალი კარტოფილი, მარილი, თეთრი და შავი პილპილი – გემოვნებით, საფანელი – ამოსავლებად, ზეთი – შესაწვავად.

**სოუსისთვის:** 1 კილოგრამი თავისსავე წვენში დაკონსერვებული პომიდორი, 1 დიდი თავი ხახვი, 1 პატარა კონა ქონდარი, 3 კბილი ნიორი, 1 ჩაის კოვზი თავშავა, მწიკვი შაქარი,  2 სადილის კოვზი ზეთი, მარილი და პილპილი – გემოვნებით.



**მომზადების წესი:** პური დაალბეთ წყალში და გაწურეთ. თევზის ფილე, ხახვი, კარტოფილი და პური ხორცსაკეპ მანქანაში გაატარეთ; შეურიეთ კვერცხი, სანელებლები, გააკეთეთ პატარა ბურთულები, ამოავლეთ საფანელში და ბლომად ზეთში შეწვით. პამიდორი ათქვიფეთ ბლენდერით, დაუმატეთ დანაყილი ნიორი, თავშავა, მარილი, პილპილი და წამოადუღეთ. ხახვი რგოლებად დაჭერით, მოაყარეთ შაქარი და ზეთში მსუბუქად მოშუშეთ. პომიდვრის სოუსში ჩააწყვეთ გუფთები, მოაყარეთ მოშუშული ხახვი და მორთეთ ქონდრის ყლორტებით.

38-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 14 აგვისტო

**08.00** დ/ფ "ვატიკანის ნამდვილი ძალაუფლება" **09.10** საბ. მხ/ფ "ვილის გათავისუფლება" **11.00** "ეკონომ მენიუ" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.35** მხ/ფ "**ქალი კატა**" (ჰ.ბერი) **14.30** დ/ფ "წიგნის მშვენება" **15.00** ან/სერ. "ტარატაბონგი" **15.05** ტ/სერ. "**ჭორიკანა**" **17.00** ტ/სერ. "**ნიკიტა**" **18.00** დ/ფ "უხილავი სამყარო" **19.05** ტ/სერ. "**მაგდა ემი**" **21.00** ტ/სერ. "**ნიკიტა**" **21.55 ფეხბურთი**. საერთაშორისო ამხანაგური მატჩი: **საქართველო – ყაზახეთი** (პ/რ) **00.00** მხ/ფ "**ლუდის ფესტივალი**".

**08.00** ფორტ ბოიარი **09.00** ან/ფ "სპანჯბობი" **10.00** სერ. "**დაუვიწყარი**" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **11.20** სერ. "**ცივი გული**" 10 სერ. **12.30** მუსიკალური ლიგა (გ/ჩ) **14.40** ღამის შოუ (გ/ჩ) **16.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **17.50** სერ. "**მაგნატები**". **18.50** სერ. "**აკრძალული სიყვარული** **21.00** სერ. "**დაბრუნება**" **22.00** ქ.სერ. "**შუა ქალაქში**" (გ/ჩ) **23.00** ქ.სერ. "**ცხელი ძაღლი**" 9 სერ. **00.15** მხ/ფ. "**კარგი ქალი**" (ს.იოჰანსონი).

**08.00, 03.30** კურიერი დაიჯესტი **08.30** ანიმაცია "ARTHUR ET LA GUERRE DES 2" **10.00** სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" **11.00** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** ქართ. მხ/ფ "**მაცივარში ვიღაც იჯდა**" **14.00** სერ "**ერთგულების ძალა**" **15.30** იღბლიანი ბორბალი. **17.00** სერ. "**ნამდვილი გრძნობა**" **18.50** სერ. "**ტიტების დრო**" **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **23.00** სერ. "**სიცრუის თეორია**" **00.30** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა **01.00, 03.30** მხ/ფ.

**7.00, 0.00, 2.00, 3.00, 4.00, 5.00, 6.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმები **9.30, 2.30** მაგთიფანი (გამ.) **10.00** მაღვიძარა (კოლაჟი) **11.00, 12.40, 15.40, 17.30, 1.15, 3.30, 6.30** ფარული კამერა **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **14.00** "კვირის აბები" (გამ.) **16.00 სერიალი "შტორმი" 19.00 სერიალი "1001 ღამე" 22.00, 4.30** "ყოველდღიური აბები" (გამ.) **22.20** "კინო მაესტროზე" **0.30, 5.30** ღია კარის დღე.

**06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "საქართველოს დაცული ტერიტორიები" **06.30** მხ/ფ "**ენი მწვანესახურავებიანი მამულიდან**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ქრისტიანული სწავლება **08.45** ერთი წვეთი **09.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **09.10** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10, 18.55, 00.30** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** ლექსით ქებათა ქება **10.40** "ჩვენი ფონდი" ელენე კავლელიშვილი "აფხაზეთის სიწმინდეები" **11.00** დოკ/ფ "ლოცვები სამშობლოსათვის" **11.20** მგზავრები წუთისოფლისა **12.05** ამინდი **12.10** დროის ჩანაწერები **12.40** ღია აუდიტორია **13.15** ერთი წვეთი **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.45, 21.55** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** აქტუალური თემა **15.30** ისტორიის გაკვეთილი **16.05** დოკ/ფ "მეომრები" **16.30** დოკ/ფ "საქართველოს დაცული ტერიტორიები" **16.45** კვირიაკე **18.05** დიდ ხარ შენ,უფალო **18.25** დეკორატიული ფლორა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**დიმიტრი** II" I ნაწ. **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ლექსით ქებათა ქება **21.30** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "სხვა რამ არ მწამდა სამშობლოზე წმინდათა წმინდა" ირაკლი აბაშიძე **00.35** მხ/ფ "**ენი მწვანესახურავებიანი მამულიდან**" **02.00** ირაო.

## ხუთშაბათი 15 აგვისტო

**08.00** დ/ფ "სიმართლე ატლანტიდაზე" **09.30** საბ. მხ/ფ "**სკუბი დუ**" **11.00** "ეკონომ მენიუ" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.35** ან/ფ "ღამის დარაჯთა ლეგენდები" **14.30** დ/ფ "წიგნის მშვენება" **15.00** ან/სერ. "ტარატაბონგი" **15.05** ტ/სერ. "**ჭორიკანა**" **17.00** ტ/სერ. "**ნიკიტა**" **18.00** დ/ფ "სიცოცხლე" **19.05** ტ/სერ. "**მაგდა ემი**" **21.00** ტ/სერ. "**ნიკიტა**" **22.00** სპორტული თოქ-შოუ: "არენა" **23.00** მხ/ფ "**ჩვენი მამების დროშები**".

**08.00** ფორტ ბოიარი **09.00** ან/ფ "სპანჯბობი" **10.00** სერ. "**დაუვიწყარი**" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **11.20** სერ. "**ცივი გული**" **12.30** მუსიკალური ლიგა (გ/ჩ) **14.40** კაცების შოუ (გ/ჩ) **16.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **17.50** სერ. "**მაგნატები**" **18.50** სერ. "**აკრძალული სიყვარული**" **21.00** სერ."**დაბრუნება**" **22.00** ქ.სერ. "**შუა ქალაქში**" (გ/ჩ) **23.00** ქ.სერ. "**ცხელი ძაღლი**" **10** სერ. **00.15** მხ/ფ. "**ოქროს ყვავილის წყევლა**" (ჯ.ჩოუ).

**08.00, 03.00** კურიერი დაიჯესტი **08.30** ანიმაცია "VALIANT" **10.00** სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" **11.00** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** ქართ. მხ/ფ "**პირველი მერცხალი**" **14.00** სერ "**ერთგულების ძალა**" **15.30** გააცინე და მოიგე **17.00** სერ. "**ნამდვილი გრძნობა**" **18.50** სერ. "**ტიტების დრო**" **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **23.00** სერ. "**სიცრუის თეორია**" **01.00, 03.30** მხ/ფ.

**7.00, 0.00, 2.00, 3.00, 4.00, 5.00, 6.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმები **9.30, 2.30** მაგთიფანი (გამ.) **10.00** გადაცემა "პულსი" (გამ.) **10.30** მაღვიძარა (კოლაჟი) **11.00, 12.40, 17.30, 1.15, 3.30, 6.30** ფარული კამერა **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **13.45** "ჩემი ქორწილი" (გამ.) **14.40, 22.00, 4.30** "ყოველდღიური აბები" **15.30** მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება (გამ.) **16.00 სერიალი "შტორმი" 19.00 სერიალი "1001 ღამე" 22.20** "კინო მაესტროზე" **0.30, 5.30** ღია კარის დღე.

**06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **06.30** მხ/ფ "**ენი მწვანესახურავებიანი მამულიდან**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ქრისტიანული სწავლება **08.45** ერთი წვეთი **09.05, 18.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **09.10** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10, 18.55, 00.30** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** ლექსით ქებათა ქება **10.40** დოკ/ფ "სხვა რამ არ მწამდა სამშობლოზე წმინდათა წმინდა" ირაკლი აბაშიძე **11.15** ეთნოგრაფია **11.30** ეპოქის სახელები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**დიმიტრი** II" I ნაწ. **13.15** ერთი წვეთი **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.45** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** სალბუნი **15.20** დოკ/ფ "მეომრები" **15.45** დოკ/ფ "საქართველოს დაცული ტერიტორიები" **16.10** კონცერტი - "აღდგომიდან ამაღლებამდე" მარინე იაშვილი **18.10** დიდ ხარ შენ,უფალო **18.30** ქრისტიანული სწავლება **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ/ფ "**დიმიტრი** II" II ნაწ. **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.05** ლექსით ქებათა ქება **21.10** ერთსულოვნების სალონი - მეცნიერება და რელიგია **22.25** "ჩვენი ფონდი" თეიმურაზ გვანცელაძე-აფხაზეთის მოსახლეობა **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "ღალიის ხატი" **00.35** მხ/ფ "**ენი მწვანესახურავებიანი მამულიდან**" **02.00** ირაო.

## პარასკევი 16 აგვისტო

**08.00** დ/ფ "რა არის რეალობა" **09.00** საბ. მხ/ფ "**ჩარლი შოკოლადის ფაბრიკა**" **11.00** "ეკონომ მენიუ" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.35** მხ/ფ "**ჰარი პოტერი და სიკვდილის ძღვენი**" **15.00** ან/სერ. "ტარატაბონგი" **15.05** ტ/სერ. "**ჭორიკანა**" **17.00** ტ/სერ. "**ნიკიტა**" **18.00** დ/ფ "ამერიკის საიდუმლო" **19.05** ტ/სერ. "**მაგდა ემი**" **21.00** ტ/სერ. "**ნიკიტა**" **22.00** "წითელი ზონა" **23.30** "ცეკვა ამერიკაში" (ბალეტი.).

**08.00** ფორტ ბოიარი **09.00** ან/ფ "სპანჯბობი" **10.00** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" 1 სერ. **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **11.20** სერ. "**ცივი გული**" 7 სერ. **12.30** მუსიკალური ლიგა (გ/ჩ) **14.40** იმედის გმირები (გ/ჩ) **15.15** რომ გადახვალ გაიჩერე (გ/ჩ) **16.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **17.50** სერ. "**მაგნატები**" **18.50** სერ. "**აკრძალული სიყვარული**" **21.00** სერ."**დაბრუნება**" **22.00** ქ/სერ. "**შუა ქალაქში**" (გ/ჩ) **23.00** ქ/სერ. "**ცხელი ძაღლი**" **00.15** მხ/ფ. "**ბრონქსის ისტორია**" (რ.პალმინტერი).

**08.00, 03.00** კურიერი დაიჯესტი **08.30** მხ/ფ. "SPIDER-MAN" **10.00** სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" **11.00** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** ქართ. მხ/ფ "**ისინი ჩამოვიდნენ მთიდან**" **14.00** სერ "**ერთგულების ძალა**" **15.30** ეკი ვოკი (გ/ჩ) **17.00** სერ. "**ნამდვილი გრძნობა**" **18.50** სერ. "**ტიტების დრო**" **20.50**

ეროვნული ლატარია **22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **23.00** სერ. **"სიტრუსის თეორია"** **01.00** მხ/ფ.

**7.00, 0.00, 2.00, 3.00, 4.00, 5.00, 6.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმები **9.30, 2.30** მაგთიფანი (გამ.) **10.00** მაღვიძარა (კოლაჟი) **11.00, 12.40, 15.30, 17.30, 1.15, 3.30, 6.30** ფარული კამერა **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **14.40, 22.00, 4.30** "ყოველდღიური აბები" **16.00** **სერიალი "შტორმი"** **19.00** **სერიალი "1001 ღამე"** **22.20** "კინო მაესტროზე" **0.30, 5.30** ღია კარის დღე.

**06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **06.30** მხ/ფ **"ენი მწვანესახურავებიანი მამულიდან"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ქრისტიანული სწავლება **08.45** ერთი წვეთი **09.05, 18.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **09.10** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** დოკ/ფ "ღალიის ხატი" **11.20** ეთნოგრაფია **11.20** ისტორიის გაკვეთილი **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ **"დიმიტრი II"** I ნაწ. **13.15** ერთი წვეთი **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.45** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** "პორტრეტი ერთსულოვნების გალერეიდან" - ოლღა გურამიშვილი **15.30** დეკორატიული ფლორა **15.40** კონცერტი -სტეფან გრაპელი **17.00** კვირიაკე **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.25** მხ/ფ **"სხვისი შვილები"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.25** ლექსით ქებათა ქება **21.35** მოგზაურობა სამშობლოში **22.25** ქრისტიანული ხელოვნება **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** სათავეებთან **00.35** მხ/ფ **"ენი მწვანესახურავებიანი მამულიდან"** **02.00** ირაო.

## შაბათი 17 აგვისტო

**08.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **08.30** საბ. ან/ფ "მხიარული თითები" **10.00** საბ. ან/სერ. "სუპერგმირების ლეგიონები" **11.00** "პეპე და მეგობრები" **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** I არხი წარმოგიდგენთ – რიზარ გალიანო **13.30** ფილმი ნოსტალგია: **"ანგელოზსა და ეშმაკს შორის"** (ჟ.დეპარდიე) **15.30** "საფარი" **16.30** ქართ. ტ/ფ: **"სუფთა დაფა"** **17.00** **ფეხბურთი**. საქართველოს ჩემპიონატი. II ტური: **"დილა"** /გორი/ – **"დინამო"**/თბილისი/ (პ/რ) **19.00** ტ/სერ. **"ოჯახური გამოძიება"** **20.35** ქართ. მხ/ფ **"შეხვედრა წარსულთან"** **21.30** მხ/ფ **"ოუშენის 12 მეგობარი"** (ჯ.კლუნი) **23.30** მხ/ფ **" პაროლდი და კუმარი"**.

**08.00** მხ/ფ. **"ამაო გარჯა სიყვარულისა"** **10.00** მხიარული ოჯახი (გ/ჩ) **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **11.15** ეკოვიზია **12.00** ქ/სერ. **"შუა ქალაქში"** **13.00** სერ. **"სონის შანსი"**. **14.20** ახალი საბავშვო ხმა (გ/ჩ) **17.50** სერ **"მაგნატები"** **18.50** სერ. **"აკრძალული სიყვარული"** **21.00** სერ.**"დაბრუნება"** **22.00** ქ/სერ. **"შუა ქალაქში"** (გ/ჩ) **23.00** იუმორინა (გ/ჩ) **00.00** მხ/ფ. **"კერკეტი კაკალი-2"** (ბ.უილისი) **02.10** მხ/ფ. **"იტალიური ისტორია"** (ა.ბონი) (ტიტ.).

**08.00** კურიერი დაიჯესტი **08.30** ანიმაცია "პატარა პრინცი" **09.00** მხ/ფ. "SPIDER-MAN-2" **11.00** შიშის ფაქტორი **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00** კურიერი **12.30** ქართ. მხ/ფ **"არაჩვეულებრივი გამოფენა"** **15.30** კომედი კონცერტი **18.50** სერ. **"ტიტების დრო"** **22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **00.30** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა **01.00** "Latin Angels" **01.30** მხ/ფ.

**7.00, 0.00, 2.00, 3.00, 4.00, 6.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმი **9.30, 0.30, 5.30** ღია კარის დღე **10.00** მაღვიძარა (კოლაჟი) **10.30** გადაცემა "პულსი" **11.00, 12.30, 15.30, 19.00** **სერიალი "1001 ღამე"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **21.45, 4.30** თოქ-შოუ "პრესპრესი" (გამ.) **23.00** მაგთიფანი (საკონცერტო ნომრები) **1.15, 3.30, 6.30** ფარული კამერა **2.30** მაგთიფანი (საკონცერტო ნომრები).

**06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **06.35** დოკ/ფ "პლანეტა დედამიწა" **07.35** მოგზაურობა სამშობლოში **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ქრისტიანული სწავლება **08.45** ერთი წვეთი **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.05, 18.05, 21.25** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 18.55, 00.30** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ქართული მულტფილმი **10.55** კვირიაკე **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ **"სხვილი შვილები"** **13.30** დოკ/ფ "პალესტინის სიძველეთა საიდუმლო" **14.10** სათავეებთან **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.10** ოპერა - ანიტა რაჭველიშვილი **17.00** დოკ/ფ "კოსმოსიდან დანახული დედამიწა" **17.50** ფოტოგალერეა **18.10** ქრისტიანული ხელოვნება **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** თბილისის ტაძრები **19.35** ქართული ალბომი **20.00** ერთსულოვნების სალონი - საქ.ეკლესიის სიწმინდეები **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** ლექსით ქებათა ქება **21.35** ერთი დღე მონასტერში **22.25** ერთსულოვანი ოჯახი **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **22.15** ქართული ხმები **00.35** მხ/ფ **"ენი მწვანესახურავებიანი მამულიდან"** **02.00** ირაო.

## კვირა 18 აგვისტო

**09.00** დ/ფ "შუა საუკუნეების მანერები" **10.00** საბ. ან/სერ. "სუპერგმირების ლეგიონები" **11.00** "პეპე და მეგობრები" **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "სპექტაკლის დრო" – კ. მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლი: **"ძველი ვოდევილები"** **14.00** ფილმი ნოსტალგია: **"ვინეტუ –3"** **15.30** დ/ფ "ექსტრაორდინარული ქალები" **16.30** "ვაშინგტონი დღეს" **17.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **17.30** I არხი წარმოგიდგენთ – გ. საღარაძის შემოქმედებითი საღამო **19.00** ტ/სერ. **"ოჯახური გამოძიება"** **20.50** "უცნობი მუსიკა" **22.30** მხ/ფ **"ლეონი"** (ჟ.რენო) **00.40** მხ/ფ **"ჯონაჯ პეჭსი"** (ჯ.მალკოვიჩი).

**08.00** მხ/ფ. **"უიმბილდონი"** **10.00** მხიარული ოჯახი (გ/ჩ) **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **11.15** ბასტი ბუბუ (გ/ჩ) **12.00** ქ/სერ. **"შუა ქალაქში"** (გ/ჩ) **13.00** სერ. **"სონის შანსი"** **14.20** ახალი საბავშვო ხმა (გ/ჩ) **17.40** იმედის გმირები **18.00, 19.05** სერ. **"ლურჯი კვამლი"** **21.00** ღამის შოუ (გ/ჩ) **22.00** ქ.სერ. **"შუა ქალაქში"** (გ/ჩ) **23.00** იუმორინა (გ/ჩ) **00.00** იმედიატორი **01.30** დოკ/ფ"ბავშვები და ფული".

**08.00** კურიერი დაიჯესტი **08.30** ანიმაცია "პატარა პრინცი" **09.00** მხ/ფ. "SPIDER-MAN-2" **12.00, 15.00, 18.00, 04.00** კურიერი **12.30** ქართ. მხ/ფ **"მხიარული რომანი"** **15.30** კომედი კონცერტი **19.00** ეკი ვოკი **20.00** იღბლიანი ბორბალი **22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **00.30** "Latin Angels" **01.00** მხ/ფ.

**7.00, 0.30, 2.00, 3.00, 4.00, 6.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმი **9.30, 20.00, 4.30** "ჩემი ქორწილი" **10.30** გადაცემა "პულსი" **11.00, 12.30, 15.30** **სერიალი "1001 ღამე"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **18.45, 22.30** "ღია კარის დღე" **19.30** "მონიტორის" ჟურნალისტური გამოძიება **21.45, 2.30** კვირის აბები **23.00** "კინო მაესტროზე" **1.15, 3.30, 5.20, 6.30** ფარული კამერა.

**06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **06.35** მულტფილმი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ქრისტიანული სწავლება **08.45** დეკორატიული ფლორა **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.05, 21.30** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 00.05** ისტორიის დღიური **10.15** სიახლენი **10.40** ჩვენი ტრაპეზი **10.50** ქართული ხმები **11.30** ქართული ალბომი **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ **"დიდი ქალაქის ჩირაღდნები"** **13.30** ქრისტიანული ხელოვნება **14.20** ისტორიის გაკვეთილი **15.05** პატრიარქის ქადაგება **15.30** მგზავრები წუთისოფლისა **16.00** ერთსულოვნების სალონი **16.55** ეპოქის სახეები **17.20** სადვთისმეტყველო საუბრები **18.05** პატრიარქის ქადაგება **18.30** დროის ჩანაწერები **19.00** ღია აუდიტორია **19.45** მხ/ფ **"ცისფერი მთები"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.35** ლექსით ქებათა ქება **21.40** კვირიაკე **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** გაცოცხლებული წარსული **00.10** პატრიარქის ქადაგება **00.30** მხ/ფ **"კასაბლანკა"**.

### ვერძი

ნუ ეცდებით რამის შეცვლას. ყურადღება მიაქციეთ საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას წვრილმანებს. უცხოელებთან კავშირი თქვენს საქმიანობას კიდევ უფრო წარმატებულს გახდის. მიუხედავად კარგი გუნება-განწყობისა, ნუ დატოვებთ უყურადღებოდ ჯანმრთელობის მდგომარეობას.

### კურო

სამსახურებრივი ცვლილება კარგ შემოსავალს მოგიტანთ მომავალში. მოერიდეთ ზედმეტ გადაღლასა და მძიმე ფიზიკურ შრომას. არახელსაყრელი დროა მოგზაურობისა და სწავლისთვის. კარგია სახლის რემონტი ან დიზაინის განახლება ბინაში.

### ტყუპები

ძალიან მგრძნობიარე იქნებით. თუ არ მოთოკავთ ემოციებსა და გრძნობებს, ბევრ წინააღმდეგობას წააწყდებით. ტყუილის გამო ნუ დაკარგავთ ნდობას ხალხის თვალში. ეს დრო დაუთმეთ დასვენებასა და ენერგიის დაგროვებას.

### კირჩხიბი

პირად და სასიყვარულო სფეროში ბევრი სიახლეა მოსალოდნელი. ფინანსური მდგომარეობის შესანარჩუნებლად გააკონტროლეთ ხარჯები. დაამყარეთ ახალი კავშირები და დრო დასვენებისთვისაც გამონახეთ. დადებითი ემოციები კი, ეცადეთ, საყვარელი ადამიანის გვერდით ყოფნით მიიღოთ.

### ლომი

კეთილგანწყობა და ახლისადმი ინტერესი ბევრ საინტერესო ადამიანთან დაგაკავშირებთ. შეძლებთ ბევრი ჩანაფიქრის განხორციელებას. არ არის გამორიცხული, სწორედ ამ პერიოდში გაიცნოთ ის ადამიანი, ვისთანაც დიდი სასიყვარულო გრძნობა დაგაკავშირებთ მომავალში. არ გირჩევთ შორეულ მოგზაურობას.

### ქალწული

მიხედეთ ჯანმრთელობას და ეცადეთ, შეინარჩუნოთ შინაგანი სიმშვიდე. უარი თქვით ფინანსური მდგომარეობის გამოსწორების მიზნით ახალ შემოთავაზებაზე. საყვარელი ადამიანის მხრიდან კი, შესაძლოა, სიცივე იგრძნოთ, თუმცა, ეს დროებითია და მალევე გაივლის.

### სასწორი

მთელს თქვენს ყურადღებას ფინანსური საკითხები დაიპყრობს. ნუ მოექცევით ჩიხში და გონივრულად იმოქმედეთ. სასიყვარულო სფეროში, შესაძლოა, გადაუდებელი გადაწყვეტილების მიღების წინაშე აღმოჩნდეთ. ეცადეთ, ხშირად დაისვენოთ სუფთა ჰაერზე. მიღებული ინფორმაცია გადაუმოწმებლად არ გამოიყენოთ.

### მორიელი

ბევრი კონტაქტი და წვრილმანი საქმეების სიხშირე გართობის დროს არ დაგიტოვებთ. მოერიდეთ შორეულ მგზავრობას და თავი შეიკავეთ ინტრიგებისგან. საყვარელ ადამიანთან გაუგებრობა კი დროულად მოაგვარეთ.

### მშვილდოსანი

არ არის გამორიცხული, სიტუაცია დაიძაბოს საქმიან პარტნიორებთან. ნუ გარისკავთ, რათა არ დაშავდეთ. ნუ მიიღებთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს და მოერიდეთ მოგზაურობას. გაგიჭირდებათ მიღებული ინფორმაციის გაანალიზება.

### თხის რქა

ნუ დაარღვევთ კანონებსა და წესებს და ნუ გაირთულებთ ცხოვრებას არარეალური სურვილებით. აკონტროლეთ ემოციები, რათა ფინანსური კრახი აიცილოთ თავიდან. ოჯახში და საყვარელ ადამიანთან ურთიერთობის დაძაბვისას, ეცადეთ, ტაქტიანად განმუხტოთ სიტუაცია.

### მერწყული

ბევრ საქმიან შემოთავაზებას მიიღებთ, თუმცა, კარგად დაფიქრდით, სანამ ნაბიჯს გადადგამთ. მოერიდეთ მეგობრებთან დაპირისპირებას. ადვილად მოაგვარებთ საოჯახო პრობლემებს. კარგია გამაჯანსაღებელი ვარჯიშების ჩატარება.

### თევზები

მომატებული ენერგია დაგეხმარებათ ახლებურად მოქმედებასა და განვითარებაში. კარგია ახალი საქმის დაწყება. შესაძლოა ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება. საყვარელი ადამიანის მიმართ იყავით ტაქტიანი და დიპლომატიური. უცხოელებთან კონტაქტი მომავალში კარგ პერსპექტივებს გპირდებათ. კარგია გარეგნობის შეცვლა.

## კვირის დღეების ასტროპროგნოზი

**ახალმთვარეობა – 5 სექტემბერი, 11 სთ: 33 წთ.**

### ორშაბათი

მეტი დრო დაუთმეთ ოჯახს. მოერიდეთ აგრესიასა და კონფლიქტებს. აკონტროლეთ სიტყვები. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, კრემისფერი, მწვანე, ყვითელი ან ნაცრისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, ფირუზი ან ტოპაზი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია ავეჯის ყიდვა, გართობა, მეგობრული და სასიყვარულო კონტაქტები, ექიმებთან კონსულტაცია, მკურნალობის დაწყება. სუსდტება ყელი, ენდოკრინული სისტემა, კანი, თირკმელები.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის.***

### სამშაბათი

იყავით თვითკრიტიკული და კეთილშობილი. მოერიდეთ ნოვატორობას, საბუთების გაფორმებას, ახალი საქმის დაწყებას, ადგილსამყოფლის შეცვლას, სესხის აღებას. ატარეთ წითელი, შავი, ყვითელი, შინდისფერი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ოპალი, ტოპაზი, ონიქსი, მარჯანი ან იასპი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოიმატებს სექსუალური ენერგია. კარგია თვითშემეცნება, ავტომანქანის ყიდვა-გაყიდვა, მასაჟი, თმის შეჭრა. სუსტდება შარდსასქესო სისტემა.

***პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ლომებისთვის, სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

### ოთხშაბათი
### გეომაგნიტური დღე

მეტი დრო გაატარეთ სუფთა ჰაერზე. აკონტროლეთ ვნებები, ეჭვიანობის გრძნობა და ეგოიზმი. არ გირჩევთ ახალი საქმის დაწყებას, ადგილსამყოფლის შეცვლას, სესხის აღებას. მაღალია მოტყუებისა და ილუზიების ალბათობა. ატარეთ წითელი, შინდისფერი, შავი, ყვითელი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ოპალი, ტოპაზი, ზურმუხტი, ქრიზოპრაზი, მარგალიტი ან გიაცინტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია კოსმეტიკური პროცედურები, თმის შეჭრა. სუსტდება ცხვირი, შარდსასქესო სისტემა.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, ქალწულებისთვის, მორიელებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ტყუპებისთვის, მერწყულებისთვის.***

### ხუთშაბათი
### გეომაგნიტური დღე

კარგია მიწათმოქმედება და მცენარეების დარგვა. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, იისფერი, წითელი ან ყვითელი სამოსი; ქვებიდან კი – ფირუზი, საფირონი, ლალი, ქარვა ან სარდიონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა მშენებლობა. კარგია სწავლა, უცხოელებთან კონტაქტი, უცხოეთში კაპიტალდაბანდება, იურიდიული საქმიანობა. სუსტდება ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი.

***პოზიტიური დღეა: ტყუპებისთვის, ლომებისთვის, სასწორებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის.***

### პარასკევი

ამ დღეს დაწყებული საქმე, აუცილებლად ბოლომდე მიიყვანეთ. არ ვარგა მშენებლობა. ატარეთ წითელი, ლურჯი, ყვითელი, იისფერი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ფირუზი, სარდიონი, იაგუნდი, ციტრონი ან ლაბრადორი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან, დიდია მათი ახდენის ალბათობა. კარგია ინტელექტუალური საქმიანობა, უცხოელებთან კონტაქტი, იურიდიული საქმიანობა, სამეცნიერო კვლევა, ვაჭრობა, ვარჯიშების ჩატარება. სუსტდება ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული.

***პოზიტიურ დღეა: ვერძებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის.***

### შაბათი

ყურადღება მიაქციეთ თითოეულ სიტყვას. პასუხისმგებლობით მიუდექით თქვენს მოვალეობას. დაგეგმეთ მომავალი საქმეები. ატარეთ ყავისფერი, კრემისფერი, ნაცრისფერი, ლურჯი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ონიქსი, ქრიზოპრაზი, ჰელიოტროპი, აქატი ან ოპალი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარებას, ფინანსურ ოპერაციებს, ახალ კავშირებს. კარგია უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, მანქანის შეძენა. სუსტდება ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ტყუპებისთვის, ლომებისთვის.***

### კვირა
### გეომაგნიტური დღე

აკონტროლეთ რეაქციები. მოერიდეთ სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარებას, ფინანსურ ოპერაციებს. ატარეთ ყავისფერი, ყვითელი, ბეჟი, ნაცრისფერი, ლურჯი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ონიქსი, ქრიზოპრაზი, ამეთვისტო, აქატი ან ოპალი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია მიწათმოქმედება, მანქანის ყიდვა-გაყიდვა. სუსტდება ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები, კანი.

***პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, სასწორებისთვის, მერწყულებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

**ჩუბინიძე**

გვარის ფუძეა **ჩუბინი. ჩუბინი** ძველი ქართული სიტყვაა და ნიშნავს მარჯვე მსროლელს.

1871 წელს სოფელ ბოგეში მოიხსენიება ვინმე გიორგი **ჩუბინიძე.**

**ჩუბინიძე** და **ჩუბინაშვილი** ერთი და იგივე გვარია.

საქართველოში 5 139 **ჩუბინიძე** ცხოვრობს. თბილისში – 1 026, ჭიათურაში – 974, ქუთაისში – 840. არიან სხვაგანაც.

**ბიბილაშვილი**

**ბიბილაშვილის** ფუძეა საკუთარი სახელი **ბიბილა**. 1716 წელს, ვენახის ნასყიდობის წიგნში, მოხსენიებულია **ბიბილაშვილი**, რომელიც ჩიტუა გიორგაშვილმა მისცა თავის ბატონს, ვინმე ლევანს.

მთიულეთში არის სოფელი **ბიბილიანი.**

ამავე ძირისაა გვარები: **ბიბილაური, ბიბილური, ბიბილურიძე, ბიბილია.**

საქართველოში 1 922 **ბიბილაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 648, გორში – 519, დუშეთში – 118. არიან სხვაგანაც.

**ოდიკაძე**

გვარის ფუძეა სიტყვა **ოდიკი. ოდიკი** ჰქვია წმიდა ზარძიმის ქვესაფენს. სულხან-საბა ორბელიანი წერს: „**ოდიკი** წმიდა ზარძიმის ქვესაფენი, ფეხიანი მაღალი სასმისი, ფეხ-მაღალი სასმისი“. „**ოდიკი** არის წმიდის ზიარების ქვეშ საფენი, კურთხეული თეთრი“.

**ოდიკაძეთა** წინაპრები **ოდიკის** ხელოსნები იყვნენ და ხელობის მიხედვით გაუგვარდათ მათ **ოდიკაძეობა.**

საქართველოში 998 **ოდიკაძე** ცხოვრობს: თბილისში – 288, ზესტაფონში – 142, რუსთავში – 97. არიან სხვაგანაც.

**სანთელაძე-სამთელაძე**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **სანთელა.** გვხვდება როგორც **სანთელაძე**, ასევე, **სამთელაძე.**

1860-იან წლებში თბილისის საგამგებლოს თავი იყო **სანთელაძე**. 2003 წელს, ერევანში გამოსცეს სომხურ და რუსულ ენაზე „ტიფლისის მერები 1917-2000 წლებში“, სადაც გვარი **სანთელაძე** რუსულად თარგმნეს როგორც სვეჩნიკოვი და ის სომხად მიიჩნიეს.

საქართველოში 372 **სანთელაძე** ცხოვრობს: ამბროლაურში – 125, ქუთაისში – 84, თბილისში – 62. არიან სხვაგანაც.

56 **სამთელაძე**: თბილისში – 34, ქუთაისში – 16, ტყიბულში – 6.

**ბუბუტეიშვილი**

**ბუბუტეიშვილი** იმერეთში წარმოშობილი და იმერული გვარია. მიგრირებულია სამეგრელოშიც – ქვემო ქვალონში გვხვდება 3 კომლი.

გვარის ფუძეა **ბუბა,** მოფერებით-კნინობითი ფორმით – **ბუბუტა**, აქედან კი, გურული ფორმით – **ბუბუტეიშვილი.**

საქართველოში 600 **ბუბუტეიშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 116, ვანში – 103, სამტრედიაში – 98. არიან სხვაგანაც.




**მარკელია**

გვარის ფუძეა სახელი **მარკოზი**. აქედან, მოფერებით-კნინობითი ფორმაა **მარკო**. ამ გვარის ძირძველი მოსახლე სამეგრელოში იშვიათია, არიან ლტოლვილები სამურზაყანოდან. ფუძე შესწავლას მოითხოვს.

ასევე, ჩანს გვარი **მარკელოვი.**

საქართველოში 250 **მარკელია** ცხოვრობს:. ზუგდიდში – 83, თბილისში – 81, სენაკში – 11. არიან სხვაგანაც.

**მუხიაშვილი**

**მუხა** მცენარეა და მისგან ნაწარმოები სახელი **მუხა** განივთებულია როგორც გვარის მაწარმოებელ, ისე ტოპონიმებად გამოყენებულ სახელებად.

გვხვდება სოფლები: **მუხანი**, მოგვიანებით – **მუხათი, მუხათგვერდი.**

ასევე, ამ ძირისაა გვარები **მუხათგვერდელი, მუხაშავრია, მუხაშვილი, მუხაძე, მუხიაშვილი, მუხიგულაშვილი, მუხიგული.**

საქართველოში 165 **მუხიაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 95, გარდაბანში – 64, რუსთავში – 6.

**გელიტაშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **გელიტა**. გიორგი **გელიტაშვილი** მოიხსენიება 1713 წლის წყალობის წიგნში. ხაბაზი **გელიტაშვილი** 1736 წლის დახსნილობის წიგნშია მოხსენიებული, რომელიც ელიზბარ და სხვა სოლოღაშვილებს მელიქია საქუაშვილისთვის მიუციათ. სოსია **გელიტაშვილი**, ოჯახითურთ, 1823 წელს მოიხსენიება დიდ ენაგეთში. ამავე ძირისაა გვარები: **მგელიტაშვილი, გელუტაშვილი.**

საქართველოში 346 **გელიტაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 190, კასპში – 80, გურჯაანში – 53. არიან სხვაგანაც.

**ჟამიერაშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ჟამიერა.**

დიდ ენაგეთში ალექსი **ჟამიერაშვილს** 1874 წელს შვილი – მიხეილი მოუნათლავს. ნათლია ყოფილა თანასოფლელი გიორგი ბარათოვი.

საქართველოში 124 **ჟამიერაშვილი** ცხოვრობს. თბილისში 75, თელავში 31, ფოთში 5. არიან სხვაგანაც.

**პოჩიკაშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **პოჩიკა**.

**პოჩიკაშვილი** 1851 წელს მოიხსენიება სოფელ კოდაში. კამერული აღწერის ამავე სიაში არიან მოსე და საქუელა **პოჩიკაშვილები**. 1873 წელს ერთ-ერთ **პოჩიკაშვილს** ერქვა ყვავილა. 1886 წლიდან კი ჩნდება გვარი ყვავილაშვილი. არსებობს ვარაუდი იმის შესახებაც, რომ თუში იქარაული კოდაში გადასულა და **პოჩიკაშვილის** გვარი მიუღია.

საქართველოში 31 **პოჩიკაშვილი** ცხოვრობს: თეთრი წყაროში – 28, რუსთავში – 2, თბილისში – 1.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მასალების მიხედვით**
**მოამზადა ნონა დათეშიძემ**

---

**(22-ე გვერდიდან)**

„ბარიშნიაში“ ვცეკვავდი ბოშურ დუეტს ბიჭთან ერთად და ეს შევასრულეთ. ისე შევედი ეშხში, დამავიწყდა, პატარძალი რომ ვიყავი – ხან მიწაზე გავწექი, ხან მაღლა ამაფრიალეს. ამის მერე ჩემი ქართველი მეგობრები გადმოხტნენ და იცეკვეს. ჩვენი მიწვეული ბენდი იჯდა და კონცერტს უყურებდა, ბოლოს გვთხოვეს, იქნებ ჩვენც დაგვაკვრევინოთო. მოკლედ, ძალიან კარგი დრო ვატარეთ. დღესაც, ვისაც შევხვდები, ყველა იხსენებს, როგორი კარგი დრო გავატარეს ჩვენს ქორწილში. გარდა ამისა, „ნიუ-იორკ თაიმსის“ კვირა დღის გამოშვებაში იბეჭდება ნიუ-ორკის ელიტურ წყვილთა ქორწინების შესახებ. ამ წყვილთა სიაში მხოლოდ ცნობილი და საინტერესო პირები ხვდებიან. ჩვენთვის დიდი პატივი იყო, როდესაც „ნიუ-იორკ თაიმსის“ ჟურნალისტი დაგვიკავშირდა და გვითხრა, რომ ჩვენ მათი ერთ-ერთი რჩეული წყვილი ვიყავით. უნდა გენახათ, ამან რამხელა აჟიოტაჟი გამოიწვია პატრიკის ოჯახში – ნიუიორკელებისთვის ეს ძალიან პრესტიჟულია. ქორწილის შემდეგ კი, რამდენიმე დღეში მოულოდნელად თვით ბრუკლინის მერისგან მივიღეთ მისალოცი წერილი. ჩვენი ქორწილის შესახებ სტატია ახლაც დევს „ნიუ-იორკ თაიმსის საიტზე“.

## როგორ ავარჯიშებს ნათია რთველიაშვილი „ვიქტორიას სეკრეტის“ მოდელებს სხეულის კარგი ფორმის შენარჩუნებასა და მოდელის ვიზუალის შექმნაში და როგორ მიულოცა მას და მის მეუღლეს დაქორწინება ბრუკლინის მერმა

**BALLET BEAUTIFUL – ბალეტი, ფიტნესი და ზრუნვა ცნობილი ადამიანების გარეგნობაზე**

ყოველთვის მქონდა სურვილი, რომ ჩემი თავი სხვა მიმართულებით გამომეცადა, მაგრამ, ცეკვასთან ყოფილიყო კავშირში. დაახლოებით ერთი წლის წინ ვნახე განცხადება – ეძებდნენ პროფესიონალ მოცეკვავეებს, რომლებსაც ჰქონდათ კარგი რეზიუმე და ცეკვის გარდა, დაკავებული იყვნენ ფიტნესით. კომპანიას ჰქვია BALLET BEAUTIFUL. გავგზავნე ჩემი რეზიუმე. დამირეკეს და მითხრეს, რომ ალფრთოვანებულები დარჩნენ, მიმიწვიეს გასაუბრებაზე და ამიყვანეს. ეს არის საბალეტო მოძრაობებზე აგებული ფიტნესპროგრამა, რომელიც შექმნა მერი ჰელენბაუერმა. ის იყო „ნიუ-იორკის სიტი ბალეტის“ მოცეკვავე, შემდეგ გადაწყვიტა, დაეარსებინა თავისი კომპანია და სხვებისთვისაც გაეზიარებინა საკუთარი გამოცდილება: თუ როგორ ინარჩუნებდა ფორმას, აღნაგობას, როგორ იცავდა თავს ტრავმებისგან და, როცა ტრავმა ჰქონდა, რას აკეთებდა იმისთვის, რომ საბალეტო ფორმა შეენარჩუნებინა. წლების განმავლობაში შეიმუშავა ეს მეთოდი და, გადაწყვიტა, დახმარებოდა იმ ხალხს, ვინც არ არიან ბალერინები, მაგრამ, უნდათ, რომ ჰქონდეთ კარგი აღნაგობა, ბალერინას ვიზუალი, დგომა და ასე შემდეგ. ეს მეთოდი ძალიან პოპულარული გახდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც „შავ გედში“ ამ როლისთვის ნატალი პორტმანი მოამზადა. მე ვმუშაობ ცნობილ მსახიობებთან და მოდელებთან. მსურველებს ჩვენ ვაძლევთ ბალერინას ვიზუალს, ჯანმრთელ, ნავარჯიშებ სხეულს. ამიტომაც, ჩვენ შესახებ წერენ „ვოგში“, „ჰარფოუმ მაგეზინში“, მოკლედ, ყველგან, რადგან, ეს ელიტური და კერძო, პოპულარული სტუდიაა. პირადად მე ვმუშაობ ზოიე დეშენალთან, ჩემი მოსწავლეა დაიანა როსის ქალიშვილი... ასევე, ძალიან ბევრს ვმუშაობ „ვიქტორიას სეკრეტის“ მოდელებთან. ჩვენ მათ ვეხმარებით იმაში, რომ ჰქონდეთ ძალიან ლამაზი, მშრალი კუნთები, ბალერინასთან მიახლოებული ვიზუალი, პლასტიკა, დგომა. მიხარია, რომ ცეკვის გარდა, ჩემს კარიერას სხვა კუთხით განვავრცობ.

**ნათია უტიაშვილი**

# ზღვის პროდუქტების დიეტა

ეს დიეტა განკუთვნილია მათთვის, ვისაც სწრაფად უნდა გახდომა და, რაც მთავარია, ჩვეულებრივი თევზეულის გარდა, ზღვის სხვა პროდუქტების მიმართაც არ არის გულგრილი.

თევზეული ბევრს უყვარს და, შესაბამისად, წლის რაციონში მეტ-ნაკლები სიხშირითა და რაოდენობით, მიირთმევენ თევზეულს, მაგრამ ზღვის პროდუქტების დიეტის დაცვის დროს მენიუში უნდა შეიტანოთ არა მხოლოდ ამა თუ იმ ჯიშის თევზი, არამედ, ზღვის კომბოსტო, კრევეტები, კრაბი, მოლუსკები, მიდიები, თანაც, თევზი უნდა იყოს ნაკლებად ცხიმიანი ჯიშის. გარდა ამისა, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ ისიც, რომ ბაჟეში ჩაწყობილი, შემწვარი და შებოლილი თევზეული მთლიანად უნდა გამორიცხოთ.



ეს დიეტა ცოტა რთული დასაცავია იმიტომ, რომ ყოველი პროდუქტი უნდა მიირთვათ მხოლოდ მოხარშული, ორთქლზე მომზადებული, ან მოთუთქული სახით, უმარილოდ და ყოველგვარი სანელებლის გარეშე. დასაშვებია მხოლოდ ლიმონის წვენი.

დღის რაციონი იყოფა 4-5 კვებად და თითოეული ულუფა არ უნდა აღემატებოდეს 100 გრამს. პროდუქტების თანმიმდევრობას მნიშვნელობა არ აქვს, შეგიძლიათ, თქვენი სურვილისამებრ ცვალოთ. თუ გსურთ, შედეგი სწრაფი და ეფექტური იყოს, ამ დიეტის დაცვის პერიოდში სხვა არაფერი არ უნდა ჭამოთ, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი და შესაბამისად მომზადებული ზღვის პროდუქტებისა. ერთადერთი, რისი დამატებაც შეგიძლიათ, არის ვაშლი (დღეში 3-4 ცალი), რომელიც, შეგიძლიათ, შუალედებში მიირთვათ, რომ მძაფრმა შიმშილმა არ შეგაწუხოთ, და, რა თქმა უნდა, წყალი – დღეში 2-3 ლიტრის ოდენობით.

მართალია, ამჯერად, ცოტა რთულ დიეტას გთავაზობთ, მაგრამ, სამაგიეროდ, გარდა წონაში დაკლებისა, მას სხვა, ძალიან დადებითი მხარეც აქვს: აძლიერებს ორგანიზმის იმუნიტეტს, ავსებს მას ვიტამინებითა და მიკროელემენტებით და საგრძნობლად აუმჯობესებს სახის კანს.

დიეტის ხანგრძლივობაა მინიმუმ 1 კვირა და მაქსიმუმ 2 კვირა. ერთთვიანი შუალედის შემდეგ, შეგიძლიათ, კვლავ გაიმეოროთ, ოღონდ, იმ ერთი თვის განმავლობაში, ცხადია, მონატრებული გემრიელი და მსუყე კერძებით არ უნდა გაინებივროთ თავი.

წარმატებებს გისურვებთ!

# რჩევები მათ, ვინც შვებულების დღეებს ქალაქში ატარებს ან, სულაც ვერ გადის შვებულებაში

ასეთები ბევრნი არიან, განსაკუთრებით – ქალბატონები, რომლებიც, ამა თუ იმ მიზეზის გამო, ვერ ახერხებენ შვებულების დღეების ქალაქგარეთ გატარებას. არადა, ახალ „სამუშაო წელს“ დასვენებულები თუ არ შეუდგებიან მუშაობას, მერე მთელი წელი გაუჭირდებათ. თუმცა, ზღვისა და მთის აგარაკების გარეშეც შეიძლება დასვენება, გაკაჟება და ხალისიანი განწყობის შექმნა, მთავარია, მოინდომოთ. ამისთვის კი, საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, დაივიწყოთ მოუცლელობის მიზეზები: სახლია დასალაგებელი, სარეცხია გასარეცხი, სადილია გასაკეთებელი და ასე შემდეგ. ქალს სახლში საქმეს რა გამოულევს (თუნდაც გაუთხოვარს), ამიტომ, ისევ და ისევ თქვენი სიმხნევისა და ჯანმრთელობისთვის, კარგი იქნება, თუ საოჯახო და არასაოჯახო საქმეებს „დაიკიდებთ“ და შვებულების განმავლობაში მაინც დაუთმობთ საკუთარ თავს თუნდაც კვირაში ორ-სამჯერ.




დაიწყეთ იმით, რომ გაიკითხ-გამოიკითხეთ თქვენს ახლობლებს შორის (ისეთებს შორის, ვის გვერდითაც თავს კარგად გრძნობთ), თქვენსავით ვინ დარჩა ქალაქში (თუ ასეთი რამდენიმე იქნება – კიდევ უკეთესი) და შეადგინეთ ერთობლივი გრაფიკი, მაგალითად, რომელ დღეს სად გაატარებთ, არჩევანი კი არც ისე ცოტაა: კუს ტბა, ლისის ტბა, თბილისის ზღვა, საცურაო აუზი, გასეირნება ქალაქგარეთ, პიკნიკების მოწყობა ან, თუნდაც, თბილისის ახლომდებარე ისტორიული ძეგლების მონახულება. გვერწმუნეთ, ეს ძვირი სულაც არ დაგიჯდებათ: მცირეოდენი საგზალი და ტრანსპორტის ფული – სულ ეს არის. თუ თქვენს რომელიმე მეგობარს მანქანა ჰყავს, ეს კიდევ უფრო მეტ კომფორტს შეგიქმნით, მაგრამ, ფეხით სიარულის სიამოვნებას (თუ, რა თქმა უნდა, გიყვართ სეირნობა) ნამდვილად ვერ შეგიცვლით.

თავისთავად ცხადია, ყოველდღე ქალაქგარეთ ვერ ივლით – ეს, შეიძლება, შაბათ-კვირას უფრო მოახერხოთ, მაგრამ, დანარჩენი დღეების „შავი ხვრელები“ მარტივად შეგიძლიათ, ამოავსოთ დილის და საღამოს მოციონებით, აუზზე სიარულით, სპა-სალონში ვიზიტით, კოსმეტოლოგიური პროცედურების მეგობრებთან ერთად ჩატარებით – მოკლედ, თუ ფანტაზიას გასაქანს მისცემთ, უკეთეს რამეებსაც მოიფიქრებთ.

და, კიდევ: არ დაგავიწყდეთ, შეიმუშავოთ დღის რეჟიმი, რომლის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, დილით ადრე ადგომა და სუფთა ჰაერზე სეირნობა ან თუნდაც მსუბუქი ვარჯიში. მერე, თუ გინდათ, საღამომდე იძინეთ, ოღონდ ადრე ადგომა არ დაგეზაროთ – ქალაქში, მოგეხსენებათ, დილის ჰაერი გაცილებით უფრო გრილი და სუფთაა, ამიტომ, ნუ მოაკლებთ თქვენს ფილტვებს ჟანგბადს.

ამ ყველაფერთან ერთად, შეეცადეთ, მთელი შვებულების განმავლობაში მაქსიმალურად „დაიტვირთოთ“ დადებითი ემოციებით – ასეთი „მარაგის“ გაკეთება აუცილებლად ყველას სჭირდება, რადგან, დადებითი ენერგიებით „აღჭურვა“ ამშვიდებს ნერვულ სისტემას, აახალგაზრდავებს ორგანიზმს, დიდი ხნის განმავლობაში აუმჯობესებს ადამიანის გუნებაგანწყობას, ახალი ინფორმაციის ათვისების უნარს, მუშაობის ხარისხს და აწესრიგებს პირად თუ ოჯახურ ცხოვრებას. დადებითი ემოციების თუნდაც მცირე, პატარ-პატარა დოზებით მიღება კი უამრავი ხერხით შეგიძლიათ: თეატრებსა და კინოპრემიერებზე სიარულით, საინტერესო წიგნით, მეგობრებთან მხიარულებით, სასიამოვნო მუსიკის მოსმენით, ცეკვით – მოკლედ, არჩევანი დიდია, მთავარია, არ დაიზაროთ.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: ძალიან მინდა გახდომა, მაგრამ, ნებისყოფა არ მყოფნის, რომ ხანგრძლივი დიეტები დავიცვა (ხანმოკლე დიეტა არ მეყოფა, რადგან, საკმაოდ ბევრი კილოგრამი მაქვს დასაკლები). უკვე რამდენი წელია, რეკლამებში უამრავ გასახდომ საშუალებას გვთავაზობენ და ამბობენ, რომ მათი გამოყენება შიმშილობის გარეშეც შედეგიანია. თქვენ რომელს მირჩევთ?**

**პასუხი:** თუ თქვენ, როგორც ამბობთ, ძალიან ბევრი კილოგრამი გაქვთ დასაკლები, აუცილებლად უნდა მიმართოთ ენდოკრინოლოგსა და დიეტოლოგს, რომლებიც გამოიკვლევენ თქვენს მდგომარეობას და დაგინიშნავენ ინდივიდუალურ რეჟიმსა და დიეტას. რაც შეეხება გასახდომ საშუალებებს, ჩვენ რომელიმე კონკრეტული საშუალების რჩევა არ შეგვიძლია, რადგან, თითოეულ მათგანს ინდივიდუალურად „ირგებს“ ყოველი ადამიანი, თან, ყველას აუცილებლად ექნება ესა თუ ის უკუჩვენება (თუნდაც მცირე). ამიტომ, უმჯობესია, მიმართოთ, შეიძლება ითქვას, საუკუნეების გამოცდილების მქონე ხერხს: ჭამოთ მინიმალური რაოდენობით, ივარჯიშოთ დილა-საღამოს, ჩაიტაროთ წყლის პროცედურები, მენიუდან ამოიღოთ: ცომეული, ტკბილეული შემწვარი, ცხიმიანი, მწარე-ცხარე-მჟავე პროდუქტები და პური და აღიჭურვოთ ნებისყოფით, რადგან სასურველი შედეგის მისაღწევად ხანგრძლივი დრო დაგჭირდებათ.

**კითხვა: ალბათ, მსგავს კითხვაზე უკვე გაგიციათ პასუხი, მაგრამ, მაშინ ეს პრობლემა არ მაწუხებდა და, შესაბამისად, ყურადღებაც არ მიმიქცევია. ამიტომ, გთხოვთ რჩევას: ტერფების კანი ძალიან გამიუხეშდა და ქუსლებზე ნახეთქები გამიჩნდა, რაც, გარდა იმისა, რომ საშინლად გამოიყურება, მტკივა და სიარულშიც მიშლის ხელს. როგორ მოვიქცე?**

**პასუხი:** ყოველ საღამოს, 2-3 კვირის განმავლობაში, ჩაიტარეთ შემდეგი პროცედურები: თითო ჩაის კოვზი გამხმარი გვირილა, ჭინჭარი, ოროვანდი და მუხის ქერქი ჩაყარეთ თერმოსში, დაასხით 2 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, გააჩერეთ თადახურული 15-20 წუთის განმავლობაში და შემდეგ ეს მასა ჩაასხით ტაშტში, დაუმატეთ იმდენი წყალი, რომ ტერფები დაიფაროს (წყლის ტემპერატურა საშუალო უნდა იყოს). 15 წუთის შემდეგ შეიმშრალეთ და მაშინვე შეიზილეთ (განსაკუთრებით პრობლემურ ადგილებზე) 2-პროცენტიანი სალიცილის მალამო, შემოიხვიეთ ჯერ კომპრესის ქაღალდი, შემდეგ – დოლბანდი და გაიჩერეთ 1-1,5 საათის განმავლობაში. შემდეგ დოლბანდი და ქაღალდი მოიშორეთ, შეიზილეთ მკვებავი კრემი და ჩაიცვით თხელი წინდები.



სასურველია, ეს პროცედურა დაძინებამდე 1-2 საათით ადრე ჩაიტაროთ.

**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძემ**

# როგორ იძია შური ქართველმა კრიმინალმა, მეტსახელად „ცოფიანმა“, თავის მეუღლესა და ყოფილ „პაძელნიკზე“

– ამხანაგო მაიორო, ან თქვენი თავი არ გეცოდინებათ, ან ჩვენ? – ჰკითხა ლეიტენანტმა კოხრეიძემ ვახო ძაძამიას, – დავაპატიმროთ ორივე, ერთი-ორი წავარტყათ და ყველაფერს იტყვიან. ასე კი, შეიძლება, მთელი კვირა კუდზე ვასხდეთ და ვერაფერს მივაღწიოთ.

– ერთი ორი წავარტყათ, არა? – გაბრაზდა ძაძამია, – არ გაგიგონია, ბიჭო, „ნე პოიმან, ნე ვორ“. თუ ფაქტზე არ დავიჭირეთ, ქურდობას ხომ არ შევტენით? ვცემო რა, ჯალათი ხომ არ ვარ? პროფესიონალი მაშინ ხარ, როცა ქურდს ფაქტზე ამხელ და არა მაშინ, როცა აღიარებით ჩვენებას მუშტებით მოიპოვებ.

**სახლიდან სრულიად შიშველი გოგონა გამოვარდა, რომელსაც ყელი გამოჭრილი ჰქონდა. ის ძირს დაეცა და სული დალია**

ვახო ძაძამია – მილიციის სამმართველოს ავტომობილების გატაცების განყოფილების უფროსი ინსპექტორი და მისი ორი ხელქვეითი, უკვე ექვსი საათის განმავლობაში მისდევდნენ უკან კობა ბეგოევს და ჯაბა ოქრუაშვილს. ორივე პროფესიონალი მანქანის ქურდი იყო და მანქანებს ისე იპარავდნენ, მილიცია ფაქტზე ვერ იჭერდა. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა ძაძამიამ მათზე თვალთვალი. ის ვარაუდობდა, რომ ცნობილი ქურდები აუცილებლად მოიპარავდნენ მანქანას და ფაქტზე დაიჭერდა მათ.

ბეგოევი და ოქრუაშვილი ფეხით დადიოდნენ. მილიციელები კი მათ თეთრი „ჟიგულით“ დასდევდნენ. საბჭოს ქუჩაზე ნავთის წერტთან ახალთახალი, კრემისფერი „ჟიგული“ გაჩერდა. მისი პატრონი მანქანიდან გადავიდა და რკინის ბიდონით ხელში ნავთის სარდაფის კიბეებზე დაეშვა. მანქანის ქურდებმა, რომლებიც შორიახლო იდგნენ, დრო იხელთეს, ახალთახალ „ჟიგულში“ ჩასხდნენ და გაიტაცეს.

– აი, ახლა კი ფაქტზე დავიჭერთ, – თქვა ძაძამიამ და გატაცებულ „ჟიგულს“ დაედევნა. ამ დროს კი სარდაფიდან სავსე ბიდონით ხელში გატაცებული მანქანის პატრონი ამოვიდა. როცა თავის გატაცებულ მანქანას მოჰკრა თვალი, შეჩერდა, შემდეგ მალულად მიმოიხედა და ჩუმად გაიძურწა. ნავთით სავსე ბიდონი კი იქვე დატოვა.

ძაძამია და მისი ხელქვეითები, თავდაპირველად, შეუმჩნევლად მისდევდნენ ქურდებს. მათ დაპატიმრებას მას შემდეგ გეგმავდნენ, როდესაც გამტაცებლები მანქანას დანიშნულების ადგილამდე მიიყვანდნენ. თუმცა გამოცდილმა ქურდებმა მდევარი მალაკნების ბაზართან შეამჩნიეს და გაქცევა სცადეს. მაიორი მათ უკან დაედევნა მაგრამ, ქურდები ოსტატურად დაუსხლტდნენ ხელიდან. მათი დაკავება მხოლოდ ნახალოვკაში, კინოთეატრ „საქართველოსთან“ მოხერხდა. დიდი სისწრაფით მიმავალმა ქურდებმა საჭე ვერ დაიმორჩილეს, მოპარული მანქანა განათების ბოძს დაააჯახეს და დეფორმირებულ მანქანაში გაიჭედნენ.

– აბა, გადმობრძანდით! – უბრძანა მაიორმა ქურდებს და ჯერ მანქანის კარი გააღო, შემდეგ ორივე გარეთ გადმოათრია და ხელბორკილები დაადო.

– ამხანაგო მაიორო, ჩქარა მოდით აქ! – ღრიალებდა ლეიტენანტი კოხრეიძე, რომელიც ნაავარიევი „ჟიგულის“ ახდილ საბარგულთან იდგა.

ძაძამიამ საბარგულთან მიირბინა, შიგ ჩაიხედა და წამოიძახა:

– ბიჭოს, აქ უფრო დიდ დანაშაულთან გვაქვს საქმე.

მანქანის საბარგულში ადამიანის სხეულის ნაწილები ელაგა და იქაურობა სისხლით იყო მოსვრილი...

## მანანა

ლოტკინელი ბეგოევისა და ოქრუაშვილის მიერ საბჭოს ქუჩიდან გატაცებული „ჟიგული“, რომელშიც დანაწევრებული ცხედარი იპოვეს, ვინმე ჟირონ ხაჭაპურიძეს ეკუთვნოდა. ის საბურთალოზე ცხოვრობდა და „გეპეიში“ მუშაობდა ელექტრიკოსად.

განზრახ მკვლელობის საქმე მილიციის სამმართველოში აღიძრა და მას მაიორი ვასიკო კეკელია იძიებდა. თავდაპირველად, მან ვახო ძაძამია და მისი ორი ხელქვეითი, ასევე ნავთის სარდაფის გამყიდველი დაკითხა, რომლებმაც „ჟიგულის“ მძღოლი დაინახეს. მილიციელებს მისი აღწერა გაუჭირდათ და ძაძამიამ კეკელიას უთხრა:

– აბა, რა ვიცოდი, რაში იყო საქმე, თორემ შევხედავდი კი არა და, სულაც დავაპატიმრებდი. მე და ჩემი ბიჭები ლოტკინელებს ვუთვალთვალებდით და სიმართლე გითხრა, საერთოდ არ შემიხედავს მისთვის.

იგივე თქვეს ძაძამიას ხელქვეითებმაც.

შედარებით უკეთ აღწერა „ჟიგულის“ მძღოლი ნავთის გამყიდველმა სირო მარგიევმა.



– უფროსო, ის არც გამხდარია და არც მსუქანი, სამი მანეთი მომცა, ბიდონი ნავთით ავუვსე და წავიდა, – თქვა სირომ.

– სხვა ვერაფერი შეამჩნიე? – ჰკითხა მარგიევს კეკელიამ.

– ჩემს პადვალში თითქმის ბნელა და არც ხალხს ვაკვირდები. თუმცა, მე მგონი, იმ კაცს მარცხენა ლოყაზე შრამი ჰქონდა.

– რამდენი წლის იქნებოდა?

– ორმოცამდე.

– კეკელია გამოემშვიდობა ნავთის გამყიდველს და უკვე ჟირონ ხაჭაპურიძეს ეწვია, რომელიც ავად იყო.

როდესაც ვასიკო კეკელიას და მის კოლეგებს ხაჭაპურიძის ბინის კარი გაუღეს, მაიორს ზღურბლზე მდგომი ქალი ეცნო.

– ჩვენ მილიციის სამმართველოდან ვართ. ჟირონ ხაჭაპურიძე აქ ცხოვრობს? – ჰკითხა ვასიკომ ქალს.

– დიახ, დიახ, – თქვა ქალმა, – მობრძანდით, ჟირონი ავადაა და ლოგინში წევს. მესამე დღეა ლოგინიდან არ ამდგარა. რაშია საქმე, მოხდა რამე?

„ნეტავ, საიდან მეცნობა ეს ქალი?“ – გაიფიქრა კეკელიამ და ქალს უხმოდ გაჰყვა ავადმყოფის ოთახისკენ.

– აი, აქ შებრძანდით, – თქვა ქალმა და მილიციელები წინ გაატარა, თავად კი კარი მიიხურა და გავიდა.

– ჩვენ თქვენი „ჟიგულის“ ადგილსამყოფელი გვაინტერესებს. სადაა ის ახლა? – ჰკითხა კეკელიამ ხაჭაპურიძეს.

– გარაჟში. რა მოხდა, რაშია საქმე? – თქვა ჟირონმა.

– შეგიძლიათ, გვიჩვენოთ? – უთხრა კეკელიამ.

– რა თქმა უნდა. მანანა, მოდი აქ.

– მანანა ვინაა? – იკითხა კეკელიამ.

– ჩემი მეუღლეა. ის ქალი, ვინც აქ შემოგიყვანათ, – თქვა ჟირონმა და ამასობაში მანანაც გამოჩნდა.

– ეს ხომ ის მანანაა, – გუნებაში გაეცინა კეკელიას, – შეხედე ამ ტრასის ბოზს, რა თბილად მოწყობილა აქ და ოჯახის ქალივით იქცევა. როგორც ეტყობა, იმანაც მიცნო, მაგრამ არ იმჩნევს.

– რა იყო, ძვირფასო? – ჰკითხა ჟირონს მანანამ.

– საყვარელო, ამხანაგ მილიციელს ჩვენი მანქანა აინტერესებს. აიღე გარაჟის გასაღები და აჩვენე, – უთხრა ჟირონმა ცოლს.

მანანამ მილიციელები ეზოში ჩაიყვანა, გარაჟის კარი გააღო, მაგრამ „ჟიგული“ იქ არ აღმოჩნდა.

– მანქანა რა იქნა? – წამოწითლდა ქალი.

– სწორედ ეს უნდა გავარკვიოთ, ქალბატონო, – თქვა კეკელიამ და ისევ ბინაში ავიდა. გარაჟში კი კრიმინალისტები დატოვა, რომლებიც იქაურობას გულდასმით იკვლევდნენ.

როგორც ჟირონ ხაჭაპურიძესთან საუბარში გაირკვა, მას, თურმე, უკვე სამი დღე, კუჭის მწვავე აშლილობა სტანჯავდა და იმდენად დასუსტებული იყო, ფეხზე წამოდგომაც კი უჭირდა.

– მოულოდნელად გავხდი ავად და სამი დღეა, წყლად გავდივარ, – უთხრა ჟირონმა კეკელიას, – რაც შეეხება მანქანას, წარმოდგენა არ მაქვს, ვის უნდა მოეპარა.

– ხომ არავისთვის გითხოვებიათ თქვენ, ან თქვენს მეუღლეს?

– არა, ამხანაგო მაიორო. აი, ორივე გასაღები. სათადარიგოც აქაა. მანანა კი საერთოდ არ ეკარება მანქანას. საერთოდ, ჩემს უკითხავად ნაბიჯსაც არ დგამს.

„გეგონოს, გეგონოს, შე რქიანო,“ – გაიფიქრა კეკელიამ, – „გეტყობა, წარმოდგენაც არ გაქვს, რა ქუჩის ქალი გიზის სახლში და გგონია, შენი ცოლი ფრთიანი ანგელოზია“.

ამასობაში კრიმინალისტებმა მაიორს მოახსენეს, რომ გარაჟის კარი ყოველგვარი ძალადობის გარეშე, გასაღებით იყო გაღებული. ეს კი იმაზე მიუთითებდა, რომ გამღებს გასაღები ჰქონდა.

– ამხანაგო ჟირონ! – თქვა კეკელიამ, – თქვენი მანქანაც გასაღებით იყო დაქოქილი და, როგორც ეტყობა, ბოროტმოქმედმა მისი დუბ-

ლიკატი გააკეთებინა. ასეთი რამ კი, თქვენივე სიტყვიდან გამომდინარე, ან თქვენ უნდა გაგეკეთებინათ, ან თქვენს მეუღლეს. ამიტომ, შინაპატიმრობაში უნდა აგიყვანოთ, რადგან ავად ხართ, თქვენს მეუღლეს კი სამმართველოში წავიყვანთ.

კეკელიამ ხაჭაპურიძის სახლში ორი ოპერი დატოვა, მისი მეუღლე – მანანა ნიშნიანიძე კი მილიციის სამმართველოში წაიყვანა.

– მანან, ვერ მიცანი? – ჰკითხა კეკელიამ დაკავებულ ქალს.

– დანახვისთანავე გიცანი. მოკლედ, შენ და შენი ძმაკაცები თავიდან ვერ მოგიცილეთ, – მიუგო კეკელიას ქალმა.

– წესიერად იცხოვრე და მოგცილდებით.

– ახლა უკვე გვიანაა, – თავი გააქნია მანანამ და გააბოლა.

– შეავსე ოქმი.

მანანამ გულწრფელად აღიარა, რომ მან თავისი მეულლის ავტომობილი ოთხჯერ ნასამართლევ ჯიმი ყაჭეიშვილს გაატანა.

– ჟირონს რომ არაფერი გაეგო, საჭმელში პურგენს ვუყრიდი და ამის გამო კუჭი აეშალა. ეს დღეები საწოლიდან არ ამდგარა, – თქვა ქალმა.

## ხის ჭერზე შუაში გაპობილი „ჯოკერა“ ეკიდა და ტელევიზორზე მისი მოკვეთილი თავი იდო

– ყაჭეიშვილი, იგივე „ცოფიანი“ ორი კვირის წინ ციმბირის ზონიდან გაიქცა და ორი დარაჯი მოკლა. შემდეგ თბილისში ჩამოვიდა და ასეთი სადისტური მკვლელობა ჩაიდინა. იმ გოგოს რაღას ერჩოდა?

– ის გოგო მისი ცოლი იყო და „ცოფიანი“ რომ ბოლო სროკზე გაუშვეს, გაბოზდა. „ცოფიანმა“ ეს ზონაში შეიტყო, შემდეგ გამოიქცა, ცოლი დაბრიდა და ახლა „ჯოკერას“ ეძებს, – თქვა მანანამ.

კეკელიამ მანანას ოქმზე მოაწერინა ხელი და შინ გაუშვა, თავის ხელქვეითებს კი „ცოფიანზე“ ნადირობა დაავალა.

### „ცოფიანი“

მანანა ნიშნიანიძის თქმით, „ცოფიანი“ სერგო ახალაიას, ანუ „ჯოკერას“ იმიტომ ეძებდა, რომ სწორედ „ჯოკერა“ იყო „ცოფიანის“ ცოლის საყვარელი. ადრე „ჯოკერა“ და „ცოფიანი“ ძმაკაცები იყვნენ და ერთად ყაჩაღობდნენ. მას შემდეგ, რაც „ცოფიანი“ დაიჭირეს და გაასამართლეს, ხოლო „ჯოკერა“ კი „ცოფიანის“ წყალობით გადაურჩა ციხეს, მადლობის მაგივრად, მან „ცოფიანის“ ცოლთან დაიჭირა საქმე.

კეკელიას ხელქვეითები „ჯოკერასაც“ ეძებდნაენ და „ცოფიანსაც“, მაგრამ მათ კვალს ვერ მიაგნეს.

– ამხანაგო მაიორო. მთელი აგენტურული ქსელი ფეხზე დავაყენეთ, მაგრამ არც ერთის ადგილსამყოფელი არავინ იცის, – მოახსენა კეკელიას თავისმა ერთ-ერთმა ხელქვეითმა.

– ორივე ძველი „ბიტია“, – გაეცინა კეკელიას, – „ჯოკერამ“ „ცოფიანის“ ამბავი გაიგო და ფსკერზე დაწვა, მაგრამ ყაჭეიშვილი მანამ არ მოისვენებს, სანამ ახალაიას ოთხში არ ამოიღებს. ამიტომ, ჩვენ მასზე ადრე უნდა ვიპოვოთ „ჯოკერა“.

– ახალაიას, რომ ჭკუა ჰქონდეს, ჩაგვბარდებოდა. ამით ის „ცოფიანის“ რისხვას აიცილებდა.

– ციხეში არანაკლებს უზამენ და იქ რომ აღმოჩნდეს, გააპედარასტებენ.

– აბა, როდემდე უნდა გვემალოს ყველას?

– „ჯოკერას“ იმედი აქვს, რომ „ცოფიანს“ დავიჭერთ ან მოვკლავთ. თვითონ კი დანაშაულში არაა მხილებული და ვერაფერში შევედავებით. რომ ჩაგვბარდეს, რამე დანაშაული უნდა აღიაროს და არ აწყობს ეს. ასე რომ, ახალაია ორ ცეცხლს შუაა და ერთადერთი გზა ის აქვს, საქართველოდან გაიქცეს, – თქვა კეკელიამ, – ამიტომ მისი საქართველოს გარეთ კავშირები უნდა დავადგინოთ და რამეს აუცილებლად მივაგნებთ.

„ჯოკერას“ კავშირებზე მუშაობა ლეიტენანტ კოკაიას დაევალა. ის ახალაიას ძველ საქმეებს ჩაუჯდა. როგორც კეკელია ვარაუდობდა, „ჯოკერას“ რუსეთში რამდენიმე საეჭვო კავშირი აღმოაჩნდა.

– ამხანაგო მაიორო, – მოახსენა კოკაიამ კეკელიას, – სავარაუდოდ, „ჯოკერა“ კრასნოდარის მხარეში, სტანიცა ოქტიაბრსკაიაში მცხოვრებ ვიქტორ შაშკინთან შეიძლება იმყოფებოდეს.

– რატომ მაინცდამაინც შაშკინთან?

– იმიტომ, ამხანაგო მაიორო, რომ ვიქტორ შაშკინი ახალაიას ძველი პაძელნიკია, ისევე, როგორც „ცოფიანი“ იყო ადრე. ახლა შაშკინი ციხეში ზის, ხოლო სახლში ახალგაზრდა მეუღლე ჰყავს. ეს ყველაფერი მე ჩვენმა კრასნოდარელმა კოლეგებმა შემატყობინეს. ამიტომ, მგონია, რომ „ჯოკერა“ სწორედ იქ შეიძლება, იყოს. მით უმეტეს, ჩვენმა აგენტებმა მითხრეს, რომ სანამ „ცოფიანი“ ციხიდან გამოიქცეოდა, „ჯოკერა“ სამჯერ იყო კრასნოდარში, – თქვა კოკაიამ.

– საფუძველს მოკლებული არაა შენი ვარაუდი, – მიუგო კეკელიამ და ოპერჯგუფთან ერთად იმავე საღამოს კრასნოდარში გადაფრინდა. ის კრასნოდარელ ოპერმუშაკებთან ერთად ოქტიაბრსკაიაში ჩავიდა.

გეგმის მიხედვით, მილიციელებს ალყაში უნდა მოექციათ შაშკინის სახლი. ერთ-ერთ მილიციელს კი, გაზის შემოწმების საბაბით, ეზო უნდა დაეზვერა. თუმცა, ეს აღარ დაჭირვებიათ, რადგან სახლიდან სრულიად შიშველი, ახალგაზრდა გოგონა გამოვარდა, რომელიც საზარლად კიოდა. მას ყელიდან სისხლი მოსდიოდა, ხუთიოდე მეტრი ირბინა, შემდეგ დაეცა და სული დალია.

– ეს ოლგა შაშკინაა, ვიქტორის ცოლი, – თქვა ოქტიაბრსკელმა უბნის ინსპექტორმა, რომელიც პირველი გამოვარდა საფარიდან და სისხლში ამოსვრილ ქალთან მიიჭრა.

საფარიდან ქართველი მილიციელებიც გამოვიდნენ და პირდაპირ სახლში შეცვივდნენ.

შუა ოთახში შუაზე გაპობილი, სისხლში ამოსვრილი შიშველი „ჯოკერა“ ეკიდა ხის ჭერზე, მისი მოკვეთილი თავი კი ტელევიზორზე იდო. იქვე იჯდა „ცოფიანი“ და პაპიროსს აბოლებდა. მილიციელების დანახვაზე მას არანაირი რეაქცია არ ჰქონია, მხოლოდ კეკელიას უთხრა:

– ჩემი მისია შევასრულე. შეგიძლიათ დამაპატიმროთ. ორმოცი წლის ვარ და სიცოცხლე ძალიან მომბეზრდა...

ჯიმი ყაჭეიშვილი, იგივე „ცოფიანი“, ხუთი ადამიანის მკვლელობისთვის დახვრიტეს...

**ნიკა ლაშაური**

## რა მოხდა ამ დღეს

### 12 აგვისტო

1121 – დიდგორის ბრძოლა – ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვება თურქ-სელჩუკებზე.

1851 – ამერიკელმა ისააკ მარიეტ ზინგერმა დააპატენტა საკერავი მანქანა.

1865 – ამერიკელმა ქირურგმა ჯოზეფ ლისტერმა პირველად გამოიყენა დეზინფექცია ოპერაციისას – ამან სიკვდილიანობა 4-ჯერ შეამცირა.

1953 – ენი დევისონი გახდა პირველი ქალი, ვინც მარტომ იახტით გადაცურა ატლანტის ოკეანე.

1981 – კომპანია „აი ბი ემმა“ წარმოადგინა პირველი პერსონალური კომპიუტერი.

### 13 აგვისტო

1521 – ესპანელმა კონკისტადორმა ერნან კორტესმა აიღო აცტეკთა დედაქალაქი ტენოჩტიტლანი (დღევანდელი მეხიკო).

1624 – საფრანგეთის კარდინალი არმან რიშელიე დიუ-პლესი გახდა ქვეყნის პირველი მინისტრი.

1942 – ნიუ-იორკში შედგა პრემიერა უოლტ დისნეის მულტფილმისა „ბემბი“.

### 14 აგვისტო

1385 – კრევის უნიით პოლონეთი და ლიტვის დიდი სამთავრო ერთ სახელმწიფოდ გაერთიანდა.

1893 – საფრანგეთში პირველად მსოფლიოში შემოიღეს ავტომობილის მართვის მოწმობის გაცემა.

1992 – დაიწყო „აფხაზეთის ომი“.

### 15 აგვისტო

1519 – მეთევზეების ინდიელთა სოფლის ადგილას დაარსდა ქალაქი პანამა, რაც „ბევრ თევზს“ ნიშნავს.

1534 – ეგნატე ლაიოლამ პარიზში დააარსა იეზუიტთა ორდენი.

1848 – სირაკუზელმა უოლდო ხენჩეტმა დააპატენტა სავარძელი კბილის ექიმის პაციენტთათვის.

1914 – ოფიციალურად გაიხსნა პანამის არხი.

### 16 აგვისტო

1906 – მიწისძვრა ჩილეში, რომელმაც ქალაქი ვალპარაისო ნაწილებად დაყო. დაიღუპა 1 500 ადამიანი.

1941 – საბჭოთა კავშირში გამოიცა ბრძანება №270, რომლის მიხედვითაც სამშობლოს მოღალატედ ცხადდებოდა ყველა ტყვედ ჩაბარებული ჯარისკაცი.

1960 – კვიპროსი გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო.

### 17 აგვისტო

1807 – რობერტ ფულტონმა ნიუ-იორკში წარმოადგინა პირველი ორთქლმავალი.

1945 – გამოცხადდა ინდონეზიის რესპუბლიკა.

1999 – ძლიერი მიწისძვრა თურქეთში. დაიღუპა 35 000 ადამიანი.

### 18 აგვისტო

1786 – დაარსდა ისლანდიის დედაქალაქი რეიკიავიკი.

1859 – ფრანგი ჟან ბლონდენი ბაგირით გადავიდა ნიაგარის ჩანჩქერზე, მას ზურგზე მეორე აკრობატი ედგა.

1900 – ფრანცუზ პერსკიმ ლათინურ-ბერძნული სიტყვების შეერთებით შექმნა ახალი სიტყვა ტელევიზორი.

1931 – იაპონიამ დაიწყო ომი ჩინეთის წინააღმდეგ.

1962 – რინგო სტარი პირველად გამოვიდა „ბითლზის“ შემადგენლობაში, როგორც დასარტყამ ინსტრუმენტებზე დამკვრელი.

1977 – მემფისში დაკრძალეს ელვის პრესლი. ცხედარს 75 ათასი თაყვანისმცემელი მიაცილებდა.



**რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მევლუდ მელაძე**

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს

**კითხვა: რა განსხვავებაა ერთი და იმავე მოდელის ავტომობილებს შორის, რატომაა ისინი ასე მსგავსი და თან, ასე განსხვავებული? ხშირად, ავტომობილი მომწონებია, მივლია კიდეც მსგავსი მოდელით და მიფიქრია, ჩემთვისაა შექმნილი-მეთქი. მაგრამ, სხვა იგივე მოდელის ავტომობილში თავი ძალიან არაკომფორტულად მიგრძნია. რა არის ამის მიზეზი?**

**პასუხი:** ხშირ შემთხვევაში ამა თუ იმ მოდელს მხოლოდ იმიტომ ყიდულობენ, რომ მეგობრებს ჰყავთ და მოსწონთ. მოსინჯულიც ჰყავდათ და ისეთივეს ელოდნენ. ავტომობილები, თუნდაც ერთი და იმავე მოდელის, სხვადასხვა კომპლექტაციითაა აღჭურვილი მომხმარებლის მოთხოვნისა და იმ პირობების გათვალისწინებით, სადაც ავტომობილმა უნდა იაროს. ჯერჯერობით, სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ძალიან ცოტაა ისეთი ადამიანი, ახალი ავტომობილის შეძენისას კომფორტის, სალონის დიზაინისა და სხვა მსგავსი დეტალების გარდა, სავალი ნაწილის საკუთარ თავზე, ანუ მძღოლზე მორგებას რომ მოითხოვს. მით უმეტეს, მეორად ავტომობილებში. გარდა იმისა, რომ თავდაპირველად ის იმ ქვეყანასა და პირობებზე იყო მორგებული, სადაც გაიყიდა, ყიდვის მერეც შესაძლოა, მოხდა გარკვეული ჩარევა, როგორიცაა, უმარტივესი დეტალების შეცვლა, ავტომობილის ტუნინგი და სხვა. ავტომობილის სიუხეშეს, სირბილესა და მანევრს მისი სავალი ნაწილის კომპლექტაცია იწვევს, ხოლო სიმძლავრეს მისი ძრავის და ელექტრონული სისტემის კომპლექტაცია განსაზღვრავს. როცა ავტომობილის ყიდვას გადაწყვეტთ, კარგი იქნება, წინასწარ, თეორიულად გაეცნოთ იმ ინფორმაციას, თუ მწარმოებელი ამ მოდელის რა და რა ვარიანტს გთავაზობთ. მაგალითისთვის, ავიღოთ ყველასთვის ნაცნობი „ე კლასის", იგივე მრგვალფარებიანი „მერსედესი". ვიზუალურად, მისი სხვადასხვა მოდელი ჩვეულებრივი მომხმარებლისთვის ძნელად გასარჩევია ერთმანეთისგან, იმდენად მიზერულია განსხვავება. არადა, ამ მოდელის თუნდაც ერთი ვარიანტი შეიცავს ბევრ ქვევარიანტს, როგორიცაა მაგალითად, ამორტიზატორების სირბილისა და სიუხეშის კოეფიციენტი. ვარიანტების ცვლასთან ერთად, იცვლება როგორც ძრავას სიმძლავრე, ასევე მანევრირებადობა და რა თქმა უნდა, კომფორტის დეტალები სალონში. ამ ტიპის ავტომობილი, როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს, შეიძლება, ას კილომეტრზე ხუთ-ექვს ლიტრ საწვავს მოიხმარდეს (სწორედ ასეთ მოდელებს იყენებენ ტაქსებად გერმანიაში) და შეიძლება, ოცი ლიტრიც კი დასჭირდეს (AMG-ის ტუნინგით შესრულებული მოდელები).

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
>
> **მიხაილ შუმახერი**

**კითხვა: მყავს „მიცუბიში პაჯერო", 3.5 ძრავით, 1999 წლის. გამიფუჭდა კატალიზატორის ტემპერატურის სენსორი და ავტომობილმა მოუმატა ბენზინის წვას. სად ვიშოვო ეს ნაწილი და როგორ მოვიქცე?**

**პასუხი:** ამ ნაწილის შოვნა სამ ადგილას შეიძლება – ქუთაისის ქუჩაზე მაღაზიებში, სადაც გამართლებაზეა კარგი ხარისხის ნაწილის შოვნა, მეორე – „მიცუბიშის" ცენტრში, სადაც კარგი ხარისხისას იყიდით, მაგრამ შედარებით ძვირი დაგიჯდებათ და მესამე – დაშლილებში, სადაც ასევე გამართლებაზეა, იქნება თუ არა საერთოდ ეს ნაწილი და თუ იქნება, ივარგებს თუ არა. სენსორის გამოცვლა მარტივია და ეს ბევრ ხელოსანს შეუძლია, მაგრამ უმჯობესია, ისეთ ადგილას შეცვალოთ, სადაც ახლოსვე იქნება კომპიუტერული დიაგნოსტიკა, რომ შემდეგ მისი მუშაობა გადაამოწმოთ.

**კითხვა: მაინტერესებს „ნისან X ტრიალი", 2.2 დიზელის ძრავით. როგორი ზოგადი მონაცემები აქვს ამ ავტომობილს, რას მეტყვით ძრავთან დაკავშირებით და ზოგადად, როგორია ჩვენს პირობებში?**

**პასუხი:** „ნისანის" ეს მოდელი საკმაოდ მორგებულია ჩვენს პირობებს, არ საჭიროებს ხშირ სერვისს, თავისი კლასის სხვა მოდელებთან შედარებით კარგი მანევრი აქვს. რაც შეეხება ძრავას, ამ ტიპის ძრავიანი ეს მოდელები ძალიან პოპულარულია და ყველაზე გაყიდვადია ინგლისში, სადაც მომხმარებელი ჩვენზე გაცილებით მომთხოვნია – მანქანის მიმართ მეტი პრეტენზია აქვს. ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ ეგრეთ წოდებული „გამომდგარი" ძრავაა.

**კითხვა: მყავს „აუდი", 2003 წლის, 3.0 ძრავით, მექანიკა, კვადრო. შეიძლება თუ არა ამ ავტომობილზე კომპრესორის დამონტაჟება? მოუმატებს თუ არა ეს საწვავის წვას და საერთოდ, რა დაჯდება ამის გაკეთება?**

**პასუხი:** შეუძლებელი არაფერია. მაგრამ, კომპრესორის დამონტაჟება კონკრეტულ მოდელზე საკმაოდ რთულია საქართველოში. გარდა იმისა, რომ ბევრი წვრილმანი დეტალია საჭირო, როგორიცაა: სამაგრები, გადამყვანები და სხვა, შემდგომში მას უკვე კომპიუტერული ჩარევა დასჭირდება. ამისთვის კი საჭიროა სპეციალური კომპიუტერი, რომლითაც თქვენს კომპიუტერს ჩაანაცვლებთ, ან როგორც მინიმუმ, ჩიპი, რომელიც წინასწარ არის მომზადებული ამ ტიპის ინსტალაციისთვის. ეს რომ იყოს ისეთი მოდელი, რომელიც კომპრესორით ქარხნულად არის აღჭურვილი და დაშლილებში იოლად მოიძებნება, პირდაპირ აიღებდით ყველა საჭირო დეტალს, კომპიუტერის ჩათვლით და დაამონტაჟებდით. „აუდის" შემთხვევაში, საქმე გაცილებით რთულადაა. პირველი – გაგიჭირდებათ ადამიანის პოვნა, ვინც ამ საქმეს ხელს მოჰკიდებს და თუ იკისრა მისი შესრულება, დროშიც გაიწელება და ძალიან ძვირიც დაჯდება. თუ ყველაფერმა კარგად ჩაიარა, რა თქმა უნდა, გაიზრდება საწვავის ხარჯი. ამას მარტივი ახსნა აქვს – დამატებითი ჰაერი, რომელიც კომპრესორმა ჩატუმბა, საჭიროებს დამატებით საწვავს მის ფეთქებად მასად გადაქცევისთვის. იმდენად ძვირია, რომ უმჯობესია, ავტომობილი შეცვალოთ და ის მოდელი შეიძინოთ, რომელსაც სასურველი სიმძლავრე აქვს.

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**

**ჟურნალი „თბილისელები" გირჩევთ:**

** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*

** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*

** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*

** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*

*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*




## თანამედროვე ანტიჰისტამინური პრეპარატი

- ✓ ლორდესტინი სწრაფად და ეფექტურად ხსნის ალერგიული რინიტისა და ჭინჭრის ციების სიმპტომებს (ცემინება, "ცხვირის დაცობა", ხველება, თვალების ქავილი, ცრემლდენა, კანზე გამონაყარი და ქავილი);
- ✓ ლორდესტინს აქვს სწრაფი ეფექტი-მიღებიდან 30 წთ-ში, რომელიც გრძელდება 24სთ-ის განმავლობაში;
- ✓ ლორდესტინი მიიღება 12 წლის ასაკიდან 1 ტაბლეტი დღეში ერთხელ კვებისგან დამოუკიდებლად;
- ✓ ლორდესტინი არ იწვევს ძილიანობასა და მოდუნებას (არ ახდენს გავლენას ავტოტრანსპორტის მართვის უნარზე);
- ✓ ლორდესტინის მიღება შესაძლებელია სხვა მედიკამენტებთან ერთად და არ ურთიერთქმედებს ალკოჰოლთან.

*გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას. გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს*

ღსს „გედეონ რიხტერი“
წარმომადგენლობა საქართველოში
თბილისი, კანდელაკის №8. ტელ./ფაქსი: 2377-100; 2371-100

- იტალიელი მსახიობი ანა...
- კარიერისტი / (......) ბელუჩი
- „ფოლქსვაგენის“ მარკა
- ნადეჟდა მოკლედ
- პატარა ირაკლი
- ბოლშევიკების კრეისერი
- პატარა სასტამბო შრიფტი
- ხატოვანი გამოთქმა
- მესამე პირები / საბერძნ. მხარე
- ბრიჯიტ ბარდოს კინოროლი
- ევროპის ქვეყანა
- რაჭველების მეგაპოლისი / გერმანელი ფილოსოფოსი
- (......) დელონი
- ნორვეგიული უბე / არაბი ჭაბუკი
- დიმიტრი მოკლედ
- სხვის შრომას აფასებს
- სარაჯიშვილი
- ნელი სიარული
- სკანდინავიური ლეგენდა
- “სამი ბლენძის“ ავტორი
- ქართული გაზეთი
- ჯავახიშვილის მეჩეჩმე
- ბასილაშვილი
- ზოგი კლდე ასეთია
- კორეის დედაქალაქი



- ვულკანიდან იფრქვევა
- თოფის სახეობა
- პარკოსანი მცენარე
- ამბის მომტანი
- ხორციანი სადილი
- ვალის წინდი
- ნათესი
- თავს ესხმის
- იაპონელი მწერალი
- მდიდარი ადამიანი
- ტატნობი / გარდაბნის სოფელი
- აკრძალვის პერიოდი
- პატარა მწვანე ბაყაყი / ნეკნი
- ისრის ნევერი
- ინტერნეტის „ტიტული“
- ქადრაკის ჩიხი
- ფინეთის ქალაქი
- ერთ-ერთი ზაქარიაძე
- სამხრეთ ამერიკის მდინარე
- ესკორტი
- ზოგჯერ სხეულს ადგება
- ესტონეთის დედაქალაქი
- ჯართის ხმა
- პატარა ივანე
- გადასახდელი
- დიდი ვივიენი
- ნორვეგიელი კომპოზიტორი
- გამზადებული ფორმა
- საპრიზო თამაში
- რუსი თავადი
- თელავის სოფელი
- წყალკურთხევა
- ანტილოპა
- უზრდელი ანუ (....) ხედი
- (........) ზღვაური
- არის ასეთი ქვალი
- ჩვენი მინერალური წყალი
- უგანდის დიქტატორი იდი.......
- იტალიელი ფეხბურთელი
- მთლად
- დიდი აკაკი
- ვეზირის კოლეგა
- ილიას ყაჩაღი
- ციტრუსი
- ვაიკულე
- არბიტრი
- ქვ.ქართველი ეკატერინე
- ფიროსმანი
- კომპოზიტორი .....მორიკონე
- ვოკალური ხელოვნების სახესხვაობა
- ინგლისელი პოეტი-რომანტიკოსი
- ხელმისაწვდომი ანუ როგორი?
- პერანგი
- აზიის ქვეყანა
- თანხმობა / ოთხი ნარდში

Column clues (top to bottom):

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 | 31 | 32 | 33 | 34 | 35 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | | | | | | | |
| | | | | | | 1 | | | 1 | 1 | 2 | | 1 | 2 | 1 | | | | | 1 | 1 | | 2 | 1 | 1 | 2 | 5 | 3 | | | | | | |
| | | | | | | 2 | 3 | 5 | 5 | 5 | 3 | 1 | 2 | 1 | 1 | 3 | 1 | 1 | 3 | 1 | 2 | 1 | 1 | 3 | 5 | 5 | 1 | 2 | | | | | | |
| | | | | | 1 | 9 | 1 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 5 | 8 | | | | | | |
| | 2 | 1 | 1 | 1 | 15 | 2 | 4 | 1 | 5 | 7 | 10 | 2 | 10 | 8 | 6 | 4 | 1 | 4 | 6 | 8 | 10 | 2 | 11 | 8 | 5 | 1 | 2 | 2 | 14 | 1 | 1 | 1 | 2 | |
| 28 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 1 | 1 | 1 | 14 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 14 | 1 | 1 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 28 |

Row clues:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 6 | 3 | 2 | 4 |
| | | 2 | 4 | 4 | 2 |
| | | 1 | 3 | 5 | 1 |
| | | | 1 | 4 | 1 |
| 1 | 3 | 4 | 3 | 3 | 1 |
| | | 1 | 7 | 8 | 1 |
| | | 1 | 5 | 5 | 1 |
| | | 1 | 5 | 5 | 1 |
| | | 1 | 3 | 3 | 1 |
| | | | 1 | 11 | 1 |
| | | 1 | 5 | 5 | 1 |
| | | 1 | 3 | 3 | 1 |
| | | 1 | 2 | 2 | 1 |
| | | 1 | 1 | 1 | 1 |
| | | 1 | 2 | 3 | 1 |
| | | 1 | 5 | 5 | 1 |
| 1 | 3 | 4 | 4 | 3 | 1 |
| | 1 | 3 | 17 | 3 | 1 |
| 1 | 3 | 8 | 8 | 3 | 1 |
| 1 | 2 | 8 | 8 | 2 | 1 |
| 1 | 2 | 7 | 7 | 2 | 1 |
| 1 | 2 | 6 | 6 | 2 | 1 |
| 1 | 2 | 6 | 6 | 1 | 1 |
| 1 | 1 | 4 | 5 | 1 | 1 |
| 1 | 1 | 4 | 4 | 1 | 1 |
| 1 | 1 | 3 | 3 | 2 | 1 |
| 1 | 2 | 2 | 3 | 2 | 1 |
| 1 | 3 | 1 | 1 | 3 | 1 |
| | | 2 | 5 | 4 | 2 |
| | | | 6 | 11 | 7 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | | 1 | | 6 | | 4 | | 9 |
| 6 | 2 | 5 | | 3 | | | | 1 |
| | | 9 | 5 | | | 6 | 3 | |
| 3 | 1 | | 7 | | 5 | | | 4 |
| | 9 | | 6 | | 3 | 2 | 8 | 5 |
| 2 | | 6 | 4 | 8 | | 7 | 1 | |
| | 7 | | 3 | 5 | | 1 | | 8 |
| 5 | | 2 | 1 | | | 3 | | 6 |
| 1 | 6 | 3 | | 9 | 2 | 5 | 4 | 7 |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | | | 8 | | | 2 | | |
| | | 4 | | | 2 | | | 1 |
| | 3 | | | 9 | | | 8 | |
| | 9 | | 2 | | | 1 | | |
| 7 | 1 | | | | 6 | | | 5 |
| 3 | | 2 | | 7 | | | 6 | |
| | 2 | | | | 4 | 6 | | |
| | | 7 | | | | | | 2 |
| 5 | 4 | 9 | 6 | | 3 | | 1 | |

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. კვერცხის ფორმით დაიწყეთ მონსტრის ხატვა

2. მიახატეთ ხელ-ფეხი

3. ტანზე მიახატეთ საყელო

4. თავზე მიახატეთ სათვალე

5. გამოკვეთეთ ულვაში და ცხვირი

6. მიახატეთ თვალები და ფეხების თითები

7. გააფერადეთ



ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია
თამარაშვილის №36
ტელ.: 272 9191

# იპოვეთ ათი განსხვავება



## რა გზით მივა რაინდი სასახლესთან



## იპოვე შესაფერისი ჩრდილები



## ვირი და ბაყაყები

### (იგავ-არაკი)

ერთი ვირი გზაზე მოჩანჩალებდა. ზურგზე შეშა ეკიდა. ერთბაშად გუბეს გადააწყდა, ფეხი დაუსხლტა და შიგ გუბეში მოადინა ზღართანი. ვერ იქნა და წელი ველარ წამოიღო. მოჰყვა მოთქმაგოდებას. ბაყაყებმა რომ ვირი ამ ყოფაში ნახეს აქეთ-იქიდან მიაძახეს.

– შე გლახაკო ყროყინავ, ჩვენსავით რომ მთელი დღე და მოსწრება ამ ტლაპოში გეცხოვრა, ნეტავი მაშინ რაღას იზამდი, ახლა რომ ასე მოთქვამო.

ასე უპასუხებს ხოლმე მრავალჭირნახული ადამიანი უნდილსა და წუწუნა კაცს.

## რიცხვრებუსი

5, , , 10, , , 2



# ვეტერინარის რჩევები



რუბრიკას უძღვება ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი **ზაქრო ბაჯიაშვილი**

ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.

**ჯეიმს დუგლასი**

**კითხვა: ქალაქიდან აგარაკზე გავდივართ და ძაღლიც თან მიგვყავს. იქ ეზოს პირობებში უწევს ყოფნა და რწყილებიც მრავლად ესევა ხოლმე. საყელომ გასულ წელს არ იმოქმედა. რა საშუალებით ვებრძოლოთ ჯლიბებსა და რწყილებს?**

**პასუხი:** ტკიპებსა და რწყილებს, ისევე, როგორც სხვა პარაზიტებს, კომპლექსურად უნდა ვებრძოლოთ და უნდა გამოვიყენოთ ყველა ის საშუალება, რაც არსებობს. მის შერჩევაში და სწორად გამოყენებაში კი დაგეხმარებათ ვეტერინარი ექიმი. რაც შეეხება ანტიპარაზიტულ საყელოს, მის გამოყენებას ეფექტი აქვს იმ შემთხვევაში თუ ძაღლს პარაზიტები უკვე მოშორებული აქვს და, ამასთან ერთად, კომპლექსურად იქნება გამოყენებული სხვა ანტიპარაზიტული საშუალებები: შამპუნები, ხსნარები, წვეთები და ასე შემდეგ. ეს პრეპარატები აუცილებლად უნდა იყოს მსოფლიოში ცნობილი ბრენდების, რის შერჩევაშიც ვეტერინარი დაგეხმარებათ.

**კითხვა: რამდენ ხანში ერთხელ არის რეკომენდებული ძაღლის დაბანა ზაფხულში?**

**პასუხი:** ძაღლის დაბანას თავისი წესები აქვს. დაბანის სიხშირე დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე, ესენია: ცხოველის ჯიში, ბეწვის ტიპი, ცხოვრების პირობები და, ასევე, ის, თუ რა სიხშირით ვჭრით ბეწვს. ნორმალურად ითვლება, თუ ცხოველს ვაბანავებთ წელიწადში ორჯერ, მაგრამ, დასაშვებია, ასევე, თვეში 3-4 ჯერ ბანაობა. დიდი მნიშვნელობა აქვს დასაბანი საშუალებების შერჩევას, რადგან, ძაღლის კანის სტრუქტურა სრულიად განსხვავებული და გაცილებით უფრო სუსტია, ვიდრე ადამიანის. მისი კანი ადვილად შრება და ვითარდება ანთებითი პროცესები. ძაღლის კანი არ შეიცავს საოფლე ჯირკვლებს და, შესაბამისად, გამოშრობის შემთხვევაში, კარგავს დამცველობით ფუნქციას. ამიტომ, ძაღლის დასაბანად ყოვლად დაუშვებელია ადამიანის შამპუნის გამოყენება. აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ სპეციალური შამპუნები და საშუალებები, რომლებიც განკუთვნილია ძაღლებისთვის და ითვალისწინებს მათი ბეწვისა და კანის სტრუქტურას, არ აშრობს მას და იცავს დაზიანებისგან

**კითხვა: მყავს 6 წლის გერმანული „ავჩარკა," რომელსაც ბოლო დროს თვალები სულ ჩაწითლებული აქვს. რისი ბრალი შეიძლება იყოს ეს?**

**პასუხი:** თვალების სიწითლე ანთებითი პროცესების ნიშანია, რაც, შესაძლოა, იყოს თვალის ლორწოვან გარსზე, კონიუნქტივაზე – კონიუნქტივიტი, რქოვანაზე – კერატიტი, ქუთუთოებზე – ბლეფარიტი, რომელთა გამომწვევი მიზეზიც, შეიძლება, სხვადასხვა იყოს: ალერგიული რეაქციები, ადგილობრივი ან ზოგადი ინფექციური ბუნების დაავადებები, საცრემლე აპარატის პათოლოგიები. იმისათვის, რომ გაარკვიოთ აღნიშნული პრობლემის ზუსტი გამომწვევი მიზეზი, აუცილებლად მიიყვანეთ ძაღლი ვეტერინართან, რომელიც გაგიწევთ კვალიფიციურ დახმარებას, დაადგენს პათოლოგიის მიზეზს და დანიშნავს შესაბამის მკურნალობას.

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **ამირან ბიწაძე**

ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.

**გოეთე**

**კითხვა: როგორ მოვუარო სოლეიროლიას?**

**პასუხი:** სოლეიროლია ჭირვეული მცენარე არ არის. მისთვის მთავარია, მიწა არ გამოუშრეს. თუ ამ მცენარეს სიგრილესა და ტენიან გარემოში ამყოფებთ, ზრდას მალევე დაიწყებს. მის გასამრავლებლად რამდენიმე მათგანი ძირიანად ფრთხილად ამოიღეთ ქოთნიდან და ახალ ქოთანში გადარგეთ.

**კითხვა: რა ტემპერატურაზე ძლებს კოლეუსი?**

**პასუხი:** კოლეუსს სჭირდება ნორმალური ტემპერატურა, 18-20 გრადუსი, ხოლო ზამთარში მისთვის მინიმუმია 11-12 გრადუსი. მცენარე მოარიდეთ უფრო დაბალ ტემპერატურას, რადგან, შეიძლება, ფოთლები დასცვივდეს. თუკი ფესვები ტენიანი აქვს, ზოგჯერ მზის გულზე ყოფნასაც აიტანს.

**კითხვა: როგორი სინათლე მოსწონს ზამიოკულკასს?**

**პასუხი:** ეს აფრიკული მცენარე იოლად გასაზრდელია. ადვილად ეგუება ოთახის პირობებს და ჩრდილში ყოფნასაც კარგად იტანს, გაბნეულ შუქზე კი უკეთ იზრდება. სასურველია, თუ მას აღმოსავლეთის ან დასავლეთის ფანჯარაზე დადგამთ.

**კითხვა: რა ზომის შეიძლება გაიზარდოს ჰემიგრაფისი?**

**პასუხი:** ჰემიგრაფისი დაბალი და კომპაქტური მარადმწვანე მცენარეა. მისი სიმაღლე არ აღემატება 30 სანტიმეტრს. მართალია, ის ნაკლებად ეფექტური მცენარეა, მაგრამ, კარგად გამოიყენება დიდ ქოთნებში ჩარგული მცენარეების მიწის საფარად.

**კითხვა: ჩემს ექევერიას ფოთლები უჭკნება? რა უნდა იყოს ამის მიზეზი?**

**პასუხი:** თქვენ, ალბათ, წყალი დააკელით. დარბილებული და დამჭკნარი ფოთლები იმის მანიშნებელია, რომ ექევერიას წყალი სჭირდება. ზაფხულობით ნიადაგს შეშრობა აცადეთ და ისე მორწყეთ, რომ მიწა კარგად დასველდეს. ზამთარში კი იშვიათად მორწყეთ.

**კითხვა: ჩემს ქლოროფიტუმს მიწის ზედაპირზე ფესვები გამოუჩნდა. რისი ბრალია?**

**პასუხი:** მიწის ზედაპირზე ფესვების გამოჩენა მცენარის გადარგვის აუცილებლობის ნიშანია. ფოთოლს სიმშრალისა და უჰაერობისგან გაყავისფრებული ბოლოები წააჭერით. ქლოროფიტუმი კარგად იტანს ოთახის პირობებს, თუ კარგი დრენაჟი და ნოყიერი მიწა აქვს.

**კითხვა: როგორი ტენიანობა მოსწონს ორქიდეას?**

**პასუხი:** ორქიდეას მაღალი ტენიანობა უყვარს. რეგულარულად დადგით სველკენჭებიან ლანგარზე და დანამეთ. მას მოყვავილე მცენარეებისთვის განკუთვნილი სასუქით მორწყვა სჭირდება. ზაფხულში გრილ კლიმატში გარეთ გაიტანეთ და კარგად განათებულ, გადახურულ ადგილას დადგით.

**კითხვა: ჩემს ასპარაგუსს ფოთლები გაუყავისფრდა. როგორ ვუშველო?**

**პასუხი:** ალბათ, მიწა ძალიან გამოაშრეთ. მართალია, ამ მცენარეს ზაფხულში უფრო მეტი ტენი და მორწყვა სჭირდება, მაგრამ ზამთარშიც არ უნდა დააკლოთ წყალი. ნიადაგი ბოლომდე არ გამოუშროთ – ფოთლების გაყვითლება სწორედ ამ ფაქტორმა განაპირობა. შეეცადეთ, ცოტა რაოდენობით მიწოდოთ წყალი.

**კითხვა: როდის გადავრგა კალადიუმი?**

**პასუხი:** ეს მცენარე ბოლქვიდან ამოდის და შემოდგომით იძინებს. ბოლქვები ბნელსა და ტენიან ადგილას გამოაზამთრეთ, დაახლოებით 16 გრადუსზე, გაზაფხულზე კი უკვე შეძლებთ გადარგვას და 20-22 გრადუსზე დადგით. კალადიუმის ჯიშებს შორის ყველაზე იოლი მოსავლელია წითელ-მწვანე კალადიუმი.

**მოამზადა**
**თეონა გოზალიშვილმა**

# როგორ გაუსწორდა ყოფილი პატიმარი თანამოსაკნეს ექვსი წლის შემდეგ და როგორ გაიხსნა დანაშაული მწყემსის დახმარებით



მძიმედ დაჭრილი მამაკაცი, რომელსაც სხეულზე ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული მრავლობითი ჭრილობა აღენიშნებოდა, სოფლის მწყემსმა აღმოაჩინა. სწორედ მწყემსი აღმოჩნდა ის ადამიანი, რომელსაც მომაკვდავმა მამაკაცმა ბოლო სიტყვები გაანდო. ეს კი მოგვიანებით, გამოძიებას დაეხმარა სწორ კვალზე დამდგარიყო და დამნაშავეს, მძიმე დანაშაულისთვის პასუხისმგებლობისგან თავი არ დაეღწია. მომხდართან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა.

პირველი ჩვენება გამოძიებას 54 წლის ვაჟა ფ-ძემ ინციდენტიდან რამდენიმე საათში მისცა. მამაკაცი მომხდარი ფაქტით ისე იყო შოკირებული და შეძრწუნებული, საუბარი უჭირდა. მისი დაკითხვა რამდენიმე საათს გაგრძელდა. ამონაწერი ვაჟა ფ-ძის ჩვენებიდან: „ხუთი წელია, სოფლის მწყემსი ვარ. ამ ასაკის კაცს რა არ გადამხდენია, მაგრამ ასეთი რამ, არც კი მსმენია. საღამო იყო, სოფლის საქონელს „ძაგნის მინდორზე" ვაძოვებდი. ასე ვეძახით დიდ მინდორს, რომელიც ჩვენი სოფლის ბოლოს ესაზღვრება. იქვე, ახლოს, მიტოვებული ძველი ქარხნის ნანგრევებია. ჩემი ძაღლი ყეფით რამდენჯერმე შევარდა ნანგრევებში. ვიფიქრე, საქონელი ხომ არ ჩარჩა შენობაში-მეთქი და იქით წავედი. ძაღლი ყეფას უმატებდა და უმატებდა. ნანგრევებში შევედი, რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი და სისხლის გუბე დავინახე. კვალს გავყევი, ვიფიქრე, ალბათ, საქონელი ნადირმა დაგლიჯა-მეთქი. სისხლის კვალი დანგრეული შენობის მეორე მხარეს გადიოდა, უცებ მამაკაცის ცხედარს მივადექი. ისე შემეშინდა, უკან გამოვიქეცი. შარვალში იარაღის ტარი დავუნახე. მარტო ვიყავი, იქ ვერც ვერავის დავუძახებდი და ვერც ვერავინ დამეხმარებოდა. ალბათ, სამი წუთი მაინც ვიდექი შენობის გარეთ. ვიფიქრე, იქნებ ის კაცი გარდაცვლილი არცაა-მეთქი, ძალა მოვიკრიბე და მეორედ შევედი ნანგრევებში. მართლაც დავინახე, რომ მამაკაცს, რომელიც პირველ შესვლაზე მიწაზე დამხობილი იყო, მდგომარეობა შეეცვალა. ახლოს მივედი, ყველგან სისხლი იყო. მივხვდი, რომ დაჭრილი ჯერ კიდევ სუნთქავდა. გადმოვატრიალე, უცნაური თვალებით შემომხედა, სახე სულ სისხლიანი ჰქონდა. ვიგრძენი, რომ სულს ლევდა და ხელზე ხელი მოვკიდე. უცებ მან ჩემი სახელი წარმოთქვა. ორჯერ გარკვევით თქვა: „ვაჟა, ვაჟა"! გამიკვირდა, ჩემთვის უცხო მამაკაცისგან ჩემი სახელის გაგონება. ჩვენი სოფლელი არ იყო, ყველას ვიცნობ და მასაც აუცილებლად ვიცნობდი. ასე ჩამაკვდა ხელებში. შეშინებულმა დავტოვე იქაურობა და სოფლისკენ გავიქეცი. აღარც საქონელი მახსოვდა და აღარც არაფერი. სოფელში პირველივე შემხვედრ მამაკაცს ვთხოვე, რომ სოფლის თავკაცებისთვის შეეტყობინებინა მომხდარი. მათ კი პოლიცია გამოიძახეს შემთხვევის ადგილზე."

შემთხვევის ადგილის დათვალიერების შემდეგ მამაკაცის გვამი პროზექტურაში გადაიტანეს. იქ დატოვებული რამდენიმე ანაბეჭდის უმეტესობა შეშინებულ მწყემსს უნებურად წაეშალა. გარდაცვლილი მამაკაცი 43 წლის მამუკა გ-უა აღმოჩნდა, რომელიც იმ ადგილიდან მოშორებით მდებარე სოფლის მკვიდრი იყო. როგორ აღმოჩნდა ის მიტოვებული ქარხნის ნანგრევებში და ვინ ჩაიდინა მკვლელობა, გამოძიებისთვის ბურუსით იყო მოცული. სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, მამაკაცი ოთხი საათის განმავლობაში ებრძოდა სიკვდილს. ვინ მიიყვანა მამაკაცი მიტოვებულ შენობაში? ვინ მოკლა ის შვიდი ტყვიით და როგორ დატოვა შემთხვევის ადგილზე? – გამოძიებას უამრავი პასუხგაუცემელი შეკითხვა დაუგროვდა. თუმცა, თვითმხილველი მწყემსის ჩვენების გარდა, ხელმოსაჭიდი თითქმის არაფერი იყო.

როგორც გამოძიებისთვის გახდა ცნობილი, მამუკა გ-უა რუსეთის ციხიდან ახალი გათავისუფლებული გახლდათ და სოფელში ექვსი თვის წინ დაბრუნდა. მას ოჯახში ჰყავდა მეუღლე და დედა, რომელთაც გარდაცვლილის საქმიანობის შესახებ ბევრი არაფერი იცოდნენ. მამუკა გ-უას დანაშაულებრივი წარსული ჰქონდა – ადრე ის ორჯერ იყო ნასამართლევი, ერთხელ საქართველოში, მეორედ კი – რუსეთში, სადაც ჩადენილი ყაჩაღობისთვის ექვსწლიანი სასჯელი მოიხადა. ქართველ სამართალდამცველებს მოკლულის შესახებ უფრო მეტი ინფორმაცია ჰქონდათ, ვიდრე მისი ოჯახის წევრებს. მამუკა გ-უას დანაშაულებრივ სამყაროში ისე ენდობოდნენ, რომ რუსეთის ციხეში, პატიმრობისას მას „ობშჩიაკის" ფულსაც კი ანდობდნენ. ციხიდან გათავისუფლების შემდეგ, გარდაცვლილი საქართველოში დაბრუნდა, რადგან რუსეთში დარჩენის შემთხვევაში, კვლავ პატიმრობა ემუქრებოდა. სოფელში ის მხოლოდ ექვსი თვე ცხოვრობდა. ის თითქმის უახლოეს მეზობლებსაც კი არ იცნობდა, რადგან საქართველოდან დიდი ხნის წასული იყო. ასე რომ, მომაკვდავის მიერ მწყემსის სახელის ხსენება, რამაც ის ძალიან გააოცა, სხვა ადამიანთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. გამოძიებამ მამუკა გ-უას ნაცნობების წრის გადამოწმება დაიწყო – როგორც აღმოჩნდა, ის არც კონტაქტზე გადიოდა ვინმესთან და არც არავინ სტუმრებია. გამოძიების ვერსიით, მკვლელობა მის წარსულთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. რაც შეეხება სიკვდილის წინ მწყემსთან წარმოთქმულ მამაკაცის სახელს, სავარაუდოდ, ის მკვლელთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული.

სამართალდამცველებისთვის ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებით, ცნობილი გახდა, იმ მამაკაცის ვინაობაც, რომელიც იმავე ციხეში იხდიდა სასჯელს, სადაც მსჯავრდებული მამუკა გ-უა. შესაბამისად, ორ პატიმარს ერთმანეთთან ახლო კავშირი უნდა ჰქონოდა. 40 წლის ვაჟა ზ-

**მკვლელობის ადგილზე აღმოჩენილი ანაბეჭდები ადასტურებდა, რომ იქ გამოძიებისთვის უცნობი სხვა პირიც იმყოფებოდა**

ძე მკვლელობის მცდელობის მუხლით იყო გასამართლებული. ის ციხიდან მამუკა გ-უას გათავისუფლებიდან სამი თვის შემდეგ გამოვიდა. ოპერატიული ინფორმაციით, საქართველოში დაბრუნებულ ორ გამოცდილ კრიმინალს ერთმანეთთან კავშირი არ ჰქონია. თუმცა, აღმოჩნდა პიროვნება, რომლისგანაც ცნობილი გახდა, რომ ამ ორს შორის ციხეში ყოფნისას დიდი დაპირისპირება მომხდარა, რაც ფულთან იყო დაკავშირებული. მამუკა გ-უამ ვაჟა ზ-ძის დედას შვილის მიერ წაგებული ფული ისეთ დროს გადაახდევინა, როცა ქალი კიბოთი დაავადებულ, მომაკვდავ ქმარს უვლიდა. ამ ფულის გადასახდელად მოხუც ცოლ-ქმარს საცხოვრებელი ბინის გაყიდვაც კი მოუხდათ. ვაჟა ზ-ძე ყოფილ თანამოსაკნეზე გამწარებული და შურისძიებით შეპყრობილი რომ იყო, ეს გამოძიებისთვის სანდო წყაროსგან გახდა ცნობილი. მისგან შეიტყო გამოძიებამ ისიც, რომ ვაჟა ზ-ძე უახლოეს მომავალში საქართველოს დატოვებას აპირებდა.

გამოძიებამ ვაჟა ზ-ძე რამდენჯერმე დაკითხა, მან განაცხადა, რომ გარდაცვლილს იცნობდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ციხიდან გათავისუფლდა, მასთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა. იმ ინციდენტთან დაკავშირებით კი, რაც ყოფილ პატიმრებს შორის მოხდა ციხეში, ვაჟა ზ-ძემ გამოძიებასთან საუბარი არ ისურვა. თუმცა, მას შემდეგ, რაც მიხვდა, რომ ეს ინფორმაცია სამართალდამცველებისთვისაც იყო ცნობილი, განაცხადა: „ის ფული ჩემი გადასახდელი იყო და მამუკა ჩემთან არაფერში „ჩაჭრილაო". ამ გზით მან შურისძიების მოტივი გამორიცხა. მკვლელობის დღესთან დაკავშირებით ვაჟა ზ-ძეს ალიბი ჰქონდა „მომზადებული" – ის დღე მთლიანად მეგობარ ქალთან გავატარეო. მაგრამ ,ალიბის გადამოწმების შემდეგ დადასტურდა, რომ ქალი იმ ადგილას, სადაც ვაჟა ზ-ძე უნდა ყოფილიყო მისივე ვერსიით, საერთოდ არ იმყოფებოდა. გამოძიებას ვაჟა ზ-ძის წინააღმდეგ ყველაზე „მყარი" ნივთმტკიცება ჰქონდა – შემთხვევის ადგილზე დატოვებული თითის ანაბეჭდები, რომელთა ბოლომდე წაშლა მწყემსს ვერ მოესწრო. როდესაც დაკავებული ვაჟა ზ-ძე ჩადენილ დანაშაულში ეჭვმიტანილად ამხილეს, ის დიდხანს უარყოფდა მამუკა გ-უას მკვლელობას. თუმცა, მოგვიანებით, აღიარა, რომ ყოფილი თანამოსაკნე შურისძიების გამო მოკლა – თუმცა ინციდენტიდან 6 წელი იყო გასული, ვერ აპატია, რომ მამუკა გ-უამ მეგობრის დახმარებით მის მშობლებს ფული ისე „გადაახდევინა", რომ ისინი უსახლკაროდ დატოვა.

შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილმა ანაბეჭდებმა დაადასტურა, რომ მკვლელობის დროს ნანგრევებში კიდევ ერთი, გამოძიებისთვის უცნობი პიროვნება იმყოფებოდა. გამოძიება მის კვალზე დაკავებული ვაჟა ზ-ძის დახმარებით გავიდა. ის მამუკა გ-უას და ვაჟა ზ-ძის საერთო ნაცნობი და მოკავშირე, მევლუდ კ-უა აღმოჩნდა. ოპეარტიულმა სამსახურმა ისიც დააკავა, და მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. დანაშაულის დეტალების შესახებ სწორედ მისგან გახდა ცნობილი. „მამუკა გ-უას ბავშვობიდან ვიცნობდი, ჩვენ ერთად ვსწავლობდით პროფტექნიკურ სასწავლებელში. მერე წლები ისე გავიდა, არ მინახავს. ერთ დღეს მეგობარი დამიკავშირდა და ერთ კაცს შემახვედრა, რომელიც ციხიდან ახალი გამოსული იყო და ჩემს ძმაკაცთან მეგობრობდა. ვაჟა ზ-ძემ, როგორც კი გამეცნო, მითხრა: მამუკა გ-უასთან უნდა დამაკავშიროო. არც ის დაუმალავს, რომ წარსულში იცნობდა და მათ შორის არასასიამოვნო ინციდენტი მოხდა. მე მამუკას დავუკავშირდი და ვუთხარი, რომ ვაჟა ზ-ძე მასთან დაკავშირებას და სოფელში ჩაყვანას მთხოვდა. მამუკა გ-უამ მითხრა: პრობლემა არაა, როცა გინდა, მაშინ ვნახავო. ამ საუბრიდან ერთი თვის განმავლობაში, ვაჟა ზ-ძე აღარ დამკავშირებია, მამუკამ თვითონ დამირეკა: ის კაცი სადაა, ჩემს ნახვას რომ გთხოვდაო? ერთ დღეს ვაჟა ზ-ძემ მომაკითხა და მთხოვა, მამუკასთან სოფელში გავყოლოდი. ჩემი მანქანით ჩავედით სოფელში, მამუკას დავურეკე და სახლიდან მე გამოვიყვანე. მეზობელ სოფელში, მიტოვებული შენობის ნანგრევებთან მივედით. მე მათი დაპირისპირების დეტალები არ ვიცოდი, მხოლოდ მათი მეკავშირე ვიყავი და მათ საქმეში ჩარევას არ ვაპირებდი. უფრო მეტიც, როცა საუბარი დაიწყეს, გარეთ გამოვედი. სამი-ოთხი წუთი იქნებოდა გასული, როცა სიტყვიერ შეხლა-შემოხლას რამდენიმე გასროლაც მოჰყვა. შენობაში შევვარდი, მამუკა ძირს ეგდო, ზედ მთელი „აბოიმა" ჰქონდა დაცლილი. ეს რა გააკეთე-მეთქი, მივვარდი ვაჟას. მამუკა გადმოვატრიალე და პულსი ვუნახე. სასიკვდილო ჭრილობები იყო, მთელი სხეულიდან სისხლი სდიოდა. ვაჟამ მითხრა, შიგნით შევიტანოთ, ღირსი არის, მაგრამ აქ ნადირებმა არ შეჭამონო. თვითონ დაიხარა და დაჭრილი მამუკა შენობის სიღმეში შეათრია. როგორც მერე გავიგე, მამუკა, სანამ სისხლისგან დაიცლებოდა, ხოხვით ცდილობდა თურმე შენობიდან გამოღწევას. ჩვენ ისე დავტოვეთ იქაურობა სიტყვა არ გვითქვას ერთმანეთისთვის. ერთადერთი, რაც ვაჟამ მითხრა: თვითონ უნდოდა ჩემი მოკვლა და მე დავასწარიო. ვაჟამ თავისი იარაღი გზად ხევში გადააგო. ამის მერე მე ის აღარ მინახავს"

სასამართლომ განზრახ მკვლელობაში ბრალდებულ ვაჟა ზ-ძეს 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. 4 წლით პატიმრობა შეეფარდა მევლუდ კ-უას.

**ეკა ბარაბაძე**

ნიკა ლაშაური

# ქურდული ცხოვრება

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28-32(658)**

მეორე დღეს მე და ბერძენა მოსკოვში გადავფრინდით და მოშე რივკინის ბინის გაქურდვის საქმის მომზადებას შევუდექით. სამი დღის შემდეგ რივკინის ბინის კარის საკეტების ანაბეჭდები მოვიპოვეთ და ორ დღეში „ატმიჩკებიც“ დავამზადეთ. ამის შემდეგ ისღა დაგვრჩენოდა, რომ ცარიელი ბინა მოგვეხელთებინა და გაგვექურდა, მაგრამ, ეს არც ისე ადვილი იყო, რადგან, ანტიკვარი რივკინი დიდი ხნით თითქმის არასდროს ტოვებდა სახლს, მაქსიმუმ ოცი წუთით თუ გავიდოდა ხოლმე მაღაზიაში. მე და ბერძენას კი ორი-სამი საათი მაინც გვჭირდებოდა სეიფის მოსაძებნად. ჩვენ, რა თქმა უნდა, შეგვეძლო, რივკინის ბინაში შევსულიყავით, მასპინძელი დაგვება და ისე გვემუშავა, მაგრამ, ქურდები ვიყავით, ქურდულ კანონებს ზედმიწევნით ვიცავდით და ძალადობა ჩვენთვის ყოვლად მიუღებელი იყო.

– რა ვქნათ, კობრა, რა მოვუხერხოთ ამ საქმეს? – მკითხა ბერძენამ, როცა ყველა იმედი გადაეწურა, – როგორ გამოვიტყუოთ სახლიდან რივკინი?

– „კაგებესა“ და მილიციაში დაბარების ვარიანტი არ გამოვა. ბებერი ჩათლახია. გაგვშიფრავს და საქმე გაგვემაზება. სხვა რამე უნდა მოვიფიქროთ, – ვუთხარი ბერძენამ.

– მაინც, რა? ხეირიანი არაფერი მომდის თავში.

– ლიფტში უნდა გავჭედოთ რივკინი.

– უცებ გამოიყვანენ და არაფერი გამოვა, – ხელი ჩაიქნია ბერძენამ, – ჯობია, სხვა რამე მოვიფიქროთ.

– თუ ყველაფერს წუთებში გავთვლით, გამოვა.

– რა წუთებში, კობრა. მინიმუმ სამი საათი ხომ გვჭირდება სეიფის მოსაძებნად და, სამი საათი გაჭედილ ლიფტს ვინ გააჩერებს?

– ჩვენ.

– როგორ?

– ტრანსფორმატორს გადავწვავთ და მექანიკას დავბლოკავთ. შიგ ლიფტში კი მიკროფონს გავაფუჭებთ, რომ საავარიოსთან დაკავშირება ვერ მოახერხოს. მანამდე კი ექსპერიმენტს ჩავატარებთ და გავერკვევით, ნორმალური კავშირის პირობებში რამდენი ხანია საჭირო გაჭედილი მოქალაქის გამოსაყვანად.

– კარგი აზრია, – გაეღიმა ბერძენას.

მე მოშე რივკინის საცხოვრებელი სახლის ლიფტი მეხუთე სართულზე გავჭედე, წამზომი ჩავრთე და ლიფტში ჩამონტაჟებულ მიკროფონში მორიგე ლიფტიორს ჩავძახე:

– მილიციის კაპიტანი ვასილევი ვარ! მეხუთე სართულზე გავიჭედე და სასწრაფოდ გამომიყვანეთ.

ორმა ლიფტიორმა ზუსტად ოც წუთში გამომიყვანა. როცა გავუბრაზდი – ამდენ ხანს სად იყავით-მეთქი, მითხრეს, რომ, პირიქით, ძალიან სწრაფად მოვიდნენ, რადგან, საავარიო სამსახური აქედან ორი კილომეტრის მოშორებით მდებარეობდა და სულ ორი ადამიანი მუშაობდა.

– რა ჩვენი ბრალია, ამხანაგო კაპიტანო, რომ ფეხით გვიწევს გადაადგილება და ერთი მანქანაც არ გვყავს? პაპუტკას გამოვყევით, თორემ, ფეხით რომ წამოვსულიყავით, ახლაც გზაში ვიქნებოდით და ერთი საათი მოგიწევდათ ლიფტში ყურყუტი, – მითხრა წითურმა ლიფტიორმა, მეორემ კი დაამატა:

– აშკარად გაგიმართლათ, ამხანაგო კაპიტანო!

– რაში გამიმართლა?

– კიდევ კარგი, რომ სხვა ავარიაზე არ ვიყავით გამოძახებულები, თორემ, ერთი საათი კი არა, ნახევარი დღე მოგიწევდათ აქ ყოფნა.



– უმსგავსობაა და მეტი არაფერი! – აღვშფოთდი მე, ლიფტიორებს კი ხელი ჩამოვართვი და ვუთხარი, – თქვენ კი დიდი მადლობა, ბიჭებო, ძალიან ოპერატიულად იმოქმედეთ. მშვიდობით.

მეორე ლიფტიორის სიტყვებმა ჩემს ტვინში გენიალური იდეა დაბადა და სახლში რომ მივედი, ბერძენას ვუთხარი:

– ან კიდევ ერთი კაცი გვჭირდება საქმეში, ან რივკინის ბაითში მხოლოდ ერთ-ერთი ჩვენგანი უნდა შევიდეს.

– რატომ, რა მოიფიქრე? – მკითხა ბერძენამ.

– ამხელა რაიონში სულ ორი ლიფტიორ-მექანიკოსი მუშაობს, თანაც, ფეხით გაადგილდებიან. ჩვენ ყველაზე შორეულ სახლში უნდა გავჭედოთ ლიფტი და როდესაც ლიფტიორ-მექანიკოსები იქით გაემართებიან, რივკინსაც გავჭედავთ და ბაითსაც „დავუბომბავთ“. ამ საქმეს კი სიზუსტე და გამოცდილება სჭირდება. ან ვინმე უნდა დავიმატოთ, ან როლები გავინაწილოთ. რას იტყვი, როგორ მოვიქცეთ?

– შენ რას ფიქრობ? – მკითხა ბერძენამ.

– ჯობია, რომ ორმა ვიჩალიჩოთ. მით უმეტეს, რომ რივკინი ძალიან პუნქტუალურია. ეს კი ჩვენს წისქვილზე ასხამს წყალს. ანტიკვარი ზუსტად დილის თერთმეტზე ლიფტით ეშვება ქვევით. თხუთმეტი წუთით ადრე კი ერთ-ერთმა ჩვენგანმა შორეულ სახლში უნდა გაჭედოს ლიფტი და ლიფტიორ-მექანიკოსები იხმოს. თერთმეტზე კი, მეორე ჩვენგანი უკვე მიკროფონმოშლილ ლიფტში გაჭედავს რივკინს და ისვე „დაბომბავს“ მის ბაითს. უფრო სწორად, დაბომბვას ერთი დაიწყებს და მეორე მოგვიანებით შეუერთდება პირველს – მას მერე, როგორც კი მეორეს გაჭედილი ლიფტიდან დაიხსნიან.

– გენიალურია, – მითხრა ბერძენამ, შენ რივკინთან იმუშავებ, მე კი შორეულ სახლში.

– დარწმუნებული ხარ? – ვკითხე ბერძენას.

– რა თქმა უნდა! გარდა იმისა, რომ შენ უფრო სწრაფად ჩალიჩობ, ლიფტიორ-მექანიკოსები სახეზე გცნობენ. სხვა სახლის ლიფტში რომ გნახონ გაჭედილი, შეიძლება, ეჭვი აიღონ და საქმე ჩაგვიშალონ, – მითხრა ბერძენამ, გამიღიმა და დაამატა: – ს ბოგომ!

ყველაფერი ისე მოხდა, როგორც დავგეგმეთ: დილის თერთმეტ საათზე, მოშე რივკინი მესამე და მეოთხე სართულებს შორის გავჭედე და მის ბინაში შევედი. მიუხედავად იმისა, რომ ეს უზარმაზარი ბაითი ანტიკვარიატით იყო გატენილი, ხელი არაფრისთვის მიხლია, პირდაპირ საძინებლისკენ გავემართე და საიდუმლო სეიფის ძებნას შევუდექი. აქაც გამიმართლა: ფანჯრის რაფის ქვეშ მოთავსებულ სეიფს ორმოც წუთში მივაგენი და საკეტს დრელი მოვარგე. ამ დროს ბერძენაც შემომიერთდა, ჩვენ ერთად გავხსენით სეიფი და იქიდან აურაცხელი სიმდიდრე გამოვიღეთ.

– ამხელა კუში კინოშიც არ მინახავს, – აღტაცებული იყო ბერძენა.

სეიფის შიგთავსი ტყავის სპორტულ ჩანთაში ჩავყარეთ და ბერძენას ვუთხარი:

– აბა, დროზე ავახვიოთ აქედან. ს ბოგომ!..

ნაქურდალით სავსე ჩანთა მე მქონდა მხარზე გადაკიდებული და უკან მივდიოდი. წინ კი ბერძენა მიაბიჯებდა, რომ, საშიშროების შემთხვევაში, შემკავებლის როლი შეესრულებინა და ჩემთვის გაქცევის საშუალება მოეცა. მეოთხე სართულს რომ ჩავუარეთ,

ლიფტში გაჭედილი მოშე რივკინის ხმა გავიგონეთ:

– მოქალაქეებო! მიშველეთ, ლიფტში გავიჭედე! მიკროფონი გაფუჭებულია და ლიფტიორებს ვერ ვუკავშირდები.

რივკინისთვის პასუხი არ გაგვიცია და მშვიდობიანად დავეშვით ქვემოთ. ქუჩიდან კი ბერძენამ საავარიოში დარეკა, მისამართი უკარნახა და უთხრა, რომ მიკროფონგაფუჭებულ ლიფტში ადამიანი იყო გაჭედილი...

მოსკოვი იმავე საღამოს მატარებლით დავტოვეთ და ლენინგრადში გავემგზავრეთ. იქ ოქროსა და ძვირფასი ქვების გამსაღებელი ბარიგა გვყავდა და ნაქურდალი ნივთები მას მივუტანეთ. მას კეშა ერქვა და ნაქურდალი რომ დაათვალიერა, გვითხრა:

– ძალიან დიდი კუშია და, ნახევარ ფასშიც რომ დამიტოვოთ, ახლა მხოლოდ მეათედის მოცემა შემიძლია, დანარჩენი კი – სამ თვეში.

– ახლა რამდენს გამოდიხარ? – ჰკითხა კეშას ბერძენამ.

– თუ ნახევარში დატოვებთ – ორმოცდაათი ათასს, – მიუგო კეშამ.

– გამოდის, რომ რეალურად ერთი მილიონის ტავარია? – ვკითხე კეშას.

– უფრო მეტისაც, მაგრამ, მილიონი ნაღდია და წყალი არ გაუვა.

– ესე იგი, 450 ათას მანეთს სამ თვეში გამოხვალ? – ვკითხე კეშას.

– თუ ნახევარში დატოვებთ, უეჭველად, – მითხრა კეშამ. მე კი ბერძენას მივუბრუნდი და ვკითხე:

– რას იტყვი, ბერძენ, დავუტოვოთ ნახევარში?

– შენ რას იტყვი? – კითხვა შემიბრუნა ბერძენამ.

– მგონი, ღირს, – ვთქვი მე.

– თანახმა ვარ, – დამეთანხმა ბერძენა.

– ჰოდა, ძალიან კარგი. ორმოცდაათ ნაჭერს ახლა მოგცემთ, ოთხას ორმოცდაათს კი – სამ თვეში, – თქვა კეშამ, ასმანეთიანების ხუთი დასტა დაგვიდო წინ და დაამატა: თქვენ ჩემი ჭკუის დარიგება არ გჭირდებათ, მაგრამ, ერთ რჩევას მოგცემთ.

ფულის დასტები მაგიდიდან ავიღე და ბერძენას მივაწოდე, კეშას კი ვუთხარი:

– გვირჩიე, გისმენთ.

– ქურდებო! თქვენი ტავარი კარგა ხნით ფსკერზე უნდა დავაწვინო, თქვენთვის მოსაცემი ფული კი ვისესხო. ეს ისეთი ტიპის ტავარია, რომ აუცილებლად დაუწყებენ ძებნას და მეც მომადგებიან. ამიტომ, გირჩევთ, ამხელა მაყუთს ერთბაშად ნუ გამოაჩენთ, რომ არ დაიწვათ და ფსკერზე თუ არ დაწვებით, ცოტა ხნით მაინც შეიკავეთ თავი გრიალისგან.

– რჩევისთვის მადლობა და ჩვენც გირჩევთ, რომ ენას კბილი დააჭირო, – ვუთხარი კეშას, ბერძენამ კი დაამატა:

– სამ თვეში აქ ვართ და მაყუთი გაამზადე.

ლენინგრადიდანაც იმავე ღამეს გავემგზავრეთ და დონის როსტოვისკენ ავიღეთ გეზი, რომელსაც შავ სამყაროში საბჭოთა კავშირის ქურდული დედაქალაქის სტატუსი ჰქონდა. იმ პერიოდში როსტოვში ვასილი ბაბუშკინი იმყოფებოდა, რომელსაც საკავშირო ქურდული სალარო ებარა და მასთან მივდიოდით, რომ სალაროში ჩვენი ქურდული წილი შეგვეტანა.



ვასილ ბაბუშკინი ის ლეგენდარული ჯიბგირი იყო, რომელიც მოგვიანებით მთელმა მსოფლიომ „ვასია ბრილიანტისა“ და „ძია ვასიას“ სახელით გაიცნო. ამ ნეპმანელმა ქურდმა, თავისი 63-წლიანი ცხოვრებიდან 40 წელზე მეტი საპყრობილეებში გაატარა და ჯერ კიდევ სიცოცხლეში იქცა ლეგენდად. დღეს კი მის სახელს წმინდანივით მოიხსენიებენ და დღემდე რჩება ქურდული სამყაროს ურყევ ავტორიტეტად.

ვასია ბრილიანტს მე და ბერძენა პირადად არ ვიცნობდით, მაგრამ, იმდენი ისტორია გვსმენოდა მასზე, რომ მისი გაცნობის დაუოკებელ სურვილს ვყავდით შეპყრობილი. ბრილიანტისთვის კი ყბედალოს უნდა წარედგინა ჩვენი თავი, რომელიც სწორედ ძია ვასიას რეკომენდაციით გახდა ქურდი და მისი დიდი ნდობით სარგებლობდა, ეს კი ქურდულ სამყაროში ქურდისთვის საუკეთესო რეკლამა იყო და მის ავტორიტეტს აორმაგებდა.

ზურიკო ტაბიძე, იგივე ყბედალო, ასე იხსენებდა ვასია ბრილიანტთან პირველ შეხვედრას:

– აკოფა მევახშის ამბის გამო რომ ხუჭუჭას მამამ იშიპიტა, ჩემებმა მეორე დღესვე როსტოვში გამაქანეს – ინსტიტუტში ჩააბარეო და ბიძაჩემი როსტომა გამომაყოლეს. როსტომა ბოზებში გულაობას გადაჰყვა, მე კი ჯიბგირობა გავახურე და როსტომა დავაბოლე, თითქოს უმაღლესში მოვეწყვე. კაროჩე, როსტოვში მარტო დავრჩი. ძირითადად ტრანსპორტსა და უნივერმაღში ვჩალიჩობდი. ერთ კვირა დღეს, ცენტრალურ უნივერმაღში ერთი ბობოლა კლიენტი გავჩითე, კუდზე დავაჯექი და სქელი საფულე ავპარსე. გარეთ რომ გავედი და ვტყდებოდი, ერთმა ბიძამ თავისთან მიმიხმო. „ძაღლს“ არ ჰგავდა, ამიტომ, მივედი და ვუთხარი:

– რა გნებავთ?

ბიძას გაეცინა და მკითხა:

– რა გქვია?

– ზურა.

– ქართველი ხარ?

– დიახ.

– ერთ ქართველ ზურას მეც ვიცნობ.

– საქართველოში ბევრი ზურაა, – ვუთხარი ბიძას, მას კი ისევ გაეცინა და მითხრა:

– იმ ზურასნაირი და შენნაირი, არა მგონია, ბევრი იყოს ამქვეყნად. წელან უნივერმაღში გიყურე, როგორ ამოაცალე კლიენტს საფულე და აღფრთოვანებული დავრჩი. ასე ჩალიჩი სად ისწავლე?

– ტალანტი ვარ, ბიძაჩემო, – ვუთხარი ბიძას, მან კი სრულიად სერიოზულად დამიდასტურა:

– გეთანხმები. უდავოდ ტალანტი ხარ. გინდა, ერთად ვიჩალიჩოთ?

– თქვენ ვინ ბრძანდებით?

– ვასია ბრილიანტი ვარ, გაგიგონია?

– ხომ არ მატყუებ, ბიძაჩემო? – ეჭვის თვალით შევხედე ბიძას, – ბრილიანტზე ბევრი რამ მსმენია.

– არ გატყუებ, მართლა ბრილიანტი ვარ. ჩემზე ვისგან გსმენია?

– ჩემი მეზობლისგან. ქურდია ერთი, ზურა ქართველიშვილი. იცნობ?

ბიძას გაეცინა და მითხრა:

– სწორედ ისაა ქართველი ზურა, წელან რომ გითხარი. ჩემი ძმაა. ახლა სროკზეა.

– სწორია, სროკზეა. ესე იგი, თქვენ მართლა ვასია ბრილიანტი ხართ.

– კი, მართლა ვასია ბრილიანტი ვარ, – გამიმეორა ბრილიანტმა და მკითხა: როსტოვში როგორ მოხვდი?

ბრილიანტს ყველაფერი დაწვრილებით მოვუყევი და იმ დღიდან დავპაძელნიკდით. მან გამაცნო როსტოველი ქურდები და მანვე გააცნო მათ ჩემი თავი. მისივე რეკომენდაციით დამადგეს ქურდის გვირგვინი და სწორედ ძია ვასიამ მასწავლა ნამდვილი ქურდული ცხოვრება.

ერთი სიტყვით, ყბედალო აღფრთოვანებული იყო ვასია ბრილიანტის პიროვნებით და მას უდიდეს პატივს სცემდა, რა თქმა უნდა, ისევე, როგორც მთელი ქურდული სამყარო.

როსტოვში რომ ჩავედით, ქურდულ მალინას მივაკითხეთ. კარი ორმოციოდე წლის ქალმა გაგვიღო და ბოხი ხმით გვკითხა:

– ვის ეძებთ?

– ყბედალოს, – მიუგო ბერძენამ.

– ალბათ, ბალტუნს.

რუსულ ენაში ასო ყ-ს არარსებობის გამო, ყბედალოს ძალიან ცუდად წარმოთქვამდნენ, ამიტომ, ზურიკო ტაბიძის მეტსახელი რუსულად გადათარგმნეს და „ბალტუნს“ ეძახდნენ.

– დიახ, ბალტუნს, – დაუდასტურა ბერძენამ.

– შემოდით, – ქალმა სახლში შეგვიპატიჟა, გვერდზე გადგა და გაგვატარა. შემდეგ კარი მოხურა, უკან გამოგვყვა და დაიძახა:



– ბალტუნ! შენთან არიან, შეეგებე სტუმრებს.

ყბედალო შუა ოთახში შეგვეგება, სათითაოდ გადაგვეხვია და მოგვიკითხა.

– ყბედალოჯან, ხელმეორედ მოგვნათლეს? – ვკითხე ზურიკო ტაბიძეს. მას გაეცინა და მითხრა:

– კბედალოს ბალტუნი არ ჯობია?

– ბრილიანტი აქ არის? – იკითხა ბერძენამ.

– ახლავე გაგაცნობთ, – გვითხრა ყბედალომ და ბოხხმიან ქალს გასძახა, რომელიც სამზარეულოში ტრიალებდა:

– რიტა! ძია ვასია რას აკეთებს?

– ახლავე გამოვა. სტუმრებზე უკვე ვუთხარი და მითხრა, სუფრა გაშალეო, – გამოსძახა რიტამ.

ამ დროს გვერდითა ოთახის კარი გაიღო და ოთახში ორმოცდათხუთმეტიოდე წლის, საშუალო სიმაღლის, გამხდარი, თავგადაპარსული მამაკაცი შემოვიდა, რომელსაც მარცხენა თვალი არ ჰქონდა. მას ძალიან უბრალო, შავი ფერის ტილოს შარვალი და შავი ტილოსავე პერანგი ეცვა. ფეხები კი ჩუსტებში ჰქონდა წაყოფილი. ის ჩვენგან ორიოდე ნაბიჯში შედგა, შეგვათვალიერა, ხელი გამოგვიწოდა და დაბალი, ნახევრად ჩახლეჩილი ხმით გვითხრა:

– კეთილი იყოს თქვენი მობრძანება. მე ვასია ბრილიანტი ვარ!

პირველმა ბერძენამ ჩამოართვა მას ხელი და წარუდგა:

– ბერძენა!

– კობრა! – თავი გავაცანი ლეგენდარულ ქურდს, გავუღიმე და მაგრად ჩამოვართვი ხელი.

– ქურდებო, სუფრასთან! – გამოგვძახა სამზარეულოდან რიტამ.

– წამოდით, ძმებო! წავიხემსოთ და გაცნობისა დავლიოთ, – გვითხრა ძია ვასიამ და სამზარეულოში შეგვიძღვა.

მიუხედავად იმისა, რომ ვასია ბრილიანტს საკავშირო ქურდული ობშჩიაკი ებარა, სადაც დიდძალი ფული ინახებოდა და მას ამ თანხის გარკვეული ნაწილის აღების უფლება ჰქონდა პირადი საჭიროებისთვის, ვასილი ბაბუშკინი არასდროს ხარჯავდა ობშჩიაკის ფულს. საამისო თანხებს ის ჯიბგირობით შოულობდა, უკიდურეს შემთხვევაში კი – სესხულობდა და ყოველთვის აბრუნებდა სესხს.

ასაკის მიუხედავად, ვასია ბრილიანტი მოქმედი მომპარავი-ქურდი იყო, მუდმივად საქმეებზე დადიოდა და ამიტომაც ხვდებოდა ხშირად ციხეში. მილიცია არ იყო დაინტერესებული ძია ვასიას დიდი ხნით სვაბოდაზე ყოფნით და ის „ძაღლების“ მუდმივი, მწველი ინტერესის ქვეშ იმყოფებოდა.

სამზარეულოში გაშლილი სუფრა სიუხვითა და მრავალფეროვნებით არ გამოირჩეოდა: მაგიდაზე იდო მოხარშული კარტოფილი, მჟავე კიტრი, მჟავე კომბოსტო, დიდი ნაჭერი სალა, შავი პური და არაყი.

ვასია ბრილიანტმა არყით სავსე, ორასგრამიანი ჭიქა ასწია, მოგვიჭახუნა და, სანამ შესვამდა, თქვა:

– ჩვენს გაცნობას გაუმარჯოს! ღმერთი გვფარავდეს!

ჭამა-სმას რომ მოვრჩით, ბრილიანტმა გვითხრა:

– ნამგზავრები ხართ და დაისვენეთ, მე კი, თქვენის ნებართვით, კითხვას გავაგრძელებ.

ცნობილი ფაქტია, რომ ვასილი ბაბუშკინს საპყრობილეებში თან დაჰქონდა უზარმაზარი ჩანთა, რომელიც წიგნებით იყო სავსე. ბრილიანტი ბევრს კითხულობდა, ძალიან განათლებული ადამიანი იყო და ქურდულ ბაზარშიც ხშირად იყენებდა სხვადასხვა ცნობილ თუ ნაკლებად ცნობილ ციტატებს...

– ძია ვასია, რას კითხულობ? – ჰკითხა ბრილიანტს ბერძენამ.

– ნიცშეს „ზარატუსტრას“, – მიუგო ბრილიანტმა, – მრავალი წელი ვნადირობდი ამ წიგნზე და გუშინ ერთმა მოხუცმა პროფესორმა მათხოვა სამი დღით.

– ძია ვასია, – ვუთხარი ბრილიანტს, – კიდევ ხუთიოდე წუთი დაგვითმე: ობშჩიაკში ფული უნდა შემოვიტანოთ და მიიღე.

– სამივე ჩემთან შემოდით, – თქვა ბრილიანტმა და ოთახში შეგვიძღვა.

ვასია ბრილიანტი თორმეტ კვადრატულ მეტრ ფართში ცხოვრობდა. მისი მაგარი, ნარის მსგავსი ლოგინი მარცხენა კედელთან იყო მიდგმული, ხელმარჯვნივ კი პატარა კომოდი ედგა, რომელზეც იდო 1900 წელს გამოცემული წიგნი – „ასე იტყოდა ზარატუსტრა“. ოთახში იდგა ორი ტაბურეტი, ყველაზე საოცარი კი ის იყო, რომ კედლების სამი მეოთხედი წიგნებით სავსე თაროებს ჰქონდა დაფარული.

ბრილიანტი საწოლზე ჩამოჯდა. კომოდის უჯრიდან მათემატიკის ასფურცლიანი რვეული ამოიღო, შუაში გადაშალა, კალამი მომარჯვა და გვითხრა:

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | მ | ა | რ | ი | ნ | ე | | ა | | ა | |
| | | | | | | უ | | ლ | | ლ | ი | დ | ე | რ | ი |
| | | | | | | ზ | ი | ა | რ | ი | | ლ | | ე | ლ |
| | | | | | დ | ი | ა | ხ | | ა | მ | ი | ა | კ | ი |
| | | | | | ი | | მ | | ც | | ე | | ი | | ა |
| | | | | | ო | ნ | ა | ბ | ა | | ც | ი | ც | ა | |
| | | | | | დ | ი | ლ | ა | რ | ი | | ტ | ი | რ | ი |
| მ | ე | რ | ა | ნ | ი | | ი | რ | ი | | | ა | ტ | ო | ნ |
| ა | | ი | ნ | ო | | | | დ | ე | მ | ი | რ | ე | ლ | ი |
| ლ | | მ | ი | | ტ | | | ო | ლ | ა | ტ | ი | პ | | ს |
| ა | ვ | ა | ნ | ს | ი | | თ | | ტ | ო | რ | პ | ე | დ | ო |
| | ი | | | ა | რ | ს | ე | ნ | ა | | ო | | რ | | რ |
| ბ | ე | ლ | ა | დ | ი | | ზ | უ | რ | ი | კ | ო | | | |
| ა | | ა | | ლ | ა | ბ | ა | ბ | ი | | ს | ა | დ | ი | ა |
| ნ | ა | რ | ჩ | ე | ნ | ი | | ი | ე | მ | ე | ნ | ი | | ვ |
| ი | მ | ი | ო | გ | | რ | ვ | ა | ლ | ი | | ა | ლ | ი | ლ |
| | რ | | ხ | რ | ა | მ | ი | | ი | რ | ი | დ | ა | ნ | ა |
| | ი | ლ | ე | ძ | ბ | ა | ს | | | ბ | | ნ | | კ | |
| ხ | | ი | ლ | ე | დ | | ი | ა | შ | ი | ნ | ი | | ე | ს |
| ა | ი | ც | ი | ლ | ა | გ | | ი | ა | ს | ა | მ | ა | ნ | ი |
| ლ | | ე | | ო | უ | ე | ნ | ს | ი | | თ | | რ | | ბ |
| ა | მ | უ | დ | | ბ | რ | უ | ნ | ე | ლ | ე | ს | კ | ი | |
| თ | | მ | | ი | დ | ა | ც | ა | ნ | | ლ | | ს | პ | ა |
| ი | ჭ | ი | ნ | | ა | | ა | ლ | ი | | ა | ლ | ი | ს | |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 5 | 7 | 9 | 2 | 6 | 4 | 8 | 1 |
| 8 | 6 | 4 | 1 | 5 | 7 | 3 | 9 | 2 |
| 2 | 9 | 1 | 3 | 4 | 8 | 6 | 5 | 7 |
| 6 | 2 | 5 | 7 | 1 | 3 | 9 | 4 | 8 |
| 1 | 7 | 9 | 8 | 6 | 4 | 5 | 2 | 3 |
| 4 | 3 | 8 | 2 | 9 | 5 | 1 | 7 | 6 |
| 9 | 1 | 3 | 5 | 8 | 2 | 7 | 6 | 4 |
| 5 | 8 | 6 | 4 | 7 | 1 | 2 | 3 | 9 |
| 7 | 4 | 2 | 6 | 3 | 9 | 8 | 1 | 5 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 3 | 6 | 4 | 9 | 2 | 1 | 7 | 5 |
| 2 | 4 | 1 | 8 | 5 | 7 | 3 | 9 | 6 |
| 9 | 5 | 7 | 1 | 3 | 6 | 8 | 4 | 2 |
| 5 | 2 | 3 | 9 | 4 | 1 | 6 | 8 | 7 |
| 6 | 7 | 4 | 2 | 8 | 5 | 9 | 1 | 3 |
| 1 | 8 | 9 | 6 | 7 | 3 | 2 | 5 | 4 |
| 7 | 9 | 5 | 3 | 2 | 8 | 4 | 6 | 1 |
| 3 | 6 | 8 | 5 | 1 | 4 | 7 | 2 | 9 |
| 4 | 1 | 2 | 7 | 6 | 9 | 5 | 3 | 8 |

**„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: 1. ჭკუა – ჭკვიან ძაღლებად. 2. მარიხუანა. 3. ჰერეთი საქართველოში და ჰერათი (ავღანეთში). 4. პარლამენტი. 5. ელიზაბეთ უინძორი – დიდი ბრიტანეთის დედოფალი. 6. პინოქიოსი. 7. „მოდით ლოცვაზე“. 8. მაიკ ტაისონის – თავის მოწინააღმდეგეს ყური მოაჭამა. 9. სირანო დე ბერჟერაკს – გრძელი ცხვირი. 10. ქინინსა და კაუჩუკს.**

– აბა, რამდენი შემოგაქვთ?

ბერძენამ ასმანეთიანების ოთხი დასტა კომოდზე დააწყო და უთხრა:

– ორმოცი ათასი მანეთია. სამ თვეში კიდევ სამასი ათასს შემოვიტანთ.

ბრილიანტმა შემოგვხედა, გაეცინა და გვითხრა:

– ყოჩაღ, ძმებო, მაგარი კუში აგიღიათ!

ქურდული კანონების მიხედვით, ობშჩიაკში შესატანი თანხის წარმომავლობას ქურდებს არ ეკითხებოდნენ. კითხვებს მხოლოდ იმ შემთხვევაში სვამდნენ, თუკი ეჭვი გაჩნდებოდა, რომ ეს ფული არაქურდული გზით იყო მოპოვებული, მაგალითად, კაცის კვლით... ბრილიანტს ამიტომაც არ უკითხავს, საიდან ამდენი ფულიო, მაგრამ, ძია ვასიასთან რა გვქონდა დასამალი და ბერძენამ უთხრა:

– სამი დღის წინ ერთი მოსკოველი ანტიკვარი გავქურდეთ და დიდი კუში ავიღეთ. ორმოცდაათი ნაჭერი ბარიგამ წინასწარ მოგვცა. კიდევ ოთხას ორმოცდაათს სამ თვეში გადაგვიხდის.

– მაშ, ეს თქვენ დაბომბეთ მოშე რივკინის ბაითი?

– ჩვენ, ძია ვასია, – მიუგო ბერძენამ.

– მაგრად გიჩალიჩიათ, ყოჩაღ! მახვილგონივრული მოფიქრებაა ლიფტების გაჭედვა. ამ ამბავზე უკვე მთელი საბჭოთა კავშირი ლაპარაკობს. მაგრამ, საშიშიცაა, რადგან, „ძაღლების“ ყურამდეც მივიდა და გეძებენ.

– რივკინმა იჩივლა? – ვკითხე ბრილიანტს.

– არა. რივკინმა ვიღაც ნასედკას სთხოვა დახმარება, იმან კი „მურში“ მიიტანა ინფორმაცია და მურელები გეძებენ. ამიტომ, ძალიან ფრთხილად უნდა იყოთ, შეიძლება, ფსკერზე დაწოლაც კი მოგიწიოთ, – გვითხრა ბრილიანტმა და იკითხა: ტავარი რომ მიუტანეთ, ის ბარიგა რა მასტია?

– ძალიან ეშმაკია და ვერაფერს ათქმევინებენ. თანაც, თვითონვე გვირჩია, არ იგრიალოთ და არ დაიწვათო, – ვუთხარი ბრილიანტს.

– ნაკოლშჩიკი ვინაა?

– რივკინის ყოფილი ცოლის დისშვილია, – თქვა ბერძენამ, – ოცდაექვსი წლის ბიჭია. ათწლიანი სროკი აქვს მკვლელობის მცდელობისთვის – თავისი საცოლის კავალერი დაჩეხა. რივკინის ნაკოლი კი იმიტომ მომცა, რომ, ამბობდა, არ დამეხმარა ციხიდან დახსნაშიო. ბურიატიის სტროგაჩებში ზის და იქ გავიცანი.

– „ძაღლები“ აუცილებლად მიაგნებენ მას, შეაჯანჯღარებენ და თქვენზე გამოვლენ. ამიტომ, სასწრაფო ზომები უნდა მივიღოთ, – თქვა ბრილიანტმა.

– რა ზომები? – ერთდროულად ვიკითხეთ მე და ბერძენამ.

– ბიჭი ზონიდან უნდა გავაპაროთ და გადავმალოთ, მერე კი დრო გვიჩვენებს. დღესვე გავგზავნი ზონაში ქსივას და უახლოეს დღეებში ეს პრობლემა მოგვარდება, – თქვა ბრილიანტმა, დაფიქრდა და დაამატა: კიდევ ერთი საშიშროებაა და, თუ უკვე დაგვიანებული არ არის, მაშინ ეს პრობლემა უახლოეს საათებში უნდა მოვაგვაროთ.

– რა საშიშროება? – ვკითხე ბრილიანტს.



– რა და, თუ მურელებს იმ ორი ლიფტიორ-მექანიკოსისთვის თქვენი ფოტოები ჯერ არ უჩვენებიათ, აუცილებლად აჩვენებენ, ამიტომ, ლიფტიორების გაჩერებაა აუცილებელი, რომ არ ამოგიცნონ. მე ახლავე დავუკავშირდები მოსკოვში საჭირო ხალხს და ყველაფერს გაარკვევენ. თუ უკვე გვიანაა და დამწვრები ხართ, ამასაც შევიტყობთ და ფსკერზე დაწოლა მოგიწევთ. თუ ყველაფერი რიგზე იქნება, მაშინ, ნაკოლშჩიკს გავაპარებთ და გადავმალავთ.

– სამ თვეში კი ეს ბიჭი თავის წილ ასი ათასს მიიღებს, – თქვა ბერძენამ და დაამატა, – ასი – მაგას, სამასი – ობშჩიაკში, დარჩენილი ოთხმოცდაათიდან – ცოტა მე და კობრას, დანარჩენი კი – გაჭირვებულებს.

– გაჭირვებულებს... კარგი ნათქვამია, – თქვა ძია ვასიამ და ორმოცი ათასი მანეთი გადაითვალა. შემდეგ ქურდული ობშჩიაკის საბუღალტრო რვეულში ჩანაწერი გააკეთა, ფული კომოდის დიდ უჯრაში შეინახა დანარჩენ თანხასთან ერთად და თქვა:

– ობშჩიაკმა მილიონს გადააჭარბა!

ძია ვასიამ რიტა იხმო, დაარიგა და ქალაქში გაისტუმრა, ჩვენ კი გვითხრა:

– მოსკოვში დარეკავს, ლიფიტორების ამბავს გაარკვევს და რამდენიმე საათში პასუხს მოიტანს. ახლა კი დაისვენეთ, დაღლილები ხართ.

მე და ბერძენას საღამოს ცხრა საათისთვის გამოგვეღვიძა. რიტა უკვე მოსული დაგვხვდა და ბრილიანტმა გვითხრა:

– გაგიმართლათ, ძმებო! ლიფტიორები დაკითხეს, მაგრამ, თქვენი სურათები არ უჩვენებიათ. ჩვენებმა მათ უკვე გადაუხადეს 3-3 ათასი და ენაზე კბილის დაჭერა უბრძანეს. ახლა იმ ბიჭის გაპარებაღა დაგვრჩა, თუ, რა თქმა უნდა, ბარიგა არ ილაყბებს და ყველაფერი რიგზე იქნება.

– არ ილაყბებს, ძია ვასია, კერკეტი კაკალია. ერთხელ სახლში ყაჩაღები დაადგნენ და გააუთოეს, ლამის სული გააძრეს, მაგრამ, კაპიკიც ვერ გააგდებინეს, – ვუთხარი ბრილიანტს.

– ჰოდა, ძალიან კარგი. ახლა ვივახშმოთ და, თუ გაგისწორდებათ, ცოტა ანაშითაც დავბოლდეთ, – გვითხრა ბრილიანტმა და დაამატა: ძალიან იშვიათად ვბოლდები, ზოგჯერ, როცა გამისწორდება. წამალს და მსგავს მაიმუნობას კი ვერ ვიტან და არც ასეთ ხალხს ვცემ პატივს.

– ჩვენც ამ აზრზე ვართ, ძია ვასია, ანაშასაც თითქმის არ ვეწევით, – ვუთხარით ბრილიანტს, მან კი გვითხრა:

– ათასში ერთხელ არა უშავს, მოდუნდებით და კარგ ხასიათზე დადგებით.

ვახშმის შემდეგ ვერანდაზე გავედით და სავარძლებში მოვკალათდით. რიტამ ანაშით შეკეთებული „ბელამორი“ მოიტანა, ბრილიანტს მისცა და უთხრა:

– ტაგანროგელების გრევია. ასე მითხრეს, ერთმა კაცმა ოთხზე მეტი არ მოქაჩოსო.

ბრილიანტმა პაპიროსი შეაფეთქა, წრეში ორჯერ გავუშვით და ათი წუთის შემდეგ ოთხივე ანაშის ბურუსში გავეხვიეთ...

როსტოვში კიდევ ორი დღე გავჩერდით და ძია ვასიას გვერდით გატარებული დრო ჩვენთვის ნამდვილ ქურდულ მასტერკლასად გადაიქცა. გამოუცდელი ქურდი არც ერთი არ ვიყავით, მაგრამ, შავი სამყაროს ამ დიად მაესტროში დავინახეთ ქურდის ის იდეალი, რომლისკენაც ყველა ძმა უნდა ისწრაფოდეს...

ამ უბრალო, ერთი შეხედვით, არაფრით გამორჩეულ კაცს ჰქონდა ისეთი ქარიზმა, რომელიც ათეულ ათასობით ადამიანს აიძულებდა, მის სიტყვას დამორჩილებოდა. ბრილიანტის ერთ სიტყვას იმაზე არანაკლები ძალა ჰქონდა, ვიდრე ძლევამოსილი არმიის მთავარსარდლის ბრძანებას, რამეთუ, ძია ვასია იყო იმ არმიის მთავარსარდალი, რომელსაც „შავი სამყარო“ ჰქვია და, ბრილიანტის ერთ სიტყვას ამ არმიის მყისიერი მობილიზება შეეძლო...

– ნახვამდის, ძმებო! მშვიდობით გევლოთ და ღმერთი გფარავდეთ! – გვითხრა ვასიამ, როცა როსტოვს ვტოვებდით.

– სამ თვეში შენთან ვართ, ძია ვასია, – უთხრა ბერძენამ ბრილიანტს, მას კი გაეღიმა და მიუგო:

– ღმერთმა ქნას, ისევ შევხვდეთ ერთმანეთს. თუ არა და, კეთილ საქმეს უჩემოდაც იზამთ.

ვასია ბრილიანტს თითქოს გული უგრძნობდა, რომ სამი თვის შემდეგ ველარ ვნახავდით. როსტოვში რომ ჩავედით და ქურდულ სალაროში შესატანი თანხა და ნაკოლშჩიკისთვის გადასაცემი ფული ჩავიტანეთ, ძია ვასია ორი კვირის გასროკილი იყო. ქურდულ მალინაში კი ბოხხმიანი რიტა დაგვხვდა და გვითხრა:

– ბრილიანტი ჯიბეზე ააგდეს. „ძაღლებმა“ უნივერმაღში დიდი სპექტაკლი დადგეს მის დასაჭერად და კარგადაც გამოუვიდათ: ორასი მყიდველიდან ორასივე „ძაღლი“ იყო და, ვინც არ უნდა გაეპარსა, მაინც ჩაავლებდნენ. მოკლედ, ხუთწლიანზე გაუშვეს და ახლა იაკუტიაშია, სტროგაჩებში. ქსივებს გზავნის, რომ კარგადაა. დღეს დილითაც მივიღე ქსივა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# ყველა კაცი ერთნაირია

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №12-32(658)**

### უმადური სქესი

გიგი დივანზე, თავქვეშ ხელებამოწყობილი იწვა და ფიქრობდა. კარზე ზარის ხმა არ გაუგია. მხოლოდ მაშინ წამოიზლაზნა, როცა სტუმარმა მის ოთახში შეაბიჯა.

– ვა, ზუკა?! რა გაგჭირვებია, სახლში რომ მომადექი? ეტყობა, ძალიან დაგჭირდი, თორემ, შენი ამბავი რომ ვიცი, ამ შაბათ დღეს მყუდროებას არ დამირღვევდი.

– ტყუილად დამცინი. რა არის იმაში ცუდი, ადამიანების შეწუხება რომ არ მიყვარს?! – ზუკამ ამოიოხრა და დივანის კიდეზე ჩამოუჯდა, – თუმცა, მართალი ხარ, გამიჭირდა... ლიზა გაქრა.

– მოიცა, როგორ, თუ გაქრა?! გაეცინა გიგის, – აორთქლდა თუ შენი ცხოვრებიდან დაახვია? თუ მეორე ვარიანტია, არაფერი გაქვს სანერვიულო. ჭკვიანი ქალი ყოფილა – მიხვდა, როგორ გაართულე ყველაფერი და თვითონვე მოგცილდა.

– მომცილდა? შენ გესმის, რას ლაპარაკობ?

– როგორ არა, ძალიან კარგად მესმის. რა სჯობია, როცა პრობლემა თავისთავად გვარდება.

– ლიზა ჩემთვის პრობლემა არ არის! – იყვირა ზუკამ.

– ჰმ, ეგეთი ქალი ყოველთვის პრობლემაა. ჯერ, ზოგადად, ქალია პრობლემა და, მით უმეტეს – განებივრებული და მბრძანებლობას შეჩვეული.

– როგორც უნდა იყოს, მიყვარს. თუ, საერთოდ ვერ ხვდები, რა არის სიყვარული?! – ლამის ატირდა ზუკა.

– ისტერიკებს ნუ აწყობ! – წარბი შეიკრა გიგიმ, – მაგისთანა რაღაცას ქალისგან ვერ ვიტან. ცოტა აზრზე მოდი, რა! ეგ ახლა გიყვარს, მაგრამ, გარანტიას ვიძლევი, ერთად ცხოვრებას დაიწყებთ თუ არა, მაშინვე გაგივლის მწველი ვნებები. შენნაირები ყოფილან?! იცი, სიყვარული როგორი მყიფეა?! პირველივე რიფზე იმსხვრევა.

– შენი და ნინის სიყვარულით თუ მსჯელობ და იქიდან გამოგაქვს ასეთი ორიგინალური დასკვნები, შენი აზრი საერთოდ არ მაინტერესებს. შენ ხომ საერთოდ ვერ ხვდები ამ გრძნობის მნიშვნელობას.

– რატომ, ისტერიკაში რომ არ ვვარდები, იმიტომ გამოგაქვს ასეთი დასკვნა? მაშინ, აქ რატომ მოხვედი, თუ ჩემი აზრი არ გაინტერესებს, იმისთვის, რომ გამლანძღო?

– არა. მომაძებნინე... – მუდარით ჩაილაპარაკა ზუკამ.

– მდაა... შენ, მგონი, სულ აურიე. ჯერ ერთი, რომელი შერლოკ ჰოლმსი მე მნახე და, მეორეც – ბიჭო, თუ არ უნდიხარ იმ ქალს?!

– შენ რა იცი, რომ არ ვუნდივარ? – უკან არ დაიხია ზუკამ.

– ვიცი. ეტყობა. ქმარი ჰყავს და იმასთან ურჩევნია. გაერთო შენთან და დაამთავრა – ეს ელემენტარული ჭეშმარიტება როგორ ვერ უნდა გაიგო?

– მიყვარს და, მინდა, ერთად ბედნიერები ვიყოთ, შვილი გამიჩინოს, ოჯახი გვქონდეს...

გიგიმ სიბრალულით შეხედა მეგობარს და სინანულით გადააქნია თავი:

– ვახ, რა გეშველება? ძალიან მძიმე შემთხვევაა. შვილი უნდა, თურმე, ბიჭს და საყვარელი არ უჩენს. მაგ ლიზას საერთოდ ჰყავს შვილი?

– ჩემგან როგორ ეყოლება, ჯერ ხუთი თვეა, რაც ვიცნობ.

– შენგან არა, ჭკუათმყოფელო, ქმრისგან თუ ჰყავს-მეთქი.

– არა.

– ხედავ?!

– რას ვხედავ, ამით რისი თქმა გინდა?

– იმის, რომ მას შვილი არაფერში სჭირდება. მერე როგორ ივლის ევროპაში საყიდლებზე? სასტუმროდან სასტუმროში საყვარლებთან ერთად როგორ იგულავებს? თვალები გაახილე, რა!..

– იმ ვარიანტს გამორიცხავ, რომ შეიძლება, იმ კაცისგან არ უნდა შვილი?

– არ გამოვრიცხავ, მაგრამ, ეს მაგ შენს ლიზას ღირსებას არ ჰმატებს. ქალი იმისთვის თხოვდება, რომ შვილი გააჩინოს და, როგორც თავად ბრძანე, ბედნიერი ოჯახი შექმნას. ანუ, რა გამოდის?

– კარგი, რა... მალე იმასაც მეტყვი, რომ ლიზას კუდი და რქები აქვს.

– ეგ შენ უნდა იცოდე... – გაიცინა გიგიმ.

– ესე იგი, არ მეხმარები, – ამოიოხრა ზუკამ და ხელი ჩაიქნია, – ასეც ვიცოდი.

– ვაიმე, აბა, რას ვაკეთებ? დამიჯერე, მოეშვი მაგ ქალს. კიდევ გიმეორებ: მიხვდა, რომ არაფერში სჭირდები და თვითონ დაგანება თავი.

– მე უფრო სხვა რაღაც მგონია და ძალიან მეშინია... – ზუკას ისეთი სახე ჰქონდა, რომ გიგიმ გაღიმება ვერ გაბედა.

– გინდა, დედაჩემს ვეტყვი და ყავას მოგიდუღებს. ცოტა დამშვიდდები და საღად იაზროვნებ.



– ძალიან საღად ვაზროვნებ და არც ყავა მინდა, მით უმეტეს, დედაშენს ვერ შევაწუხებ, ისედაც დილაადრიან დაგესხით თავს.

– შენ მაგაზე ნუ იდარდებ, დედაჩემი ადრე ილვიძებს. ყავა კი მეც არ დამილევია. ცოტა ხანს დამელოდე...

ოთახში დაბრუნებულ გიგის ზუკა ღია ფანჯარასთან, სიგარეტის წევაში გართული დაუხვდა და შუბლშეკრული და თვალგაშტერებული, დარდიანი კაცივით ოხრავდა.

– ჩამოდი, ბიჭო, მაგ ფანჯრის რაფიდან და ნუ გავიწყდება, რომ მეთორმეტე სართულია, თავს არაფერი აუტეხო.

– ნუ გეშინია, ფანჯრიდან გადახტომას არ ვაპირებ, ყოველ შემთხვევაში – ჯერჯერობით.

– დიდი შეღავათია, მომეშვა. აბა, რისი შიში მოგეძალა?!

– თუ მაგ პათეტიკას მოიშორებ, უფრო გამიადვილდება თქმა, წარბი შეიკრა ზუკამ, – ლიზას ვუთხარი, დროა, ქმარს გაშორდე-მეთქი. ვთხოვე, დალაპარაკებოდა და ჩვენი ურთიერთობისთვისაც ფარდა აეხადა – მე ხომ მისი ცოლად შერთვა მაქვს გადაწყვეტილი... ახლა ვშიშობ, ქმარმა სერიოზული პრობლემები ხომ არ შეუქმნა. თუ ეს ასეა, ჩემი ბრალი იქნება და ამას ვერ გადავიტან.

გიგის ყავა გადასცდა და ხველა აუტყდა. სული რომ მოითქვა და ცრემლიანი თვალები ხელისგულით მოიწმინდა, გაშტერებულ ზუკას ჰკითხა:

– შენ მართლა გგონია, რომ ლიზა გაიქცა და ქმარს ჩაუკაკლა ყველაფერი? ვაიმე, როგორი სულელი ხარ!.. ბიჭო, ისევ შენგან ვიცი, რომ ძალიან მდიდარი ქმარი ჰყავს და ყველა სურვილს უსრულებს. რომელი ქალი გინახავს მდიდარი ქმრისგან გამოქცეული? სწორედ შენ გამო მიატოვებს ფუფუნებას, კომფორტს და შენს ხელფასს დასჯერდება!.. მართლა, რამდენი გაქვს ხელფასი?!

– მაგას რა მნიშვნელობა აქვს?

– ზუკა, შემომხედე... სიყვარულმა ასე როგორ გამოგაშტერა? ქალი ეიფელის კოშკის წინ ფრანგული კრუასანის ჭამას არის დაჩვეული საუზმეზე – შევიდეს რა, ეს შენს ტვინში! ამევსო მოთმინების ფიალა! – აღშფოთდა გიგი.

– ბედნიერება არც ეიფელის კოშკშია და არც ფრანგულ კრუასანში, – თავი გადააქნია ზუკამ.

– მაგას შენით მიხვდი თუ ლიზამ გითხრა?

– ლიზამ მითხრა.

– ჰოდა, მაგიტომაც ხარ სულელი. ხომ არ მინახავს ეგ ლიზა, მაგრამ, ზუსტად ვიცი, რა ჩიტიცაა.

– ლიზაზე ასე ნუ ლაპარაკობ, გიკრძალავ!

გიგიმ ამოიოხრა:

– რა მარტივად გქონია ტვინი მოწყობილი. სიყვარულში ბედნიერებას მარტო შენ პოულობ. თუმცა, ახლა რომ გიყურებ, შენც ვერ პოულობ.

– ესე იგი, პრობლემებთან პირისპირ მარტო მტოვებ?

– არაფერს მიჯერებ და რა ვქნა?! იმასაც ვერ ვხვდები, ჩემგან რას ითხოვ. რა გინდა, რომ გავაკეთო, პოლიციაში წამოგყვე და განვაცხადოთ, რომ საყვარელი დაკარგე?

– გიგი, მეგონა, შემეძლო, რთულ სიტუაციაში შენი იმედი მქონოდა. კარგია, ის მაინც გავიგე, რომ მარტო ვარ და როგორმე მივხედავ საკუთარ პრობლემებს.

გიგი მეგობართან მივიდა და მხარზე დაადო ხელი:

– მოიცა. ნუ ბრაზობ. ჩემი იმედი უნდა გქონდეს, აბა, რისთვის ვარ?! უბრალოდ, მართლა ძალიან მწყდება გული, რომ ის არ შეგიყვარდა, ვინც საჭიროა. ქალები ყველანი ერთნაირები არიან. მართალია, მათ შორისაც არიან გამონაკლისები, მაგრამ მათი უმრავლესობა არასდროს არაფრით არ არის კმაყოფილი. მათ არ იციან, რა უნდათ, უფრო სწორად, ყველაფერი ერთბაშად უნდათ. მოკლედ, თუ დღეს ნახევარ სამყაროს აჩუქებ, ხვალ მეორე ნახევარსაც მოითხოვენ და თან საშინელ ისტერიკასაც მოაწყობენ, თუკი სურვილს ვერ შეუსრულებ. გეხვეწები, რადგან იმ ლიზამ ქმართან ამჯობინა დარჩენა, პატივი ეცი მის გადაწყვეტილებას და ნუღარ შეაწუხებ.

– უნდა დავრწმუნდე, რომ კარგად არის.– გადაჭრით განაცხადა ზუკამ.

გიგიმ ხელები გაშალა და სავარძელზე მოწყვეტით დაეცა:

– ვაიმე, ზუკა, ჭკუიდან არ გადამიყვანო! კარგად არის კარგად!

– არა, უნდა დავრწმუნდე. ნომერს გეტყვი და შენი ტელეფონიდან დაურეკე.

გიგიმ ამოიხვნეშა.

– კი მაგრამ, შენ თვითონ რატომ არ ურეკავ?

– ჩემს ტელეფონს არ პასუხობს-მეთქი, არ გითხარი? აბა, რისთვის მოვედი აქ?

– ჯანდაბას, მითხარი ნომერი და მობილურიც მომაწოდე...

* * *

ლიზამ თვალები მოწკურა, ფინჯანი ტუჩებთან მიიტანა და ყავა მოსვა. ქეთი ნერვიულად ეწეოდა სიგარეტს.

– ვერ გავიგე, კიდევ რა უნდა გავაკეთო, რომ ჩემმა ქმარმა აღიაროს, როგორ გაუმართლა ცხოვრებაში, – ნაფაზს ამოაყოლა ქეთიმ და ამოიოხრა, – ერთ მადლობას ვერ ეღირსები მაგისგან. რომ ჰკითხო, იდეალური ქმარია და მე ვერ ვაფასებ, ყველა სიტუაციაში ვპოულობ ჩხუბის მიზეზს და, მარტო საკუთარ თავს კი არ ვუქმნი პრობლემებს, არამედ, მასაც. რატომ არ ესმით ამ კაცებს, რომ ჩვენ მშვიდი ცხოვრება უფრო მოგვწონს და გვინდა?! საერთოდ არ ამოვიღებდი ხმას, საქმეს რომ ეშველებოდეს, მაგრამ... – ქეთიმ ისევ ამოიოხრა.

– ეგენი ყველანი ერთნაირები არიან, გამონაკლისების გარეშე, – დაასკვნა ლიზამ, – მანამდე გეგებიან ფეხქვეშ, სანამ ყურადღებას არ აქცევ, მერე კი ეგრევე თავში უვარდებათ და ბლატაობენ. არასრულფასოვნების კომპლექსი აწუხებს ყველას.

– არასრულფასოვნების კომპლექსი არ ვიცი, მაგრამ, ვახო რომ მალე ჭკუიდან შემშლის, ფაქტია. საერთოდ აღარაფერში არ უნდა მონაწილეობის მიღება, სახლში ყველა პრობლემა მე გადმომაბარა. მანქანის ხელოსნებთანაც კი მე დავრბივარ. გუშინ ზეთიც მე ჩავამატე. ლოგიკა რკინისებური აქვს: ვინც ხმარობს მანქანას, იმან მიხედოსო. ვერ გავიგე, ეს პრინციპი მარტო მანქანაზე რატომ ვრცელდება?!

ნინის, რომელიც აქამდე ჩუმად იჯდა სიცილი აუტყდა.

– ვაიმე, რა მაგარია!.. ანუ, გინდა, რომ შენზეც გავრცელდეს?! პრინციპში, მართალი ხარ!

ქეთისაც გაეღიმა

– ჰო, აბა რა, მეც ხომ უნდა მომხედოს ვინმემ?!

ლიზამ გაოცებით შეხედა ორივეს:

– რა ხდება, რამ გაგამხიარულათ?

– ვერ მიხვდი? – აკისკისდა ნინი, – ანუ, თუ მანქანას მარტომ უნდა მივხედო, იმიტომ, რომ მე ვხმარობ, მაშინ, მეც იმან მომხედოს, ვინც... ახლა გაიგე?!

– უი, ჰოოო... – აკისკისდა ლიზაც, – აბა, რა, თანაც, ძალიან მაგრად უნდა მოგხედოს, აბა, რისთვის გინდა ქმარი და, საერთოდ, მამაკაცი?!

– ჰმ... იმიტომ, რომ წინდები დაურეცხო, ფეხსაცმელები დაუწმინდო, მთელ სახლში მოფენილი მისი ნივთები დაალაგო, აჭამო, ტელევიზორთან რომ ზის, ფეხის წვერებზე იარო, საერთოდ დამუნჯდე, როცა შენი მოსმენა არ სიამოვნებს, მის ძმაკაცებსა და ნათესავებს ღიმილით დახვდე, მოგწონს ისინი თუ არა... შვილი გაუზარდო, თანაც, ყურადღება უნდა მიაქციო, რომ ბავშვმა მყუდროება არ დაურღვიოს... არაფერი მოითხოვო, სალონში ხშირად არ იარო და სეზონზე, მაქსიმუმ, ორი წყვილი ფეხსაცმლით დაკმაყოფილდე... – ჩაიბუნბულა ქეთიმ და ამოისუნთქა, – გავაგრძელო?

– აუუუ, შენ რა შარში ყოფილხარ?! – წაუსტვინა ლიზამ, – ასეთი ცუდი ქმარია ვახო? პარიზში რომ არაფერი შემინიშნავს?!

– ვახო რა შუაშია, ზოგადად, ყველა ქართველი ქმარი ასეთია. იცი, რა მაცოფებს? ზუსტად იცის, ნერვები რაზე მეშლება, მაგრამ, მიზანმიმართულად განაგრძობს ჩემს ნელნელა მოშლას. მერე ისევ ჩემ მიმართ აქვს პრეტენზია – მჩხავანა კატა ხარო. ვერ გავაგებინე, რომ კატას ზურგზე ხელს თუ გადაუსვამ, მაშინვე აკრუტუნდება, კუდზე კი არ უნდა დაადგა ფეხი, რომ თვალები ამოგკაწროს. არადა, სხვებს რომ უარესებიც ჰყავთ?!

– უარესში რას გულისხმობ, ცემას? – დაინტერესდა ნინი.

ქეთიმ ხელები გაასავსავა:

– უი, ცემა უკიდურესი ფორმაა, მაგას არც კი ვუშვებ. უბრალოდ, ვახოს აქვს დადებითი თვისებები, მაგრამ, მათ მხოლოდ მაშინ ავლენს, როცა კულმინაციამდე მომიყვანს. თუნდაც პარიზში წაყვანა ავიღოთ. როცა მიხვდა, რომ ზღვარზე ვიყავი, ეგრევე გამანეიტრალა. მოკლედ, არ ვიცი, რა უკეთესია – გყავდეს ქმარი თუ საერთოდ არ გყავდეს.

– არ ვიცი, მე ჯერ მარტო შეყვარებული მყავდა, – მხრები აიჩეჩა ნინიმ, და იმანაც ისე გადამრია, კაცის ხსენებაც აღარ მინდა. წარმომიდგენია, ქმარი რომ ყოფილიყო და ისე მოქცეულიყო, როგორც მოიქცა, რა დამემართებოდა.

– ვახომ მითხრა დღეს დილით: ტიბეტელი ბერების მშურს, ისინი ნირვანაში არიან და ერთი მუჭა ბრინჯიც აკმაყოფილებთ, – მაგრამ, დარწმუნებული ვარ, მათ სიახლოვეს ქალმა რომ გაიჭაჭანოს, ვერანაირი ნირვანა ველარ გამოვაო.

– ნირვანა რა არის? – გულუბრყვილოდ იკითხა ლიზამ და იქვე დაამატა: ტიბეტში კი სიამოვნებით წავიდოდი. იქ, თურმე, ერთი ტაძარია, მიხვალ და, რასაც ჩაუთქვამ, ეგრევე აგისრულდება. მაგარია, ხო? ერთხელ ლევანს ვთხოვე, წამიყვანე ტიბეტში-მეთქი და, – ვერაო, ვიზას არ მოგცემენო. ბოროტი!.. არ მოინდომა, თორემ... – ლიზამ „აყვირებულ" მობილურს დახედა და შეიჭმუხნა: ისევ რეკავს. რატომ ვერ გაიგო ამ ბიჭმა, რომ ახლა მაგასთან სიყვარულობანას თამაშის გუნებაზე არ ვარ? ორი დღეა, გადაბმულად მირეკავს.

– მერე, უპასუხე და უთხარი, რომ ცოტა ხანს არ გცალია. – ურჩია ქეთიმ

– არა, არ შემიძლია. ერთი სიტყვით მაგას ვერაფერს გავაგებინებ, ბევრი ახსნის თავი კი არ მაქვს.

– აბა, როდემდე უნდა რეკოს. ვერ ხედავ, რომ არ ჩერდება?! – უთხრა ნინიმაც. ლიზამ მობილურის ეკრანს დახედა და ტელეფონი ნინის გაუწოდა.

– აუ, შენ უპასუხე, რა!.. ძალიან გთხოვ, აუხსენი, რომ ახლა მასთან ლაპარაკი არ შემიძლია.

– მე? რანაირად? არც კი ვიცნობ.

– გოგო, მაგას რა მნიშვნელობა აქვს? მიდი, თორემ, ეს მართლა არ გაჩერდება, –



ლიზამ თითქმის ძალით მიაჩეჩა ნინის მობილური და ყელიც გამოიგლიჯა ორი თითით – აქაოდა, უარი არ მითხრაო.

– გისმენთ! არა, ლიზა ახლა დაკავებულია. რა თქმა უნდა, კარგად არის, რა უნდა უჭირდეს? ზურას მეგობარი ხართ? კარგი, გადავცემ...

ნინიმ ლიზას შეხედა.

– რაო? – თითქმის ერთხმად ჰკითხეს ლიზამ და ქეთიმ

– ზურას მეგობარი ვარ, ხომ ნამდვილად კარგად არის და არაფერი უჭირსო. მინდა, დავრწმუნდეო. გადაეცით, რომ ზურა ნერვიულობს მასზეო...

– სულელი, რა უნდა მიჭირდეს? – ჩაეცინა ლიზას.

– რა ვიცი... – ნინის დაბნეული და გაოცებული სახე ჰქონდა, – გოგო, ძალიან ნაცნობი ხმა ჰქონდა... ისეთი ნაცნობი, რომ... არა, შეუძლებელია, ეტყობა, მომეჩვენა...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**




ერდო ჯგუფი

როდესაც ომი
დამთავრდა,
კრიზისი დამთავრდა
და არჩევნები დამთავრდა
მაშინვე ბულბულის
და ტოროლას სტვენასავით
გაისმა ტელეფონის ზარები:
ალო,
მიწა მინდა
7 მილიონი მაქ
ალო,
მაღაზია მინდა
1 მილიონი მაქ
ალო,
ბინა მინდა
500 000 მაქ
ალო.................................

მარიკა 599 24 28 31

# გიყვართ გულწრფელობა?

*ტესტი მარტივია, მაგრამ, გულახდილი. შეიძლება, გინდათ, რომ იყოთ გულახდილი, თუმცა, ყოველთვის როდი გამოგდით. ერთი სიტყვით, ეს ტესტი ცოტათი დაგეხმარებათ.*

შეკითხვებს უპასუხეთ „კი“ ან „არა“:

**1. გშურთ მდიდარი ადამიანების?**
**2. გძულთ თქვენი რომელიმე ნათესავი?**
**3. ხშირად მგზავრობთ უბილეთოდ?**
**4. ადვილად შეგიძლიათ სკანდალის მოწყობა?**
**5. შეგიძლიათ, ხალხში უცერემონიოდ მოიქცეთ?**
**6. ფრჩხილებს იკვნეტთ? ან, გაქვთ სხვა მავნე ჩვევა?**
**7. ხშირად ცრუობთ და ეს დისკომფორტს არ გიქმნით?**
**8. გინატრიათ სხვისი სიკვდილი ან სხვა რამე უბედურება?**
**9. გიყვართ გემრიელად ჭამა და მერე ეს პრობლემას გიქმნით?**
**10. დაგიყრიათ ნაგავი ქუჩაში?**
**11. გინახავთ ეროტიკული სიზმრები?**
**12. აგიღიათ სხვისი ნივთი დაუკითხავად?**
**13. ბილწსიტყვაობისგან თავს ვერ იკავებთ?**



**14 უშვებთ თუ არა, რომ ღალატი შეგიძლიათ?**
**15. თქვენი ბრალია უსიამოვნებები ოჯახში?**

ნახეთ შედეგები: *ყოველ დადებით პასუხზე დაიწერეთ 2 ქულა. უარყოფითი პასუხისთვის კი – 0 ქულა.*

*0-12 ქულა: თქვენ გაქვთ უნარი, საკუთარი უარყოფითი თვისებების შესახებ ხმამაღლა ისაუბროთ. არ ცდილობთ, ადამიანებს ისეთი ეჩვენოთ, როგორიც არ ხართ სინამდვილეში. საკუთარ შეცდომებსაც თამამად აღიარებთ. ერთი სიტყვით, სრულფასოვანი პიროვნება ხართ, ღირსეული და სანდო.*

*13-22 ქულა: თქვენ ან მართლაც იდეალური ხართ, ან ბოლომდე არ იხსნებით, თამაშობთ და ზოგჯერ ეს კარგადაც გამოგდით. იქნებ, არც ტესტის შეკითხვებისთვის გიპასუხიათ გულწრფელად?!*

*23-30 ქულა: თქვენ ხომ ტესტის გარეშეც იცით, რომ ძალიან იშვიათად ხართ გულწრფელი. ეს თქვენი პირადი საქმეა – ყველა თვითონ ირჩევს, როგორ იცხოვროს. გულწრფელობა აშკარად არ არის თქვენი თვისება. იქნებ, ის, უბრალოდ, არც გჭირდებათ?!*

## ვინ „ღასვა“ მსოფლიო ნარკოტიკებზე

ჩინეთის იმპერიაში ნარკოტიკები უძველესი დროიდან იყო აკრძალული. მაგრამ ინგლისურმა ოსტ-ინდურმა კამპანიამ ადგილობრივი კანონები უგულვებელყო და მარტო 1820 წელს ჩინეთში 309 ტონა ოპიუმი შეიტანა, 1835 წელს – კი 1 500 ტონაზე მეტი... მერე უკვე იაფფასიანი ნარკოტიკით ვაჭრობა ლამის ნებისმიერისთვის გახდა ხელმისაწვდომი.

1837 წლისთვის ჩინეთის მთელი იმპორტის 57 პროცენტს სწორედ ოპიუმი შეადგენდა და შრომისუნარიანი მოქალაქეების 90 პროცენტი „წამალზე“ „შეჯდა“. ცხოვრების დონე დაეცა. მებაჟეები უზარმაზარ ქრთამს იღებდნენ. ჩინეთის მთავრობამ გადაწყვიტა, რადიკალური ზომები მიეღო და 1839 წელს ოპიუმის უზარმაზარი ტვირთი დააპატიმრა. პასუხად ინგლისმა ომი დაიწყო...

ინგლისელებმა დაიპყრეს ჰონკონგი და კიდევ რამდენიმე კუნძული. ჩინეთის მთავრობამ თავდაცვა და მტრის შეჩერება ვერ შეძლო. მან კაპიტულაცია გამოაცხადა. „ოპიუმის ომის“ შედეგად ჩინეთმა ინგლისს ჰონკონგი დაუთმო. გახსნა ხუთი პორტი უცხოური გემებისთვის და 9 მილიონი დოლარი ჯარიმა გადაიხადა, იმ განადგურებული ოპიუმის სანაცვლოდ.

1854 წელს ინგლისელებმა ჩინეთს მოსთხოვეს, უზრუნველეყო ბირმასა და ინდოეთში ჩინეთის გავლით ოპიუმის ლეგალიზებულად გატანა. ჩინეთი ყოყმანებდა. მალე მას საფრანგეთიც შეუერთდა. ჩინეთმა ისევ წააგო. ნარკოტიკების ბრუნვას აღარაფერი უშლიდა ხელს!.. ევროპაში ოპიუმის ბუმი დაიწყო!..

## ჩქარი, როგორც კუ...

ალბათ, არც იცით, რომ 2000 წლიდან მოყოლებული, ყოველ 23 მაისს მთელ მსოფლიოში კუს საერთაშორისო დღე აღინიშნება. დიახ, ჩვეულებრივი კუსი და ის ნამდვილად იმსახურებს ასეთ პატივს... უფრო მეტიც...

უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში კუს გამოსახულებით ათობით მონეტა მოიჭრა და კუპიურა დაიბეჭდა. განსაკუთრებული პოპულარობით ზღვის კუ სარგებლობს.

წყალში ეს რეპტილია ძალიან სწრაფად გადაადგილდება. კუს შეუძლია საათში 35 კილომეტრი სიჩქარე განავითაროს. ის თავის ხმელეთზე მობინადრე თანამოძმეზე 75-ჯერ უფრო სწრაფია, ნებისმიერ თევზზე სწრაფიც კი. ყველაზე დიდი კუც ზღვაში ბინადრობს. მისი სიგრძე 2,5 მეტრია და 700 კილოგრამს იწონის.

არქეოლოგების მიერ აღმოჩენილია იმ კუს გაქვავებული ჩონჩხი, რომელიც 70 მილიონი წლის წინათ ბინადრობდა. როგორც ირკვევა, ის სიგრძეში 4,6 მეტრი იყო და 2 ტონაზე მეტს იწონიდა.



სამწუხარო ფაქტია ის, რომ კუს წვნიანის მოსამზადებლად ძირითადად მწვანე კუს იყენებენ. ის დელიკატესად ითვლება. სქელ სუპში კუს შემწვარი ხორცის ნაჭრებს აწყობენ.

მწვანე კუ ზღვის ბინადარია და პატარა ზომის ნამდვილად არ არის. ის 80-დან 160 სანტიმეტრამდეა და 200 კილოგრამამდე იწონის.

ზღვის კუ საოცარი არსებაა. მისი ხასიათი ჯერაც არ არის კარგად შესწავლილი. სქესობრივ სიმწიფეს კუ 30 წლის ასაკში აღწევს. ნებისმიერი ზღვის კუ ყოველთვის შეუცდომლად პოულობს იმ პლაჟს, სადაც დაიბადა. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ამაში მათ დედამიწის მაგნიტური ველი ეხმარება.

2011 წელს გამოშვებულ 5-დოლარიანზე გამოსახულია ყველაზე ლამაზი კუ დედამიწაზე. ის ღია მწვანეა და გულის ფორმის ბაკანი აქვს. მას „ერეთმოჩელის იმბრიქათას“ ეძახიან, შემოკლებით კი „ბისსას“.

**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძემ**

# მოწმე – მკვლელი

## ჰაროლდ მაზური

ოლქის პროკურორის მდივანი და თანაშემწე, რომელიც ახლა მოწმის ადგილას იდგა, ნერვიულად წიწკნიდა ჰალსტუხს ფრჩხილებით და მოსამართლეს დაბნეული შესცქეროდა. ბრალდების მხრიდან ლი ჯერომი იყო და კითხვებსაც ის სვამდა. ლი ჯერომი ახლახან მოკლულ ოლქის პროკურორს, რეინომს, თითქმის აღმერთებდა და, დარწმუნებულიც იყო, რომ განსასჯელის სკამზე მჯდომმა ფრენკ ჰაუზერმა ის საკუთარი ხელით მოკლა მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ მოისყიდა. ფრენკ ჰაუზერი მთელი ქალაქის მაფიას ედგა სათავეში. მისი იყო ყველაფერი – კაზინოები, ბორდელები, სათამაშო აპარატები... უზარმაზარი შემოსავალი ჰქონდა და, ვიღაც პირუთვნელი, მკაცრი ოლქის პროკურორის პრინციპების გამო ელექტროსკამზე არ დაჯდებოდა. ჰოდა, გაასაღა...

ლი ჯერომი სიმწრით იკვნეტდა ტუჩებს. მას ჰყავდა მოწმე, რომელმაც ნახა კაბინეტში შესული ფრენკი და გასროლის ხმაც გაიგონა. მაგრამ, პროკურორის თანაშემწე საეჭვოდ აცეცებდა თვალებს... ლი ჯერომმა ამოიოხრა. კიდევ იყო ერთი – ჰეგენი, კრიმინალისა და კორუფციის განყოფილების უფროსი, სულით ხორცამდე პოლიციელი... მას ისეთი სამხილები ჰქონდა ჰაუზერის წინააღმდეგ, რომ ლი ჯერომს აღარ გაუჭირდებოდა მკვლელობის მოტივის დადასტურება და დამნაშავის საკადრისად დასჯა... ნეტავი, სად იყო ჰეგენი? მდინარის ფსკერზე?! სადმე, სარდაფში?! ან, იქნებ, გაიქცა კიდეც... ოჰ, როგორ სჭირდებოდა ჰეგენი...

ნაფიცი მსაჯულები უკვე მოსყიდულები იყვნენ – თავიანთი მათ უკვე მიიღეს და ამიტომაც ისხდნენ ნეტარი სახეებით... ახლა მთავარი იყო მოსამართლე მარტინი. მართალია, ჰაუზერს მისთვისაც ექნებოდა „მსუქანი ლუკმა“ გადაგდებული, მაგრამ, მოწმის ჩვენება მაინც იზამდა თავისას. ლი ჯერომმა ისევ ამოიოხრა და თავის, ფაქტობრივად, ერთადერთ ნუგეშს, მოკლული პროკურორის თანაშემწეს მიაჩერდა... ორმოცდაათი ათასი, ასი ათასიც კი არაფერი იყო ჰაუზერისთვის. გაუძლებდა კი ის ასეთ ცდუნებას?!

მოსამართლემ ძველი, არმიული ტიპის „კოლტი“ აიღო და მოწმეს დაანახვა:

– გეცნობათ ეს იარაღი?

– დიახ, – თავი დააქნია პროკურორის თანაშემწემ.

– გასროლის ხმა რომ გაიგონეთ და პროკურორის ოთახში შევარდით, სად იყო ეს იარაღი?

– იატაკზე. პროკურორ რეინომის სავარძლიდან გადმოკიდებული ხელის ქვემოთ ეგდო.

ეს სიტყვები ლი ჯერომისთვის ცის ქუხილივით გაისმა... მორჩა, ჰაუზერს ყველაფერი გამოუვიდა. საქმე აშკარად იქით მიჰყავდათ, რომ დანაშაულისთვის თვითმკვლელობის კვალიფიკაცია მიეცათ. ჯერომი სიმწრისგან ჯერ გაფითრდა, მერე ტუჩები გაულურჯდა. უცებ მოწმეს მივარდა და მუშტი მთელი ძალით შემოსცხო ცხვირპირში. სასამართლო დარბაზში საშინელი ხმაური და ორომტრიალი ატყდა. მოწმეს ცხვირიდან სისხლი წასკდა. ვიღაც ქალმა იკივლა, ვიღაცას გული წაუვიდა... პოლიციელები მოსამართლის ბრძანებას ელოდნენ, რომ ლი ჯერომისთვის, როგორც ხულიგანისთვის, ბორკილები დაედოთ. არავინ იცის, სიტუაცია როგორ განვითარდებოდა, დარბაზში მოულოდნელად მოჩვენება რომ არ გამოჩენილიყო... ჰეგენი მართლაც ჰგავდა მოჩვენებას. ტომ ჰეგენი... ის არავის უყურებდა. რაღაცნაირი, ზომბის გამოხედვით და რობოტის ნაბიჯებით მოდიოდა... ყველა მექანიკურად უთმობდა გზას... მოსამართლე ლიბაკმა ხმაურით ამოისუნთქა. ჰაუზერს თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა – აშკარა იყო, რომ ჰეგენის დანახვამ შოკში ჩააგდო. ისეთი თვალებით უყურებდა, კაცი იფიქრებდა, პოლიციელი შორეულ აფრიკაში გაგზავნა თავისი ხარჯებით და ახლა უკვირს მისი გამოჩენაო. ლი ჯერომს მეტისმეტი აღგზნებისგან სისხლი საფეთქლებში მოაწვა. აიღო ის პისტოლეტი, რომლითაც მოკლეს ოლქის პროკურორი და ჰეგენს გაუწოდა:

– გეცნობათ ეს იარაღი?

ჰეგენმა პისტოლეტი გამოართვა, დახედა და უცხო ხმით, მექანიკურად წარმოთქვა:

– დიახ, ამ იარაღიდან მოკლეს პროკურორი რეინომი.

– თქვენ სად იყავით გასროლის მომენტში?

ჰეგენი ოდნავ შებრუნდა და ლი ჯერომს თვალებში მიაშტერდა:

– სწორედ იმ მომენტში შევედი კაბინეტში, როცა ამჟამად დამნაშავის სკამზე მჯდარმა ჰაუზერმა რევოლვერი შემართა და პროკურორს დაუმიზნა, აი, ასე... – ჰეგენმა იარაღის ლულა ჰაუზერისკენ მიმართა. არავინ განძრეულა, რადგან, ყველა დარწმუნებული იყო, რომ ნივთმტკიცებად მოტანილ იარაღში ტყვია არ იდო.

– მერე? – ჰკითხა მოსამართლემ, რომელიც უკვე მახეში გაბმულივით აცეცებდა თვალებს.

– მერე, ამ ნაძირალამ სასხლეტს თითი გამოჰკრა და... – რევოლვერმა გამაყრუებლად დაიქუხა. ჰაუზერს ერთადერთი ტყვია პირდაპირ შუბლში მოხვდა და თავის ადვოკატს გადაემხო...

ვიღაცამ მთელი ხმით იბღავლა. ჰეგენი მშვიდად იდგა, მან მხოლოდ პისტოლეტი გააგდო ხელიდან, რომელიც გრუხუნით დაენარცხა იატაკზე.

– მათ არ უნდოდათ, რომ მე ჩვენება მიმეცა, – ჩამწყდარი ხმით ჩაილაპარაკა ჰეგენმა, – სადღაც, ნაგავსაყრელზე წამათრიეს...

– ღმერთო, ტომ, შენ ხომ პირდაპირ სასამართლო დარბაზში ჩაიდინე მკვლელობა! – დაიყვირა ლიმ, – სინამდვილეში, ხომ არ დაგინახავს, როგორ ესროლა ჰაუზერმა პროკურორს?!

ჰეგენმა ჩაახველა და თითქოს უკანასკნელ ძალას იკრებდა, ისე ამოიოხრა:

– არა, არ დამინახავს, მაგრამ, დღეს დილით ვნახე, როგორ კლავდა ის სხვა ადამიანს...

– ვის, ჰეგენ, ვის?

– მე... – ამოიხრიალა ჰეგენმა და მოწყვეტით დაეცა იატაკზე. როცა ლი ჯერომი მისკენ დაიხარა და პიჯაკი გადაუწია, პერანგზე უზარმაზარი წითელი ლაქა დაინახა. ტყვია, ალბათ, გულს ცოტათი ასცდა... აი, რატომ იყო ჰაუზერი გაოგნებული და არანორმალურად შეშინებული – ის დარწმუნებული იყო, რომ საძულველი მოწმე სიცოცხლეს გამოასალმა.

ლი ჯერომი ჰეგენის უსულო სხეულის გვერდით, იატაკზე დაჯდა და ატირდა...

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**



# მკვდარი ვერსია

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები" №7-32(658)

დაცვის პოლიციის მიკროავტობუსი ნანას კორპუსის უკან მდებარე ავტოფარეხების გასწვრივ იდგა. მიმდებარე ტერიტორია ყვითელი ლენტით იყო შემოფარგლული. იქვე ტრიალებდნენ პატრულის თანამშრომლები, რომლებიც ცნობისმოყვარეებს მიკროავტობუსთან მიახლოების საშუალებას არ აძლევდნენ.

ზურაბის შემჩნევისას გურამი ექსპერტების ჯგუფს გამოეყო და მას მიაშურა.



– რა მოხდა აქ? – ზურაბმა დაძაბული მზერით გახედა მიკროავტობუსს.

– ცუდი ამბავია, ძალიან ცუდი... – გურამმა უკმაყოფილოდ გაიქნია თავი, – ბიჭები დაგვიხოცეს!

– როგორ?

– ვცდილობთ, გავარკვიოთ. სავარაუდოდ თავდასხმა გვიან ღამით მოხდა. მკვლელმა მანქანაში მყოფი დაცვის ბიჭები დახოცა, შემდეგ ნანას დაესხა თავს.

ზურაბმა მხარი აუქცია გურამს, ყვითელ ლენტს გასცდა და მიკროავტობუსში შეიხედა, რომელშიც კრიმინალისტური ექსპერტიზის თანამშრომლები მუშაობდნენ. მიკროავტუბუსის სალონი საშინელი სანახავი იყო: პოლიციის ერთი თანამშრომელი იატაკზე იწვა. მის გვერდით შედედებული სისხლის დიდი გუბე იდგა. გარდაცვლილს ორი ნატყვიარი ემჩნეოდა: ერთი მკერდზე, მეორე – საფეთქელზე. იმავე მეთოდით იყო მოკლული მეორე პოლიციელიც, რომელიც სავარძელში იჯდა. მიკროავტობუსის სალონის ბოლოში დამონტაჟებულ მონიტორებზე ჯერაც მოჩანდა ნანას ბინის დერეფანი, კიბის უჯრედი და ექსპერტები, რომლებიც შემთხვევის ადგილს ათვალიერებდნენ.

– პროფესიონალი მოქმედებდა, – განაგრძო გურამმა, – საქმის ბოლომდე მისაყვანად საკონტროლო გასროლებიც კი მოახდინა.

– ნანას შესახებ რა იცი? – ჰკითხა ზურაბმა.

– მისი გადარჩენა შემთხვევითობაა – ტყვია რამდენიმე სანტიმეტრით ასცდა გულს.

– როგორ შეაღწია მკვლელმა ბინაში?

– მკვლელი ბინაში არ შესულა. იქ რომ შეეღწია, უეჭველად მოკლავდა ნანას. პირდაპირ სადარბაზოდან, კარსმიღმა ესროლა. სავარაუდოდ სხეულის დაცემის ხმა გაიგო და შემდეგ მოშორდა იქაურობას.

– სათვალთვალო კამერების ჩანაწერები შეამოწმე? – მონიტორებს გახედა ზურაბმა.

– ჩანაწერები არ არის, – უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა გურამმა.

– როგორ თუ არ არის?! – გაუკვირდა ზურაბს.

– იმ ნაბიჭვარმა კასეტები წაიღო.

– ესეც გაითვალისწინა! – ბრაზით თქვა ზურაბმა.

– ყველაფერი წინასწარ ჰქონდა გათვლილი. ვერაფერს იტყვი, სუფთად მუშაობს. პრაქტიკულად, არაფერი დაგვიტოვა ხელჩასაჭიდი.

– კარგი, თავიდან დავიწყოთ. ყველაფერი მაინტერესებს. როდის, რა, როგორ?

– სავარაუდო სურათი ასეთია: თავდამსხმელმა ან თავდამსხმელთა ჯგუფმა ჯერ პოლიციელები მოიშორა თავიდან, შემდეგ კი ნანას ჯერი დადგა. მკვლელი ბინის კართან მივიდა და ზარი დარეკა. შესაძლოა, ნანა დაცვის ბიჭებთან დაკავშირებას ცდილობდა. ბუნებრივია, რომ მას არავინ შეეხმიანა. ამის შემდეგ ის კართან მივიდა და საჭვრეტში გაიხედა. მკვლელს სწორედ ამაზე ჰქონდა აგებული თავისი გეგმა – მას ფეხის ნაბიჯების ხმით შეეძლო ნანას ადგილსამყოფლის განსაზღვრა და სროლა.

– გასაგებია... ვინ აცნობა პოლიციას თავდასხმის შესახებ? – ჰკითხა ზურაბმა.

– შემთხვევა თავად დაცვის პოლიციამ დააფიქსირა. ოპერატიული მორიგე ყოველ საათში უკავშირდებოდა საგუშაგოზე მყოფ ჯგუფს. როცა ისინი კავშირზე არ გამოვიდნენ, მორიგემ ვითარების გასარკვევად სხვა შემადგენლობა გამოგზავნა და შემთხვევის ადგილზე ეს სურათი დახვდათ.

– იარაღზე რას იტყვი?

– „მაკაროვის" პისტოლეტი გამოიყენეს. ოთხი მასრა მიკროავტობუსში აღმოვაჩინეთ. ორი – კიბის უჯრედზე. მკვლელმა ორჯერ ესროლა ნანას, მაგრამ, მეორე ტყვიამ მიზანს ვერ მიაღწია – ჩანს, ნანა პირველი ტყვიის მოხვედრისთანავე წაიქცა და ამან გადაარჩინა. სროლის ხმა არავის გაუგია – ალბათ, მკვლელი მაყუჩიანი პისტოლეტით მოქმედებდა. შემთხვევის ადგილზე მოსულ თანამშრომლებს ბინაში შესაღწევად კარის შემტვრევა მოუხდათ. ნანა დერეფანში აღმოაჩინეს, ის უგონოდ იყო. საბედნიეროდ, თავდასხმიდან დიდი ხანი არ იყო გასული. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის სისხლის დაკარგვით გარდაიცვლებოდა. ჯერჯერობით სხვა რამის თქმა არ შემიძლია. საბოლოო შედეგებს ხვალ მოგაწვდი, მაგრამ, ვშიშობ, რომ ახალს ვერაფერს დავამატებ და ამ მონაცემებით მოგიწევს მუშაობა.

ზურაბმა თავი დაუქნია, ჯიბიდან მობილური ტელეფონი ამოიღო და გურამს გაეცალა.

– მოიცადე, – სწრაფად დაადევნა მან, – რაღაც მაქვს სათქმელი.

– გისმენ, – უპასუხა ზურაბმა.

– შენთვის ასეთი რამ არასოდეს მითქვამს. ვიცი, რომ ბოლომდე მიჰყვები ამ საქმეს, მაგრამ, მაინც გთხოვ: ის ნაბიჭვარი აიყვანე და რაც შეიძლება მალე. უკვე გასაგებია, რომ ის მართვადაკარგული ორთქლმავალითაა და, ვიდრე ვინმე თვალებშუა არ ჩააჭედავს ტყვიას, კიდევ ბევრ სისხლს დაღვრის!..

ზურაბმა უხმოდ დაუქნია თავი, შემდეგ გვერდზე გადგა და მობილურ ტელეფონზე ნიკას ნომერი აკრიფა.

* * *

ნიკა თვალდახუჭული იწვა. თითქმის ერთი საათი იყო გასული რაც გაიღვიძა, მაგრამ მთელი ამ დროის განმავლობაში ერთხელაც არ განძრეულა. არ უნდოდა დღიდს გაღვიძება, რომელსაც მის მკერდზე თავჩამოდებულს

## თამაზ გოგავას გახსენება



პიროვნებები ჩვენ გარშემო არც ისე ბევრნი არიან... ადამიანად კი ყველანი ვიბადებით, მაგრამ, სახელს დამსახურება უნდა, სიყვარულსა და შენი დაკარგვით გამოწვეულ სევდას მხოლოდ სიკეთის თესვით თუ მოიპოვებ.

ძნელი წარმოსადგენია შენი გარდაცვალება, შენი წასვლა ამქვეყნიდან, სადაც ასეთი საჭირო იყავი... ცოტანი არიან ადამიანები, რომელთაც იმედად მოიაზრებ, რომლებისგანაც მხოლოდ სიკეთესა და სიხარულს ელოდები. დრო უკან არ დაბრუნდება და აღარც არაფერი შეიცვლება... ისლა დაგვრჩენია, უშენობას შევეგუოთ – ახლა იქნება ტკივილი და უსაშველო მონატრება... საშინელებაა, როცა შენზე უკვე წარსულ დროში ვილაპარაკებთ და გავიხსენებთ, როგორი თბილი, ყურადღებიანი და მზრუნველი ადამიანი იყავი... შენი წასვლით კიდევ ერთხელ დაგვარწმუნე იმაში, რომ არაფერს ვტოვებთ ამქვეყნად, გარდა კეთილი სახელისა...

ჩვენს ქალაქს კიდევ ერთი კოლორიტი, ხუმბერაზი და კეთილი ადამიანი დააკლდა, თამაზ გოგავას სამეგობროს კი – მისი ღიმილიანი, სიყვარულით სავსე მზერა.

**მეგობრები**

ეძინა. ბოლოს მაინც შეინძრა და ფრთხილად გადასწვდა ტუმბოს, სადაც სიგარეტის კოლოფი და სანთებელა ეგულებოდა.

– არ მძინავს. შეგიძლია, ადგე, – თვალისგაუხელად თქვა დოდომ და გვერდზე გადაბრუნდა.

ნიკა წამოჯდა და სიგარეტს მოუკიდა.

– მეც მომაწევინე, – ჩაილაპარაკა დოდომ.

ნიკამ მეორე სიგარეტს მოუკიდა და გაუწოდა.

– დღეისთვის რა გეგმები გვაქვს? – ჰკითხა დოდომ.

– არ ვიცი. ზურაბს გადავურეკავ და, თუ რამე საქმე არა აქვს ჩემთან, ერთად მოვიფიქროთ, რა გავაკეთოთ. შენ რას შემომთავაზებ?

– განსაკუთრებულს არაფერს. დღეს მხოლოდ ეს საწოლი და შენ მჭირდები, სხვა გეგმები არ მაქვს, – გაუღიმა დოდომ.

– მე და საწოლი არსად გაგექცევით, სხვა რამეც მოიფიქრე, – თქვა ნიკამ და მობილურ ტელეფონს გადაწვდა. მისდა გასაოცრად, ტელეფონი გამორთული აღმოჩნდა.

– მე გამოვრთე. არ მინდოდა, რომ ვინმეს მყუდროება დაერღვია ჩვენთვის, – უკითხავად უპასუხა დოდომ. ნიკამ მაშინვე ჩართო აპარატი. ეკრანზე რამდენიმე უპასუხო ზარის შეტყობინება გამოჩნდა. დარეკვის დრო იმაზე მიუთითებდა, რომ ზურაბი მთელი დღისა და საღამოს განმავლობაში უშედეგოდ ცდილობდა მასთან დაკავშირებას. ნიკა მაშინვე დააწვა ღილაკს და ზურაბს დაურეკა. ორიოდე ზუმერის შემდეგ ყურმილში მისი უკმაყოფილო ხმა გაისმა.

– სად ხარ? მთელი ღამე გირეკავდი!

– დაკავებული ვიყავი, – უპასუხა ნიკამ.

– სასწრაფოდ უნდა მოხვიდე ჩემთან!

– რა მოხდა?

– მოხდა და უფრო მეტიც. ნანას თავს დასხნენ და ამჟამად საავადმყოფოშია. მძიმე მდგომარეობაშია, მაგრამ გადარჩება.

– ახლავე გამოვდივარ. სად გნახო?

– პირველ კლინიკურში მოდი, იქ მივდივარ, – უპასუხა ზურაბმა.

ნიკამ მობილური ტელეფონი გათიშა და დოდოს მიაპყრო მზერა.

– რა მოხდა? – ჰკითხა მან.

– ნანა დაჭრეს... საავადმყოფოში მივდივარ! – თქვა ნიკამ.

– მეც გამოგყვები! – უპასუხა დოდომ, საწოლიდან ადგა და სწრაფად შეუდგა ჩაცმას.

ზურაბი ქირურგიული განყოფილების დერეფანში ესაუბრებოდა ექიმს. ნიკა სწრაფი ნაბიჯით მიუახლოვდა, ზურაბს ხელი ჩამოართვა და ჰკითხა:

– როგორაა?

– ტყვია მკერდში, გულის მხარეს მოხვდა. ოპერაცია გაუკეთეს. ექიმის თქმით, მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია... ამას რა უნდა აქ? – ზურაბმა ფარულად შეავლო მზერა დოდოს, რომელიც მოშორებით იდგა.

– ერთად ვიყავით, შენ რომ დაგირეკე, – უპასუხა ნიკამ.

– გუშინ მასთან იყავი?

ნიკამ უპასუხოდ დატოვა კითხვა.

– მე ხომ გაგაფრთხილე, რომ ტელეფონი მუდამ ჩართული გქონოდა!

– შემთხვევით გამეთიშა, – თავი იმართლა ნიკამ და ექიმს მიუბრუნდა, – შეიძლება, გავესაუბრო?

– ვინ ბრძანდებით? – ჰკითხა მან.

– ჩემი კოლეგაა, – ნიკას მაგივრად უპასუხა ზურაბმა.

– ეს აუცილებელია? – დაინტერესდა ექიმი.

– აუცილებელია, – თქვა ნიკამ.

– რამდენიმე წუთს დაგითმობთ, ოღონდ, ერთი პირობით: მისი გადაღლა და აღელვება დაუშვებელია, – უპასუხა ექიმმა, – მეთერთმეტე პალატაში მიბრძანდით.



ნანა მარტო იწვა პალატაში. სახე ზეწარვით გაჰფითრებოდა. თვალების უპეები ჩაშავებული ჰქონდა. ოდნავ შესამჩნევად, წყვეტილად სუნთქავდა.

ნიკამ ტაბურეტი საწოლის გვერდით გადადგა, ჩამოჯდა და ხმადაბლა შეეხმიანა:

– ნანა...

ქალმა მძიმედ აზიდა ქუთუთოები და დანისლული მზერა მიაპყრო.

– როგორ გრძნობ თავს? – ჰკითხა ნიკამ.

– მეშინია... – გასაგონად ჩაილაპარაკა ნანამ.

– ნუ გეშინია, აქ არაფერი გემუქრება.

– შენ ადრეც ასე მეუბნებოდი.

– მაპატიე, ეს ჩემი შეცდომა იყო. მარტო





არ უნდა დამეტოვებინე! – გულისტკივილით თქვა ნიკამ.

– მცველები არ დამეხმარნენ. შენ ხომ მეუბნებოდი, რომ მათ შეუმჩნევლად ვერავინ მოუახლოვდებოდა ჩემს ბინას?!

– არ მინდა შენი აღელვება, მაგრამ, დამალვაშიც ვერ ვხედავ აზრს. ბიჭები ვერ დაგეხმარებოდნენ, ისინი დაიღუპნენ!

– დაიღუპნენ?! – თვალები გაუფართოვდა ნანას.

– ჰო... მკვლელმა ჯერ ისინი დახოცა, შემდეგ კი შენ დაგესხა თავს.

– ის არ მომეშვება, აქაც მომძებნის, – ცრემლი მოერია ნანას.

– ამას არ დავუშვებ. მორჩა. დღეიდან ყოველთვის შენს სიახლოვეს ვიქნები!

– არ მინდა...

– არ გინდა?! – გაუკვირდა ნიკას, – რატომ?

– არ მინდა, რომ შენც რამე შეგემთხვეს!

– ნუ ღელავ, არაფერი შემემთხვევა, – ნიკამ პაუზა გააკეთა და შემდეგ ჰკითხა: თავდამსხმელი თუ დაინახე?

– არ დამინახავს, ყველაფერი მოულოდნელად მოხდა.

– შეგიძლია, მიამბო რა მოხდა შენს ბინაში?

– გვიანი ღამე იყო. არ მეძინა. რატომღაც, საძინებელში შესვლა ვერ გავბედე და სასტუმრო ოთახში, დივანზე წამოვწექი. შუქი არ ჩავაქრე. სიბნელეში ყოფნა არ მინდოდა. დაახლოებით ღამის 2 საათზე ზარი დარეკეს. ბუნებრივია, რომ არავის ველოდი, თანაც, ღამის ორ საათზე. დახმარებისთვის დაცვის ბიჭებს დავუკავშირდი, მაგრამ, რადიოსადგურიდან არავინ შემხმიანებია. ამასობაში ზარი განმეორდა. მე კარს მივაშურე, რათა საჭვრეტიდან გამეხედა, მაგრამ, ვერ მოვასწარი. სროლის ხმა არ გამიგია. კარს მივუახლოვდი თუ არა, მკერდში ძლიერი ბიძგი ვიგრძენი. შემდეგ აღარაფერი მახსოვს. გონს ამ პალატაში მოვედი... – ნანამ ლაპარაკის გაგრძელება ვეღარ შეძლო, სახეზე ხელები აიფარა და უხმოდ ატირდა.

– დამშვიდდი. პირობას გაძლევ, რომ იმ არაკაცს მოვძებნი და ძალიან მკაცრად დავსჯი, – ტკივილით აღსავსე ხმით თქვა ნიკამ და ხელზე მოეფერა.

პალატიდან გასულ ნიკას ზურაბი მარტო დახვდა.

– სად წავიდა? – გაოცებით ჰკითხა ზურაბს.

– მისას ვერაფერს გაიგებ, – მხრები აიჩეჩა მან, – ქალი კი არა, ნამდვილი ალქაჯია. გამლანძღა და წავიდა.

– რატომ?

– ვკითხე: ნიკას რატომ ჰქონდა ტელეფონი გათიშული-მეთქი, მან კი ბრაზით მომახალა: შენი საქმე არ არის, როდის გამორთავს ნიკა ტელეფონს და როდის ჩართავსო. აქ დგომას, გირჩევნია, საქმეს მიხედო და მკვლელი დაიჭირო, ვიდრე კიდევ რამე უბედურება არ მოახდინაო. შემდეგ კი ზურგი შემაქცია და წავიდა.

– სხვა არაფერი გითქვამს?

– სხვა რა უნდა მეთქვა?! – გაიკვირვა ზურაბმა.

– საყვედური ხომ არ უთხარი ტელეფონის გამორთვის გამო? – ჰკითხა ნიკამ.

– ტელეფონი დღედღ გათიშა?

– ჰო... დილით მითხრა, – დაუდასტურა ნიკამ.

– ესე იგი, ღამით მასთან იყავი?

– მოდი, ნუ ვილაპარაკებთ იმაზე, რაც პირადად მე მეხება.

– მაშინ, იმაზე ვისაუბროთ, რაც ორივეს გვეხება, – განაგრძო ზურაბმა, – როგორაა ნანა?

– დათრგუნულია. ეშინია, რომ ჩვენ ვერ შევძლებთ მის დაცვას.

– ეს გასაგებიცაა. იოლი არ არის ასეთი რამის გადატანა. თავდამსხმელის შესახებ ხომ არ უთქვამს რამე?

– არა. წარმოდგენა არა აქვს, ვინ იყო, მისთვის თვალიც არ მოუკრავს.

– შენი აზრი მაინტერესებს. მთელი დღე ამაზე ვფიქრობ და მაინც ვერ მივხვდი. მაინც, რა მიილო მკვლელმა ნანაზე თავდასხმით? რა შეიცვლებოდა მისი დაღუპვით? ბანკთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე ნებისმიერ შემთხვევაში აღიძვრება. თუ ხელშეკრულების სიყალბე დადასტურდა, ბანკი ფულს ვეღარ მიიღებს და ნანას დაღუპვა ამ პროცესს ვეღარ შეაფერხებს.

– წარმოდგენა არ მაქვს. დროდადრო მგონია, რომ საქმე შეშლილ მანიაკთან გვაქვს.

– შეშლილი ასე არ მოქმედებს. საქმე გიჟთან კი არა, ძალიან ფრთხილ პროფესიონალთან გვაქვს. აქამდე მას არც ერთი შეცდომა არ დაუშვია.

– რა გაქვს დაგეგმილი, როგორ გააგრძელებ ძიებას?

– ჯერ არაფერი გადამიწყვეტია. ვნახოთ, რას მოგვცემს ექსპერტიზა. შეიძლება, გურამმა რამე ხელჩასაჭიდი იპოვოს. შენ რას აპირებ?

– ახლა მხოლოდ ერთი საქმე მაქვს: რადაც არ უნდა დამიჯდეს, ნანა უვნებელი უნდა გავიყვანო საავადმყოფოდან, – თქვა ნიკამ.

– ესე იგი, აქ დარჩები.

– დავრჩები.

– კეთილი... – ზურაბმა საათს დახედა და შემდეგ დაამატა: აქ იყავი, ვიდრე ნანას დაცვისთვის ხალხს გამოვგზავნი. ეს სალამოს ხუთი საათისთვის მოხერხდება. ახლა კი უნდა დაგტოვო – პირველი საათისთვის მთავარ პროკურორს უნდა შევხვდე.

– რა საქმეზე დაგიბარეს?

– რუხაძის თაობაზე სურს ჩემთან საუბარი, – უპასუხა ზურაბმა, შემდეგ დასამშვიდობებლად ხელი ჩამოართვა ნიკას და დერეფანს გაუყვა.

* * *

მთავარმა პროკურორმა ყურადღებით გადახედა შუამდგომლობას და ზურაბს გახედა:

– კონკრეტულად რა ბრალდებას უყენებ რუხაძეს?

– ბრალდებაზე საუბარი ნაადრევია, ეს მხოლოდ რუხაძის საფუძვლიანი დაკითხვის შემდეგ მოხდება, – უპასუხა მან.

– მესმის, მაგრამ, ვერსია მაინც ხომ უნდა გქონდეს შემუშავებული?

– ვერსია ნამდვილად მაქვს.

– გამაცანი, – თქვა მთავარმა პროკურორმა და მოსასმენად მოემზადა.

– მე გამაჩნია მონაცემები, რომ პროკურორი რუხაძე პირადად მონაწილეობდა კანონგარეშე გარიგებებში კომპანია „ინტელგრუპჯორჯიის" ხელმძღვანელობასთან. ასევე მისი უშუალო მითითებით, თქვენი გამომძიებელი ფიფია ხელს უშლიდა სისხლის სამართლის საქმის გახსნას. საქმე ეხება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს – მკვლელობათა სერიას!

– საიდან გაქვს ასეთი მონაცემები? – დაინტერესდა მთავარი პროკურორი.

– რუხაძის წინააღმდეგ რამდენიმე პიროვნება იძლევა ჩვენებებს.

– კერძოდ?

– ძიებისთვის ხელის შეშლის ეპიზოდში ჩვენებებს თავად ფიფია იძლევა. ის ადასტურებს, რომ უშუალოდ რუხაძის მითითებით მოქმედებდა, – უპასუხა ზურაბმა, – რაც შეეხება „ინტელგრუპჯორჯიას", ამ შემთხვევაში ჩვენებებს კომპანიის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, ჩახ-

**მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი**

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**

ვაძე იძლევა. დაკითხვისას მან უჩვენა, რომ რუხაძესთან შეთანხმებით შეცვალა გარდაცვლილ ანდრო სირაძესთან დადებული ხელშეკრულება.

– შენი ვერსიით, რის მიღწევას ცდილობდა რუხაძე? – ჰკითხა მთავარმა პროკურორმა.

– რუხაძე ბანკ „ჯი აი აის" წინააღმდეგ ძიების დაწყების შეფერხებას ცდილობდა.

– რატომ?

– ეს თავად რუხაძემ უნდა აგვიხსნას, – განაგრძო ზურაბმა, – გარდა ამისა, რუხაძის უშუალო ორგანიზებით, საპატიმროდან გათავისუფლდა რამდენიმე საშიში დამნაშავე.

– ამის შესახებ ჩემთვის არაფერია ცნობილი!

– რუხაძემ შანტაჟით აიძულა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სამედიცინო სამსახურის წარმომადგენელი, ვახტანგ ბარამიძე, გაეცა ჯანმრთელობის მდგომარეობის ყალბი დასკვნა. იმ დასკვნის საფუძველზე კი დეპარტამენტის კომისიამ ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო საპატიმროდან გაათავისუფლა ჯიბო ზარქუა და დიმიტრი გაბისონია. გაბისონია ორი კვირის წინ გაურკვეველ ვითარებაში მოკლეს, ზარქუა კი ძებნაშია.

– რა დანაშაულის ჩადენაშია ეჭვმიტანილი ზარქუა? – ჰკითხა მთავარმა პროკურორმა.

– ჯერჯერობით ზარქუას მიმართ კონკრეტული ბრალდების წაყენება არ შემიძლია, მაგრამ, არსებობს ირიბი მტკიცებულებები, რომ მას გარკვეული კავშირი აქვს სირაძის მკვლელობასთან. ის, ასევე, ამოიცნეს იპოდრომის თანამშრომლებმაც. მათ უჩვენეს, რომ ზარქუა პერიოდულად დადიოდა იპოდრომზე გაბისონიას მოსანახულებლად. მას იცნობენ „ინტელგრუპჯორჯიის" თანამშრომლებიც – ზარქუა მთავარ ოფისში აღმასრულებელ დირექტორთან, ინწკირველთან მიდიოდა. რას ემსახურებოდა ეს შეხვედრები, ჩემთვის უცნობია. ოფიციალურად ზარქუას არაფერი აკავშირებდა „ინტელგრუპჯორჯიასთან". ამავე დროს, ინწკირველის ოჯახის წევრებმა და ნაცნობმეგობრებმა არაფერი იციან ზარქუას შესახებ, ისინი საერთოდ არ იცნობენ მას.

– გასაგებია. გადავედეთ „ჯი აი აის" საკითხზე. რაში იმხილება ბანკი?

– ბანკის ფილიალის კრედიტოფიცერმა, შალვა მიქაძემ, სირაძესთან ყალბი ხელშეკრულება გააფორმა. ხელშეკრულების ერთ-ერთი მონაწილე, ნანა სირაძე, საერთოდ არ დასწრებია ამ პროცესს. პროცესში ფილიალის ხელმძღვანელი, ლორიაც მონაწილეობდა. როდესაც დღის წესრიგში დადგა ბანკის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, ლორიამ და გამომძიებელმა ფიფიამ შექმნეს ყალბი ვიდეოჩანაწერი, რაშიც ბანკის იურისტი, ნუგზარ მაისურაძეც მონაწილეობდა, ყოველივე ეს კი რუხაძის უშუალო მითითებით განხორციელდა.

– ეს ძალიან სერიოზული ბრალდებაა! – შენიშნა მთავარმა პროკურორმა.

– დიახ... და სწორედ ამიტომ მოგმართეთ თქვენ, – უპასუხა ზურაბმა.

– კონკრეტულად რას მოითხოვ ჩემგან?

– სანქციას რუხაძის, ლორიას, მიქაძისა და მაისურაძის პატიმრობაში აყვანის შესახებ.



ასევე, მათი ბინებისა და სამუშაო ადგილების გაჩხრეკის ნებართვას. არსებობს მონაცემები, რომ რუხაძეს ფარული აუდიო და ვიდეოჩანაწერები გააჩნია, რომლებსაც ის თანამდებობის პირების შანტაჟისთვის იყენებს. მე უკვე ვესაუბრე ამ საკითხზე თქვენს პროკურორს, მურთაზ კიკნაძეს. თქვენი უშუალო მითითების გარეშე ის უარს ამბობს ასეთი სანქციების გაცემაზე.

– შენ პროკურატურის სანქციის გარეშეც შეგიძლია ლორიას, მიქაძისა და მაისურაძის დაპატიმრება. შენი გადაწყვეტილების მართლზომიერებას პროკურატურა მოგვიანებით შეისწავლის.

– შემიძლია, – დაუდასტურა ზურაბმა, – მაგრამ, ეს პიროვნებები საქმეში მეორეხარისხოვან პოზიციებზე იმყოფებიან – ისინი მხოლოდ გარკვეულ ეპიზოდებში მონაწილეობდნენ, რუხაძე კი ძირითადი ფიგურაა – ყველა დანაშაული მისი უშუალო ორგანიზებითაა ჩადენილი და ძირითადი ჩვენებები მან უნდა მოგვცეს.

– ესე იგი, მაინც რუხაძე! – ჩაილაპარაკა მთავარმა პროკურორმა.

– დიახ... და ეს ყველაფერი არ არის, – განაგრძო ზურაბმა, – მე მინდა, რომ თავად პროკურატურამ დაიწყოს მოკვლევა რუხაძის თაობაზე. მიეცით განკარგულება გენერალურ ინსპექციას. საგამოძიებო ჯგუფის მუშაობაში მეც მივიღებ მონაწილეობას და თქვენს გამომძიებელს ჩემს ხელთ არსებულ მონაცემებს მივაწვდი.

– როგორც ჩემთვის ცნობილია, რუხაძე მძიმე მდგომარეობაში იმყოფება, – თქვა მთავარმა პროკურორმა.

– ამ ჭორებს ისევ თქვენი თანამშრომლები ავრცელებენ. მე საავადმყოფოდან მისი მდგომარეობის დამადასტურებელი დასკვნა გამოვითხოვე. დასკვნაში შავით თეთრზე წერია, რომ დაჭრისას მას შინაგანი ორგანოები არ დაზიანებია. აივნიდან გადავარდნისას კი მოიტეხა ორი ნეკნი და მიიღო ნაკლებად მძიმე დაჟეჟილობა. ამგვარი დასკვნით ნებისმიერი ექიმი გასცემს მისი დაპატიმრების ნებართვას, ჭრილობებს კი ციხის საავადმყოფოშიც მოიშუშებს.

– როგორც ვხედავ, ყველაფერი მოფიქრებული გაქვს! – შენიშნა მთავარმა პროკურორმა.

– მე ძალიან დიდხანს ვიფიქრე ამ საქმეზე. თქვენთან ხელცარიელი ვერ მოვიდოდი. ამ საქმის გადადება აღარ შეიძლება. ამჟამად თბილისის ქუჩებში დადის ძალიან საშიში მკვლელი. ბოლო დარტყმა მან ნანა სირაძეზე თავდასხმითა და დაცვის პოლიციის ორი თანამშრომლის მოკვლით მოგვაყენა და ჩვენ წარმოდგენა არ გვაქვს, რა დანაშაულს ამზადებს ამჟამად! არ მინდა, უხეშად გამომივიდეს, მაგრამ, მაინც უნდა გითხრათ: ამ საქმეს არავითარ შემთხვევაში არ მოვეშვები. თუ თქვენ არ დამიჭერთ მხარს, პირობას გაძლევთ, რომ წამოწყებას მაინც მივიყვან ბოლომდე და ამჯერად რუხაძეს თეძოში კი არა, თვალებშუა ჩავაჭედებ ტყვიას!

– ახლა კი მართლაც ზედმეტი მოგივიდა! – მოიღუშა მთავარი პროკურორი, – შენი გაფრთხილება არ მჭირდება, ამ საქმის გახსნით შენზე ნაკლებად არ ვარ დაინტერესებული.

– მაშინ, შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღეთ! – სწრაფად თქვა ზურაბმა.

– ესე იგი, არჩევნის საშუალებას არ მიტოვებ!

– მე მესმის თქვენი. რუხაძის პატიმრობა და შემდგომი სასამართლო პროცესი, მნიშვნელოვნად შელახავს მთავარი პროკურატურის პრესტიჟს. მაგრამ, ამ საქმის გაუხსნელობა უფრო მძიმედ აისახება თქვენს იმიჯზე – ეს უკვე ლირსების საკითხია. სხვა ვითარებაში მე თავად შემოგთავაზებდით საქმის დელიკატურად მოგვარებას. შესაძლოა, რუხაძისთვის პროკურატურიდან ზედმეტი ხმაურის გარეშე წასვლის შესაძლებლობაც მიგვეცა, მაგრამ, ახლა მსგავსი რამ, უბრალოდ, გამორიცხულია. რუხაძემ ყველა საზღვარი გადალახა და ასეთ თავხედობას არასდროს ვაპატიებ!

– უარის თქმაში აზრს ვერ ვხედავ. წინასწარ ვიცი, რა ამბავსაც ატეხს შენი მინისტრი და შენც არ გაჩუმდები. ასე რომ... – აღარ დაასრულა მთავარმა პროკურორმა.

– ასე რომ?!.

პროკურორი მცირე ხნით ჩაფიქრდა, შემდეგ კი შუამდგომლობას მოაწერა ხელი, ზურაბს გაუწოდა და უთხრა:

– იმოქმედე. ყველაფერში გქონდეს ჩემი დახმარების იმედი. საგამოძიებო ჯგუფს დღესვე შევქმნი. მოგვიანებით ჩემი გამომძიებლები დაგიკავშირდებიან და მოქმედების გეგმას შეგითანხმებენ... ჰმაყოფილი ხარ?..

– ეს სწორი გადაწყვეტილება იყო, – უპასუხა ზურაბმა და წასასვლელად ადგა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**თიკა მახარაშვილი** *(მეუღლე)*: ახლა ყველაზე მეტად გვერდით გიორგის ოჯახის წევრები და მეგობრები მიდგანან და, კიდევ, ჩემი შვილი, რომელსაც მუცლით ვატარებ. ის მოდუნების საშუალებას არ მაძლევს, მასზე უნდა ვიფიქრო. ექვსი თვის ორსული ვარ. სულ რაღაც ცხრა თვის წინ დავქორწინდით.

**– ვიცი, რომ მისი დიდი გეგმების განხორციელება უკვე დაწყებული გაქვთ.**

**გოგა თოლორაია** *(მეგობარი)*: ის სამეგობროს გული იყო, მან დაგვაკავშირა და შეგვკრა ერთმანეთისგან თითქოს სრულიად განსხვავებული ადამიანები. ისე აგვანთო და შეგვაყვარა ის, რასაც აკეთებდა, რომ ჩვენ ყველანი თავიდან ბოლომდე ჩავერთეთ. გიორგი ყველამ ისე გაიცნო, როგორც საოცარი ნიჭის მქონე მრბოლელი, მაგრამ, ეს არ იყო ყველაფერი... ძალიან ჭკვიანი და განათლებული იყო, იცოდა რამდენიმე ენა, იყო ძალიან მაგარი თამადა და უყვარდა ეს საქმე. სადმე თუ შევიკრიბებოდით ყოველთვის ის იყო თამადა და ყოველთვის ისე სვამდა სამეგობროს სადღეგრძელოს – ჩვენს დიდ ოჯახს გაუმარჯოსო. ერთი ოჯახივით ვიყავით. ინტერვიუები იქნებოდა ეს, სამომავლო გეგმების დასახვა თუ ნებისმიერი სხვა მსჯელობა, არასდროს ამბობდა – „მე“, სულ – „ჩვენ,“ „ჩვენი დიდი გუნდი,“ „ჩემი ბიჭები“... მართლა ასე იყო, ერთნი ვიყავით.

**– ვიცი, რომ სასწაულ რაღაცეებს აკეთებდა ავტომობილით. ოჯახის წევრებს არ გეშინოდათ იმის, რასაც საჭესთან სჩადიოდა?**

**თიკა**: ერთმანეთი საერთო მეგობარმა გაგვაცნო. მისი მანქანებით ასეთი ძლიერი გატაცების შესახებ თავიდან არაფერი ვიცოდი. მეგონა, როგორც ყველა ბიჭს, მასაც, უბრალოდ, უყვარდა კარგი ავტომობილები. როდესაც ვნახე მისი დრიფტი, გავგიჟდი, ძალიან შემეშინდა, მაგრამ, ბოლოს ისე ამიყოლია, ისეთ აზარტში შემიყვანა, რომ, მეშინოდა კი არა, ვიდეოების გადაღებისას ორსული ვიჯექი მის გვერდით და აბსოლუტურად მშვიდად ვიყავი. შეუძლებელი იყო მისი ავტომობილებისადმი სიყვარული არ გადმოგდებოდა. ყოველთვის გრანდიოზული მიზნები ჰქონდა და, რაც მთავარია, აღწევდა მათ. მცირედით არასდროს კმაყოფილდებოდა, ვიდეორგოლების გამოქვეყნების შემდეგ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ურეკავდნენ გულშემატკივრები; რუსეთიდან, უკრაინიდან დიდი კომპანიები სპონსორობას სთავაზობდნენ. წინ დიდი გეგმები ჰქონდა...

**რთულია ასეთ სტატიაზე მუშაობა, ყველაზე რთული კი – დაწყება. დაწყება გიორგის მამის მეგობარმა მიკარნახა: „მაინც რა ზნე სჭირს სიკვდილსა, ვერ ხვდება ჩემი გონება, შიგ გამაარჩევს ვაჟკაცსა, სადაც კი მაეწონება“, – ვაჟას ეს სიტყვები, ალბათ, ყველაზე კარგად ასახავს იმ დიდ ტკივილსა და სიამაყის განცდას, რომელიც მწვერვალებთან მოთამაშე, სიცოცხლით, ენერგიით, კრეატიული იდეებითა და სიკეთით სავსე, მიზანმიმართული და შეუპოვარი სრულიად ახალგაზრდა კაცის გარდაცვალებას ახლავს თან. ავტომობილს საკუთარი სხეულის ნაწილივით ფლობდა... ასე გაიცნო მთელმა საქართველომ და არამხოლოდ... და ეს მისი ერთადერთი ნიჭი არ ყოფილა.**

# გიორგი თევზაძის სახელობის საქველმოქმედო ფონდი გაჭირვებულების, უსახლკაროების დასახმარებლად მუშაობას განაგრძობს

**გოგა**: მისი ოცნება იყო, ისეთი ადამიანი, მეორე ნახევარი ეპოვა ვინც მის ამ სიყვარულს მანქანების მიმართ სწორად გაიგებდა და არ შეეშინდებოდა. მანქანა მისთვის ჰობიც იყო და გართობაც, მაგრამ, ბოლოს უკვე მთავარ საქმიანობად გადააქცია. გააკეთა ვებ-გვერდი – NEEDFORDRIVE.COM, ძალიან პოპულარული დრიფტზე და ქუჩის რბოლებზე აპირებდა გადაცემის გაკეთებას, უკვე გაკეთებულია ჩანაწერები. საოცარი ქველმოქმედი იყო. დაარსებული აქვს საქველმოქმედო ფონდი, რომლის პრეზენტაციაც 7 ივლისს ჰქონდა დაგეგმილი. ფონდი უნდა დახმარებოდა გაჭირვებულ, უსახლკარო ადამიანებს, ეკლესია-მონასტრებს... ამას მთელი გულით აკეთებდა, სიკეთით იყო სავსე. ოჯახს, მეგობრებს ძალიან გვინდა და ასეც იქნება, რომ გიოს ეს სურვილი განხორციელდეს, ამ საქმიანობას გავაგრძელებთ და უამრავ ადამიანს დავეხმარებით. ფონდის სახელწოდებაა – „გიორგი თევზაძე და მეგობრები.“ ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ფონდის საქმიანობა გაგრძელდეს და, როგორც გიოს მოეწონებოდა, ისე გავაკეთოთ ყველაფერი.





**– რა პროფესიის იყო?**

**გიორგი ლომთათიძე** *(მეგობარი)*: ჩვენ „იესემში“ ვსწავლობდით და იქიდან ვმეგობრობთ. იოლად დასამეგობრებელი ბიჭი იყო, მთელ თბილისს იცნობდა. ის კი არა, ვეუბნებოდი კიდეც, არ შეიძლება, ამდენ ხალხს ენდო-მეთქი. სულ დადებითს ეძებდა ადამიანებში. ძველი ბიჭი იყო, პარლამენტარი, მრბოლელი თუ ეკონომისტი, ყველასთან პოულობდა საერთო ენას.



იმდენს ელაპარაკებოდა, რომ, ყველა, ასე ვთქვათ, თავის რელსებზე გადმოჰყავდა. ზოგადად, საუბარი უყვარდა, ლაპარაკის ძალიან დამაჯერებელი მანერა ჰქონდა და იოლად არწმუნებდა ადამიანებს იმაში, რისიც თვითონ სწამდა და უყვარდა. თითქოს სრულიად უმნიშვნელო საქმესაც კი დიდ მნიშვნელობას სძენდა. თუ გადაწყვეტდა, ეს უნდა გავაკეთოთო, არ არსებობდა, ბოლომდე არ მიეყვანა. სრულიად ელემენტარულ საქმესაც კი იდეალურად აკეთებდა. ვთქვათ, სადღაც უნდა ვყოფილიყავით სამ საათზე; პირველიდან ორამდე ყოველ ათ წუთში რეკავდა – ხომ არ აგვიანებო. მერე, ორზე თუ არ იყავი მისული, – უკვე გვიანია, დროზე მოდიო... რაღაც რომ არ ან ვერ გაგვეკეთებინა, თავს უხერხულად ვგრძნობდით, ისე

გვამზადებდა და იმდენს გველაპარაკებოდა.

**– რა ასაკიდან დაეწყო ავტომობილებით გატაცება?**

**ალექსანდრე თევზაძე** *(მამა):* როგორც ყველა პატარა ბიჭს, მასაც ძალიან იტაცებდა მანქანები. პეტერბურგში სწავლობდა. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, დაახლოებით მეცხრე კლასში რომ იყო, როცა მე რუსეთში წასვლა მიწევდა და ის აქ რჩებოდა, თურმე, იღებდა გასაღებს, გამოიყვანდა მანქანას და დადიოდა. 15 წლის იყო მაშინ.

**– არ გქონდათ შიში?**

– იცით, ბავშვობიდან უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა ჰქონდა და, თუ ძალიან კარგად არ იცოდა, იმას არც იტყოდა და არც გააკეთებდა. ამის გამო ვიყავი უფრო მშვიდად, რადგან, იდეალურად იცოდა მანქანა. სხვა რომ დადის, იმის მეშინია და მასზე როგორ არ შემეშინდებოდა, მაგრამ, გიორგის ეს თვისება მამშვიდებდა. თვითონ ისე აკეთებდა ამ ყველაფერს, ერთი წამით არ გაგიჩნდებოდა შიშის გრძნობა. გიორგის ჰყავს რამდენიმე მეგობარი, რომელთა გვერდით ყოფნის დროსაც, ასევე, არ მიჩნდებოდა შიშის გრძნობა. ვნერვიულობდი, როცა ვილაც სხვას ეჯდა გვერდით.

**– მანქანების მის ასეთ სიყვარულს ხელს უწყობდით?**

– დიახ, რადგან, ვხედავდი, ეს მისი ძალიან დიდი გატაცება იყო. სხვაც ბევრი საქმე ჰქონდა, არ იყო მხოლოდ ავტომობილები. ის ვიდეოებიც რომ გადაიღო, უფრო გასართობი სახე ჰქონდა. იმ ავტომობილითაც იშვიათად დადიოდა.

**გიორგი:** სხვათა შორის, პიანინოზე უკრავდა ძალიან კარგად, მაგრამ, ჩვენთან ამას არ ამხელდა. დამთავრებული ჰქონდა პეტერბურგის სამუსიკო სკოლა, კარგად თამაშობდა ჩოგბურთს. ის არ ეწეოდა და არასდროს ბილწსიტყვაობდა. ჩვენ მანქანების გამო გაგვაცნეს ერთმანეთი. მაშინ, უბრალოდ, მიყვარდა მანქანა, მაგრამ, ბევრი რამ არ ვიცოდი. გიორგიც ასე იყო და ყველაფერი თავისით ისწავლა. ძალიან ბევრი რამ გვაქვს გასახსენებელი, სულ თავგადასავლებში ვიყავით. სულ გვეშინოდა და ვმალავდით, რასაც ვაკეთებდით, მშობლებს რომ არ დაეშალათ. თან, მაშინ საქართველოში ასე არავინ ატარებდა, პირველ ნაბიჯებს ჩვენ ვდგამდით.

**ალექსანდრე თევზაძე:** ეს მათ ეგონათ, რომ მიმალავდნენ. რუსეთში კი ვიყავი, მაგრამ რომ ჩამოვიდოდი, აბსოლუტურად ყველაფერს მიყვებოდნენ. დეტალურად ვიგებდი, სად, რა და რომელ საათზე გააკეთა.

**დავით მიქაია** *(მეგობარი):* გიორგი ყველასგან განსხვავებული ადამიანი იყო. დადიოდა და ეძებდა გაჭირვებულ ხალხს. ბევრი იცით, ვისაც 26 წლის ასაკში საქველმოქმედო ორგანიზაციის დაფუძნების სურვილი გასჩენია?! ამხელა სამეგობრო ვართ, თვეში 100, ან, თუნდაც, 50 და 20 ლარი არავის დაგვაქცევს, რაღაც თანხა შეიკრიბება და ერთ გაჭირვებულ ოჯახს მაინც დავეხმარებითო; თუნდაც სახლს ვუქირავებთ ან ტანსაცმელსა და საკვებს ვუყიდითო. იმ ხალხის ფოტოებიც კი ჰქონდა გადაღებული, ვისაც უნდა დახმარებოდა, ასევე გიორგი ექსტრემალური მართვის სკოლის გახსნას აპირებდა. ყველა იცნობდა და დიდი წარმატებაც ექნებოდა სკოლას. უამრავი გეგმა ჰქონდა და, დარწმუნებული ვარ, გიორგი ყველაფერს შეძლებდა, იმიტომ რომ, ძალიან გაწონასწორებული, განათლებული, მორწმუნე ბიჭი იყო და მას ყველაფერი შეეძლო. დილით ისე არ გამოდიოდა სახლიდან, ლოცვები რომ არ წაეკითხა. ძალიან მორწმუნე ადამიანი იყო. ქუჩაში გაჭირვებულს რომ დაინახავდა, გააჩერებდა მანქანას და საათობით ელაპარაკებოდა, ყველაფერს გამოჰკითხავდა,



თანხას აჩუქებდა და მოდიოდა, – ბევრჯერ ყოფილა ასეთი შემთხვევა. გიო ჩვენგან, მეგობრებისგან განსხვავებით, ყველაფერს თავისებურად უყურებდა და აკეთებდა. ის იყო ლიდერი ჩვენ შორის და მუდამ ასე იქნება. დღეს მის დაწყებულ საქმეს ოჯახის წევრები და მეგობრები განვაგრძობთ. ჩვენ ყველანაირად ვეცდებით და აუცილებლად გავაკეთებთ იმას, რაც გიოს გულით უნდოდა: დაიდება ვიდეოები, სურათები მისი დაფუძნებული საქველმოქმედო ფონდიდან, რომელსაც დღეს მისი მეუღლე და მშობლები უდგანან სათავეში. მომავალში გიოს შესახებ დოკუმენტურ ფილმს გადავიღებთ... რადგან, ხალხმა უნდა იცოდეს, რომ გიორგი არ იყო მხოლოდ ახალგაზრდა კაცი, რომელიც საოცრად მართავდა ნებისმიერ მანქანას; ის იყო საოცრება, სიყვარულით სავსე ადამიანი, ჩვენი ლიდერი და ყოველთვის ასე იქნება. მისი სიყვარული მუდამ იცოცხლებს ჩვენში.



**გელა ფარჩუკიძე** *(მამის მეგობარი):* მეგობრის შვილს, რამდენი წლისაც არ უნდა იყოს, კაცად, დიდ ადამიანად ვერ აღიქვამ. მაგრამ, გიორგი 15 წლისა უკვე კაცად გავიცანი, ბავშვივით ვერ დაელაპარაკებოდი თავისი ფიზიკური მონაცემების, ინტერესების, საქმისადმი, მოვლენებისადმი დამოკიდებულების, აზროვნების გამო. მამამისი ჩემი მეგობარი რომ არ ყოფილიყო, ალბათ, „შენობითაც" ვერ დაველაპარაკებოდი. მისგან მხოლოდ დადებითი, პოზიტივი მოდიოდა. ქალებს გაქვთ ასეთი გამოთქმა – „მასთან ერთად ყოფნა მიხარია"... ეს ასე მხოლოდ ქალების შემთხვევაში კი არა, კაცებთანაც იგივე ხდება. არიან მამაკაცები, რომლებთანაც ურთიერთობა გიხარია. ადამიანი უპრობლემობა – ასეთი იყო გიო. მასთან ერთად მხოლოდ ერთი განცდა გეუფლებოდა: ყველაფერი კარგად იქნება. გიორგისა და მისი მეგობრების ასაკი და ავტომობილებით გატაცება თითქოს ლოგიკურია: ასაკს პლუს მანქანა უდრის ადრენალინს. მაგრამ, გიორგის შემთხვევაში ასე არ იყო, რადგან, მანქანებისადმი ასეთი დამოკიდებულების იქით იწყებოდა გიორგი, როგორც მეცნიერი, რომელიც სულ იკვლევდა, სულ აკვირდებოდა მანქანას, სულ სიახლეებს ეძიებდა. არ გააკეთებდა და არ იტყოდა ისეთ რამეს, რაც არ იცოდა. გიორგისთან მიმართებაში, იმას, რასაც მანქანით აკეთებდა, ელიტური ხასიათი მიეცა. თავადვე აწერდა ყველა ვიდეოს – არ გაიმეორო. ის შემოქმედებითად უყურებდა ამ საქმიანობას, ცდილობდა, ხელოვნების დონემდე ყოფილიყო აყვანილი, ხულიგნობასთან რომ არ ყოფილიყო ასოცირებული. ის ავტომობილზე როგორც სულიერზე, როგორც საყვარელ ადამიანზე, ისე საუბრობდა. ის, რაც ჩემთვის რკინების გროვაა, გიორგისა და მისი მეგობრებისთვის ეს ფრაზა შეურაცხმყოფელი იქნებოდა. ჯანო კახიძის ასპირანტი ვიყავი. დირიჟორის ხელში ჯოხი სხვა ფილოსოფიაა – ეს მისი ხელის გაგრძელებაა, მისი სხეულის ნაწილი, რომლის ოდნავ რხევასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ასე იყო გიოსთვის მანქანა – ის მისი სხეულის ნაწილი იყო და იდეალურად მართავდა, გრძნობდა მას.

ის სულ შემოქმედებითად, მხატვრულ ფორმატში ხედავდა თავის საქმიანობას. ყველაზე საწყენი კი სწორედ ის არის, რომ, ადამიანი ვინც იალბუზზე, ჯომოლუნგმაზე დაფრინავდა, ამხელა სიმაღლეებზე ფიქრობდა, უცებ ძნელია დაიჯერო, რომ რუსთაველზე, კენჭზე დაეცა – დაახლოებით ასეთი მომენტი იყო. თვითონ რომ ყოფილიყო, რაღაც ეშმენის, კასკადიორული ილეთის ჩადენის დროს დამართვოდა ეს, რა თქმა უნდა, მაინც ძალიან მძიმე იქნებოდა, მაგრამ, იტყოდი, იმას შეეწირა, რაზეც გიჟდებოდაო. მაგრამ, ასე უბრალოდ, მარტივად, სხვისი შეცდომის გამო... იმ ადამიანის განცდებისაც ძალიან კარგად მესმის – ის ხომ კრიმინალი არ არის, ჩვეულებრივი ადამიანია. ბედის ირონიაა... ყველა სიკვდილი სიკვდილიაო, ამბობენ და, ყველა ერთნაირად მტკვნეულია, მაგრამ, ეს ჩემთვის მაინც ბედის დაცინვაა. მისი ასეთი უბრალო წასვლა ტკივილამდე გამაოგნებელია. გიორგი დააკლდა თბილისს, დააკლდა მთელ საქართველოს. საჯიშე ბიჭი იყო, ისეთი, ბევრი რომ უნდა იყოს და შენანება.

**სალომე გველესიანი**

# ვისგან ნასესხები თანხით ააგო დემეტრე თავდადებულმა მეტეხის ტაძარი და როგორ გახდა წარმოშობით ქურთი სადუნ მანკაბერდელი მეფის მეურვე

მეცამეტე საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე სადუნ მანკაბერდელი მეფე დემეტრე მეორის მეურვე გახლდათ. ამ სტატუსით, ანგარებით, მლიქვნელობითა და გაიძვერობით მან ბევრს მიაღწია – გახდა ბევრი ქართული ქალაქის მფლობელი. სადუნის ვაჟი, ხუტლუ ბუღა, მამამისზე არანაკლები გაიძვერა გახლდათ. უფრო მეტიც, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ამ ადამიანის ამბიციასა და ძალისხმევას შეეწირა 30 წლის დემეტრე თავდადებულის სიცოცხლე.

საქართველოში მონღოლობის გამოჩენის პერიოდში მძლავრად იჩინა თავი მედროვეობამ, ინტრიგებმა და შემთხვევითი პირების დაწინაურებამ ქართულ სამეფო კარზე. ერთ-ერთი ასეთი პირი გახლდათ წარმოშობით ქურთი სადუნ მანკაბერდელი. მან მრავალი ენა იცოდა: მონღოლური, სპარსული, ქართული, სომხური და, ასევე, იცოდა, თუ როგორ გამოეყენებინა ეს ენები. ქართველი მემატიანე, ეგრეთ წოდებული ჟამთააღმწერელი, მოგვითხრობს, სადუნის თარგმანი შეესაბამებოდა იმ ვითარებას, რა ვითარებაშიც ხდებოდა თარგმნაო. სადუნ მანკაბერდელს შეეძლო, ისე ეთარგმნა და წარმოედგინა საქმის ვითარება, როგორც თვითონ მიიჩნევდა საჭიროდ. ამ პიროვნებამ ეს კარგად გამოიყენა, თუნდაც, ქართველ მეფეებთან დამოკიდებულებაში. ბევრ რამეს მიაღწია სადუნმა ამ „ნიჭის” წყალობით.

სადუნ მანკაბერდელის კარიერა იმით დაიწყო, რომ მცირეწლოვანი დემეტრე მეორე, შემდეგში დემეტრე თავდადებულად წოდებული, დამოკიდებული აღმოჩნდა მასზე როგორც ფინანსურად, ისე მორალურად. ობლად დარჩენილი დემეტრე მონღოლებმა სადუნის „მზრუნველობას” მიანდეს. სადუნი ოფიციალური მეურვე გახდა მეფე დემეტრესი, რასაც ის კარგად იყენებდა სათავისოდ. მეფეს ძალიან ხშირად სჭირდებოდა ხოლმე ფული, რომლის სესხების სანაცვლოდაც, სადუნ მანკაბერდელი საკუთრებაში იგდებდა ქართულ ქალაქებს. ამ ხერხებით სადუნის მფლობელობაში მოექცა თელავი, ბელაქანი, დმანისი, კარი – ამ ქალაქების ხელში ჩაგდება მან სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ვითარებაში მოახდინა. ცნობილია, რომ მეტეხის ტაძარი დემეტრე თავდადებულმა მანკაბერდელისგან ნასესხები თანხით ააგო. გარდა იმისა, რომ ხელსაყრელი მომენტი გამოიყენა და ფინანსურად გაძლიერდა, სადუნ მანკაბერდელმა ქართულ სინამდვილეში პირველად შემოიტანა ძალიან უარყოფითი ტრადიცია – მან სამი ცოლი ერთად დაისვა, რის გამოც ის ეკლესიამ შეაჩვენა.

სადუნ მანკაბერდელი გახლდათ ამირსპასალარისა და ათაბაგის უმაღლესი ქართული სამეფო კარის ტიტულების მფლობელი. მასთან ვერაფერს აწყობდა მცირეწლოვანი და დაობლებული დემეტრე. ის სრულიად მარტო იყო იმიტომ, რომ დედამისი, გვანცა, რომელიც კახაბერ კახაბერის ძის ასული და ავაგ მხარგრძელის ცოლყოფილი იყო, მონღოლებმა სიკვდილით დასაჯეს. დასჯის მიზეზი ის გახდა, რომ, დემეტრეს მამა, დავით ულუ, მონღოლებს აუჯანყდა მათი განუწყვეტელი პრეტენზიებისა და მუდმივად უცხო ქვეყნებში ლაშქრობების მოთხოვნის გამო. აჯანყებულმა ულუმ თავი დასავლეთ საქართველოს შეაფარა, ცოლ-შვილის გადაყვანა კი ვერ მოასწრო. მონღოლებმა ჯავრი იმით იყარეს ულუზე, რომ დედოფალი გვანცა სიკვდილით დასაჯეს. ასე დაობლდა დემეტრე. შემდეგში დავით ულუ მონღოლებს შეურიგდა. როდესაც ის გარდაიცვალა, დემეტრე ჯერ ისევ მცირეწლოვანი იყო. ამგვარად, სადუნ მანკაბერდელს შესანიშნავი გარემო შეექმნა იმისათვის, რომ ქართულ სამეფო კარზე ადგილი და გავლენა მოეპოვებინა. დემეტრე უშედეგოდ ცდილობდა მისი „მზრუნველობისგან” თავის დახსნას; რადგან სადუნს ვერაფერი მოუხერხა, მის შვილზე, ხუტლუ ბუღაზე მაინც მოახდინა გარკვეული ზეგავლენა იმ მხრივ, რომ შეძლო მისი ჩამოქვეითება იმ ორი თანამდებობიდან, რომლებიც თავის დროზე მამამისს ეკავა. დემეტრემ ამირსპასალარობა ისევ ხუტლუ ბუღას უბოძა, მაგრამ, ათაბაგობა სხვა მოქიშპე გვარის წარმომადგენელს – ტარსაიჭ ორბელს მიანიჭა. ტარსაიჭ ორბელი ამ ისტორიის შემდეგ აღარ ფიგურირებს ქართულ წყაროებში, მაგრამ, სომხური წყარო, სტეფანოს ორბელიანის სახით, უცნაურ რამეს ამბობს ტარსაიჭის შემდგომი ნაბიჯის შესახებ. სტეფანოს ორბელიანი წერს, რომ ის ძალიან კარგი კაცი გამოდგა, რადგან, ქართული ხელნაწერები გადასინჯა და, სადაც კი სომხური მონასტრები იყო და მათ გადასახადები ჰქონდათ დაკისრებული სახელმწიფოსაგან, ტარსაიჭ ორბელმა ყველა ამოშალა, ხოლო სადაც ვერ ამოშალა, ის ხელნაწერები დაწვა და გაანადგურაო. ასე „კარგად“ გადაუხდია ტარსაიჭ ორბელს ქართული სახელმწიფოსთვის მეფის წყალობა.

რა თქმა უნდა, ხუტლუ ბუღას მეფის ამგვარი გადაწყვეტილება გაანაწყენებდა და ასეც მოხდა; არადა, ხუტლუ ბუღა ისეთი ხასიათისა ყოფილა, თუ წყენას ჩაიდებდა გულში, ყოველთვის გამონახავდა შესაფერის დროს და სამაგიეროს მიუზღავდა გამნაწყენებელს. ამ შემთხვევაშიც, შესაფერის მომენტს დაელოდა...



მეტეხის ტაძარი დემეტრე თავდადებულმა მანკაბერდელისგან ნასესხები თანხით ააგო

ასეთი კრიტიკული მომენტი სამეფო კარის ისტორიაში მაშინ დადგა, როცა დემეტრე მონღოლთა კარზე დაიბარეს, რაც ძალიან ცუდი ნიშანი იყო. საქმე ისაა, რომ დემეტრე ნათესაურ კავშირში იყო ბუღასთან, რომელიც გახლდათ პირველი ნოინი ყაენის კარზე – დემეტრე მეორის ქალიშვილი, რუსუდანი, დაქორწინებული გახლდათ ბუღას ვაჟზე. 1288 წელს ბუღა ნოინს დაბრალდა შეთქმულება. ამიტომ, როდესაც ბუღა სიკვდილით დასაჯეს, ამის შემდეგ მთელი მისი ნათესაობის მოკვლევა დაიწყეს. ამიტომ, როდესაც დემეტრე ურდოში დაიბარეს, მას დარბაზმა ურჩია, არ წასულიყო და მთიულეთში გამაგრებულიყო. დემეტრე მეორემ უარი განაცხადა მთიულეთში გახიზვნაზე და თქვა, რომ არ ულირდა ხალხის აწიოკება საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად. ამასთან ერთად, მცირე იმედი მაინც ჰქონდა, რომ ურდოს კარზე ის თავის უდანაშაულობას დაამტკიცებდა, რადგან, ნათესაობის მიუხედავად, იგი ბუღას პოლიტიკურ იდეებს არ იზიარებდა და მის შეთქმულებაში არ მონაწილეობდა.

ყაენ არღუნს დიდი ბჭობა გაუმართავს, როგორ გადაეწყვიტა დემეტრეს ბედი – მოეკლა, თუ სხვანაირად დაესაჯა იგი, რადგან, ყაენი იმას ჩიოდა, რომ, თუ დემეტრე დავსაჯე, ვინ იქნება საქართველოს მეფე და ხომ არ გამომეცლება საქართველო ხელიდანო. ბევრი ფიქრის მიუხედავად, ის დემეტრეს შემცვლელ კანდიდატს ვერ ხედავდა, რომელსაც უმტკივნეულოდ ჩააბარებდა საქართველოს. სწორედ ამ დროს გამოჩნდა ხუტლუ ბუღა, რომელსაც მოუხსენებია ყაენისთვის, რომ, გადავიდოდა დასავლეთ საქართველოში და, დავით ნარინისგან, რომელიც უკვე კარგა ხანია, იქ მეფობდა და ცაკლე იმერეთის სამეფოც კი შექმნა, მიიღებდა პირობას, რომ, ნარინის შვილს, ვახტანგს გადმოიყვანდა და გაამეფებდა აღმოსავლეთ საქართველოში. ეს იმდენად მოსაწონი იდეა აღმოჩნდა ყაენისთვის, რომ მან მაშინვე მისცა უფლება ხუტლუ ბუღას, გამგზავრებულიყო დასავლეთ საქართველოში. იგი მოელაპარაკა დავით ნარინს და ამ უკანასკნელმაც თანხმობა განაცხადა, რომ თავისი ვაჟი, ვახტანგი გამოეშვა აღმოსავლეთ საქართველოში სამეფოდ. ხუტლუ ბუღას ამ იდეის სისრულეში მოყვანამ გადაწყვიტა დემტრე მეორის ბედი. ჟამთაალმწერლის მიერ საკმაოდ მხატვრულად არის აღწერილი სცენა, თუ როგორ დასაჯეს დემეტრე სიკვდილით და ვინ ახლდა თან. საინტერესოა, რომ, მიუხედავად იმისა, დემეტრე თავდადებულს კარგად მოეხსენებოდა, რა როლი მიუძღვოდა ხუტლუ ბუღას მის დასჯაში, სიკვდილის წინ ის ყველას გამომშიდობებია. ამ მომენტში ყოველ მათგანს ცრემლი წამოსცვივდაო თვალთაგან, – წერს მემატიანე; ხუტლუ ბუღასაც მიუტევა დემეტრემ დანაშაული და სთხოვა, თუ შეგიძლია, მიშუამდგომლე ყაენთან, თუ არა და, ჩემს შვილზე მაინც იზრუნეო.

დემეტრე თავდადებულის დასჯის სცენა მუღანის ველზე გაიმართა. ეს ის ადგილია, სადაც არაქსი მტკვარში ჩაედინება. განაჩენის სისრულეში მოყვანას ესწრებოდნენ: მაღალი აზნაურობა, საეკლესიო პირები, მონღოლთა მოხელეები და აქვე იყო დემეტრეს უფროსი ვაჟი – დავითი, რომელიც ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა – ის ძლივს გადაურჩა მკვლელებს, რომლებიც ღამით აპირებდნენ მის მოკვლას. ეს მკვლელობა, როგორც ჩანს, იმისთვის იყო დაგეგმილი, რომ ტახტზე პრეტენდენტი არ ჰყოლოდა ვახტანგს. დავითი გადარჩა.

ამ ისტორიის შემდეგ, ხუტლუ ბუღა გაემგზავრა დასავლეთ საქართველოში, დიდი ზარ-ზეიმით ჩამოიყვანა თბილისში ვახტანგი და აქ აკურთხეს მეფედ. საინტერესოა, რომ ხუტლუ ბუღას მიერ ხელისუფლებაში მოყვანილი ვახტანგი, ფაქტობრივად, იყო ერთ-ერთი მიზეზი, დემეტრეს სიკვდილით დასჯისა, რამეთუ, მისი თანხმობა მეფობაზე სასიკვდილო განაჩენი აღმოჩნდა დემეტრესათვის. ფაქტია, რომ მანაც და მამამისმა დავით ნარინმაც იცოდნენ, რომ ტახტი ცარიელი არ იყო, მაგრამ, მიუხედავად ამ ყველაფრისა, ჟამთააღმწერელი ვახტანგს კარგ პიროვნებად ახასიათებს: ამბობს, რომ იყო ძალიან კეთილი, არასდროს არავის მიმართ არ იწყებდა ინტრიგებს და ყველას მიმართ კეთილშობილური საქციელით გამოირჩეოდაო.

საინტერესოა, როგორ წარიმართა ვახტანგისა და ხუტლუს ურთიერთობა. ვახტანგ მეორემ ძალიან ცოტა ხანს, სულ ორი-სამი წელი იმეფა. ჩანს, რომ ხუტლუ ბუღა ვახტანგის კმაყოფილი არ იყო. ცხადია, მან ვერ მიიღო ის, რასაც ელოდა ახალი მონარქისგან. ისიც ცხადია, რომ ის ათასჯერ შეახსენებდა ვახტანგს, რომ იგი მისი წყალობით გამეფდა. ალბათ, ხუტლუ ბუღა მეტსა და მეტ წყალობას ელოდა ვახტანგისგან. ამას ჟამთააღმწერელი არ ამბობს, მაგრამ, ის, რომ ხუტლუ დემეტრეს ვაჟის, დავითის მხარეს გადაიხარა, ამის ვარაუდის საფუძველს იძლევა. ამის შემდეგ, ვახტანგ მეორე გაურკვეველი მიზეზების გამო გარდაიცვალა, რასაც მოჰყვა დავით ნარინის სიკვდილი. რაც შეეხება ხუტლუ ბუღას, ამის მერე ის უკვე აღარ ჩანს ისტორიაში. ასე რომ, ამ ერთ-ერთი მედროვისა და მოღალატის საბოლოო ბედის შესახებ ინფორმაცია აღარ გვხვდება საქართველოს ისტორიაში, მაგრამ, ფაქტია, რომ არც დავით დემეტრეს ძის მეფობით მიულია მას მომავალში დიდი წყალობა.

**ეკა სალაღაია**

**ახლოვდება 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები და პრეზიდენტობის კანდიდატებიც გააქტიურდნენ. ყველა ცდილობს, თავისი პოზიცია ხმამაღლა დააფიქსიროს, ამომრჩევლის გული მოიგოს და 27 ოქტომბერს გაიმარჯვოს. როგორც ასტროლოგი, ბატონი მიხეილ ცაგარელი ამბობს, მოახლოებულ არჩევებამდე, კანდიდატებისთვის არსებობს აღმავალი და დაღმავალი პერიოდები, როცა მათ უნდა გაითვალისწინონ ვარსკვლავური რჩევები, გააქტიურდნენ, ან, პირიქით, თავი შეიკავონ მწვავე საზოგადოებრივი გამოსვლებისგან. ხოლო, რამდენად მისაღებია თავად 27 ოქტომბერი არჩევნებისთვის ასტროლოგიური კუთხით, ვის აქვს გაცილებით მეტი შანსი გამარჯვებისთვის და რაზე უნდა გააკეთონ არჩევანი კანდიდატებმა გამოსვლებისას, ამაზეც ბატონი მიშა გესაუბრებათ.**

# რატომ არის 27 ოქტომბერი პრეზიდენტის ასარჩევად სწორად დანიშნული თარიღი და რა შანსები აქვთ ამ დღეს პრეზიდენტობის კანდიდატებს

**– ასტროლოგიური კუთხით მისაღებია თუ არა საქართველოსთვის 27 ოქტომბერი საპრეზიდენტო არჩევნების ჩასატარებლად და არის თუ არა ეს დღე სწორად დანიშნული?**

– ძალიან მნიშვნელოვანია, რომელ რიცხვში ინიშნება ესა თუ ის მოვლენა, კონკრეტულ შემთხვევაში კი – საპრეზიდენტო არჩევნები. მომავალი საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოში დაინიშნა 27 ოქტომბერს. 2-ს პლუს 7 ჯამში გვაძლევს რიცხვ 9-ს, ამ რიცხვს კი მართავს პლანეტა მარსი. ამიტომ, 9-იანი ერთდროულად, წარმატებებისა და ტრანსფორმაციის მომტანიცაა და დამსჯელი რიცხვიც. შესაბამისად, ეს ნიშნავს იმას, რომ რაღაც რადიკალურად უნდა შეიცვალოს, ის ახლის მომტანია და, აღარ შეიძლება, ძველებურად გაგრძელდეს მოვლენები. ის ითხოვს ცვლილებებს, გვამცნობს ახალი ცხრაწლიანი განვითარების ციკლის დაწყებას და ახალ საფეხურზე გადასვლის აუცილებლობას. მოკლედ, საერთო ჯამში, 27 რიცხვი მომავალი პრეზიდენტის არჩევისთვის სწორადაა დანიშნული. ასე რომ, 27 რიცხვი კოსმოლოგიიდან გამომდინარე, სწორი და ყველაზე კარგია ქვეყნის მომავალი პრეზიდენტის არჩევის კუთხით. დამიჯერეთ, რამე მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტის დროს, მით უმეტეს, როცა ეს ეხება ქვეყნის მომავალს, რიცხვის გათვალისწინება ძალიან მნიშვნელოვანია და საბედისწეროც კი. სხვათა შორის, რიცხვი 9 მართლაც ცვლილებების მომტანი რომ არის, ამას წლების წინ ვამბობდი და, შემიძლია, მაგალითებით დაგიდასტუროთ, კერძოდ, ჯერ კიდევ პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის დროს ვთქვი, რომ, თუ ისევ გაგრძელდა „მოქალაქეთა კავშირში“ ის საშინაო, საგარეო თუ საკადრო პოლიტიკა, რითაც ისინი ხელმძღვანელობდნენ 9 წლის განმავლობაში და არაფერი შეიცვლებოდა სასიკეთოდ, ისინი აუცილებლად დაკარგავდნენ ძალაუფლებას. მართლაც, ზუსტად 9 წლის დასრულების შემდგომ, მოხდა შევარდნაძის იძულებითი გადადგომა. დაიწყო ისევ ახალი ეტაპი ცხრაწლიანი ციკლისა, ოღონდ, ახლა „ნაციონალური მოძრაობის.“ ასევე, მათაც ვაფრთხილებდი ჩემს გამოსვლებში, რომ მათი ეიფორია ცუდად დასრულდებოდა 2012 წელს, თუ ისინი გონს არ მოვიდოდნენ და რადიკალურად არ შეცვლიდნენ მოქმედებების კურსს, საგარეო და საშინაო პოლიტიკას. ზუსტად ამ დროს იწურებოდა მათი 9-წლიანი მმართველობა და ვაფრთხილებდი, ცუდად დაასრულებთ თქვენს პოლიტიკას-მეთქი, მაგრამ, არავინ დაიჯერა. იგივე შეძახილი მაქვს „ქართულ ოცნებასთან.“ მათთვის ჩაირთო 9-წლიანი ციკლის ახალი საათი, ხოლო მომავალი წლიდან ჩაირთვება იგივე საათი მომავალი საქართველოს პრეზიდენტისთვის.

**– უშუალოდ საპრეზიდენტო კანდიდატებზე გადავიდეთ და ასტროლოგიურად გავარკვიოთ მათი შანსები ამ დღეს.**

– კი ბატონო, გადავიდეთ და დავიწყოთ ბატონი მარგველაშვილით. მინდა, გითხრათ, რომ მე ვსაუბრობ არა პოლიტიკური, არამედ, ასტროლოგიური კუთხით და, გეტყვით, რომ ასტროლოგიურად, ყველაზე დიდი გამარჯვების შანსი საპრეზიდენტო არჩევნებზე აქვს გიორგი მარგველაშვილს. ეს პიროვნება დაბადებულია მამლის წელიწადში, „ქალწულის“ ზოდიაქოს ნიშნით. როგორც ქალწულს, ასევე მამალს, ხუთბალიანი სისტემით, ეს წელიწადი ორივეს „ხუთიანზე“ აქვს, ანუ, 2013 წელი უბრწყინავალესი წელიწადია გიორგი მარგველაშვილისთვის. ამის გათვალისწინებით, მე არ გამკვირვებია, რომ სწორედ ეს პიროვნება გახდა საპრეზიდენტო კანდიდატი „ქართული ოცნებიდან”. მართალია, მას ბიძინა ივანიშვილი უჭერს მხარს, მაგრამ, მე ვსაუბრობ წმინდა კოსმიურ-ასტროლოგიური კუთხით და ვამბობ, რომ მისი იღბლიანობა წელს ზენიტშია, რასაც ვერ ვიტყვი მომავალ წელზე. სამყარო მას მხარს უჭერს და მთავარი ფავორიტი საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის არის გიორგი მარგველაშვილი. ამის შემდგომ, იღბლიანობის კუთხით, მოდის „კირჩხიბის” ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებული ორი კანდიდატი: ნინო ბურჯანაძე და დავით ბაქრაძე. ვაღიარებ, რომ მათი შანსები საპრეზიდენტო არჩევნებზე თანაბარია, რადგან, „კირჩხიბის“ ზოდიაქოში ამ პერიოდისთვის იქნება როგორც გამარჯვების პლანეტა იუპიტერი, ასევე, შავი მთვარე, ანუ, მაცდუნებელი ძალა. ეს იმას ნიშნავს, რომ „კირჩხიბებს” ექნებათ სერიოზული შიდა პრობლემები; გახდებიან ჭორებისა და ინტრიგების სამიზნე; გამოიკვეთება უარყოფითი ტენდენციები და, მათ შორის – ნაკლები იღბლიანობა, თუმცა, ამის ფონზე, წარმატების შანსი მაინც არის, რადგან, გამარჯვების პლანეტა იუპიტერი „კირჩხიბის” ზოდიაქოშია. თუმცა, ნინო ბურჯანაძეს და დავით ბაქრაძეს ნახევარი წარმატების შანსი აქვთ საპრეზიდენტო არჩევნებზე, გიორგი მარგველაშვილთან შედარებით. შესაბამისად, ხუთქულიანი სისტემით, მათი წარმატების შანსი, მაქსიმუმ ფასდება ოთხი ქულით.



„ქართული ოცნებისთვის” ჩაირთო 9-წლიანი ციკლის ახალი საათი, ხოლო მომავალი წლიდან ჩაირთვება იგივე საათი საქართველოს მომავალი პრეზიდენტისთვის

**– რაც შეეხება გიორგი თარგამაძეს, ნესტან კირთაძესა და შალვა ნათელაშვილს? მათ რა შანსებს უწინასწარმეტყველებენ ვარსკვლავები საპრეზიდენტო არჩევნებისთვის?**

– გიორგი თარგამაძე „მორიელია“. თეთრი მთვარე, მისი მფარველი ანგელოზი, ამ პერიოდისთვის იქნება „მორიელის” ზოდიაქოში, მაგრამ, მთავარი მუხრუჭი – პლანეტა სატურნიც „მორიელის” ზოდიაქოში იმყოფება, ეს კი მის შანსებს დაამუხრუჭებს და თარგამაძეს ხუთი ქულიდან მაქსიმუმ სამი ქულის მოპოვების შანსი აქვს, ანუ, ერთ-ერთი აუტსაიდერია. ნესტან კირთაძე „ტყუპების” ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ არის დაბადებული. 27 ოქტომბერს კი „ტყუპების” იღბლიანობა არ იქნება ისეთი მაღალი, რომ გამარჯვება მოუტანოს მას. ამიტომ, გიორგი და ნესტანი, მიუხედავად ჩემი დიდი პატივისცემისა, იღბლიანობის კუთხით, კოსმოგრამიული პრინციპებით, ამ დღეს გამარჯვებას ნამდვილად ვერ მოიპოვებენ. აი, რაც შეეხება შალვა ნათელაშვილს, ის დაბადებულია „მერწყულის” ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ. „მერწყულებისთვის” ეს წელიწადი, განსაკუთრებით კი – წლის მეორე ნახევარი, ფრიად უიღბლო და წარუმატებელია. ამიტომ, მე მას დიდ შანსებს ვერ ვუწინასწარმეტყველებ. სხვათა შორის, ამ ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანებს ძალიან კარგი ინტუიცია აქვთ და ისინი ზუსტად გრძნობენ, როდის დგება მათთვის წინაღობებისა და პრობლემების პერიოდები. მინდა გითხრათ, რომ, თუ მან არ აკონტროლა თავისი სიტყვები და გამონათქვამები საზოგადოების წინაშე გამოსვლის დროს, ის სერიოზულ შეცდომებს დაუშვებს, აქედან გამომდინარე, ნდობას დაკარგავს და მისი წარმატების შანსებიც დაიწევს.

**– ბატონი ბიძინა ივანიშვილი რომელი ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ არის დაბადებული და რამდენად იღბლიანი წელიწადი დგას მისთვის?**

– ბატონი ბიძინა ივანიშვილიც „მერწყულის” ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ არის დაბადებული. როგორც გითხარით, მას კარგად განვითარებული ინტუიცია აქვს და ზუსტად ხვდება მისთვის უიღბლო პერიოდებს. ამიტომ, მე არ გამკვირვებია მისი ზოგჯერ უცნაური გადაწყვეტილებების მოსმენა, მათ შორის, განცხადება იმის შესახებ, რომ გადადგებოდა და წავიდოდა პოლიტიკიდან. „მერწყული” წელს ცუდად გრძნობს თავს, პრობლემების ტენდენცია მაღალი აქვს, როგორც ფსიქოლოგიური, ასევე, პრაქტიკული კუთხით. ივანიშვილი ზუსტად გრძნობს, რომ ეს არ არის მისთვის იღბლიანი, წარამტებული პერიოდი და, აქედან გამომდინარე, უნდა, რომ სწრაფად დაანებოს თავი პოლიტიკას, თუმცა, მე მას ამას არ ვურჩევ. 2016 წელი არის მაიმუნის წელიწადი. სწორედ მაიმუნის წელიწადშია ბიძინა ივანიშვილი დაბადებული და, თუ ის ფრთხილად განვლის ამ წლებს, გადალახავს დასვენების შინაგან სურვილს და არ დაუშვებს შეცდომებს, მაშინ, 2016 წელს, პოლიტიკური კუთხით, წარმატებების პიკში აღმოჩნდება. აქვე იმასაც გეტყვით, რომ „მერწყულია” პაატა ბურჭულაძეც, რომელსაც საგაზეთო პუბლიკაციიდან ვურჩიე, არავითარ შემთხვევაში არ მიელო მონაწილეობა არჩევნებში და, გამიხარდა, რომ უარი თქვა, რადგან, შანსი არ ჰქონდა, ავტორიტეტს კი გაფრთხილება უნდა. სამწუხაროდ, ქართველი პოლიტიკოსები ჯერჯერობით არ აქცევენ ყურადღებას, რა ელით მათ მომავალში ასტროლოგიური კუთხით, ღირს თუ არას გარისკვა და რას უქადიან მათ პლანეტები მათთვის მნიშვნელოვან დღეებში. არადა, ჩემთან კონტაქტი აქვთ და ხშირად მომმართავენ პოლიტიკოსები, ბიზნესმენები, შოუ-ბიზნესის წარმომადგენლები და ცნობილი პოლიტიკური ფიგურები შვეიცარიიდან, ჰოლანდიიდან, პოლონეთიდან, ისრაელიდან, ყაზახეთიდან, რუსეთიდან, ლიტვიდან, ჩინეთიდან, სომხეთიდან და ასე შემდეგ, მაგრამ, საქართველოდან არავინ ინტერესდება, რას ურჩევს მათ ასტროლოგია მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმის დროს. მე კი, მათ გასაგონად, კიდევ ერთხელ ვამბობ: გაითვალისწინეთ, „ვინც გაფრთხილებულია, ის შეიარაღებულია!”.

**ნონა დათეშიძე**

# რატომ გაუფორმა ირაკლი მარუაშვილს ოფიციალური კონტრაქტი რობი უილიამსის მენეჯმენტმა და რით მოხიბლა ქართველმა მომღერალმა მსოფლიო დონის ვარსკვლავი

*23 წლის ირაკლი მარუაშვილმა ბოლო ერთი თვის განმავლობაში „ფეისბუქი“ დაიპყრო. მას ძალიან ბევრი ადამიანი გულშემატკივრობდა, ამის მიზეზი კი ყველასთვის ცნობილი მომღერალი და მსოფლიო დონის ვარსკვლავი რობი უილიამსი იყო, რომელმაც თავის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და „ფეისბუქის“ გვერდზე კონკურსი გამოაცხადა. პირობის თანახმად, მონაწილეებს ერთ წუთში უნდა გაეცათ პასუხი მის კითხვაზე: „როგორ იმოქმედა ჩემმა მუსიკამ შენზე?” ჩვენი რესპონდენტი და კონკურსის მონაწილე, სხვებისგან განსხვავებით, ორიგინალობით გამოირჩეოდა: სიტყვიერ პასუხს მან სიმღერა ამჯობინა და ვიდეო რობი უილიამსის ოფიციალურ გვერდზე ატვირთა. ვიდეომ დიდი მოწონება დაიმსახურა, შედეგად 2 316 ხმა მოიპოვა და 300 კონკურსანტი უკან ჩამოიტოვა. გამარჯვებული ქართველი მონაწილე აგვისტოში ტალინში მიემგზავრება, სადაც რობი უილიამსის საგასტროლო ტურნე გაიმართება.*

**ირაკლი მარუაშვილი**: გავიმარჯვე კონკურსში, რომელიც ტარდებოდა რობი უილიამსის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ისევე, როგორც მის „ფეისბუქ-გვერდზე.“ იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ ერთი წუთის განმავლობაში უნდა გაგეცა პასუხი კითხვაზე, თუ როგორ იმოქმედა რობი უილიამსის მუსიკამ შენს ცხოვრებაზე. რობი უილიამსი 25 წელია, სცენაზეა და მთელ მსოფლიოში მილიონობით ფანი ჰყავს. შესაბამისად, კონკურენციაც ძალიან დიდი იყო. მიუხედავად ამისა, ჩვენ პირველი ადგილი დავიკავეთ, რადგან, საუკეთესო იდეა და ვიდეო გვქონდა, რომლის განხორციელებაშიც დედაჩემი ძალიან ამომიდგა გვერდში. ვიდეოს გადაღებაში ძალიან დამეხმარა ლალი ბერაძე, რომელიც ჩემი ვოკალის პედაგოგია; ასევე, თორნიკე გულაშვილი, რომელიც, გარდა იმისა, რომ კარგი მომღერალია, არის არაჩვეულებრივი ოპერატორი. ვისაც არ უნახავს ეს ვიდეო, შეუძლია ნახოს, რომელიც რობი უილიამსის ოფიციალურ ვებ-გვერდზეა განთავსებული.

**– ვიდეო, რომელმაც დიდი წარმატება მოგიტანა, მართლაც ძალიან ორიგინალური იყო.**

– ვიდეოში ბევრი მე ვარ. კომენტარები რომ წაიკითხოთ, ფაქტობრივად, მთელი ევროპა, ინგლისი იქნება ეს, ბელგია, ბრიტანეთი, იტალია თუ სხვა, ყველა გაგიჟებულია. დღეს კი კომენტარი ამერიკიდანაც მივიღე. პრაქტიკულად, არ არსებობს ადამიანი, რომელიც უარყოფითად აფასებს ჩვენს ვიდეოს. მოკლედ, მიზანში გავარტყით.

**– ერთი თვის განმავლობაში ინტერნეტში „ფეისბუქ-ომი“ მიდიოდა, რომელშიც შენ გაიმარჯვე.**



ერთი თვის განმავლობაში მართლა ომი მიდიოდა ამ კონკურსის გამო ინტერნეტში

– ძალიან დიდი მადლობა რობი უილიამსს. მისი ფანი არასდროს ვყოფილვარ, ასე ვთქვათ, ვერ ვუმღულამებდი მის სტილს. ალბათ, რაღაც დონემდე უნდა გაიზარდო, ეს ყველაფერი რომ შეიგრძნო. რაღაც ეტაპზე კი შევნიშნე, რომ სცენაზე მას ისეთი თვისებები აქვს, რაც, პრაქტიკულად, სხვას არ გააჩნია, მაგრამ, გამაჩნია მე. სწორედ ამით „ვიპოვეთ“ ერთმანეთი. ერთი თვის განმავლობაში მართლა ომი მიდიოდა ამ კონკურსის გამო ინტერნეტში. ძალიან დიდი როლი ითამაშეს ჩემმა უკრაინელმა ფანებმა, რომლებიც ჯერ კიდევ უკრაინის „ნიჭიერიდან” მგულშემატკივრობდნენ. რაც მთავარია, რა თქმა უნდა, საქართველო დამიდგა გვერდში და ყველამ ერთად მოვიპოვეთ გამარჯვება. მე შევძელი, გამომეყენებინა მთელი ჩემი ლიდერული თვისებები, რაც დაბადებიდან გამაჩნია და ამეგორებინა სერიოზული პიარი „ფეისბუქში,“ რის შემდეგაც, პრაქტიკულად, მთელმა სოციალურმა ქსელმა დამიჭირა მხარი. დიდი მადლობა ყველას, ვინც ერთი ხმა მაინც გადაგზავნა ან თავის მეგობარს გადაუგდო ვიდეოს ლინკი.

**– პრიზი რა იყო?**

– რობი უილიამსის მენეჯმენტთან ოფიციალურად გავაფორმე კონტრაქტი, ჩემი ვიდეო კი უშუალოდ რობი უილიამსის მენეჯმენტის საკუთრებაში გადავიდა. 20 აგვისტოს ტალინში მივემგზავრები, სადაც ტარდება რობი უილიამსის მეცხრე სტუდიო ალბომის კონცერტი, ანუ ტურნე, რომელიც დივიდიზე ჩაიწერება. გარდა ამისა, ამ დივიდისთვის სპეციალურად კეთდება დოკუმენტური ფილმი, სადაც მეც შევდივარ. ჩემი ვიდეო იქნება ამ ფილმში და, ასევე, პრომოუშენის მასალაში, რომელიც იტრიალებს მთელი ევროპის ტელევიზიებსა და ინტერნეტსივრცეში. გარდა ამ ყველაფრისა, კომპანია „ფაქტორი” ამ კონცერტს მთლიანად გადაიღებს ტალინში და მერე სპეციალურად ჩამოდის საქართველოში, რომ ჩემზე სიუჟეტი გააკეთოს. ვაღიარებ, რომ ძალიან მაგარია. ეს მხოლოდ და მხოლოდ დასაწყისია იმ დიდი მომავლისა, რომელიც მე 2008 წელს დავიწყე და ნაბიჯ-ნაბიჯ მივყვები. ძალიან მალე კი, იმედი მაქვს, ევროპულ სცენაზეც მიხილავთ.

**– კონცერტზე, რომელზეც ტალინში შენც მიემგზავრები, იქნება თუ არა შესაძლებელი, რომ რობი უილიამსთან ერთად იმღერო?**

– მასთან ერთად ან მის გარეშე, მაგრამ, ნამდვილად მექნება შესაძლებლობა, იქ ვიმღერო, რაც, დამეთანხმებით რომ ძალიან სასიამოვნო ფაქტი იქნება. ეს ბევრისთვის ოცნება, ჩემთვის კი უკვე რეალობაა. ამისთვის კი კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მთელ საქართველოს, რომ არა მათი ასეთი აქტიურობა, ამაზე არც ვისაუბრებდით დღეს.

**– პრინციპში, ის, რომ ირაკლი მარუაშვილი გახდა ამ კონკურსის გამარჯვებული, არა მხოლოდ შენი, არამედ, მთელი საქართველოს წარმატება და სიამაყეა.**

– რა თქმა უნდა, ასეა. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ყველაფერს. არიან ადამიანები, ვისაც პრეტენზია არ აქვს ასეთ რაღაცაზე, მე კი პირიქით ვარ, რადგან, გვერდში მიდგანან და მხარს მიჭერენ საუკეთესო ადამიანები, რომლებსაც სჯერათ ჩემი. როცა ასეთ ნდობასა და ყურადღებას იმსახურებ, უფლება არ გაქვს, რაღაც ეტაპზე დანებდე. შესაბამისად, მეც წინ და წინ მივდივარ.

**– სიმღერა როდის დაიწყე?**

– როგორც დედაჩემი მეუბნება, იმ დღიდან, როცა დავიბადე. რაც თავი მახსოვს, მთელი ჩემი ბავშვობა სულ ვღიღინებდი. სადაც არ უნდა ვყოფილიყავი, ყველგან ვმღეროდი.

**– როგორ ფიქრობ, რა არის შენი წარმატების საიდუმლო?**

– არასდროს მიღალატია იმ საქმისთვის, რომელიც, ბავშვობიდან ვიცოდი, რომ ჩემი საქმე იყო. ყველას ვუსურვებ, უფრო ფართოდ იაზროვნოს და ყველა იმ ოცნებას მიაღწიოს, რომელზეც, შეიძლება, ბავშვობაში უთხრეს, რომ არ აუსრულდება. მთავარია, მოინდომო და, ოცნებები, რა თქმა უნდა, ასრულდება.

**მარიკა ხიდურელი**

## დევიდ დათუნას კოლექცია „ამერიკული დროშები“ ცნობილმა მეცენატმა შეიძინა



რევოლუციამდელი რუსეთის იმპერიაში გავლენიანი ვაჭრების, შუკინების გვარის შთამომავალმა, ცნობილმა მეცენატმა და კოლექციონერმა ნიკოლაი შუკინმა ნიუ-იორკში მცხოვრები, წარმოშობით თბილისელი კონცეპტუალისტი მხატვრის, დევიდ დათუნას ნამუშევრების სერია USA - Viewpoints of Millions-ის სრული კოლექცია შეიძინა. კოლექცია 18 ნამუშევრისგან შედგება საერთო სახელწოდებით – „ამერიკული დროშები”. ეს არის ათასობით ოპტიკური ლინზისა და სათვალის შუშისგან შექმნილი დროშების ინსტალაციები. კოლექციის შეძენის შესახებ მოლაპარაკებები თითქმის ერთი წელი გრძელდებოდა. გარიგების ზუსტი თანხა 1,5 - 2,5 მილიონ დოლარს შორის მერყეობს. ნიკოლაი შუკინის თქმით, დევიდ დათუნას ნამუშევრები ინოვაციურობით მას კაზიმირ მალევიჩის ნამუშევრებს აგონებს. დევიდ დათუნას ნამუშევრებთან ერთად, მეცენატის კოლექციაში ინახება სხვა ცნობილი მხატვრების ტილოებიც: მარკ შაგალის, ვასილი კანდინსკის, კაზიმირ მალევიჩის, კის ვან დონგენისა და სხვების. აქვე დავამატებთ, რომ 28 ივლისს პრესტიჟულ „არტ საუჰემპტონზე”, რომელიც ნიუიორკული „ბირნამ ვუდ გალერის” მიერ იყო ორგანიზებული, დევიდ დათუნას ინსტალაცია – „მერილინ მონრო” – 150 ათას დოლარად გაიყიდა.



**ბარნოვისა და შანიძის კუთხეში, პატარა, ულამაზესი კაფეს მწვანე ეზოში, კიდევ ერთხელ მივხვდი, თუ როგორ მიყვარს და მომნატრებია ამ საოცარ ქალთან ინტერვიუ... ქალთან – ამ სიტყვის ყველაზე დადებითი და ემოციური გაგებით. ნინო არაზაშვილი ორსულობის მეოთხე თვეშია და სავსეა სიყვარულითა და იმედებით, მასთან საუბრის დროს კიდევ ერთხელ მივხვდი, რომ ცხოვრება მშვენიერია – ასე მარტივად და ბანალურად! ნინომ და მისმა რჩეულმა, სანდრო ონოფრიშვილმა, ჯვარი ძალიან ვიწრო წრეში დაიწერეს და ამით ექვსწლიანი ურთიერთობა ახალ, უფრო მჭიდრო და საინტერესო ფაზაში გადაიყვანეს.**

# ვისგან ელოდება ნინო არაზაშვილი მესამე შვილს და როგორ ჩაიარა მისმა ჯვრისწერამ



**– თბილისურ რეალობაში როგორ მოახერხეთ ამ ამბის ასე საგულდაგულოდ დამალვა?**

– პერიოდულად ამის შესახებ სხვადასხვა გამოცემაში იწერებოდა, თუმცა, ჩვენ ამაზე არ ვსაუბრობდით. დასამალს არაფერს ვაკეთებდი – სხვის ოჯახს არ შევხებივარ და ჩემი კრედო არ დამირღვევია. უბრალოდ, იცით, რაღაც მომენტში ძალიან გულახდილი ვიყავი მედიასთან, ხშირად ვაძლევდი ინტერვიუებს და მომწონდა ეს, რადგან, არანაირი ჭორი ჩემ შესახებ არ ვრცელდებოდა. შემდეგ კი რამდენიმე ორგანიზაციამ ტყუილებს გადააჭარბა. ალბათ, უკვე ოთხი წელია, რაც ჩემთან ინტერვიუები არსად დაბეჭდილა და ასე გაცილებით მშვიდად ვარ. სიმართლე გითხრათ, გულსატკენიც არავის არაფერი მოუჭორავს, უბრალოდ, იმ პერიოდში არაფერი იყო მოსაყოლი...

**– ახლა ნამდვილად არის. ვინ არის თქვენი რჩეული, სად შეხვდით ერთამენთს?**

– სანდრო ზუსტად ექვსი წლის წინ გავიცანი. ალბათ, მკითხველს გაუკვირდება, რატომ ავირჩიეთ ჯვრისწერის დროდ ზაფხული, რადგან, ეს ძირითადად შემოდგომაზე ან გაზაფხულზე ხდება ხოლმე. სანდროს სურვილი იყო, ეს 10 აგვისტოს მომხდარიყო და ძალიან გამიხარდა, რადგან, მივხვდი, ეს რატომ თქვა – ზუსტად 10 აგვისტოს გავიცანით ერთმანეთი. მაშინ „რუსთავი 2-ის“ წამყვანთა ჯგუფი დიდ მივლინებაში გაგვიშვეს – საქართველოს 20-ზე მეტ ქალაქში პრომო-აქციები უნდა ჩაგვეტარებინა. თანაორგანიზატორი ნოე სულაბერიძესთან ერთად იყო სანდრო. მას ჯგუფების მართვის ძალიან დიდი გამოცდილება აქვს. ის არის ძველი მოთხილამურე, საკმაოდ აქტიური ალპინისტი, რომელსაც ბევრი მწვერვალი აქვს დალაშქრული საქართველოშიც და სხვა ქვეყნებშიც. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს, უნივერსიტეტში ალპინიადებს აწყობდა, ექსპედიციების ხელმძღვანელი იყო და, შესაბამისად, ადამიანების მართვა, რაც იოლი ნამდვილად არ არის, მას კარგად გამოსდის. ამ მივლინებიდან დავბრუნდით და მერე უკვე თბილისშიც მოგვინდა ერთმანეთის ნახვა. მოკლედ, ჩვენი ნაცნობობა ნელ-ნელა გადაიზარდა ურთიერთსიმპათიებში. სანდროზე რა შემიძლია, ვთქვა?! ახლა ის გუდაურის განვითარების სააგენტოს დირექტორია, არის აქტიური ალპინისტი, ბოლოს იყო კილიმანჯაროსა და მონბლანზე. ბოლო მწვერვალის შემდეგ უკვე საკმაო დრო გავიდა, მაგრამ, ჯერჯერობით არ წუწუნებს – როგორც ჩანს, ძალიან მოსწონს თავისი ახალი საქმე; ძალიან დიდ პასუხისმგებლობას გრძნობს, როცა ფიქრობს გუდაურის ინფრასტრუქტურისა და სათხილამურო ტრასების განვითარებაზე – მან ხომ მეგობრებთან ერთად სწორედ ამ მთებში გაატარა მთელი ბავშვობა! რასაც არ უნდა აკეთებდეს, თან დასდევს უდიდესი ოცნება: უნდა მსოფლიოს ყველა კონტინენტის ყველაზე მაღალი მწვერვალების დალაშქვრა.





**– დარწმუნებული ვარ, ამაში მისი დიდი გულშემატკივარი და მხარდამჭერი იქნებით.**

– რა თქმა უნდა. პირველად რომ მითხრა, მივდივარო, დავიწყე ფიქრი იმაზე, თუ როგორ იქცევიან ამ დროს მთამსვლელების მეგობარი გოგონები. უნდა ინერვიულო, უნდა მოსთხოვო ყოველდღე დაგირეკოს თუ რა?! ვერაფერს მოსთხოვ, რადგან, მიდის ცივილიზაციას სრულიად მოწყვეტილ ადგილებში.

**– ეს ხომ რომანტიკულიცაა: შენი რაინდი მწვერვალს იპყრობს შორს ცივილიზაციისგან და შენ ელოდები...**

– რა თქმა უნდა, ეს სერიოზული რომანტიკაა. სხვათა შორის, რამდენჯერმე მქონდა იმის საშუალება, რომ მისთვის მწვერვალზე სიურპრიზი მომეწყო. ექსპედიციის ერთ-ერთი წევრისთვის ჩუმად გამიტანებია სხვადასხვა საჩუქარი. როცა ავიდოდნენ მწვერვალზე, მაშინ უნდა მიეცა ის სანდროსთვის და ეთქვა: „ეს ნინოსგან“. ეს იყო რაღაც... ერთხელ, მახსოვს, ვერაფრის ყიდვა ვერ მოვასწარი. საერთოდ, ყოველთვის, სატელევიზიო ეთერშიც, ჩემს რადიოგადაცემაშიც, ვამბობ, რომ, თუ გინდა, საყვარელ ადამიანს ასიამოვნო, ამისთვის ფული სულ არ არის საჭირო. ერთხელ, უბრალოდ, წერილი დავწერე. სამწუხაროდ, ესემესებმა წერილების წერას გადაგვაჩვია. თეთნულდის მწვერვალზე მიაწოდეს, გახსნა და წაიკითხა. წერილში სულ რამდენიმე სიტყვა მეწერა: „რაც არ უნდა შორს იყო ჩემგან, არასდროს გამიშვა ხელი!“



**– თავის გრძნობებზე საუბარი უყვარს?**

– საკმაოდ აქტიურია ყურადღების გამოხატვაში: მთელი დღის განმავლობაში რამდენჯერმე უნდა დამირეკოს, რამდენიმე ესემესი მომწეროს, სადაც ყოველთვის გამოხატავს თავის გრძნობას, ეს ძალიან სასიამოვნოა ჩემთვის და მეც უდიდესი სიამოვნებით, ვაკეთებ იმავეს. საერთოდ, იცი, როგორი კაცია? ბევრ კითხვას რომ არ სვამს, სამსახურის ამბებს რომ არ გიყვება... მე სწორედ ასეთი კაცები მიზიდავს. ძალიან ბევრი რამ რომ არ აინტერესებთ და კაცებად რომ რჩებიან. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ სტაჟიანი და გამოცდილი მენეჯერი ვარ, ვხელმძღვანელობ ორმოცდაათკაციან გუნდს, ჩვენს მეგობრებს ჰგონიათ, რომ ჩვენ ყოველთვის ვუზიარებთ ერთმანეთს გამოცდილებას სამსახურის სხვადასხვა საკითხში, რაც ასე არ არის. სამსახურზე საერთოდ არ ვლაპარაკობთ და ეს მომწონს. ძირითადად, ვსაუბრობთ მომავალზე, გეგმებზე, სად ვიცხოვრებთ, ბავშვები სად ივლიან სკოლაში...

**– სად გადახვედით საცხოვრებლად?**

– ბაგების ახალ უბანში, სადაც სანდრო ცხოვრობს. მან დედას, დასა და დისშვილს ცალკე უყიდა ბინა, ურემონტებს და, მათი გადასვლის შემდეგ, უკვე შვილებიანად გადავალ სანდროსთან.

**– ახლა კი პირველი შვილის მოლოდინშია. გეგმავდით?**

– კი, კი, განსაკუთრებით სანდროს ჰქონდა ამის სურვილი. მეც ვგრძნობდი, რომ ეს ადამიანი და ჩვენი ურთიერთობა იმსახურებს, რომ საერთო შვილი გვყავდეს. ამ გაზაფხულზე ჩემს ცხოვრებაში უამრავი რამ მოხდა, მათ შორის ისიც, რომ ამერიკის საელჩოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში გავიმარჯვე და სამი კვირით ამერიკაში წავედი სასწავლებლად. წასვლამდე ზუსტად ერთი დღით ადრე, დილით, ტრადიციულად, მოვადუღე ყავა და ვერ დავლიე. მერე ჩემმა ქალიშვილმა სუნამო დაისხა და არ მომეწონა ***(იცინის).*** მივედი ჟორდანიას ინსტიტუტში, მითხრეს, რომ

**(გაგრძელება 78-ე გვერდზე)**

# ბრძნული აზრები

**სპინოზა**: უკიდურესი სულმდაბლობა და უკიდურესი მედიდურობა თავის თავის უკიდურესი უცოდინრობაა.

**ქილონი**: უჭკვიანეს ფილოსოფოსსაც გაუჭირდება პასუხის გაცემა სულელის შეკითხვაზე.

**გოეთე**: სულელები და ჭკვიანები ერთნაირად უვნებელნი არიან; ძნელად ასატანნი არიან მხოლოდ ნახევრად სულელნი და ნახევრად ჭკვიანები.

**ბებელი**: როდესაც მე მაქებს ბურჟუაზია, ვეკითხები ჩემს თავს: ბებერო ბებელ, რა სისულელე ჩაიდინე შენ ისეთი, რომ ამ კაციჭამიების მხრივ ქების ღირსი გახდი?

**ფედროსი**: ქებას პირმოთნე კაცისას უფრო ერიდეთ, ვიდრე მუქარას მტრისას.

**ლებოკი**: ის, რასაც ჩვენ თვითონ ვსწავლობთ, ნამდვილად უფრო სასარგებლო უნდა იყოს იმაზედ, რასაც სხვებისგან ვსწავლობთ.

**კარლეილი**: გამოცდილება მასწავლებელია, რომელიც მეტად ძვირს გვახდევინებს გაკვეთილებში, მაგრამ, სამაგიეროდ მასზე უკეთესად არავინ გვასწავლის.

**გოსტრემი**: საკითხავი ის კი არ არის, თეორიაა საჭირო თუ გამოცდილება, არამედ ის, რომ ორივე შემთხვევაში საჭიროა სიფრთხილე.

**ბერნე**: ბევრი სწავლული ემსგავსება ბანკის მოლარეს; მის ხელში ბევრი ფულია, მაგრამ ფული მას არ ეკუთვნის.

**საადი**: ორმა ვინმემ ამაოდ იშრომა: ერთმა, რომელმაც სიმდიდრე შეიძინა და ამით ვერ ისარგებლა; მეორემ, რომელმაც ცოდნა შეიძინა და საქმეში ვერ გამოიყენა... სულ ამაოა ცოდნა და სწავლა, თუ არ ელირსებათ გამოჩინება... უსაქმო სწავლული უნაყოფო ხეა.

**ბუასტი**: სულიერი სიამოვნებით იმდენად მატულობს დღე სიცოცხლისა, რამდენადაც ხორციელით კლებულობს.

***

მომაკვდავს ხმა დიდების უფრო ნაკლებ ანუგეშებს, ვიდრე ხსენება მისი კეთილი საქმისა.

**სეგური**: უბედურების ატანა ისე ძნელი არ არის, როგორც მეტისმეტი ბედნიერებისა – პირველი გულს აშმაგებს, მეორე კი ღონესართმევს.

**ეტვეში**: უარყოფითი შედეგებიც შედეგებია.

**ვეისი**: ბრძენ კაცს ისე თავმდაბლად უჭირავს თავი, თითქოს თვითონ კი არ ასწავლიდეს სხვას, არამედ სხვისგან სწავლობდეს.

**შექსპირი**: უფრო ღირსეული იქნები, ვიდრე ხარ, შენს ღირსებას რომ ხშირად არ ახსენებდე.

**ჟან-ჟაკ რუსო**: ვაი იმას, ვისაც ერთი დღის სიამოვნება მაინც არ შეუწირავს კაცური მოვალეობისთვის.

**სენკევიჩი**: ტკბილია სურვილი, მაგრამ სასურველად ყოფნა უფრო ტკბილია.

**ვოლტერი**: არ შეიძლება გსურდეს ის, რაც არ იცი.

**შილერი**: თუ შენი ცნობა გინდა, სხვის საქციელს დააკვირდი, თუ სხვისი – შენს გულში ჩაიხედე.

# თუ გაქვთ ცოდნა...

# თუ გამოიცნობთ

1. ჩინელები ძაღლებს სამ ჯგუფად ყოფდნენ: დარაჯებად, მონადირეებად და საჭმელად. რომაელებიც, ასევე, სამ ჯგუფად ახარისხებდნენ: მეომრებად, მწევრებად და... **რა უნდა ჰქონოდათ მესამე ჯგუფის ძაღლებს?**

2. ადამიანებმა „ლედი ჰამპი" პირველად დაახლოებით ხუთი ათასი წლის წინ გაიცნეს. მას შემდეგ მან მოიპოვა უამრავი მომხრე, მოწინააღმდეგე და ახალ-ახალი სახელები. დღემდე კამათობენ, აკრძალონ თუ დაუშვან ამ „ლედისთან" ახლობლობა. **დაასახელეთ მისი სხვა, ყველაზე გავრცელებული სახელი.**

3. ისინი განსხვავდებიან მხოლოდ ერთი ასოთი. თავიანთ ქვეყნებში ორივე განაპირა პროვინცია იყო. ერთ-ერთი მათგანი უკვე დაკარგულია დედასახელმწიფოს მიერ, მეორემ კი ავლანეთში შეინარჩუნა თავისი თავი და დედაქალაქიც კი, რომლის სახელიც ისევე ჟღერს, როგორც თვით მისი სახელი. **დაასახელეთ ორივე.**

4. შვედეთი – რიქსდაგი; ისრაელი – ქნესეთი; ესტონეთი – რიიკუგუ: **საქართველო – ?**

5. ბრიტანულ ფლოტში მისულმა დანიისა და საბერძნეთის მეფეების შთამომავალმა შლეზვიგ-გოლშტეინ-ზონდერბურგ-გლიუკსბურგმა დედის გვარი – მაუნთბეტენი მიიღო. მას 4 შვილი ჰყავს. უფროსები დედის გვარს ატარებენ, მომდევნო ორი – „კომპრომისულს" – დედისა და მამის გვარებს ერთად. 1997 წლის 20 ნოემბერს მათ ოქროს ქორწილი გადაიხადეს. **დაასახელეთ, ვინ არის მისი მეუღლე.**

6. იტალიელმა მწერალმა ლორენცინიმ ფსევდონიმად თავისი დედის მშობლიური ქალაქის – კოლოდის სახელი აიღო. სწორედ აქ დგას მისი ნაწარმოების მთავარი გმირის ძეგლი. **ვისი?**

7. მუსლიმანების მინარეთიდან ლოცვისკენ მოწოდების რიტუალს აზანი ჰქვია. მუეძინი ხელს იკიდებს ყურის ბიბილოებზე და სამსამჯერ წარმოთქვამს ხუთ ფრაზას: „ალაჰი დიდია", „ვადასტურებ, არა არს ღმერთი, ალაჰის გარდა", „ვადასტურებ, მუჰამედია ალაჰის მოციქული", „ეძიეთ გადარჩენა"... **დაასახელეთ ბოლო ფრაზა.**

8. 1977 წლის ზაფხულში ჰოლივუდის ცვილის ფიგურების მუზეუმში ერთი ექსპონატი ცნობილი სპორტსმენების დარბაზიდან გადაიტანეს ცნობილი მკვლელების, მანიაკების, კაციჭამიების დარბაზში. **ვის ფიგურას შეუცვალეს ადგილი?**

9. მეჩვიდმეტე საუკუნეში მოღვაწე მწერლის, ფილოსოფოსის, ესეისტის, მეცნიერისა და მებრძოლის გარეგნობას როსტანის მხატვრულმა ენამ რაღაც დეტალი მიუმატა, რაც მხოლოდ მწერლის ფანტაზიის ნაყოფია. **როგორ და ვის შეუცვალა როსტანმა გარეგნობა?**

10. შარლ მარი დე ლა კონდამინმა, რომელიც მეთვრამეტე საუკუნეში ბევრს მოგზაურობდა, სამხრეთ ამერიკაში ყოფნის დროს, პირველმა აღწერა ორი ხე, თუმცა წარმოდგენაც არ ჰქონდა, რა დიდი მნიშვნელობა ექნებოდა მომავალში მის ამ საქციელს. **რომელ ორ მნიშვნელოვან ნივთიერებას იღებდა დიდი ხნის განმავლობაში კაცობრიობა მხოლოდ ამ ხეებიდან?**

*პასუხები იხილეთ მე-60 გვერდზე*

# მხოლოდ ფაქტები

* იტალიური ლიტერატურის ბესტსელერთა პირველ ათეულს მრავალი წელია არ ტოვებს... დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი კომედია".

* ქირომანტიის (ხელისგულზე მკითხაობა) მსგავსად, აპანტომანტიაც მკითხაობას ნიშნავს, ოღონდ, შემხვედრით მკითხაობას, მაგალითად: „ქალი შეგხვდეს სავსე ვედროებით, კარგის ნიშანია, ცარიელით – ცუდის".

* ლათინური სიტყვა calva თავის ქალას ნიშნავს, calvus – მელოტს.

* პირველი რედაქციით ამ ნაწარმოებს არკადი გაიდარმა, ჟიულ ვერნის ნაწარმოების გავლენით, „დუნკანი და მისი რაზმი" უწოდა – იახტა „დუნკანი" პირველივე სიგნალზე გაემართა კაპიტან გრანტის დასახმარებლად. თუმცა, შემდეგ ავტორმა მთავარ გმირს სახელი გადაარქვა და ასე მიიღო მკითხველმა „თემური და მისი რაზმი".

* ნოსტრადამუსს ორი წიგნი ეკუთვნის: „ნიშნები" და „ცენტურიები". რა თქმა უნდა, მას სახელი „ნიშნებმა" გაუთქვა.

* 1952 წელს ჟურნალისტებმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატს დემოკრატიული პარტიიდან მიმართეს, შეეწყვიტა თავის გამოსვლებში რესპუბლიკური პარტიის შეურაცხყოფა. პასუხი ასეთი იყო: „თუ ისინი შეწყვეტენ ჩვენზე ტყუილების თქმას, ჩვენ მათზე სიმართლეს აღარ ვიტყვით".

* იაპონურ ფერწერაში მეჩვიდმეტე-მეცხრამეტე საუკუნეებში არსებობდა ბიძინგის (რაც ქართულად ითარგმნება, როგორც „ლამაზმანების გამოსახვა") ჟანრი. ნახატებზე ასახული იყო ედოს (ტოკიო) ზოგიერთი „მხიარული კვარტლის" ცხოვრების სცენები. ასეთ აღწერას საბერძნეთში „პორნოგრაფიას" ეძახდნენ.

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. ლF8-d6!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**



სვანს და მოუკვდა და სიძე მოკლა:




– და აღარ მყავს, სიძე რა ჩემ ფეხებად მინდა!..

***

ორი ქალი ლაპარაკობს:

– გუშინ არაჩვეულებრივი სექსი მქონდა. სექსი კი არა, პირდაპირ – სიგიჟე... მინდა, რომ კიდევ და კიდევ განმეორდეს, უსასრულოდ...

– ვინ იყო ასეთი?

– არც ისეთი სულელი ვარ, ვინმეს ვუთხრა... მის ცოლს – მით უმეტეს...

***

– რა გქვია?

– დათო.

– გვარი?

– დათუნაშვილი.

– ხოხ, რავა კოკა-კოლასნაირი სახელი და გვარი გქონია!

***

ლატარიის გათამაშებას უყურებენ. ბებია ვერ ისვენებს:

– კარგად ნახეთ, მოვიგეთ რამე, შვილო?

– მოიცა, ბებო, მგონი, ტელევიზორსაც ვაგებთ.

***

ორი ახალგაზრდა საუბრობს:

– აჰ, პლანს არ მოვწევ.

– რატომ, ძმაო?

– მაშტერებს.

– ბიჭო, კი არ გაშტერებს, აზრზე მოჰყავხარ და ხვდები, რა შტერიც ხარ.

***

ჩუქჩა და გეოლოგი დათვზე სანადიროდ წავიდნენ. მიადგნენ ბუნაგს. ჩუქჩამ შეყო ჯოხი, დაატრიალა და გამოვარდა ბუნაგიდან გაბრაზებული დათვი. გაიქცნენ მონადირეები, მირბიან... უცებ გეოლოგს გაახსენდა – მე ხომ თოფი მაქვსო, – მოამზადა და ესროლა დათვს. დათვი გაგორდა. მიუბრუნდა ჩუქჩა გეოლოგს და გულდაწყვეტილმა უთხრა:

– თეთრი ადამიანი კარგი მონადირეა, მაგრამ, შტერი... ახლა ამხელა დათვის იურტამდე ხელით ტარება არ გინდა?!

***

– ექიმო, მე უკვე კარგად ვარ. შეიძლება, მკურნალობის ანგარიში გამომიწეროთ...

– რას ამბობთ, თქვენ ჯერ კიდევ არ გამოჯანმრთელებულხართ ისე, რომ ამ დარტყმას გაუძლოთ...

***

მარო ბოსტანს თოხნის. მიხო კუნძზე ჩამომჯდარა და ეწევა.

– დედაკაცო, მარტოკინა რომ შრომობ, გაგეჩინა ბიჭი, ხომ მოგეხმარებოდა, ჰა?!

– ჰო, რა, თავ მაიკლამდე! ისიც შენ გვერდით იჯდებოდა და დუეტში მოწევდით პაპიროსსა...

***

– ალო, თიკა სახლშია?

– თიკა – არა, თქვენ გელაპარაკებათ მისი ცისფერთვალება და გრძელფეხება და – თაკო...

***

მაროს მეზობელი სოფლიდან და ჩამოუვიდა. სხედან მარო და მაყვალა და უყვებიან ერთმანეთს, ვის რა სტკივა, ვის რა აწუხებს... მიხო ტელევიზორს კი უყურებს, მაგრამ ცალი ყური აქეთკენ აქვს. უსმინა, უსმინა, ხელი ჩაიქნია და თავისთვის ჩაილაპარაკა:

– ეჰ, მთელი პარტია ბრაკი გამოსულა...

***

კანიბალებმა ქართველი ჩაიგდეს ტყვედ. ბოძზე მიაბეს, შეუნთეს ნელი ცეცხლი და ტამტამების თანხლებით დაიწყეს რიტუალის




ჩატარება, როკავენ და მღერიან... ხედავს ბოძზე მიბმული, რომ ერთ-ერთი მათგანი ქართულ დოლზე უკრავს.

– ქართველი ხარ, ძმაო?

– ქართველი ვარ, მაგრამ მშია... – სიმღერით მიიღო პასუხი.

***

ორი ტიპი ერთმანეთს შეხვდა:

– რავა ხარ, ძამია?

– არა მიშავს.

– სახლში ხომ კარგად?

– კი.

– სამსახურში რა ხდება?

– ძველებურად.

– მისმინე, შეგიძლია, 300 ლარი მასესხო?

– შენ, იქნებ, ზურგზე გეკოცნა?

– რა ზურგზე?

– რა ვიცი, შენც ასე შორიდან არ დაიწყე?

***

სამსახურში ქალებმა ყავაზე მკითხავი მოიწვიეს. ანდროსაც დააინტერესა, რას მეტყვისო და რიგში ჩადგა.

– ვხედავ, ორი შვილი გყავთ, – ეუბნება მკითხავი და ჭიქას ჩახედა.

– თქვენ ასე გგონიათ? – ირონიულად ჰკითხა ანდრომ, – სამი მყავს, სამი...

– ეს თქვენ გგონიათ ასე...

***

ცოლ-ქმარს სძინავს. შუაღამეს ქმარი აღვიძებს ცოლს. ცოლს გაუხარდა.

– რა გინდა?




– რა მინდა და 30 ლარი მასესხე... რა უნდა მინდოდეს?!

***

სტუდენტი არდადეგებზე სოფელში, მშობლებთან ჩავიდა. აღებს მაცივარს და ხედავს, იქ შიშველი მოდელის სურათია გაკრული:

– დედი, ეს რა არის?

– მოდელის სურათია, შვილო, ვერა ხედამ?! მე გავაკარი. რამდენი გავაღებ, მახსენდება, რომ ბევრი არ უნდა ვჭამო, ფიგურა რო დავიყენო...

– მერე, გამოგადგა?

– რა ვი, მე კი დავიკელი 5 კილო, მაგრამა, მამაშენმა 10 მოიმატა.

***

– ო, როგორი ბრმა და ყრუ ვიყავი, როცა შენ გამოგყევი ცოლად!

– ხედავ, რა სერიოზული დაავადებებისგან განგკურნე?!

***

ქმარი გამთენიისას დაბრუნდა შინ, ჯინსის უკანა ჯიბეში ნახევრად სავსე არყის ბოთლი უდევს. უცბად რაღაცას ფეხი წამოჰკრა, დაეცა და ნამსხვრევებისგან უკანალიც დაისერა. აიღო ლეიკოპლასტირი, სარკის წინ დაიწყო ჭრილობებზე დაკვრა და მერე დივანზე მიწვა.

დილით ცოლი აღვიძებს:

– მე არ გეკითხები, სად დაეთრეოდი მთელი ღამე! არ გეკითხები, რატომაა დივანი სისხლით მოსვრილი! მაგრამ, მიპასუხე, რატომაა სარკე ლეიკოპლასტირებით დაფარული?

***

ავტობუსში ქალი ამოდის პატარა გოგონასთან ერთად. გოგონა მაშინვე იწყებს:

– დე, მიყიდე შოკოლადი...

– არა, შენთვის არ შეიძლება...

– მიყიდე, თორემ, მამას ვეტყვი, როცა ის მიდის, შენთან ზურა ბიძია რომ მოდის ხოლმე...

ქალს სასწრაფოდ ჩაჰყავს გოგონა შუა კარიდან. ერთი გაჩერების შემდეგ მამაკაცი ამოდის, ბიჭუნათი.

– მა, მიყიდე შოკოლადი...

– უყიდე, თორემ, ინანებ! – ერთხმად აყვირდნენ მგზავრები...

# ბადრიას და კოტიკას ბურუსით მოცული ამბავი და თვითმფრინავში გამხელილი საიდუმლო

1981 წელია. ჩვენი საესტრადო ანსამბლი საგასტროლოდაა კურგანში (ურალი), ერთ ლამაზ ქალაქში.

მოვეწყვეთ საშუალო კლასის ერთსართულიან სასტუმროში. სასტუმრო ვერაფერი შვილი გახლდათ, სამაგიეროდ, შენობიდან 100-150 მეტრში იყო კერძო აბანო.

კონცერტის მეორე დილით აბანოში წასასვლელად მოვემზადეთ. განუყრელი მეგობრები – ტრომბონისტი ბადრია ვადაჭკორია და კოტიკა ძნელაძე (გიტარისტი) ერთ ნომერში ცხოვრობდნენ და საბანაოდაც ერთად შევიდნენ საშხაპე ნომერში. დანარჩენები ჩვენს რიგს ველოდებით. ზომაზე მეტად შეუგვიანდათ გამოსვლა და ღლაბუცა ბიჭებს სალადაო გაგვიჩნდა.

ერთ საათზე მეტი გავიდა და, აჰა, როგორც იქნა, გამოჩნდნენ, მაგრამ, გამოჩენას გააჩნია: რუსულად გადაუხვევიათ ხელი ერთმანეთისთვის და „რაც კარგები ვაართ!“ – მღერიან განწირული ხმით.

გაგვიკვირდა. დილით ჩაის მეტი არაფერი დაულევიათ, კაცო! არადა, ერთმანეთს ებიჯგებიან, ძლივს იჭერენ წონასწორობას.

შუა სიმღერაში რომ არიან, ბადრიამ ხელი ჩამოიღო კოტიკას მხრიდან, მაგრამ, ძვირად დაუჯდა – წაბორძიკდა, წაბარბაცდა და იქვე მდგარ უნომრო „მასკვიჩს“ დაეძგერა მხრით. გადაბრუნებით ვერ გადააბრუნა, მაგრამ, გვარიანად შეაზანზარა და იქვე ჩაიმუხლა.




„მოსკვიჩს“ სევდიანი სიგნალიზაცია ჩაერთო, რაც იმათმა ომახიანი „ზესტაფონო, გშორდებიით“ ჩაახშვეს.

დედა დავაფიცეთ, მაგრამ, რამ დაათროთ აბანოს ნომერში – ვერ ვათქმევინეთ.

რას იზამ... მალე დაგვავიწყდა ეს ინციდენტი.

მეორე დღეს ისევ გაემართნენ საბანადოდ განუყრელი მეგობრები.

გამოვიდნენ და ორი წვეთი წყალივით გაიმეორდა წინა დღის ამბავი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ გამოსვლისას ახლა კოტიკამ „შეანწუხა“ ის უბედური „მოსკვიჩი“, მაგრამ, ამჯერად „ჭყინტი ყველის ჭამა მიყვარს“ უბერავენ.

ჩავცვივდით საგონებელში: „თუ ბოთლი შეიტანეს, „ტარა“ არსადაა. აბა, რა ხდება?“

რა თქმა უნდა, ახლაც ვერაფერი ვათქმევინეთ.

მესამე დილით გავჩხრიკეთ და ისე შევუშვით აბანოში (ახლა გეტირებათ ყოფა!).

ამჯერად საათ-ნახევარი „გაჭიმეს“. გამოდიან აბანოდან და სიგარეტს ეწევიან დარდიმანდულად. არავითარი სიმღერა...

– ფხიზლები არიან! – ვთქვით ჩვენ, მაგრამ, სიხარული ნაადრევი გამოდგა: მოულოდნელად, კოტიკამ სიგარეტის ნამწვავი მოისროლა და ტაში დასცხო. ბადრია დაბანცალდა, შეხტა, შეიკუნტრუშა, „შალახოს“ ჯერარნახული ილეთები ჩაახვია და გაგორდა კიდეც ძალიან უხერხულად.

ეს ბურუსით მოცული ამბავი, თბილისში რომ მოვფრინავდით, მხოლოდ მაშინ გაგვიმხილეს თვითმფრინავში:

თურმე, ვიღაც იქაურ ბიზნესმენს ინკოგნიტოდ კერძო არყის ჩამოსასხმელი „ცეხი“ გაუხსნია და, შენიღბვის მიზნით, არყის ალუმინის მილი აბანოს ნომერში გაუტარებია.

უცნობი წყაროს მეშვეობით, ამ ვაჟბატონებს გაუგიათ ეს ამბავი, წვრილი ბურღით გაუხვრეტიათ ეს მილი და ხის პატარა სოლით კეტავდნენ თურმე გამოსვლის დროს. მეორე დღეს გამოაძრობდნენ ამ სოლს და...

მართალია, იქაურ მილიციას არაფერი გაუგია, მაგრამ, ბადრიასა და კოტიკას მაგას გამოაპარებდნენ სწორედ!

**მოამზადა**
**მურმან მერკვილიშვილმა**

(75-ე გვერდიდან)

ყველაფერი წესრიგშია, მაგრამ, მაინც ფრთხილად უნდა იყოთ, რადგან, მესამე შვილია და, სასურველია, აღარ დაიტვირთოთ, ნაკლები იმუშაოთ, ხშირად დაისვენოთო. კი, ასე მოვიქცევი, ოღონდ, მას შემდეგ, რაც ამერიკიდან დავბრუნდები მეთქი. დღეს ღამით მივფრინავ-მეთქი, რომ ვუთხარი ჩემს პროფესორს, ბარბარე გორგოშიძეს, გადაირია. დამაწერინეს ხელწერილი, რომ ვიღებ პასუხისმგებლობას ჩემს შვილზე, ჩემს ჯანმრთელობაზე, საქციელზე. ისეთ რაღაცას მოვაწერე ხელი, რომ გამოვედი, ცოტა შევშინდი. მაგრამ, რა თქმა უნდა, გავფრინდი ისე, რომ ჩემი ორსულობის შესახებ არ მითქვამს არც სანდროსთვის, არც დედაჩემისთვის. ვიცოდი, ეს რომ გაეგოთ, არავითარ შემთხვევაში არ გამიშვებდნენ. ნუ, ამხელა გოგო ვარ, როგორ არ გამიშვებდნენ, მაგრამ, ძალიან რომ ინერვიულებდნენ, ფაქტია. ლოცვით ძალიან გავძლიერდი და წავედი სამი კვირით. ჯერ ჩემს ძმასთან ჩავედი ორლანდოში, მერე ვაშინგტონში და ნიუ-იორკში დავასრულე სწავლა. ძალიან დიდი გზა გავიარე, მაგარი შოკი იყო.

**– ყველაფერმა მშვიდობით ჩაიარა, როგორც ვხედავ.**

– კი, მშვენივრად. ამერიკაში ყოფნისას, ერთ საღამოს, სანდრო მეუბნება – ხვალ დაგირეკავ და, იცი, რა მაგარ ამბავს გეტყვიო?! მეორე საღამოს მაილი გავხსენი და იქაც მწერს: აუ, ხვალ, იცი, რა მაგარი ამბავი უნდა გითხრაო?! დადგა ეს ხვალ, მირეკავს და მეუბნება: იცი, რა მაგარი რაღაც უნდა გითხრა? ჩემს დასა და დედაჩემს ბინა ვუყიდე და უკვე შევძლებთ, შენ შენი შვილებით ჩემთან გადმოხვიდე და ერთად ვიცხოვროთო. რა? როგორ? რანაირად? – მივაყარე კითხვები. რას მეკითხები, საერთოდ თუ ხვდები რა მაგარ რაღაცას გეუბნებიო?! ველარ მოვითმინე და მივუგე: მაგარს ახლა გაიგებ, ნახე, ეგრევე ათით ერთი თუ არ მოგიგომეთქი და ვუთხრა: „იცი, ჩვენ ბავშვი გვეყოლება!“ – და, გაგიჟდა! აბსოლუტურად არაადეკვატური ფრაზების სროლა დაიწყო: სად ხარ ახლა? რატომ ხარ ასე შორს ჩემგან? რატომ წახვედი? რა მაგარიააააა!!! მთელ ხმაზე ღრიალებდა. ზუსტად ორ საათში დამირეკა, უკვე სუფრასთან იჯდა ოცდაათ კაცთან ერთად, საიდანაც ყველა ცალ-ცალკე მეუბნებოდა: ჩვენ კი ვიცოდით, რომ გადარეული იყავი, მაგრამ ეგეთი გიჟი?! ყველამ მისურვა მშვიდობით დაბრუნება და ასეც მოხდა. ძალიან მაგარი დღე იყო, რომელიც ცხოვრებაში არასდროს დაგვავიწყდება. ამასაც თავისი ძალიან დიდი რომანტიკა ჰქონდა – ასეთ რამეს ეუბნები კაცს და, ამ დროს, სულ სხვა კონტინენტზე ხარ. ყველაფერი კარგად აეწყო, ღმერთმა გადაწყვიტა ყველაფერი. იმის აღქმა და ნერვიულობაც ვერ მოვასწარი, როგორ ვიცხოვრებთ, სად და რანაირად ვიქნებით. მართლა სასწაულია. არანაირად არ მეგონა, რომ ჩვენ ამ ტემპებში ცხოვრებას მოვერეოდით და... მაგარია, ძალიან მაგარი. ძალიან ყოჩაღია სანდრო.

> **თეთნულდის მწვერვალზე მიაწოდეს ჩემი წერილი. გახსნა და წაიკითხა. წერილში სულ რამდენიმე სიტყვა მეწერა: „რაც არ უნდა შორს იყო ჩემგან, არასდროს გამიშვა ხელი!“**

**– ჯვრისწერა ვიწრო წრეში იყო, ხომ?**

– კი, მხოლოდ და მხოლოდ ოჯახის წევრები და მეჯვარეები. ახლა სანდრო კოსმეტიკურ რემონტს დაიწყებს ჩვენს სახლშიც, რომ ყველა პირობა იყოს ჩვენთვის და პატარასთვის. პირველად ხდება ისე, როდესაც ვიღაცას უნდა, რომ მე ვიყო ძალიან კარგად მასთან ერთად, ზრუნავს ჩვენს კარგად ყოფნაზე. თუნდაც, რემონტზე რომ რაღაცას მეკითხება... ნუ მეკითხები, შენ გადაწყვიტე-მეთქი, ვთხოვ. ძალიან სასიამოვნოა, რომ ის ზრუნავს ჩემზე და თავის ოჯახზე.

**სალომე გველესიანი**

# ვისგან ელოდება ნინო არაზაშვილი მესამე შვილს და როგორ ჩაიარა მისმა ჯვრისწერამ

# როგორ გახდა ჯაბა ქარსელაძე ცხრაწლიანი ბრძოლის შემდეგ ათლეტური აღნაგობის და რის შედეგად მიაღწია მან ამ ყველაფერს ექვს თვეში

*ჩვენი რესპონდენტი ბოლო წლები ევროპაში ცხოვრობს და საქართველოში იშვიათად ჩამოდის. მოკლე საზაფხულო ვიზიტი* ***ჯაბა ქარსელაძემ*** *იმისთვის გამოიყენა, რომ მეგობრები და ოჯახის წევრები მოენახულებინა და მათთან ერთად რამდენიმე დღე გაეტარებინა. ბოლო პერიოდში ის ჩეხეთში, პრაღაში ცხოვრობს. სწავლაში ტაიმ-აუტის აღების დრო ვარჯიშს დაუთმო და საკუთარ ვიზუალზე ექვსი თვის განმავლობაში ისე სერიოზულად იზრუნა, რომ რადიკალურად შეიცვალა და ამით საკუთარ თავსაც დაუმტკიცა, რომ შეუძლებელი არაფერია.*

**– ჯაბა, ყველა აღიარებს, რომ ყოველთვის საინტერესო სკანდალები ვითარდება შენ ირგვლივ. სკანდალებს იზიდავ თუ რა ხდება?**

– სკანდალების მოყვარული აღარ ვარ, ეს, ალბათ ასაკის ბრალიც არის – უკვე დავლევინდი. თუმცა, მოვლენები, რომლებიც ჩემ გარშემო ვითარდებოდა, შეიძლება სხვისთვის იყო სკანდალი, თორემ, ჩემთვის – არა. ალბათ, ცოტა თავშეკავებული უნდა ვყოფილიყავი, რადგან, ხანდახან პირდაპირობა კარგი არ არის, ბევრი რამ უნდა გაითვალისწინო. თუმცა, როცა პირდაპირობა ხასიათში გიზის, ძალიან რთულია საკუთარი თავისა და ემოციების კონტროლი. უბრალოდ, მე რასაც ვამბობ, იმ მომენტშია ვილაცისთვის მიუღებელი და საოცრება, თორემ სამ-ოთხ წელიწადში ეს ხდება დღის წესრიგი ან მსგავსი რამ. ალბათ, მე თვითონ ვაძლევდი ჟურნალისტებს საბაბს, რადგან, ბევრი ლაპარაკი მიყვარს. რაც უფრო სიტყვაძუნწია ადამიანი, მით ნაკლებ ინფორმაციას გაიგებ მისგან. ამიტომ, მეც ჭკუა ვისწავლე და, ის პერიოდი, რაც აქტიურად აღარ ვარ შოუ-ბიზნესში, ინტერვიუებს აღარ ვარიგებ, მხოლოდ ერთეულ ჟურნალისტებთან ვსაუბრობ. ჩემი აზრით, რაც უფრო გაუფრთხილდები საკუთარ თავს, მით მეტად ღირებული გახდები. ამიტომაც, ხშირად აღარ ვჩანვარ პრესაში, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ შემოთავაზება არ მაქვს პრესისგან.



**– სიმართლე გითხრა, ბოლო დროს, როცა შენს ფოტოებს ვნახულობდი „ფეისბუქზე" დარწმუნებული ვიყავი, რომ ფოტოშოპი იყო გამოყენებული და რეალურად ასეთი ათლეტური გარეგნობის არ იყავი. ვაღიარებ, რომ მოკლე დროში სასწაული მოახდინე და საკუთარ თავზე ბევრი გიმუშავია.**

– მთელი ცხრა წელიწადი ვებრძოდი საკუთარ თავს, ძალიან მინდოდა ვარჯიშის დაწყება, მაგრამ, სწავლა ყოველთვის ხელს მიშლიდა. ამიტომ, სწავლას რომ მოვრჩი, ის დრო საკუთარ თავს დავუთმე და ვარჯიშიც დავიწყე. სიმართლე გითხრა, პირველი ორი თვე ძალიან გამიჭირდა, მეზარებოდა, მაგრამ, ახლა უკვე უკიდურესობაში გადავვარდი – ვარჯიშის გარეშე ვეღარ ვძლებ. ვარჯიში მარტო ფორმები არ არის, ვარჯიში არის ჯანმრთელობა, სწორი ცხოვრების რეჟიმი და ასე შემდეგ. ვერ ვიტყვი, რომ 360 გრადუსით, მაგრამ, ვატყობ, რომ ძალიან შევიცვალე.



ვატყობ, რომ ძალიან შევიცვალე

**– რამდენ ხანში მიიღე ეს შედეგი?**

– ექვსი თვეა, ვვარჯიშობ, თუმცა, იმასაც ვიტყვი, რომ ამ მოკლე დროში ასეთი შედეგის მისაღწევად თავი უნდა გადადო. ერთი წელია, პრაღაში ვცხოვრობ და ძალიან ბევრი რამ ვისწავლე იქ.

**– იმასაც ამბობენ, რომ ეს შედეგი მხოლოდ ვარჯიშით არ მიგიღია.**

– შედეგი, რომელიც მე ექვს თვეში მივიღე, ბევრისთვის წარმოუდგენელია, ამიტომ, ბოროტი ენები იმასაც ამბობენ, ეგ, ალბათ, რაღაცეებს იკეთებს და სვამსო. რას უნდა ვიკეთებდე, თავს ვაკლავ, იმდენს ვვარჯიშობ. ყოველდღე ვვარჯიშობ, ყველაზე ბოლო სულ მე გამოვდივარ იქიდან. მგონი ვერ მიტანენ ამის გამო. შაბათს ხალხი ისვენებს, მე კი ვვარჯიშობ და ისინიც ჩემ გამო სამსახურში ბოლო წუთამდე რჩებიან. სხვათა შორის, იქ ერთმა ფოტოგრაფმა შემამჩნია და მითხრა, ერთ-ერთ კომპანიაში ახალ სახეებს ეძებენ, ფოტოებს უსასყიდლოდ გადაგიღებ და, სინჯე, იქნებ გაიმარჯვო კიდეცო.

**– რა კომპანიაზეა საუბარი?**

– ეს არის კომპანია, რომელიც მამაკაცის სპორტულ ტანსაცმელს აწარმოებს. აქედან გამომდინარე, მივხვდი, რომ ზუსტად საჩემო პროფილი იყო. რატომაც არა-მეთქი და ფოტოების გადაღებაზეც დავთანხმდი. მიუხედავად იმისა, რომ ეს ფოტოები ჯერ დამუშავებული არ არის, ვინც ნახა, ყველას მაინც ძალიან მოეწონა. ბოლო გადაღება ცხრა საათი მიდიოდა. ბოლოს ფოტოგრაფი მკვდარი იყო, მე კი ისევ მზად ვიყავი გადაღებისთვის.

**– ანუ, შესაძლოა, ერთ-ერთი კომპანიის სახე გახდე?**

– თუ არჩევანი ჩემზე შეაჩერეს, რა თქმა უნდა.

**– ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ, სხვა რა სიახლეებია შენს ცხოვრებაში?**

– ჩეხეთის რეზიდენტი გავხდი, ანუ, ამ საბუთის აღების შემდეგ მაქვს ჩეხეთში უპრობლემოდ ცხოვრების, მუშაობის და ყველაფერ იმის უფლება, რაც აქვთ ამ ქვეყნის მოქალაქეებს, ერთადერთი, არჩევნებში არ შემიძლია ხმის მიცემა. ამ საბუთს ერთი წელი ველოდებოდი და, თუკი რამე შეიძლებოდა, ყველანაირად მამოწმეს. როცა დარწმუნდნენ, რომ არ ვიყავი ის ადამიანი, რომელმაც, შეიძლება, მათ ქვეყანას ცუდი გაუკეთოს, საბუთიც მომცეს და ძალიან ბედნიერი ვარ.

**– სიმღერას რაც შეეხება?**

– მართალია, სიმღერა ჩემი პროფესია არ არის, მაგრამ, ბოლომდე მაინც არ ვეშვები, რადგან, ის ჩემი ცხოვრების ნაწილია. ხშირად არა, თუმცა, მაინც დავდივარ კარაოკეებზე, სადაც სულ ვიგებ. საჩუქრად კი ერთ ბოთლ არაყს, შამპანურს ან რომელიმე სასმელს მაძლევენ. რადგან ვვარჯიშობ, ერთი ჭიქა წითელი ღვინის გარდა არაფერს ვსვამ. ამიტომ, კარაოკეში როცა ვიმარჯვებ, ნაჩუქარი სასმლით ჩემს მეგობრებს ვუმასპინძლდები. კარაოკეში სულ მეუბნებიან, კარგად მღერი, და რატომ არ ცდილობ, პროფესიონალურსად მიუდგე ამ საქმესო. მე კი მათ არ ვუმხელ, რომ მომღერალი ვარ. მაიკლ ჯეკსონის ჩემებურ ვერსიას რომ ვმღერი კარაოკეში, არ იცი, ხალხს რა ემართება. როგორ შეიძლება, ჯეკსონის შემდეგ ეს სიმღერა უკეთ იმღერო, მაგრამ, კარაოკესთვის იმდენად კარგია, რომ, თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ და, მსმენელი შოკში ვარდება.

**– ახალი სიმღერის ჩაწერას არ ფიქრობ ქართველი მსმენელისთვის?**

– სხვათა შორის, მე და ნიკა ნიკვაშვილს, რომელიც ჩემი მეგობარი და უნიჭიერესი პიანისტი და კომპოზიტორია, გვინდა პატარა კამერული კონცერტის გაკეთება, რისი საშუალებითაც ჩემს მსმენელს, მეგობრებს და ყველა იმ ადამიანს, ვისაც მოვენატრე, თავს შევახსენებ. ერთ-ერთ უცხოური ჰიტი ახალი ინტერპრეტაციით გამიკეთა ნიკამ. ისეთი კარგია, ვინც ამ სიმღერას მღერის, მან რომ მოისმინოს, დარწმუნებული ვარ, ძალიან მოეწონება.

**– საქართველოში დაბრუნებას არ გეგმავ?**

– მიმაჩნია, რომ ამ ეტაპზე ახალს ვერაფერს გავაკეთებ ისეთს, რაც სარგებლობას მოუტანს ჩემს ქვეყანას. მინდა, ამჯერად უცხოეთში მივაღწიო რაღაცას. ხშირად უთქვამთ, მაგას თვითონ ვერ გაუგია, რა უნდა ცხოვრებაშიაო. ძალიან კარგადაც ვიცი, რა მინდა: მინდა, ყველაფერში მოვსინჯო თავი და რაც შეიძლება მრავალფეროვანი იყოს ჩემი ცხოვრება. ერთხელ ვცხოვრობ, კაცმა არ იცის, როდის წავალ ამქვეყნიდან, ამიტომ, მინდა, მოვასწრო რაც შეიძლება ბევრის გაკეთება, რითაც საკუთარ თავსაც და სხვასაც ვასიამოვნებ. ყოველთვის ვამბობ: შეიძლება, ბევრი კარგიც გავაკეთო და ცუდიც, მაგრამ, ღმერთს ვევედრები ისეთი რამ არასდროს გავაკეთო, რითაც სხვას დავაზიანებ ან დავაზიანებ ჩემი ოჯახის ტრადიციებს. ხვალ რომ ევროპაში ძალიან დიდი ადამიანი გავხდე, მაინც ქართველი ვიქნები, რადგან, პასპორტი და მოქალაქეობა ვერ შეგიცვლის სისხლსა და წარმომავლობას. მე ვარ ქართველი და, შესაბამისად, ბავშვობიდან მინდოდა და ვარ ევროპელი, მაგრამ, ევროპელობა არ ნიშნავს იმას, რომ აქ დავიბადე და აქაური ვარ. მე ყოველთვის ქართველი ვიქნები, რადგან, ძალიან მიყვარს ჩემი სამშობლო. მიუხედავად ყველაფრისა, კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ჯერჯერობით ჩემს თავს ვერ ვხედავ საქართველოში – აი, ეს არის ის პასუხი სრულად, ვისაც აინტერესებს, თუ რატომ არ ჩამოვდივარ საქართველოში.

**მარიკა ხიდურელი**



გვ. 74

**რატომ გაუფორმა ირაკლი მარუაშვილს ოფიციალური კონტრაქტი რობი უილიამსის მენეჯმენტმა და რით მოხიბლა ქართველმა მომღერალმა მსოფლიო დონის ვარსკვლავი**



**უკავშირდება თუ არა ქრისტინე იმედაძის კიევში გადასვლა სიყვარულს** გვ. 15



**ვისზე გაათხოვეს სალომე ჭაჭუა და სად დადიოდა ის „ჩორნი ხოდებით“** გვ. 2


საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილ ... ახში

# თბილისელები®

...biliselebi.ge

ყოველკვირეული ჟურნალი * გამოდის ორშაბათობით * 12 – 18 აგვისტო * №33 (659) * ფასი 1,50 ლარი